N3 (554) 20/I-26/I-2011 ფასი 1 ლარი

1168
2011

ქართული პროზის საგანძური

ტომი №47

გიორგი შატბერაშვილი

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი

ევნატე ნინოშვილი

ვისთან ულაპარაკა თამუნა ლეკვეიშვილმა „მეუღლეებს“

დიმიტრი ტატიშვილის ერუდიცია

SOS!

სიგარეტი და ალკოჰოლი მოზარდების ცხოვრებაში

„თინეიჯერების გაკონტროლება შეუძლებელი ცდება“

ფასების

თამაში ქართულ ბაზარზე

ანუ რატომ ძვირდება პროდუქტები



„მშიერი ადამიანი ყველაფერზე წამსვლელია“

„გზა“ – ყველაზე მაღალტირაჟიანი ჟურნალი საქართველოში!



ბოისმშობლის ხატს ბარებული კაცის ცხოვრება

ISSN 1987 - 5029

უყურეთ!

www.palitratv.ge

PALITRA
TV-RADIO

ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!

ტრადიცია, რომელსაც ბევრი არღვევს



ზურა ხაჩიძე: „ნათლიები ჩემზე ზრუნავენ“...

50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!

50 წიგნი

რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!



წიგნი 5
უილიამ შექსპირი
„ჰამლეტი“

მაგარ გარეკანში, შემოსაკრავი სუპერით
და სპეციალური სანიშნით

17 -დან - 24 იანვრამდე!

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის წიგნის სპეციალური ფასი - 7 ლარი

მალე!

ჟიულ ვერნი

მალე!

მიხაილ ბულგაკოვი

მალე!

ოსკარ უაილდი

და ახლა ერთი
ჩიგნები...
ყოველ ორ კვირაში
„კვირის პალიტრასთან“
ერთად!

გამოიწერეთ „კვირის პალიტრა“ და მიიღეთ „50 წიგნის“ სერიის ტომები 7 ლარად! ტელ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ge

www.britishcentre.ge

BRITISH CENTRE



ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭიროიყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები."



ნიკო კეჟერაშვილი:

"ბრიტანულ ცენტრში" მეგობრების რჩევით მოვედი და მან ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სასიამოვნო ატმოსფერომ და ჯგუფურმა გაკვეთილებმა გამიადვილა ენის შესწავლა და ახლა დაბრკოლებების გარეშე შემიძლია ინგლისურად საუბარი. პროგრამის ბოლო საფეხურზე გულიც კი მწყდება, დარგან დასასრულს მივუახლოვდი. ჩემი მიზანია TOEFL-ის ან Cambridge-ის სერტიფიკატიავიღო და ახლა უკვე მზად ვარ გავიდე ტესტირებაზე.

ქ. თბილისი: რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915ვეკინის 9; ტელ: 332 557; 514 143
ქ. ბათუმი: იმნაძის ქ. №2 (ყოფილი ბლაგოევგრადი)
ტელ: 7 31 22

www.britishcentre.ge

კომპანია „ბეკოს“
საქველმოქმედო აქცია „კათარზისში“

ძველით ახალი წელი „ბეკომ“ „კათარზისში“ გაჭირვებულ ადამიანებთან ერთად აღნიშნა. კომპანია დიდი ხანია, რაც საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა და ამჯერად ორი ათასამდე მიუსაფარი ადამიანი, ცხელი სადილით დააპურა. იმ დღეს „კათარზისში“ ყველა ასაკის ადამიანს ნახავდით და უამრავ სამადლობელ სიტყვას მოისმენდით.
კომპანია „ბეკოს“ დირექტორი საქართველოში, მეჰმედ მელექი მაგიდასთან მიდიოდა და თითოეული ადამიანის გაჭირვებას პირადად ისმენდა.

ბატონი მეჰმედ მელექი („ბეკოს“ გენერალური დირექტორი) მოხუცებულებთან ერთად

მეჰმედ მელექი:

— „კათარზისი“ ძალიან ხშირად აწყობს აქციას — „ღია კარის დღე“. კომპანია „ბეკო“ ამ აქციაში 2005 წლიდან მონაწილეობს და ვცდილობთ, მხარში დავუდგეთ მათ. ძალიან კმაყოფილი ვართ „კათარზისის“ საქმიანობთ, რადგან „ჩვენც დავბერდებით“. თუ დღეს მოხუც ადამიანებს მხარში დავუდგებით, ჩვენი შვილები და შვილიშვილებიც მომავალში იმავეს გააკეთებენ.
14 იანვარს საქართველოში ძველით ახალი წელი აღინიშნება და გვინდოდა, ეს ადამიანები ცოტა მაინც გაგვეხარებინა. ადრეც ხშირად მითქვამს და ახლაც ერთი თხოვნა მექნება ბიზნესმენებთან: ერთხელ მაინც შემოვიდნენ „კათარზისში“ და ნახონ ეს სიტუაცია, იმიტომ, რომ მოხუცების გვერდში დგომა აუცილებელია. კიდევ ერთ რამეს გეტყვით: ქალბატონი მარინა გონაშვილი, „კათარზისის“ პროექტის მენეჯერი, სამწუხაროდ, გარდაიცვალა და დღევანდელი აქციაც მას მივუძღვენით. „კათარზისის“ პრეზიდენტი, ზაურ-ოლეგ ალადაშვილი იქ მისულ ყველა ადამიანს განსაკუთრებით უყვარს. ბატონი ზაურიც ყველას პირადად იცნობს და მათი გაჭირვება გულთან ახლოს მიაქვს.

ზაურ-ოლეგ ალადაშვილი:

— აქცია ჩვენი შუამავლობით, კომპანია „ბეკომ“ ჩაატარა. ჩვენთან ყოველდღიურად 385 ბენეფიციარი ნაყრდება და სამწუხაროა, რომ არ გვაქვს საშუალება, ასეთი აქცია ხშირად ჩატარდეს. მაშინ ალბათ გაჭირვებული ადამიანები აღარ იქნებოდნენ. მოხუცებს „ბეკოს“ მაისურებში გამოწყობილი კომპანიის თანამშრომლები და 207-ე სკოლის მოსწავლეები ემსახურებოდნენ.

მაია ჟიჟილაშვილი (207-ე სკოლის მენეჯერი, ინფორმატიკის მასწავლებელი):

— რამდენიმე წელია, რაც ჩემს მოსწავლეებთან ერთად აქ დავდივარ. იდეა ერთ-ერთ რიგით გაკვეთილზე გაჩნდა — გვინდოდა, რაღაც კარგი გაგვეკეთებინა. მას შემდეგ „ღია კარის დღე“ უჩვენოდ აღარ იმართება და მე მგონი, „კათარზისს“ კი არ ვეხმარებით, „კათარზისი“ გვეხმარება ჩვენ.

კომპანია „ბეკოს“ საქველმოქმედო აქცია „კათარზისში“

— მოხუცებთან ურთიერთობის შემდეგ, ბავშვები ალბათ შეიცვალნენ, არა?

— ერთხელ შინ ვბრუნდებოდით და ერთ-ერთმა ბავშვმა თქვა, ადრე ბებია რომ მეტყოდა, წყალი მომიტანეო, ვეუბნებოდი, რატომ უნდა მოგიტანო, მე ყოველთვის შენზე პატარა ვიქნები-მეთქი. ახლა სახლში რომ მივდივარ, ვეკითხები, ბებო რამე ხომ არ გინდა? ვინც „კათარზისში“ მოდის, ცხოვრების სხვა წესით ცხოვრობს, იმიტომ, რომ ჩვენ სხვებს კი არ ვეხმარებით, უბრალოდ, საკუთარ თავს ვაჯერებთ იმაში, რომ რაღაც კარგი გავაკეთეთ. ღმერთი ამისთვის გვაძლევს ძალას.

ანი ბულია (კომპანია „ბეკოს“ პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი):

— ამ ყველაფრით ძალიან აღელვებული ვარ. მიხარია, რომ ჩემი კომპანია საქველმოქმედო საქმიანობაშია ჩაბმული. ჩვენ მსგავსი ტიპის საკმაოდ ბევრ აქციას ვატარებთ და გაჭირვებულ ადამიანებს ვეხმარებით. მაგრამ ბედნიერი ვიქნებოდი, რომ საქართველოში არ იყოს ისეთი პრობლემები, როგორიც არის „სადილი ყველას“. ძალიან მწყდება გული, ამას რომ ვხედავ, მაგრამ მინდა, სტიმული მივცეთ სხვა კომპანიებს, რომ ისინიც დაეხმარონ ამ ხალხს და ყველამ ერთად, სიყვარული და თანადგომა დავანახვოთ.

— დღევანდელ აქციაში თქვენი თანამშრომლებიც მონაწილეობენ...

— დიახ, ისინი ჩვენი მაღაზიების მენეჯერები არიან და ზუსტად ისე ემსახურებიან და გვერდში უდგანან გაჭირვებულ ადამიანებს, როგორც „კათარზისის“ თანამშრომლები. მათ თითოეული ადამიანის ტკივილი გულთან ახლოს მიიტანეს. ამ მოხუცების თვალებში ხომ ძალიან დიდი ტკივილია და ისინი ცხოვრებისგან გულგატეხილი ადამიანები არიან. როგორც წეღან აღვნიშნე, ჩვენ ძალიან ბევრ საქველმოქმედო აქციაში ვართ ჩაბმულები. ტრადიციას გავაგრძელებთ და ანალოგიურ ღონისძიებებში კიდევ მივიღებთ მონაწილეობას. ყოველთვის ვცდილობთ, უბრალოდ დავეხმაროთ ჩვენთან მოსულ გაჭირვებულ ადამიანებს და ამას რეკლამასა და პიარისთვის არ ვაკეთებთ.

R

№3 (554)
20 - 26 იანვარი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

■ **მინიატიურები** 5
თინათინი არა, დესპინე... გოიმები ხომ არა ვართ?!

■ **პრობლემა** 6
მომხმარებლის ხარჯებზე მიღებული ზედმეტი მოგება ანუ „თამაში“ ქართულ ბაზარზე

■ **არმია** 9
„გულმკერდიდან „სისხლებს ვასხამდი“, მაგრამ არ შემშინებია“...

■ **პროტესტი** 12

■ **ნათელმირონობა** 14

■ **პოლიტიკა** 15

■ **ტანდემი** 18
„კამეჩისთაველი“ ნიკა გრიგოლიას და „ქალაქელი“ თამუნა ლეკვეიშვილის ამბავი

■ **ნათლიები** 21
გამსახურდიას მონათლული ამაღლობლები და ტრადიცია, რომელსაც ბევრი არღვევს

■ **ეკრანს მიღმა** 24
მეგობრობა, საერთო საქმე და პირადი ცხოვრება

■ **ოჯახი** 26
სომეხი, ოსი და ქართველი — ერთ ოჯახში

■ **სულის სიმტკიცე** 28
ღვთისმშობლის ხატს მიბარებული კაცის ცხოვრება

■ **თემა** 30
დაგვიანებული ქორწინება ანუ მოხუცებულობაში შექმნილი ოჯახის ხიბლი

■ **ჩემი ცხოვრების გზა** 33
ყოფილი ჟურნალისტის გამხელილი საიდუმლო

■ **საგანძური** 36
12 ხანჯალასხმული ჩოხოსანი ვაჟკაცის ხმითა და რწმენით მოჯადოებული ინგლისელები

■ **შოუმენი** 38
როგორ აფასებს ლაშა ონიანი ბათუმის საახალწლო შოუს

ქვეყანა

„მშიერი ადამიანი ყველაფერზე წამსვლელია“

„ფასებმა აიწია: მაგალითად, საახალწლოდ შაქარი 2 ლარი ღირდა, დღეს კი გაძვირებული ფასით ავიღე და იძულებული ვარ, 2 ლარად და 20 თეთრად გავყიდო. გაძვირდა მაკარონი, მარილი, კარაქი. ამბობენ, ზეთი 5 ლარი გახდებაო; ახლა 3,5-დან 4 ლარამდე ღირს“.

6

სახე

„კამეჩისთაველი“ ნიკა გრიგოლიას და „ქალაქელი“ თამუნა ლეკვეიშვილის ამბავი

თამუნა ლეკვეიშვილი ახალი წლის დღესასწაულს მეუღლესა და მეგობრებთან ერთად, ერთ-ერთ კლუბში შეხვდა; ნიკა გრიგოლია კი „გასიმპათიურებულ“ თერჯოლაში გახლდათ, სადაც ნიკა არაბიძესთან ერთად კონცერტს უძღვებოდა.

18

ცხოვრება

ყოფილი ჟურნალისტის გამხელილი საიდუმლო

მისთვის ყველაზე ძვირფასი ერეკლე მეფის ერთ-ერთი პირადი მცველის, მგელიკა ჭინჭარაულის ნაქონი ფარია და როგორც თავად ამბობს, — ეს ნივთი მამამისისთვის ჯერ კიდევ 50-იან წლებში, ჭინჭარაულის შთამომავალს უჩუქებია.

26



„შეყვარებული შეურაცხყოფას ვერ მოგაყენებს“

„ბიჭი არა ვარ, მაგრამ იმის თქმა კი ნამდვილად შემიძლია, რომ უხეშობას და სიყვარულს ერთმანეთთან კავშირი არა აქვს. ვინც გიყვარს ან მოგწონს, იმას ვერ შეურაცხყოფ. აბა, დაფიქრდი — ნამდვილად გინდა, რომ მისნაირი კაცი გყავდეს გვერდით?“

76

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

■ ანტიდეპრესანტი 40
■ ავტო 40
■ ასპარეზი 42
ქართული ხმალივით სწრაფი მთიელი
და ჯერჯერობით აუხდენელი ოცნება
■ საკითხავი ქალებისათვის 44
■ ისტორიის ლაბირინთები 46
„ჰელიმ ჩოხატარ-ოღლის საქმე“ ლაზეთში
■ ტაძარი 49
„ყველა ადამიანს აქვს უხილავი სახარება,
უხილავი ბიბლია — სინდისის ხმა“
■ ეს სამყაროა 50
■ ჯანმრთელობა 51
■ კოლეგა 54
ნიკა ხაჩიძის რისკიანი ნაბიჯები
■ ფორტუნა 56
ზამირა თორდინავას მილიონები და
„შურით დამსკდარი“ ხალხი
■ ამპლუა 57
„პროკურორ-პაროდისტის საინტერესო ცხოვრება
■ თინეიჯერული პონტები 59
სიგარეტი და ალკოჰოლი — მოზარდების ცხოვრება
■ წვეთი პოეზია 62
■ სახსოვარი 63
■ საზრდო 64
სიტყვით მოკლული მზე
■ რეალური 65
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)
■ ქართული დეტექტივი 68
რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (გაგრძელება)
■ რომანი 72
სვეტა კვარაცხელია.
ნაადრევი ენძელები (გაგრძელება)
■ გზავნილები 76
უცნაური ქორწილი
■ ყველა ერთისათვის 80
■ მობილი-ზაცია 82
■ მოზაიკა 88
■ ოსტატი 90
■ ერუდიტი 92
„ბოლო 6 თვის მანძილზე 13 ქვეყანაში ვიყავი“
■ გასართობი 94
■ ასტროლოგია 96
■ სკანვორდი 97
■ საფირმო კროსვორდი 98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი,
რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



ცოტაოდენი რამ ლამაზი თმის შესახებ

რაც უფრო ხშირად და ხანგრძლივად ივარცხნით თმას, მით მეტი ჩამოგცვივდებათ. სავარცხელს მომრგვალებული, მეჩხერი კბილები უნდა ჰქონდეს. თმა მანამ ივარცხნეთ, სანამ სავარცხელი სრიალს არ დაიწყებს.

36

ადამიანი

პროკურორ-პაროდისტის საინტერესო ცხოვრება

„იურისტობა ჩემი ცხოვრების ნაწილია, ამ საქმეზე შეყვარებული ვარ... იყო შემთხვევები, როცა სისხლის სამართლის საქმეებიდან იუმორი იძერწებოდა“.

54

ბიბლუსი

— პირდაპირ მითხარი, რა ხდება?
— იაშვილის კიდევ ერთი სურათი ვიპოვე.
— მოსალოცად გქონია საქმე და ეგაა.
— არა მგონია, რადგან მისი პატრონი ძალიან დიდ ფულს ითხოვს.

62

ტაიმ-აუტი

„ბოლო 6 თვის მანძილზე 13 ქვეყანაში ვიყავი“

„სიმართლე გითხრა, მათ შორის საერთოს ნაკლებად ვხედავ, მხოლოდ ის არის, რომ კითხვის დროს ბევრ სიახლეს აღმოაჩენ, და სიახლე შეიძლება, სუფრასთან ყოფნის დროსაც გაიგო“.

88

თინათინი არა, დესპინე... გოიმები ხომ არა ვართ?!

შესავლის ნაცვლად სულ სხვა რამეზე ვაპირებ დღევანდელ „პროვოკაციაში“ საუბარს, მაგრამ ისეთი საინტერესო თაღლითობის ამბავი ამოვიკითხე ამწუთას „ნიუსებში“, რომ ამით უნდა დავიწყო: თაღლითობა იმის თაღლითობაა, რომ საინტერესო და ორიგინალური იყოს (აბა, ისე ვინ ჭამს), მაგრამ რაც რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის მიერ დაკავებულ თაღლით ქალს (ჩვენი „ზრდილი“ ტელევიზიები ასე აცხადებენ ხოლმე: „თაღლითი ქალბატონი!“ ქალბატონი არა, ისა...) მოუფიქრებია, ჯერ არ მსმენია: მოკლედ, დადიოდა ეს ქალი სოფლებში, დიასახლისებს თავს მკითხავად აცნობდა და ეუბნებოდა, რომ მათ ოჯახს ჯადო აქვს გაკეთებული და ეს ჯადო ოჯახში არსებულ ოქროს სამკაულებშია. გამოართმევდა, ჩადებდა რაღაც ქისაში, „შეულოცავდა“, მიზერულ გასამრჯელოს იღებდა და მიდიოდა, ოღონდ ორი დღე არ გახსნათ ეს ქისა, შელოცვა ძალას დაკარგავსო — ეუბნებოდა.

ცხადია, მიხვდით: „ხელცქვიტი“ თაღლითი შეუმჩნევლად იღებდა სამკაულს და ორი დღის შემდეგ უკვე ძალიან შორს იყო...



ახლა, ზოგიერთი თქვენგანი, ალბათ ელის, რომ ამ ფაქტს განვაზოგადებ, მთავრობის ან ვინმე კონკრეტული ჩინოსნის თაღლითობას „მივაბამ“ და დავიწყებ ღლაბუცს!

სულაც არა — სად ჩვენი ხელისუფლება და სად თაღლითობა?! ღმერთო მომკალი, ეგ როგორ იფიქრეთ?!

არა, ზოგი ავყია კი ამბობს, არჩევნებზე რომ „ჯადოსნურ სიტყვებს“ ამბობენ და გვპირდებიან, ორ წელიწადში ნახავთ, „ჯადო“ როგორ მოგეხსნებათო, იმ ორი წლის მერე „ქისაში“ ბუს კვერცხები გვხვდებაო, მაგრამ ინტრიგანებთან ჩვენ რა საქმე გვაქვს?!

ჰო, ისევ იმ ამბავს დავუბრუნდები, უფრო სწორად — დავიწყებ, რაზეც ვაპირებდი დღეს საუბარს: მართლაც და, რა შუაშია თაღლითობის ამბავთან, მაგრამ სახელებზე და მათ სხვადასხვა ფორმაზე მინდოდა მესაუბრა... დიახ, დიახ — ჩვეულებრივი ადამიანების ჩვეულებრივ სახელებს ვგულისხმობ...

არა, ტყუილი გამომივიდა — არაჩვეულებრივ ადამიანებზე უნდა გესაუბროთ, არაჩვეულებრივი სახელებით:

მაგალითად, საქართველოში, სულ ცოტა, 1600 წელია არსებობს სახელი ნანა (ალბათ, ნანა დედოფალსაც ვინმეს პატივსაცემად დაარქვეს), სამაგიეროდ, ბოლო 10-15 წელიწადში განიცადა ამ სახელმა ტრანსფორმაცია და რამდენიმე „სახე“ მიიღო — დღეს გვყვანან ნანუკა ჟორჟოლიანი, ნანიკო ხაზარაძე, ნანკა კალატოზიშვილი და არც ერთი ნანა;

უძველესი სახელი ნინოც ხომ იმავე დროიდან იყო ჩვენში გავრცელებული, დღეს აღარც „ნინოებია“ საქართველოში, სამაგიეროდ, ყველა ტელეარხსა და ყველა გაზეთში ნახავთ — ნინა წკრიალაშვილს (აუჰ, მაინც მთავრობაზე გამომივიდა ლაპარაკი), ნინაკა გელაშვილს, ნინი ბადურაშვილს (ისე, ამ ბოლო დროს სხვადასხვა ტოქშოუში ერთი ლამაზი ნინო გამოჩნდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე ეგეც ნინუცა, ნინოშკა ან ნინუკელა გახდება, თუ არა და — „დაბლოკავენ“);

ნინო-ზე და ნანა-ზე ცოტა უფრო გვიან, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ხომ მაინც დამკვიდრდა საქართველოში სახელი — თინათინი?! ჰოდა, ნურას უკაცრავად! თიკა ფაცაცია, თიკო სადუნიშვილი — ჰმ, თინათინი არა, უკაცრავად პასუხია და დესპინე, გოიმები ხომ არა ვართ!..

ქეთევანზე არაფერს ვამბობ: ქეთათო ჩარკვიანსა და ქეთი ორჯონიკიძეს აღარც კი ეხსომებათ, რომ „ქეთევანები“ ჰქვიათ, ქეთა თოფურიას კი, ქართველი რომ არის, ისიც დავინყებული აქვს, არათუ თავისი ქართული სახელი...

მოკლედ, სხვა სახელებთანაც ასეა: მარიამი მარიშად, უკეთეს შემთხვევაში, მარიდ იქცა; დოდო — დოდოშკად; ეკატერინე — კა„წ“იად, ელენე — ლენკად და ვერონიკა — ვერკად (ეჰ, ისევ მთავრობისკენ წამიცდა ენა)...

თქვენ გგონიათ, მხოლოდ ქალები კეკლუცობენ თავიანთი სახელების დამახინჯებით?! არა, ბატონო: ნოდიკო, გიუნა, კოტიკო, კახუჩელა, ბიჭოლა... ამათ გარეშე ჩვენს შოუბიზნესს რა ფასი ექნებოდა?!

მთავრობა ვახსენე და ვერ ვითმენ, იქაც არ „შევიარო“: მიშიკო ხო მიშიკოა და მიშიკო თუ არა, მიშა ხომ მაინც არის, მაგრამ ნიკა, გიგი, ზურა, ვანო... კარგი, რა, აღარ უნდა მორჩეს ეს საბავშვო ბაღი?!

აგე, ლომაიასგან მაინც აიღონ მაგალითი: დროზე იზრუნეს მისმა მშობლებმა და „საშინაო“ კახასთან ერთად, „სათანამდებობო“ ალექსანდრეც ერქვა (ერქვა რა, ახლაც ჰქვია, ოღონდ ამერიკაში... ჰო, იქ, თურმე „ალექსს“ ეძახიან).

P.S. ამ დღეებში რომ ჩვენი პრეზიდენტი ამერიკაში იყო, ხომ ყველამ იხილეთ ტელევიზიების საინფორმაციოებში? ობამას რომ შეხვდა, სადღაც ბნელ დერეფანში და „ვსპიშკებით“ გადაღებული სურათები რომ გვაჩვენეს — ობამა და სააკაშვილი რომ საუბრობენ, ისიც ხომ ნახეთ? და რა გგონიათ, ამისთვის იყო პრეზიდენტი ჩასული ამერიკაში? სულაც არა — სენატორ დრაიეერის იდეის მიხედვით, ამერიკაში დაიბეჭდება ალბომი სახელწოდებით: „გუშინდელი ბავშვები“, რომელშიც წარმატებული ლიდერების ბავშვობის სურათები დაიბეჭდება და გაყიდვიდან შემოსული ფული მიუსაფარ ბავშვებს მოხმარდებათ. ამიტომ, მიხეილმაც წაიღო მიშიკოობის დროინდელი სურათი და ალბათ სულ მალე, ამ ძვირად ღირებულ ალბომში, კიკინებიანი 5 წლის ჰილარი კლინტონის გვერდით ვიხილავთ დათვის ტყავზე გაგორებული წელს ქვევით შიშველი პატარა მიშიკოს სურათს...

ჰოდა, იმას ვამბობდი: მიშიკოობას თავისი დრო აქვს და მიხეილობას — თავისი, თორემ მეც „პროვოკატორიკო“ გავხდები და „ბავშვია და გასდისო“ — ისეთებს ვიტყვი, რომ...

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ქვეყანა

მომხმარებლის ხარჯზე მილებული ზედმეტი მოგება ანუ „თამაში“ ქართულ ბაზარზე

„მშიერი ადამიანი ყველაფერზე წამსვლელია“

ბოლო პერიოდში პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასების ზრდამ საგანგაშო ნიშნულს მიაღწია. მასობრივი უმუშევრობის, უმეტეს შემთხვევაში დაბალი ხელფასისა და პენსიის პირობებში, პრობლემა თანდათან უფრო მწვავე და მტკივნეული ხდება. სამწუხაროდ, არც პროგნოზია დამაიმედებელი: ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დიზელის გაძვირების შემდეგ ფასების ზრდა ბენზინსა და იმპორტირებულ საქონელსაც შეეხება. აქვე დავძენთ: სახელმწიფოს მიერ დასახელებული საარსებო მინიმუმი საშუალო მომხმარებელზე თვეში 132, ხოლო ოჯახზე — 250 ლარს შეადგენს...

თამუნა კვინიკაძე

თემაზე მუშაობა ბაზრობაზე გასვლით დავიწყე.

ციცო, *მოვაჭრე;*

— მე პირველადი მოთხოვნის პროდუქტებით ვვაჭრობ. ფასების ზრდა გასული წლის შემოდგომიდან დაიწყო, მაგრამ იანვრიდან კიდევ უფრო მოიმატა...

— ადგილობრივი წარმოების პროდუქტი უფრო გაძვირდა თუ შემოტანილი?

— ფასებმა ორივეზე აიწია: მაგალითად, საახალწლოდ შაქარი 2 ლარი ღირდა, დღეს კი გაძვირებული ფასით ავიღე და იძულებული ვარ, 2 ლარად და 20 თეთრად გავყიდო. გაძვირდა მაკარონი, მარილი, კარაქი. ამბობენ, ზეთი 5 ლარი გახდებაო; ახლა 3,5-დან 4 ლარამდე ღირს.

ამბობენ, ბენზინი 3 ლარი, ხოლო სამარშრუტო გაქსით მგზავრობა — 1 ლარი გახდებაო

— რაღა უნდა გაძვირდეს? ისედაც ძლივს ვყიდულობთ, — *გააპროტესტა ქალბატონი ციცოს ნათქვამი ერთ-ერთმა მომხმარებელმა.* — 5 წუთის წინ ერთმა პენსიონერმა ჩემ თვალწინ 200 გრამი კანფეტი იყიდა, — არ მინდა, ძველით ახალ წელს ტკბილეულის გარეშე შევხვდე და მეტი ფული არა მაქვსო... ყველაფერს ცეცხლი უკიდია, წამლიდან დაწყებული — პროდუქტით დამთავრებული. ხალხი სამსახურს ეძებს. იმის ნაცვლად, რომ სამუშაო ადგილები შექმნან, პროდუქტს გვიძვირებენ!

— თქვენ თუ მუშაობთ?

— ვმუშაობ, მაგრამ დაბალი ხელფასი მაქვს. ერთ-ერთი კერძო კომპანიის თანამშრომელი ვარ, ოღონდ ვერ დაგისახელებთ: მეშინია, იქიდანაც არ გამომაგდონ.

— თქვენთან ხელფასის მატება ბოლოს როდის იყო?

— დამცინით? რომელ მომატებაზეა ლაპარაკი?!. 3 წელია, 180 ლარზე ვმუშაობ და გასულ თვეში კომუნალურ გადასახადებში 170 ლარი გადავიხადე. ჩემი ქალიშვილი პედაგოგია და 220 ლარს იღებს; ჩემი მეუღლე ერთ-ერთი სამშენებლო ფირმის თანამშრომელია, მაგრამ ხელფასი 6 თვეა, არ აუღია.

— თქვენი ოჯახი რამდენი წევრისგან შედგება?

— ხუთნი ვართ და ერთი ლტოლვილი ნათესავი გვყავს შეკედლებული.

— თუ იცით, სახელმწიფოს დაანგარიშებით, 5-სულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი რამდენ ლარს შეადგენს?

— არა.

— 298 ლარია.

— ეგ დაცინვაა. აბა, თავად იცხოვრონ მაგ თანხით — ეყოფათ?!.

ციცო:

— მომხმარებლები გაზრდილი ფასების გამო ყოველდღე გვსაყვედურობენ, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ?! მაგალითად, დღეს ერბო იმ ფასში ავიღე, რამდენშიც თავად ვყიდდი, ამიტომ 50 თეთრით მეტი დავადე. ეს ღირებულების 10%-ია, აქედან ჩემი — მხოლოდ 5%-ია, დანარჩენი 5% კი — მოგების გადასახადში, ადგილის ქირაში, სინათლისა და დაცვის ხარჯებზე მიდის. ყოველდღიურად ისე გვავიწროებენ, მუშაობა აღარც ღირს. აქ დღეში 20

რადიო
თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,
საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge

ფასების ზრდა მსოფლიო ბაზარზე დაიწყო და ამან ქართულ ბაზარზეც მოახდინა გავლენა

ლარს ვიხდი ადგილის ქირად, 2 ლარი დაცვის თანამშრომლებისთვის გროვდება და თვეში 50 ლარი — დენის გადასახადისთვის. გამოდის, რომ თვეში 700 ლარს აქვე ვტოვებ. მომხმარებლებს ჰგონიათ პროდუქტის გაძვირება ჩვენ გვახარებს. ეს პრობლემა თითოეული ჩვენგანის ჯიბეს ეხება. გუშინ ბაზარში შევედი და 1 კილოგრამი კარტოფილი 1,60 ლარზე ნაკლებად ვერ ვიყიდე.

— მშიერი ადამიანი ყველაფერზე წამსვლელია — კარგად გაიგოს ეს ამ ხელისუფლებამ! ოპოზიცია ხმას არ ამოიღებს, იმიტომ, რომ ეგენი ყველანი კარგად დაძღნენ, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ხალხი გამოვა ქუჩაში, — *აღშფოთებას ვერ ფარავდა დახლთან მოსული მამაკაცი.*

როცა გარშემო მყოფებმა შეიტყვეს, რომ ჟურნალისტი ვარ და ფასების ზრდის თემაზე ვმუშაობდი, შეიძლება ითქვას, ჩემ წინ ცოცხალი რიგი დადგა. სხვადასხვა მოქალაქის ტექსტი ერთიმეორეს ჰგავდა. ზოგი მგზავრობის შესაძლო გაძვირებაზე დარდობდა, ზოგიც — დაბალ ხელფასებსა და უმუშევრობაზე წუხდა...

რა იწვევს ფასების ზრდას? რამდენად ახდენს გავლენას ჩვენს ქვეყანაზე მსოფლიო ბაზარზე არსებული მდგომარეობა? საკუთარი მოსახლეობისთვის პრობლემა შედარებით უმტკივნეულო რომ იყოს, რა ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ? — ამ და სხვა საკითხებზე ეკონომიკის ექსპერტი ***ირაკლი ლეძვინაძე*** *გვესაუბრება.*

— ბატონო ირაკლი, ექსპერტები ვარაუდობდით, რომ ფასების ზრდა პროდუქტებზე მოხდებოდა და ეს ვარაუდი გამართლდა...

— ფასების ზრდა მსოფლიო ბაზარზე დაიწყო და ამან ქართულ ბაზარზეც მოახდინა გავლენა. 2010 წელი მოუსავლიანი იყო. შაქარზე, ხორბალზე, ზეთსა და წიწიბურაზე ფასები ბევრ ქვეყანაში გაიზარდა. ფასების ზრდაზე, გარე ფაქტორების გარდა, მნიშვნელოვნად მოქმედებს შიდა ფაქტორებიც.

— შიდა ფაქტორებში რას გულისხმობთ?

— როცა ეროვნული ვალუტის კურსი უფასურდება, ეს პირდაპირ კავშირშია ინფლაციასთან. იმ პროდუქტების დიდი ნაწილი, რომელსაც მოვიხმართ, იმპორტირებულია, მათი შესყიდვა დოლარში ან ევროში ხდება და როცა ამ ვალუტების მიმართ ლარი გაუფასურებულია, ეს ბუნებრივ ასახვას პოვებს ფასებზეც — კომპანიები ცდილობენ, მოგების მიღწეული ნორმა არ დაკარგონ. მეორე ფაქტორი — ეს არის საბიუჯეტო ხარჯები: ასეთი ხარჯების გაწევა უმეტესად, წინასაარჩევნო პერიოდში ხდება. შარშან ამას ადგილი არ ჰქონია.

— აბა, ფასების ზრდა რამ გამოიწვია?

— შეიძლება ითქვას, რომ წლის ბოლოს ფასების ზრდა ვალუტის კურსის მერყეობამ და მსოფლიო ბაზარზე არსებულმა მდგომარეობამ გამოიწვია. ვერ გამოვრიცხავ იმასაც, რომ ქართულ ბაზარზე კონკურენციის ხარისხი ძალიან დაბალია, ბევრ სექტორში ე.წ. ოლიგოპოლიური ბაზრებია — რამდენიმე კომპანია შეთანხმებული ფასებით „თამაშობს“...

— შეგიძლიათ, დაგვისახელოთ?

— ამის თვალსაჩინო მაგალითია ნავთობპროდუქტების ბაზარი: აქ დიდი წილი 5 კომპანიას უჭირავს. ყოველთვის ერთნაირი ფასები აქვთ — გაიზრდება ერთგან, გაზრდიან დანარჩენი კომპანიებიც. მათ შორის კონკურენცია არ არსებობს. ასევეა მობილური კავშირგაბმულობის კომპანიებშიც, კვების პროდუქტების ბაზარზეც, რაც იმას ნიშნავს, რომ ფასებით მანიპულირება ყოველთვის შეუძლიათ. ასეთი შეთანხმებული მოქმედების არსი და მიზანი ის არის, რომ თავიანთი მოგება გაზარდონ. კონკურენცია რომ ჰქონდეთ, ბუნებრივია, მოგება შეუმცირდებათ. გამოსავალი ის არის, რომ ბაზარი მეტად გახსნილი გახდეს. მაგრამ არ არსებობს ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც ამას გააკონტროლებს. საერთოდ, ეკონომიკაში ზედმეტი ჩარევის მომხრე არა ვარ, მაგრამ ეს სხვა შემთხვევაა: მომხმარებლის ხარჯზე ზედმეტი მოგების მიღება არ უნდა ხდებოდეს.

— იმპორტირებული საქონლის შემოტანაზე ვალუტის კურსი მოქმედებს, მაგრამ შიდა წარმოების პროდუქტიც რომ ძვირდება?

— იმპორტირებულ პროდუქტზე ფასების ზრდა ადგილობრივ წარმოებაზეც აისახება: როცა შემოტანილ წვენზე ფასი იზრდება, ქართული წვენის მწარმოებელიც უმატებს.

2010 წლის ბოლოს ლარის ინფლაცია 11%-ის დონეზე დაფიქსირდა — არადა, 6-7%-ს ვარაუდობდნენ

ადგილობრივ წარმოებაში ბევრი ისეთი ნედლეული გამოიყენება, რომელიც საქართველოში არ არსებობს და გარედან შემოაქვთ. მაგალითად, ტარა, შესაფუთი მასალა, სხვა ნედლეული მაინც იმპორტით არის შემოსული და ეს ფასზე აისახება. ჩვენ იმდენი ადგილობრივი წარმოების პროდუქტი არ გვაქვს, რომ ამან ბაზრის ფასებზე გავლენა იქონიოს.

— როგორ ფიქრობთ — ფასების ზრდა კიდევ მოსალოდნელია?

— მსოფლიო ბაზარზე ფასების ზრდა რძის პროდუქტებზეა მოსალოდნელი. რძის ყველაზე დიდი მიმწოდებელი — ავსტრალიაა, სადაც ამჟამად სტიქია მძვინვარებს. გაგრძელდება ფასების ზრდა ნავთობპროდუქტებზეც.

— ამბობენ, ბენზინი 3 ლარი, ხოლო სამარშრუტო ტაქსით მგზავრობა — 1 ლარი გახდებაო.

— არა მგონია, რომ ბენზინის ფასი ასე ძალიან გაიზარდოს, მაგრამ 2011 წელს პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასის ზრდის ტენდენცია გაგრძელდება. ცუდია, როცა ასეთ დროს, მოქალაქეების შემოსავლების ინფლაციის ადეკვატური ინდექსაცია არ ხდება (რამდენ პროცენტსაც ინფლაცია აღწევს, იმდენი პროცენტით ხელფასების მატებაა საჭირო). ქვეყანაში სოციალური ფონი უფრო მძიმდება.

— ხელფასების ზრდა კი არსად ხდება — არც სახელმწიფო და არც კერძო სექტორში...

— გეთანხმებით. კომპანიებს არ უნდათ, ხელფასების მომატებით ზედმეტი ხარჯი გასწიონ.

— საარსებო მინიმუმის დაანგარიშება რა პრინციპით ხდება?

— სასურსათო კალათა მსოფლიოში მიღებული სტანდარტის მიხედვით იქმნება. მასში 300-მდე პროდუქტია შესული. ხოლო არასასურსათო კალათაში შეაქვთ: ტრანსპორტირების, კომუნალური გადასახადების, სამედიცინო მომსახურების და ა.შ. ხარჯები. ანგარიშობენ, 1 ადამიანს საშუალოდ, რამდენი სჭირდება და ორივე კალათის ჯამიდან გამოჰყავთ საშუალო ციფრი. ასე საზღვარგარეთ ხდება, ჩვენში კი სასურსათო კალათაში მხოლოდ 40-მდე პროდუქტია შესული.

— სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საარსებო მინიმუმი 1 სულ მოსახლეზე 132 ლარს შეადგენს. ეს რეალობისგან ძალიან შორს დგას. რატომ?

— სახელმწიფოს სჭირდება, რომ ასეთი მინიმალური ციფრი დაასახელოს. 300 ლარი რომ აჩვენოს, ხელფასს 150-200 ლარით ვეღარ განსაზღვრავს. ჩვენს სამომხმარებლო კალათაში ბევრი ისეთი რამ არ შედის, რაც ადამიანისთვის საჭიროა, მაგალითად: გადასახადები, სამედიცინო მომსახურება, ტრანსპორტი, რომ აღარაფერი ვთქვათ, თეატრში წასვლაზე. უცხოეთში ამასაც ანგარიშობენ. ამერიკაში სამომხმარებლო კალათის სასურსათო წილი დაახლოებით 15%-ია, ჩვენში — 80%. 2010 წლის ბოლოს ლარის ინფლაცია 11%-ის დონეზე დაფიქსირდა — არადა, 6-7%-ს ვარაუდობდნენ.

— ეს რამ გამოიწვია?

— მსოფლიო ბაზარზე ფასების ზრდამ.

— საკუთარი მოსახლეობისთვის პრობლემა შედარებით უმტკივნეულო რომ იყოს, რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფლებამ?

— ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნას უნდა შეუწყოს ხელი. იმპორტირებულ პროდუქციაზე დამატებითი ღირებულების ან საბაჟო გადასახადის შემცირება უნდა მოახდინოს. ამას უარყოფითი მხარეც აქვს. ყველანაირ ნაწარმზე დღგ-ს მოხსნა არ შეიძლება, რადგან ბიუჯეტის 55% დღგ-ზე დგას, ამიტომ საბიუჯეტო პრობლემა გაჩნდება. მსოფლიო ბაზრის ფასებზე რომ არ ვიყოთ დამოკიდებული, მთავარი — ადგილობრივი პროდუქციის წარმოების განვითარებაა. ნავთობი არა გვაქვს და ვერაფერს გავაწყობთ, მაგრამ ბოსტნეულის, ხორბლის, რძის პროდუქტების მეტი რაოდენობით წარმოება შეგვიძლია. ქვეყანაში ადგილობრივი წარმოების განვითარების დიდი რესურსია, მაგრამ დაგეგმვა სწორად არ ხდება.

— ქართულ ბაზარზე ეროვნული წარმოების პროდუქტის წილი რამდენია?

— დაახლოებით 12%-დან 14%-მდე ფარგლებში მერყეობს.

— საინტერესოა, კომუნისტების მმართველობის პერიოდში რამდენი იყო?

— მაშინ 50%-ს აჭარბებდა. დღეს სოფლის მეურნეობის წარმოება 3-ჯერაა შემცირებული. არადა, ახლა მეტი ტექნოლოგიაა და ბევრად მეტის გაკეთება შეიძლება, ვიდრე მაშინ. საქართველოში სოფლის მეურნეობის დაზღვევის სისტემაც კი არ არსებობს. არადა, მოსავლიანობა კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული. კერძო სადაზღვევო კომპანიებს ეს არ აინტერესებთ, რადგან მაღალრისკიანი სფეროა და დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული; სახელმწიფო არ ფიქრობს, რომ იმ სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის რისკებს დააზღვევენ, გარანტად დაუდგეს. ეს სფერო ყველა წამყვან სახელმწიფოში დაზღვეულია.

P.S. აი, ასეთი სიძნელეების წინაშე ვდგავართ. ინფორმაცია კი მოგაწოდეთ, მაგრამ რამდენად დამამშვიდებელია — თავადაც ვეჭვობთ... ■

„გულმკერდიდან „სისხლებს ვასხამდი“, მაგრამ არ შემშინებია“...

გასულ კვირას კრწანისის სასწავლო ცენტრში ტრაგედია დატრიალდა. პირველი საარტილერიო ბრიგადის ასეული გეგმურ სწავლებას გადიოდა, როცა მოულოდნელად, 120-მილიმეტრიანი ნაღმმტყორცნის ჭურვი აფეთქდა. სამწუხაროდ, ამ ფაქტს 3 ჯარისკაცი — ზურაბ კუცია, ემზარ შოშიაშვილი და დავით გოგიჩაიშვილი ემსხვერპლნენ; 13 სამხედრო მოსამსახურე — კაპრალები: ალექსანდრე თომაშვილი, ვალოდია ხრიკული, ზურაბ ქვათაძე, გიორგი გნოლიძე, აკაკი ყულოშვილი, გიორგი ჩოფლიანი, ამირან სამსონიძე, დავით მურადაშვილი, გიორგი ახალაძე, ზაზა ხუროშვილი, გელა ფიცხელაური, როინ ხოზრევანიძე და ზაქარია კურტანიძე — სხვადასხვა ხარისხის დაზიანებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაჭრილებს შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ალექსანდრე თომაშვილი იყო. მას როგორც კისრის, ასევე გულმკერდის ნაწილი, მარჯვენა ფილტვი და სასუნთქი გზები ჰქონდა დაზიანებული. თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში უმძიმესი ოპერაცია ჩაუტარდა. საბედნიეროდ, მისი მდგომარეობა უკვე სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

თეა ხურცილავა

შემთხვევიდან რამდენიმე საათში, სამხედრო პოლიციამ 3 პირი დააკავა: ეროვნული სასწავლო ცენტრის სასწავლო კურსის უფროსი, საარტილერიო ქვედანაყოფების შეფასებისა და მომზადების კურსის ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი ტრისტან ტყეშელიაძე, საცეცხლე პოზიციის ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი მამუკა ფარეშიშვილი და პირველი საარტილერიო ბრიგადის ბატარეის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი მალხაზ ქობალია. მათ წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 403-ე მუხლის მესამე ნაწილით აღიძრა. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, დაკავებულებს 6-დან 10 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. სამხედრო უწყების განმარტებით, დაკავებულებს უსაფრთხოების ზომების დაცვა ევალებოდათ. წინასწარი მონაცემებით, ჭურვის აფეთქება სავარაუდოდ, წვრთნის დროს დაშვებულმა ტექნიკურმა შეცდომამ გამოიწვია.

გარდაცვლილი ბიჭების ცხედრებს ექსპერტიზა ჩაუტარდათ, შემდეგ კი მშობლიურ კუთხეებში გადაასვენეს. თავდაცვის მინისტრმა, ბაჩო ახალაიამ დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა. მომხდარს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიცია და გენერალური ინსპექცია იძიებს.

როგორც შევიტყვეთ, ასეული ავღანეთში გასამგზავრებლად ემზადებოდა და მას წვრთნები სისტემატურად უტარდებოდა.

სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილი, 20 წლის ალექსანდრე თომაშვილი პირველ კლინიკურ საავადმყოფოში მოვინახულეთ. რეანიმაციულ განყოფილებაში ავადმყოფს სამხედრო პოლიცია იცავს. ისინი იქ იმისთვის დგანან, რომ პაციენტი მნახველებმა არ შეაწუხონ. იქვე, ნათესავებთან ერთად იმყოფებოდა ალექსანდრეს დედა — ნელი ბესტავაშვილი, რომელიც ერთადერთი შვილის გადარჩენისთვის ექიმებს დიდ მადლობას უხდის.

ნელი ბესტავაშვილი:

— გორის რაიონში, სოფელ ხიდისთავში ვცხოვრობთ. პროფესიით ფილოლოგი ვარ, მაგრამ ამჟამად გორში, სამხედრო აკადემიაში დამლაგებლად ვმუშაობ. სამხედრო ბაზა რომ გაიხსნა, მას შემდეგ იქ ვარ. ამ წლების მანძილზე თვალს ვადევნებდი ჯარისკაცების ცხოვრებას. ძალიან მომწონს მათი პირობები, იქაური სიტუაცია. იდეალური კვება აქვთ. მთელი ზაფხული ხილი და ნაყინი არ მოჰკლებიათ. მაგრამ ძალიან რთული პროფესიაა. ადრე იქ პირველი ქვეითი ბრიგადა იდგა, ახლა სამხედრო აკადემია ფუნქციონირებს. სიმართლე გითხრათ, აგვისტოს ომის შემდეგ შემეშინდა და აღარ მინდოდა, ჩემს ერთადერთ შვილს ეს რთული პროფესია აერჩია. ომის დროს სახლიდან გამეპარა (მაშინ 17 წლის

ნელი ბესტავაშვილი

იყო); კლასის დამრიგებლისთვის უთქვამს, — კაცი ვარ, ომში უნდა წავიდე და ვიბრძოლოო. ხელში იარაღი არასდროს სჭერია და რა უნდა ებრძოლა?!. როგორც კი 18 წელი შეუსრულდა, კომისარიატში მივიდა, სავალდებულო სამსახურში რომ წასულიყო. ომი ახალი დამთავრებული იყო და კომისარს უთქვამს, — დედისერთა ხარ, ცოტა ხანს დაიცადეო. მაინც არ გაჩერდა, 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მითხრა, — დედა, ჯარისკაცი უნდა ვიყო, ჩემი ცხოვრება ჯარია და ხელს ნუ შემიშლიო. მაინცდამაინც არტილერია აირჩია. ვთხოვდი, ჯერ ესწავლა, პროფესიას დაუფლებოდა და მერე წასულიყო ჯარში. ვნერვიულობდი, ეს რთული საქმე რომ აირჩია, მაგრამ ხელი არ შემიშლია, ეს მისი ნება იყო. ახლა ავღანეთში წასასვლელად ემზადებოდა. თებერვალში გერმანიაში მიდიოდნენ, იქიდან დაბრუნების შემდეგ — ავღანეთში.

— ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციებში შვილის გამგზავრებას როგორ უყურებდით?

— როგორც ყველა დედა, მეც არ ვიყავი მომხრე, რომ ავღანეთში წასულიყო. ვუთხარი, — შვილო, ჯარში მსახურობ, შენს ქვეყანაში მაინც დარჩი, მარტო რომ მტოვებ, ცოდვა ვარ-მეთქი. იმ დღეს სახლში მეგობრებთან ერთად ვისაუბრეთ და იცით, რა მითხრა? — დედა, იცოდე, თუ ჩემს ქვეყანას დასჭირდა, ჯოჯოხეთშიც წავალო. ბავშვობის მეგობარმა შენიშვნა მისცა, — ალეკო, დედას გულს რატომ უხეთქავო? მას მიუბრუნდა და უთხრა: — ხომ იცი, შენ ჩემი ძმა ხარ და დედაჩემს შენ გიტოვებო. ხაშურელი ემზარ შოშიაშვილი, რომელიც ტრაგედიის დროს დაიღუპა, ჩემი შვილის უახლოესი მეგობარი იყო. ნაწილში სულ ერთად მიდიოდნენ. შობას 3 დღით გამოუშვეს. კრწანისში ორშაბათს, 10 იანვარს ერთად წავიდნენ. ემზარმა ხაშურიდან გამოუარა. ტანსაცმელსაც კი ცვლიდნენ ხოლმე ერთმანეთში. ვიცი, რამხელა ტკივილი იქნება მისთვის, მეგობრების დაღუპვის ამბავს რომ შეიტყობს. ჯერ არაფერი იცის, ვუმალავთ. სანამ გამოჯანმრთელდება, არ მინდა გაიგოს. ჩემი შვილი ფიზიკურად ძლიერია, ბავშვობიდან სპორტზე დამყავდა. არაფერს ვაკლებდი, მუსიკაზეც დადიოდა. სოფელში ყველას ძალიან უყვარს... ტელევიზიით შევიტყვე, რაც მოხდა. ჩემს ჩამოსვლამდე ნათესავები, ზოგი კრწანისში ეძებდა, ზოგი — საავადმყოფოში. მეზობლებმა კი სასწრაფოდ, მანქანით გორიდან თბილისში ჩამომიყვანეს. აქ უამრავი ადამიანი იყო და ჩემს შვილს გულშემატკივრობდა. ჯარისკაცებიც იყვნენ, მათ არც ვიცნობდი. თავდაცვის მინისტრის მოადგილეც მოვიდა... უბედური შემთხვევა მოხდა, არავის უნდოდა, ეს ტრაგედია დატრიალებულიყო, ამაში ვერავის დავადანაშაულებ. სამი ადამიანი დაუჭერიათ. დარწმუნებული ვარ, მომხდარმა ისინი საშინელ დღეში ჩააგდო. რაც განიცადეს ამ ტრაგედიის გამო, იმაზე მეტი რა უნდა მიუსაჯონ?!. სხვა ბიჭების დედების სახელით ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ ჩემი შვილის გამო ნურავის დასჯიან. ვიცი, ეს არავის უნდოდა. პირიქით, დიდ მადლობას ვუხდი თავდაცვისა და ჯანდაცვის სამინისტროებს გაწეული უდიდესი დახმარებისთვის. დიდი მადლობა ექიმებს, ბატონებს — ვახტანგ ქაცარავასა და რობერტ გობეჩიას, ჩემი ერთადერთი შვილი რომ გადამირჩინეს.

— ქალბატონო ნელი, შვილის ნახვის საშუალება გქონდათ?

— უმძიმესი ოპერაცია ჩაუტარდა. ნარკოზიდან რომ გამოვიდა, ცოტა ხნით ვნახე. რთული მდგომარეობის მიუხედავად, ცდილობდა, გავემხნევებინე, გამეხუმრა კიდეც. მის საწოლთან ვიდექი და მთელი სხეული ხელით გავუსინჯე, რომ დავრწმუნებულიყავი, რომელიმე კიდური ხომ არ აკლდა. მადლობა უფალს, რომ არ გამწირა. ფურცელზე დამიწერა: „დედა, გულმკერდიდან „სისხლებს ვასხამდი“, მაგრამ არ შემშინებიაო“...

უმძიმესი ოპერაცია ჩაუტარდა. ნარკოზიდან რომ გამოვიდა, ცოტა ხნით ვნახე. რთული მდგომარეობის მიუხედავად, ცდილობდა, გავემხნევებინე

— აგვისტოს ომის დროს სამხედრო ნაწილში იმყოფებოდით?

— სამხედრო ნაწილი რომ დაიბომბა, იქ ვიყავი. ეს უმძიმესი, ტკივილიანი დღეები იყო. შემდეგ, როცა იქ დავბრუნდით, 4 კორპუსი მთლიანად გაპარტახებული დაგვხვდა. რუსმა ჯარისკაცებმა იქ რაც გააკეთეს, იმას არც ერთი, ოჯახში გაზრდილი ადამიანი არ იკადრებდა. ოთახები ტუალეტებად ჰქონდათ გადაქცეული. საშინელი წარწერები იყო კედლებზე, ამის გადმოცემა შეუძლებელია... ცისტერნებით გვიზიდავდნენ წყალს, რომ იქაურობა დაგვესუფთავებინა. მოგვიანებით, ყველაფერი გარემონტდა და დღეს იქ იდეალური სისუფთავე და პირობებია. მინდა, თქვენი ჟურნალის საშუალებით, დაღუპული ბიჭების ოჯახებს მივუსამძიმრო და მთელი გულით თანავუგრძნო. ■

ტროპიკული ტყეების მრავალფეროვანი და უცნაური ბინადარნი!

ტომი №12

ბინადრობენ თუ არა „ტყის კაცები“ ტროპიკულ ტყეებში?

გაიგეთ უფრო მეტი !

24 იანვრიდან – 31 იანვრამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის

სპეციალური ფასი 15 ლარი!

სამგანზომილებიანი (3D) გამოსახულებები

შეიძინეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!
წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს
ტელ.: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ!

ეს სამყარო

* – მალე

სერია „ეს სამყაროა“-ს წიგნები: №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10 და №11 იყიდება წიგნის მაღაზიებში!

ომის შვილების განსხვავებული პრობლემები და ხვედრი

„ამდენი წლის განმავლობაში ჩემოდნებზე ვზივართ“

20 იანვრიდან თბილისის 32 კომპაქტური ჩასახლებიდან დევნილების გასახლება დაიწყება. როგორც დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის ხელმძღვანელი დიმიტრი ომანაძე აცხადებს, ეს ღონისძიება ისე დაიგეგმა, რომ მათ ოფიციალურად ხელმოწერილი დოკუმენტი არ მიუღიათ — დევნილები მოსალოდნელი ამბის შესახებ მხოლოდ სიტყვიერად გააფრთხილეს... დევნილები ხელისუფლების გადაწყვეტილებას უსამართლოსა და უკანონოს უწოდებენ და 20 იანვარს პარლამენტის წინ ფართომასშტაბიანი აქციის გამართვას აპირებენ. „დროებითი, დაუკანონებელი საცხოვრებელი ფართობებიდან გამოსახლებული დევნილები პარლამენტის წინ კარვებს გაშლიან და თავიანთ ოჯახებთან ერთად, იქ დაბინავდებიან“, — აცხადებს ჩვენთან საუბრისას დიმიტრი ომანაძე.

ლალი პაპასკირი

90-იან წლებში მომხდარი კონფლიქტების შემდეგ, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ქართველი მოსახლეობა რამდენიმე „კატეგორიად“ დაიყო: დევნილები — ანუ ისინი, ვისაც კონფლიქტის შემდეგ, საკუთარი სახლ-კარი არც კი უნახავს; ე.წ. „ნახევრად დევნილები“ — ვინც სიცოცხლის რისკის ფასად, მაგრამ სეზონურად გადადის მშობლიურ კუთხეში; მესამე — კატეგორია, რომელსაც საკუთარი სახლ-კარი არც ომის შემდგომ დაუტოვებიათ და დღემდე სეპარატისტული რეჟიმის ქვეშ ცხოვრობენ... ჩამოთვლილთაგან პრობლემები ყველას აქვს, ოღონდ ერთმანეთისგან განსხვავებული: კონფლიქტის ზონაში დარჩენილ ქართველებს სეპარატისტული ხელისუფლება, „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ სრულუფლებიან და „კანონიერ“ მოქალაქეებად მიიჩნევს, თუმცა, მატერიალურ პრობლემებზე რომ არაფერი ვთქვათ (რაზეც „გზის“ ფურცლებზეც არაერთხელ დაგვიწერია), სინამდვილეში მათი სიმშვიდე და უსაფრთხოება იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ავტორიტეტულია მათი აფხაზი (თუ ოსი) პატრონი და რა გავლენით სარგებლობს ადგილობრივ კრიმინალებში... ერთი სიტყვით, შევეცადე, კატეგორიებად დაყოფილი „ომის შვილების“ ბედის ზოგადი სურათი დამეხატა.

ნანა, *45 წლის, სოხუმელი ქართველი:*

— მე და ბევრ ჩემნაირს, წასასვლელი არსად გვქონდა და ღმერთის, რამდენიმე ნაცნობი აფხაზისა და რუსის იმედად სოხუმში დავრჩით. თუმცა არიან ისეთებიც, ვინც სოხუმში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო აქედან ვერ გააღწია და ამ ჯოჯოხეთში დარჩა. ამ წლების განმავლობაში იმდენი გადავიტანეთ, არა მგონია, ცხოვრებაში რამემ გაგვაკვირვოს. აფხაზი ბოევიკები დღეში რამდენჯერმე გვივარდებოდნენ და ხან ერთი მეზობლის სარდაფს ვაფარებდით თავს და ხან — მეორის... ჩვენი ახლობელი აფხაზების დამსახურებაა, ცოცხლები რომ ვართ: რამდენიმე ქართველს ასეთი თავდადებული დამცველი არ აღმოაჩნდა და მოკლეს... რაც შეეხება ჩვენი ცხოვრების პირობებს, — აქ აფხაზსაც არ ეკითხებიან, რა აწუხებს და ქართველს ვინ რას ჰკითხავს?! რუსებსა და სომხებს, სხვებთან შედარებით, უკეთესი ცხოვრების პირობები აქვთ. სომხები აფხაზეთში პოტენციურ ბიზნესმენებად მიიჩნევიან, რუსების პრივილეგიებს კი ალბათ ახსნაც არ სჭირდება... ჩემს მეზობლად ერთი ქართული ოჯახი ცხოვრობს. დიაბეტიანი შვილი ჰყავდათ, ინსულინს დღეში რამდენჯერმე უკეთებდნენ. ჩვენთან ასეთი მედიკამენტები დეფიციტურია, თან მშობლებს მის შესაძენად ფულიც არ ჰქონდათ და ავადმყოფი ძალიან ცუდ დღეში იყო. რამდენიმე თვის განმავლობაში აფხაზები უგროვებდნენ ფულს, ბოლოს კი ოჯახმა მაინც გაყიდა ბინა და რუსეთში წავიდა. ასე რომ, მართალია, სახლ-კარი გვაქვს, აქაურობა არ დაგვიტოვებია, მაგრამ აქ ცხოვრება დღემდე დიდად სარისკოა... როგორც გითხარით, მე წასასვლელი არსად მქონდა, ორი შვილით სხვას ვერ მივადგებოდი და დავრჩი. თავიდან ყველანი იმ იმედით ვცხოვრობდით, რომ ერთ დღეს ყველაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ თანდათან იმ დამცირებას, შიმშილს, შიშსა და უბედურებას შევეჩვიეთ და დღემდე ვუძლებთ... ვიცი, რომ უკეთესი პირობები არც ენგურსგაღმა მცხოვრებ ქართველ დევნილებს აქვთ. უფრო სწორად, როცა მათ ვუსმენ, აღარ ვიცი, რომელი სჯობია — შენივე მიწაზე შენი ხალხი უცხოსავით რომ გექცევა და „ლტოლვილის“ იარლიყით ცხოვრება გიწევს, თუ ჩვენი ბედი — მხოლოდ სახლ-კარი რომ გვაქვს, ცოცხლები ვართ და ამისთვის ვიღაცას ყოველდღე მადლობას რომ ვუხდით... ამას წინათ დევნილი ნათესავი შემომჩიოდა, — ძლივს სამსახური ვიშოვე და ახლა რაიონში რომ გამასახლონ, რა უნდა გავაკეთოო?!. ერთ-ერთ ქართულ ტელეარხზეც მოვისმინე, ქალი ჩიოდა, — ინსულტიანი მეუღლე მყავს და სად წავიყვანოო?!. როგორ დავიჯერო, რომ რაიონში ინსულტიანი ადამიანები არ ცხოვრობენ?! მიწაზე ვერ ვიმუშავებთო, რომ ამბობენ, — რატომ? მიწაზე მუშაობა დამამცირებელია?! მაპატიეთ, შეიძლება, ჩემი პოზიციიდან სიმართლის თქმა განსაკუთრებით მწარე და გამაღიზიანებელი იყოს, მაგრამ ამ ხალხს მინდა ვკითხო, — იცით, რას ნიშნავს, როცა სიმწრით მოპოვებულ ლუკმას ვიღაც წაგართმევს და თან გეტყვის, — მადლობა მითხარი, ცოცხალი რომ დაგტოვეო?!.*

დევნილებისგან ხშირად მოისმენთ, — გალის რაიონის მოსახლეობას თავის გასატანად, ყველაზე კარგი პირობები აქვსო, ამიტომაც მათ „ნახევრად დევნილები“ შეარქვეს: სახლ-კარიც შენარჩუნებული აქვთ, სეზონური შემოსავალიც, სამუშაოც და სახელმწიფო დახმარებებსაც იღებენ. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე: მათი ოჯახის რამდენიმე წევრი, უმეტეს შემთხვევაში — შვილები ენგურს გადმოღმა ცხოვრობენ და მშობლებთან წელიწადში რამდენჯერმე, სიცოცხლის რისკის ფასად ჩადიან... იქ მცხოვრებლებს კი მთელი წლის შემოსავლის რამდენიმე ნაწილად გაყოფა უწევთ...

მარინა, *გალის მკვიდრი:*

— ჭიშკართან როგორც კი უცხო ადამიანს დავინახავ, მაშინვე სუფრას ვშლი: ვაითუ აფხაზი იყოს და სახლში შემოსულმა შარი მომდოს, — ცარიელ

მაგიდას რომ მახვედრებ, ჩემი დანახვა არ გაგიხარდაო?!. მას შემდეგ, რაც რუსი სამხედროები დამატებით შემოიყვანეს, მათი ჩვენდამი დამოკიდებულება შეიცვალა, უფრო ლმობიერები გახდნენ და იმდენ სიავეს აღარ სჩადიან, თორემ რამდენი შემთხვევა ვიცი, როცა ნაქეიფრები ეზოში გამოიშალნენ და საქონელი და ქათმები დაგვიხოცეს: გაგვიმზადეთ და თან გაგვატანეთო!.. მიუხედავად ამისა, ვერ მივატოვეთ სახლკარი. მაშინ ჩემი შვილები ნათესავთან ცხოვრობდნენ და მე და ჩემი მეუღლეც იქ ვერ შევუსახლდებოდით...

— ახლა თქვენი შვილები კომპაქტურ დასახლებაში ცხოვრობენ?

— დიახ, შვილო, მაგრამ თუ სადმე ნორმალურ ფართობს მისცემენ და იქ გადაიყვანენ, კარგი იქნება, თუ არა და, არ მინდა, ჩემი შვილები ამ ჯოჯოხეთში ცხოვრობდნენ, ახალგაზრდობის საუკეთესო წლები ამ კოშმარში გაატარონ და გარდა ამისა, არ მინდა, რომ გამირუსდნენ...

როგორც პარლამენტის წინ აქციაზე შეკრებილი დევნილები ამბობენ, ისინი 90-იანი წლების ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ, თბილისში, კომპაქტურ დასახლებებში ცხოვრობენ. ხელისუფლება წინასაარჩევნო პერიოდში მათ საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილებას ჰპირდებოდა, მაგრამ ზაფხულში გამოსახლებული დევნილებიც კი ჯერ კიდევ ბინის გარეშე რჩებიან.

თემურ ჯალალონია, *სოხუმიდან დევნილი, 53 წლის:*

— უკვე გასაგებია, რომ ჩვენც მათ ბედს გავიზიარებთ და ამიტომაც ვითხოვთ, ის ფართობი პირად საკუთრებაში გადმოგვცენ ან ფულადი კომპენსაცია მოგვცენ, რომლითაც თუნდაც გარეუბანში ბინის შეძენას შევძლებთ.

— ბინის დაცლის შესახებ შეტყობინება უკვე მიიღეთ?

— დიახ, დეკემბერში მოგვივიდა შეტყობინება, სადაც ეწერა, რომ 32 კომპაქტური ჩასახლების ეტაპობრივი დაცლა უნდა დაიწყოს... 3 შვილი და 1 შვილიშვილი მყავს, რომელიც 7 თვის არის; სად წავიდე, ვის მივადგე ამხელა ოჯახით?!.

— არ უთქვამთ, რაიონში გაგგზავნითო?

— სად, ფოცხოში?!. აქ ძლივს ვშოულობდი პურის ფულს, თვიდან თვემდე თავი რომ გამეტანა, და იქ რაღა უნდა გავაკეთო?! თბილისში ცხოვრების ამბიცია კი არ მაქვს; რაიონში ნათესავები მყავს და ვიცი, ნახევრად მშივრები არიან და აქეთ გამორბიან... როცა სოხუმში დაბრუნების იმედი გადამეწურა, იქ სახლის გაყიდვა დავაპირე. აფხაზი ცხოვრობდა და მითხრა, — თუ სარფიანად გაყიდი და ცოტა წილში მეც გამიყვან, კლიენტის მოძებნაში დაგეხმარებიო. კლიენტი კი ან რუსი უნდა ყოფილიყო, ან — სომეხი, აბა, სხვას ფული არა აქვს, მაგრამ ვერ მოვახერხე — ჩალის ფასად უნდოდათ. მართალია, სულ დაკარგვას, ნივრიდან ქერქის აღება მაინც სჯობია, მაგრამ ვერ შევძელი, რაღაცა, შიგნიდან არ მაძლევს უფლებას, მამაჩემისა და ჩემი ნაწვალები იმ ფასში გავყიდო. არადა, ვფიქრობდი, რაიმე საქმეს წამოვიწყებდი, შვილები მშივრები არ მეყოლებოდნენ და დღიურ შემოსავალზე დამოკიდებული მაინც არ ვიქნებოდი-მეთქი...

— ამდენი პრობლემის მიუხედავად, აქციაზე ძალიან ცოტა დევნილი მოდის. როგორ ფიქრობთ — რა არის ამის მიზეზი?

— როგორც ჩანს, იმ ხალხს, ვისაც ეს შეტყობინება არ მიუღია, ეშინია... ბევრს იმ ფართობის დაკარგვის შიშიც აქვს, სადაც ცხოვრობს. ყველას მინდა ვუთხრა, რომ გამოსახლების ტალღა ყველას შეეხება და სირაქლემის პოზაში ყოფნას აზრი არა აქვს...

ვახტანგი, *გაგრელი დევნილი, 58 წლის:*

— 18 წელია, სასტუმროში ვცხოვრობთ. იცით ალბათ, რომ სასტუმრო ყოველდღიური ცხოვრების პირობებისთვის არ არის მოწყობილი და რამდენჯერმე საკუთარი სახსრებით გავარემონტეთ, რაღაც მივამატეთ, ჩავამონტაჟეთ და როგორღაც მოვთავსდით... ასე იქცეოდნენ ჩემი მეზობლებიც, ახლა კი იქიდან გამოყრას გვიპირებენ... ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე შემომთავაზეს გაგრაში ჩემი სახლის გაყიდვა. ცოტა ფულს დავამატებდი და კი ვიყიდდი აქ ბინას, მაგრამ იმ სახლს გასაყიდად ვერ ვიმეტებდი და ყველა კლიენტს უარით ვისტუმრებდი. ჩემმა მეგობრებმა, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ, რამდენჯერმე შემომთავაზეს, — ჩამოდი და ჩვენ დაგაყენებთ აქ ფეხზეო, — მაგრამ არ წავედი: შვილები გამირუსდებიან-მეთქი. ახლა კი ძალიან ვნანობ. საქართველოში ჩემნაირების პატრიოტიზმი ვის რაში სჭირდება?!. იმ ჭკუაზე ვარ, საკუთარი ნებით გადავიდე იქით და აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეობა მივიღო. ამდენი წლის განმავლობაში მუდმივად გვაქვს იმის განცდა, რომ ზედმეტები ვართ: სულ ჩემოდნებზე ვზივართ, თითქოს სადღაც უნდა გაგვიშვან. დავიღალეთ... აქაურები „გვამშვიდებენ“, — ამ ხელისუფლებას თქვენ კი არა, ჩვენ არ ვჭირდებით არაფერშიო, — მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია... მიუხედავად ამისა, აქციაზე მაინც არასდროს გავსულვარ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემს მომავალზე გული არ შემტკივა, უბრალოდ ვიცი, რომ ხელისუფლება მაინც ისე გააკეთებს, როგორც თვითონ უნდა და ტყუილად ვიშალო ნერვები?!.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის, კობა სუბელიანის თქმით, კომპენსაციების ერთი ნაწილი დეკემბერში უკვე გაიცა; იანვარში დააკმაყოფილებენ კიდევ რამდენიმე ოჯახს და ამით ეს პროცესი დასრულდება. მისივე განცხადებით, დღეს საკუთრებაში საცხოვრებელ ფართობს ფლობს 22 ათასი დევნილი, რაც რამდენიმე წლის წინ წარმოუდგენელი იყო. სუბელიანის უწყების ინფორმაციით, დევნილებს მიკროსესხებით ეხმარებიან, რაც მათი თვითდამკვიდრების პროცესს უზრუნველყოფს.

„ამას წინათ წინამძღვრიანთკარში ვიყავი. ეს ადგილი დუშეთისკენ არის და ჩემი თვალით ვნახე, რამდენიმე ოჯახს მიკროსესხით, ფუტკრის სკები ჰქონდა გაკეთებული; ზოგს კი ქათმები ჰყავს მოშენებული, რაც სერიოზული შეღავათია ოჯახისთვის. ერთ კაცს საკუთარი სახლის სარდაფში სოკო მოუშენებია და ორ დღეში ერთხელ 100 კილოგრამს აბარებს; ერთი კილოგრამი ხის სოკო 5-6 ლარი ღირს“...

გავრცელებული ინფორმაციით, „დევნილთა სოფელი“ უკვე აშენებულია ფოთში, სადაც დაახლოებით 500 ოჯახის ჩასახლება იგეგმება. დევნილთა პირველი ეტაპის ჩასახლების შემდეგ, შესაძლოა, იქ კიდევ ერთი ასეთი სოფელი აშენდეს. მათი დასაქმება კი ფოთის პორტში უნდა მოხდეს. თუმცა დევნილები ამ ინფორმაციასაც არარეალურად მიიჩნევენ და შიშობენ, რომ მათ ფოცხოში ჩასახლებულთა ბედის გაზიარება მოუწევთ... ■

„ანგელოზი, რომელიც მუდამ ჩვენთან და ახლოსაა“...

მსახიობი დავით გიორგობიანი კარგა ხანია, მართლმადიდებლური სასწაულებითაა დაინტერესებული და, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობისას, მათ შესახებ დოკუმენტურ ფილმებსაც იღებს. ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს, ამიტომ ინტერნეტის მეშვეობით დავუკავშირდი და ნათლისღების დღესასწაულზე ვესაუბრე.



თამთა დადეშელი

— უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გავიხსენოთ, რა უნდა იცოდეს ნათლისღების დღესასწაულის შესახებ ყველა მორწმუნე ქრისტიანმა. მოძღვრები ბევრს ქადაგებენ ამის შესახებ და მე ახალს ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ საერო კაცის პოზიციიდან ვეცდები ვთქვა ის, თუ რაზე შეიძლება გავამახვილოთ ყურადღება მორწმუნეებმა... ნათლისღებისას უკვე დიდი სასწაული ის იყო, რომ უფალს ადამიანი ნათლავდა. მართალია, ეს თვით იოანე წინასწარმეტყველი იყო, მაგრამ მაინც სასწაულია. იოანე ნათლისმცემელი ჩვენი პირველი განმანათლებლის, წმინდა ანდრიას მასწავლებელი გახლდათ. იგი ქალაქ ბედსაიდადან იყო. საქართველოს უამრავი დამმობილებული ქალაქი ჰყავს, მაგრამ ბედსაიდას რატომღაც ვერავინ მიაქცია ყურადღება... სასწაულია ისიც, რომ ნათლისღების ყოველ დღესასწაულზე მდინარე იორდანე უკან იხევს და ამას ყველა იქ მყოფი ხედავს.

— თქვენ თუ ხართ ნამყოფი იორდანეს ნაპირზე ამ დღესასწაულის დღეს?

— საერთოდ, ნამყოფი ვარ, მაგრამ კონკრეტულად ნათლისღებას — არა; აღდგომას გახლდით. დიდი სურვილი მაქვს და თუ უფალი ინებებს, იმედია, მოვხვდები. ამის შესახებ მორწმუნე ადამიანების მონათხრობიდან ვიცი, წიგნებშიც წამიკითხავს და ფილმიც მინახავს. მაგრამ რწმენა ხომ მხოლოდ თვალით ხილულზე არ არის დამოკიდებული: ნეტარ არიან, ვისაც არ უხილავთო... ნათლისღების დღესასწაული იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ამ დღეს, სამების ერთარსობის შესახებ განეცხადა ადამიანებს. მამის ხმა ზეცით მოისმოდა, ძე იორდანეში იდგა, სულიწმიდა კი, მტრედის სახით, იესო ქრისტეზე გარდამოვიდა. ამის შესახებ სწორედ ნათლისმცემელმა განაცხადა და ეს საკუთარი თვალით იხილა კიდეც. როდესაც მას თავი მოჰკვეთეს, უფალს ჯოჯოხეთში ელოდებოდა, სხვა წინასწარმეტყველებთან ერთად, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ არ გწამს ქრისტე, როგორც ძე ღვთისა, ხორციელად შობილი და აღმდგარი მესამე დღეს, მხოლოდ კეთილი საქმეებით სასუფეველში ვერ შეხვალ, ისევე, როგორც იოანე ნათლისმცემელი, სანამ ჯვარცმის შემდეგ უფალმა არ ამოიყვანა ჯოჯოხეთიდან. ეს საოცარია. როცა ადამიანები ცდილობენ, ნათლია აირჩიონ, არც რაოდენობას აქვს მნიშვნელობა და არც მატერიალურ სიმდიდრეს — მთავარია, ნათლია მორწმუნე იყოს, თუნდაც ღარიბი, მაგრამ სულიერად მდიდარი. ზოგიერთი ურწმუნო ადამიანი რამდენიმე, თან მდიდარ ნათლიას ირჩევს, რომლებმაც შესაძლოა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სასიკეთო ვერაფერი გააკეთონ ნათლულისთვის. ვერც ლიტურგიაზე იხსენებენ მათ სახელებს, ვერც რწმენას ასწავლიან, ვერც თავიანთი საქმით დაანახვებენ, თუ როგორი უნდა იყოს ქრისტიანი, რომ ნათლულმა მათგან მაგალითი აიღოს. ზოგიერთმა ადამიანმა არ იცის, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ცოლ-ქმარმა ან შეყვარებულმა წყვილმა ერთი ადამიანი მონათლოს: ამ შემთხვევაში ისინი სულიერი და-ძმა ხდებიან და მათ შორის ფიზიკური კავშირი უნდა გაწყდეს. ნათელმირონობა თაობებზე გადადის და მათი შთამომავლების ერთმანეთზე დაქორწინება არ შეიძლება. ამის დიდი მაგალითი — სერბეთია: იმ დიდი ომებისა და უბედურების ერთ-ერთი მიზეზი, რაც იქ ხდება, მძიმე ცოდვაა (როცა ცოლ-ქმარი ერთსა და იმავე ბავშვს ნათლავდა), რომელიც ბროზ ტიტოს რეჟიმის დროს დაკანონდა ყოფილ იუგოსლავიაში.

— როგორ ფიქრობთ — თვითონ მოძღვრები რატომ უშვებდნენ ასეთ ფაქტებს? გამიგონია, რომ მსგავსი შემთხვევები საქართველოშიც მომხდარა წლების წინ. ახლა საბედნიეროდ, ყველა ადამიანი უკეთაა ინფორმირებული.

— ბოლშევიკურ პერიოდში ნეტავ, ვინმე ყოფილიყო მღვდელი და ცოდნა მაინცდამაინც არ მოეთხოვებოდათ. სჯულის კანონების სწავლება სემინარიაში სულ რამდენიმე წლის წინ დაიწყეს. ყველანაირი სიკეთის მიღწევა ნელ-ნელა ხდება, თორემ ერთი დარტყმით არაფერი გამოვა. უცოდინარობით ადამიანმა შეიძლება, დიდ საფრთხეში ჩაიგდოს თავი. შესაძლოა, მღვდელმა ყოველთვის ვერ ჰკითხოს ან არც მოუვიდეს აზრად, რომ მორწმუნემ ეს არ იცის; ნათლობაზე 5-6 კაცი რომ დგას, მღვდელი ყველას ვერ ჩამოუვლის და ვერ ჰკითხავს — ვინ ხართ ერთმანეთისო? არც ისაა სწორი, ადამიანი ნათლობას რომ არ ესწრება და ითხოვენ, — ჩაწერეთ, გინდა თუ არა, ნათლიად მინდაო. სწორედ ესაა ურწმუნოება: რანაირად უნდა ჩაითვალოს ნათლიად ად-

ამიანი, რომელიც ამ დიდებული საიდუმლოს მომსწრე არ არის?! თუ იმ მომენტში ტაძარში არ იმყოფება, ესე იგი, უფალმა ისურვა, რომ ნათლიად არ ყოფილიყო.

— რა უნდა იცოდეს ადამიანმა, სანამ ვინმეს მონათვლას გადაწყვეტს? რა პასუხისმგებლობა ეკისრება მას?

— პირველ რიგში, მართლმადიდებლური რწმენა უნდა ჰქონდეს და შემთხვევით, სხვა სარწმუნოების მქონე ადამიანი არ უნდა აიყვანოს ნათლიად. მღვდელი „მრწამსის“ თქმას რომ სთხოვს, სამწუხაროდ, ბევრმა არ იცის... ადრე კატეხიზაცია — ანუ მოსანათლი ადამიანის (ან ნათლიის) რწმენაში განსწავლა ხდებოდა, კატაკმეველებს სპეციალურ გაკვეთილებს უტარებდნენ. მაგალითად, მე დიდი ხნის წინ ერთი ადამიანი მივიყვანე სიონში და მღვდელმა არ მომინათლა; იმ მომენტში მეწყინა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ის მართალი იყო. ნათლიობა — დიდი პასუხისმგებლობაა. უმთავრესი ის არის, რომ ნათლიამ ნათლული ზიარებაზე მიიყვანოს; თუ ნათლული ფეხს ითრევს და ვერ მიდის ტაძარში ან მისი მშობლები არ არიან ეკლესიურები, ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ თვითონ წაიყვანოს ხოლმე.

— თქვენ რამდენი ნათლული გყავთ?

— ოთხი. საერო კაცი ვარ და ჯერჯერობით ბევრს ვერ ვიტვირთავ. ძირითადად, მოსკოვში ვიმყოფები და რთულია, რეალურად, სულიერი ნათესაური კავშირი იქონიო. ერთი ბავშვი ომამდე მოვნათლე აფხაზეთში; ქართველია და სამწუხაროდ, ვეღარ ვპოულობ. სხვები საქართველოში არიან. მე თვითონ, დიდუბის ეკლესიაში მოვინათლე მცირე ასაკში და რაც მთავარია — შთაფვლით; ის ემბაზი დღემდე იქ დგას... საქართველო თბილი ქვეყანაა, ამდენი მდინარე გვაქვს და კარგი იქნებოდა, დამკვიდრებულიყო, რომ ბავშვები მაინც ინათლებოდნენ შთაფვლით. ნათლობისას ბევრი სასწაული მომხდარა: მაგალითად, ერთგან ემბაზში ქრისტე გამოისახა. ერთი ფოტო მაქვს ნანახი, სადაც ნათლობისას ნათლიის სამოსზე ანგელოზი გამოისახა. საერთოდ, ყოველთვის უნდა ვილოცოთ ჩვენი მფარველი ანგელოზისადმი. მდიდრები იარაღიან დაცვას დაიყენებენ ხოლმე, მორწმუნეებმა კი უნდა ვიცოდეთ, რომ ყველაზე კარგი დამცველი და მფარველი ის ანგელოზია, რომელიც მუდამ ჩვენთან და ყველაზე ახლოსაა.

(თემის გაგრძელება იხ. გვ 21)

25-წუთიანი შეხვედრა, ოფიციალური ცნობები და ცრუინფორმაცია ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით

„მოსკოვი ახალ ინტრიგას ამზადებს“ — ამ დასკვნამდე პოლიტოლოგები და ექსპერტები მას შემდეგ მივიდნენ, რაც რუსულმა ჟურნალ-გაზეთებმა გააკრცელეს ინფორმაცია, თითქოს ობამას ადმინისტრაციამ „გამოხატა მზადყოფნა, მიაწოდოს საქართველოს ათობით მილიონი დოლარის ღირებულების საზენიტო ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება“. ინფორმაციის გავრცელების საბაბი — ვაშინგტონში მიხეილ სააკაშვილისა და ბარაკ ობამას შეხვედრა გახდა, რომელიც დახურულ კარს მიღმა, ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენის მონაწილეობით გაიმართა. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, ლიდერებმა ეკონომიკურ, სავაჭრო, ასევე — უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის დეტალებზე ისაუბრეს და ავლანეთის სამშვიდობო ოპერაციის მიმდინარეობის პროცესი განიხილეს.

ნათუნა ბახტურიძე

რუსული გამოცემა „კომერსანტი“ კი, რუსული საიდუმლო სამსახურების ანონიმურ თანამშრომელზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას, რომ ობამა-სააკაშვილის 25-წუთიან შეხვედრაზე განიხილეს არა მარტო საქართველოს ეკონომიკურ განვითარებისა და ავლანეთში საერთაშორისო ძალების მოქმედების საკითხები, არამედ ჩვენი ქვეყნისთვის შეიარაღების მიწოდების განახლების შესაძლებლობა. ამავე წყაროს ცნობით, სააკაშვილმა თეთრ სახლს გადასცა სპეციალური ანგარიში, სადაც ქართული მხარე მისთვის თავდაცვითი შეიარაღების გადაცემის აუცილებლობას ასაბუთებს. აშშ-ის პრეზიდენტმა კი უშიშროების საბჭოს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ დასმული საკითხების შესწავლა და სპეციალური ანგარიშის მომზადება დაავალა. „იტარ-ტასი“ იმასაც კი იუწყება, რომ მიწოდება, აშშ-ის პრაქტიკის თანახმად, მესამე ქვეყნების მეშვეობით განხორციელდება.

აღნიშნულ ინფორმაციას აბსურდულს უწოდებენ როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ასევე ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტი. „ნებისმიერი ინფორმაცია, რომ აშშ მზად არის, მესამე ქვეყნის მეშვეობით საქართველოს იარაღი მიჰყიდოს, მტკნარი სიცრუეა“, — აცხადებს პენტაგონის წარმომადგენელი ვენდი სნაიდერი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ნინო კალანდაძის თქმით კი, სააკაშვილმა და ობამამ ნამდვილად ისაუბრეს აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიით გათვალისწინებულ ყველა პრიორიტეტულ საკითხზე, მათ შორის — უსაფრთხოებაზეც, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის შეიარაღების გადაცემაზე საუბარი არ ყოფილა. რატომ არ შეიძლებოდა, ამ შეხვედრისას საუბარი ყოფილიყო იარაღის მოწოდებაზე, რით აძლევს ხელს მოსკოვს ცრუინფორმაციის გავრცელება და რა დივიდენდებს მოუტანს ჩვენს ქვეყანას ვაშინგტონში გამართული შეხვედრა — ყოველივე ამის შესახებ, ექსპერტს უსაფრთხოების საკითხებში, ირაკლი სესიაშვილსა და პოლიტოლოგს, ანალიტიკოსს, სოსო ცინცაძეს ვესაუბრეთ.

ირაკლი სესიაშვილი:

— საქართველოს ხელისუფლება უკვე დიდი ხანია (ომამდეც და ომის შემდეგაც) სთხოვს შეერთებულ შტატებსა და დასავლეთს სამხედრო სფეროში დახმარებას, მათ შორის — იარაღის მოწოდებას. აშშ-ში ასეთი საკითხები სხვადასხვა უწყების მხრიდან მკაცრად კონტროლდება და იარაღის გაყიდვაზე ნებართვა პოლიტიკური გარანტიების გარეშე არ გაიცემა.

— აშშ-მა საქართველოსთვის იარაღის მიყიდვის სანაცვლოდ, რა გარანტიები შეიძლება მოითხოვოს?

— საქართველოს შემთხვევაში, აშშ

„ინ ვინტრო“
ვანგარიშოებთ ყველასგან ხელმისაწვდომ და სპეციალურ
დონეზე ობის, ასევე სპორტული დედობის
მსურველთა ჩებისტრაციას
(ანაზღაურებადი)
დაინტერესებული პირები ინფორმაციისათვის
დაგვიკავშირდით
მისამართი: ღუბლიანას ქ. 2/6
ტელეფონზე: 868 40 50 50
ოფისის-საათები (10:00-დან 17:00-მდე)

პირველ რიგში მოითხოვს იმის გარანტიას, რომ თბილისი არ გამოიყენებს ძალას სეპარატისტული რეგიონების წინააღმდეგ ან არ მიჰყიდის იარაღს მესამე ქვეყანას.

— როგორც ცნობილია, საქართველო მხოლოდ თავდაცვისთვის საჭირო ანუ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებსა და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებს ითხოვს. ამერიკა, როგორც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, არის თუ არა ვალდებული, საკუთარი წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში?

— ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, თავდაცვითი იარაღის შეძენა მნიშვნელოვანია, მაგრამ — არა აუცილებელი. ახლა ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი — დემოკრატიის განვითარება და დასავლეთისგან პოლიტიკური გარანტიების მიღებაა. ამერიკამ კიდეც რომ მოგვყიდოს იარაღი, რუსეთის შეიარაღების დონეს მაინც ვერ გავუტოლდებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსეთი სტრატეგიულადაც უპირატეს მდგომარეობაშია. ასე რომ, ჩვენი რესურსითა და პოტენციალით, რუსეთთან გამკლავებას ვერ შევძლებთ. „ვიკილიქსის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ამერიკელი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ საქართველოს უსაფრთხოებისთვის სჯობია, ვაშინგტონმა პოლიტიკურ გარანტიებზე გააკეთოს აქცენტი, ვიდრე ქვეყანა შეაიარაღოს და ამით რუსეთის პროვოცირება მოახდინოს.

— როგორ ფიქრობთ — რუსული მასმედია რა მიზნით ავრცელებს ცნობებს აშშ-ის მიერ საქართველოსთვის შეიარაღების მიყიდვის შესახებ?

— რუსეთი იმ ინფორმაციას ავრცელებს, რომელიც მას ხელს აძლევს: კვლავ ეძლევა საშუალება, უარი თქვას როგორც საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაზე, ისე სარკოზი-მედვედევის შეთანხმების შესრულებაზე. დარწმუნებული ვარ, კრემლი იმასაც მოიმიზეზებს, რომ საქართველო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე თავდასასხმელად იარაღდება, და სეპარატისტულ რეგიონებში დამატებით სამხედრო ძალას შეიყვანს.

— ასეთ შემთხვევაში ვაშინგტონის პოზიცია როგორი იქნება?

— შეეცდება, დიპლომატიური მეთოდებით მოაგვაროს სიტუაცია. არც იმას გამოვრიცხავ, რომ მოლაპარაკებების პარალელურად, თანამიმდევრულად გაგვიწიოს სამხედრო დახმარება. პირველ რიგში, მოამზადებს ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს, შემდეგ მცირე რაოდენობის იარაღსაც მოგვაწვდის. ამის მერე ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ გამოიჩენენ თავს ქართველი ჯარისკაცები წვრთნებზე, როგორ განვითარდება ჩვენი თავდაცვის სისტემა და რა ნაბიჯებს გადადგამს რუსეთი.

— როგორც ცნობილი გახდა, ობამამ სააკაშვილთან შეხვედრისას განსაკუთრებულად აღნიშნა საქართველოს წვლილი ავღანეთის მისიაში და მადლობა გადაუხადა ქართველ მებრძოლებს. ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ავღანეთში ქართული კონტინგენტი კიდევ გაიზრდება?

— პრეზიდენტი სააკაშვილი ამის გაკეთებას ნამდვილად შეეცდება, იმიტომ, რომ ავღანეთში საქართველოს შეიარაღებული ქვედანაყოფების დიდი რაოდენობით წარმოდგენა მას საერთაშორისო არენაზე პოლიტიკურ ქულებს მატებს. ალბათ შეამჩნიეთ, რომ ბოლო დროს დასავლეთი კმაყოფილებას ვერ ფარავს მისიაში ქართველების მონაწილეობის გამო. მართალია, სააკაშვილს ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვის გამო საკუთარი მოსახლეობისგან გარკვეული წინააღმდეგობა შეხვდა, მაგრამ ვფიქრობ, ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ კონტინგენტი კიდევ გაზარდოს.

სოსო ცინცაძე:

— ჩემი აზრით, ავღანეთის მისიაში საქართველოს შეიარაღებული ქვედანაყოფების მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია. აშშ-ის ინტერესებშია, ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობა და კავკასიაში — აშშ-ისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში დემოკრატიული, ძლიერი რეჟიმის არსებობა. სწორედ ამიტომ უწყობს ხელს საქართველოში დემოკრატიისა და ეკონომიკის გაძლიერებას. ობამა-სააკაშვილის შეხვედრის „მარგი ქმედების კოეფიციენტი“ ძალიან მაღალი იყო, რადგან ის ორივე მხარის ინტერესებში შედიოდა.

— რამდენად რეალურად მიგაჩნია კულუარული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვაშინგტონში გამართულ შეხვედრაზე ობამა შეეცადა, დაერწმუნებინა სააკაშვილი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრების აუცილებლობაში?

— ოფიციალურ ცნობებში ვმო-ში რუსეთის გაწევრების საკითხი არსად ფიგურირებს, მაგრამ მეც დარწმუნებული ვარ, რომ შეხვედრა ამ თემის გარეშე არ ჩაივლიდა. თუმცა არა მგონია, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრებაში რუსეთს მხოლოდ საქართველო უშლიდეს ხელს. ამ საქმეში ყველაზე სერიოზული ხელის შემშლელი ფაქტორი თვით რუსეთის კანონმდებლობაა. ჩვენ ვიცით, რუსეთში რა პრობლემებიც დგას. ერთ-ერთია — დაუმუშავებელი ხეტყის ექსპორტზე ბაჟის შემცირება, რასაც მოსკოვისგან მთელი ევროპა და აშშ მოითხოვს. რუსეთის არგუმენტი ის არის, რომ ევროპის ქვეყნებს დაუმუშავებელი ხეტყე შემდგომში, უკვე დამუშავებული — ავეჯის სახით ისევ უკან მიაქვთ და ამის შედეგად, ათმაგ მოგებას იღებენ. ამიტომაც, ევროპისა და დასავლეთის მოწოდების მიუხედავად, ერთი კვირის წინ რუსეთის მთავრობამ პუტინის ინიციატივით, კვლავ მიიღო კანონი იმის შესახებ, რომ ბაჟი არ შემცირდება. ეს ძალზე ძლიერი ხელის შემშლელი ფაქტორია ვმო-ში რუსეთის გაწევრებისთვის. ასე რომ, ყველაზე დიდი ბარიერი — არა საქართველოს პოზიცია, არამედ რუსეთის კანონმდებლობაა.

— ახლახან ევროკავშირმა პუტინ და ვიცე-პრემიერ იგორ სეჩინ, „იუკოსის“ საქმესთან კავშირის გამო, ეწ. „შავ სიაშიც“ კი შეიყვანა. როგორ ფიქრობთ — მსგავსი სახის ზეწოლა აიძულებს რუსეთის ხელისუფლებას, კანონების ლიბერალიზაცია დაიწყოს?

— ადრე თუ გვიან, რუსეთს მაინც მოუწევს, რიგი კანონების ლიბერალიზაცია დაიწყოს. რუსეთში გაბატონებული ოლიგარქიული მონოპოლია და დღეს მოქმედი კანონმდებლობა არც პოლიტიკოსებს აძლევს ხელს და არც ბიზნესელიტას. არსებული სიტუაციის გამო, ქვეყნის შიგნით არსებული პროტესტი კიდევ უფრო გაიზრდება და საბოლოოდ, პუტინის რეჟიმი ზეწოლას ვეღარ გაუძლებს. უკვე 18 წელია, რუსეთი ვმო-ში შესასვლელად იბრძვის. საქართველოს თემა მხოლოდ ბოლო რამდენიმე წელია, მწვავედ დადგა. როგორ გგონიათ — მთელი 15 წელი რა უშლიდა ხელს? ხელს უშლიდა კანონები, რომლებიც არ ეგუება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კანონმდებლობას.

■

ფასი: 16.99
ფასი: 16.99
ფასი: 16.99
ფასი: 19.99
ფასი: 9.99
ფასი: 9.99

სახე

„კამეჩისთაველი“ ნიკა გრიგოლიას და „ქალაქელი“ თამუნა ლეკვეიშვილის ამბავი

თამუნა ლეკვეიშვილი ახალი წლის დღესასწაულს მეუღლესა და მეგობრებთან ერთად, ერთ-ერთ კლუბში შეხვდა; ნიკა გრიგოლია კი „გასიმპათიურებულ“ თერვჯოლაში გახლდათ, სადაც ნიკა არაბიძესთან ერთად კონცერტს უძღვებოდა. ამჟამად, „კომედი ჯგუფი“ დამსახურებულად ისვენებს. მათ შორის — ჩემი რესპონდენტებიც — ზესტაფონელი „რომეო და ჯულიეტა“...

ეთო ყორღანაშვილი

თამუნამ სრულიად სამართლიანად გვაგინა!

თამუნა ლეკვეიშვილი:

— 2010 წლით ძალიან კმაყოფილები ვართ — „კომედი შოუსთვის“ „ამოქაჩვის“ წელი იყო.

ნიკა გრიგოლია:

— მართლაც კარგი წელი გვქონდა: შოუში ბევრი ახალი ტიპი გამოჩნდა... როცა გადაცემას ვწერთ, თავადვე ვხვდებით, კარგია თუ — ძალიან კარგი. 2010 წელს ყველა გადაცემა ძალიან კარგი გამოგვივიდა, რაც შოუს რეიტინგზეც აისახა.

თამუნა:

— ასევე — „კომედი ჯგუფის“ მიერ ჩატარებულ კონცერტებზეც — დარბაზი ხალხით გაივსო!

— კონცერტებზე გაუთვალისწინებელი შემთხვევები ხომ არ ყოფილა?

ნიკა:

— კობა ბარათელს არ შეუძლია, სცენისთვის დეკორაციების შერჩევაში არ ჩაერიოს: კონცერტის დაწყებამდე, ბიჭები განათებას ამონტაჟებდნენ. კობამ შესთავაზა, მოგეხმარებითო. ვიდრე ბიჭები ეტყოდნენ, თავი დაანებეო, კობა მავთულებს ეცა და კონცერტამდე 2 საათით ადრე, დენმა დაარტყა! ბუნებრივია, ფილარმონიაში სილაში ვერ ჩავფლავდით. „შებარძგვალებული“ კობა ბარათელის გონზე მოყვანას ნახევარი საათი მოვანდომეთ (*იცინიან*)...

თამუნა:

— იმავე დღეს, კობას კიდევ რაღაც დაემართა: ცოტა დაბალი დეკორაცია გვქონდა, რომელსაც შიგნითა მხრიდან წვეტები ჰქონდა. ამიტომ ფრთხილად უნდა გაგევლო. კობა ამ წვეტებს თავით „გამოედო“ (თან, მოგეხსენებათ, თმა არა აქვს) და თავი „გადაიხლიწა“.

— მიუხედავად ამისა, კონცერტი წარმატებით ჩატარდა?

ნიკა:

— საკაიფოდ. დენის დარტყმის შემდეგ კობა დაიმუხტა და კონცერტზეც უფრო მეტი ენერგია ჰქონდა!..

— „კომედი შოუს“ და „ვანოს შოუს“ საახალწლო გადაცემით კმაყოფილი ხართ?

— საახალწლო გადაცემებით კმაყოფილი ვართ. ერთი ეგაა, რომ „კომედი შოუს“ ჩაწერა რეკორდულად მცირე დროში მოხდა.

თამუნა:

— ჩაწერა ღამის 2 საათზე დავიწყეთ და დილის 6 საათზე დავიშალეთ.

შეიძლება მაყურებელმა შემატყო კიდეც, რომ ეთერში „მძინარე“ სახით ვლაპარაკობდი

ნიკა:

— შეიძლება მაყურებელმა შემატყო კიდეც, რომ ეთერში „მძინარე“ სახით ვლაპარაკობდი. სხვაგვარად შეუძლებელი იყო, რადგან რამდენიმე დღის განმავლობაში დაძაბული გრაფიკით ვმუშაობდით — კონცერტები გვქონდა... ამ რეჟიმს ჩვენმა გოგონებმაც გაუძლეს; განსაკუთრებით — თამუნამ, რომელიც ღამის 2 საათიდან დილის 6-მდე გველოდა, ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ მის ჩაწერას ველარ ვახერხებდით. ამიტომ თამუნამ სრულიად სამართლიანად გვაგინა! არავინ შევკამათებივართ, თავჩაღუნულები ვუსმენდით (*იცინიან*)...

— თამუნა, „კომედი შოუს“ ბიჭები ასეთ სიტუაციაში ხშირად გაყენებენ?

— არა, არა, ასეთ სიტუაციაში პირველად აღმოვჩნდი და ძალიან გავბრაზდი.

ნიკა:

— მეორედ და მესამედ უკვე მიეჩვევა, არა უშავს (*იცინის*). ვხუმრობ, რა თქმა უნდა, — მსგავსი რამ არ განმეორდება.

ᲗᲐᲛᲣᲜᲐ:

— „ვანოს შოუს“ საახალწლო გადაცემაც მაგარი გამოვიდა, ეთერშიც ვნახე და შემიძლია ვთქვა, რომ ეთერში ბევრად კარგი იყო, ვიდრე — ჩაწერაზე.

ᲜᲘᲙᲐ:

— მართლაც ძალიან კარგი იყო: ბევრი საინტერესო სტუმარი გვყავდა, დეკორაციაც კარგი გვქონდა...

— „კომედი შოუში“, ზესტაფონელი რომეო და ჯულიეტა ერთ-ერთი სახალისო წყვილია. ეს პერსონაჟები როგორ შეიქმნა?

— მოგეხსენებათ, მე და თამუნა ზესტაფონელები ვართ. ერთხელ თამუნამ დამირეკა, ჩვენს თეატრში ბიჭს ეძებენო. კასტინგი გავიარე, სადაც „ცნობილ რეჟისორს“, ამირან გელაშვილს ძალიან მოვეწონე. ასე დამასაქმეს ზესტაფონის თეატრში. როგორც მსახიობს, თამუნას მთელ იმერეთში მანამდეც ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა: სპექტაკლი როცა მთავრდებოდა, თამუნა თაყვანისმცემლების მიერ მიძღვნილი ყვავილების გატანას ვერ აუდიოდა (*იცინიან*)... განსაკუთრებულად, თამუნას გაბრაზებული პერსონაჟი მომწონს. მსოფლიო დონის ვერც ერთი რეჟისორი ვერ მეტყვის, რომ თამუნაზე მაგრად ვინმე „გაბრაზდება“! ძალიან ნიჭიერია... ჩემი და თამუნას პერსონაჟებს რაც შეეხება, ერთხელ გადავწყვიტეთ, რომ სოფლის თეატრის შესახებ სკეტჩი გაგვეკეთებინა, მერე კი იმერელი პერსონაჟების როლები მოვირგეთ. არ მეგულება ადამიანი, ვისაც ჩვენ მიერ განსახიერებული გმირები არ მოსწონს.

— ზესტაფონელები ხომ არ გაგინაწყენდნენ?

ᲗᲐᲛᲣᲜᲐ:

— რაც ეს სკეტჩები ეთერში გავიდა, ზესტაფონში არ ვყოფილვართ, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენი პერსონაჟები იქ ძალიან მოსწონთ. არავინ განაწყენებულა, პირიქით...

ᲜᲘᲙᲐ:

— ჩემს ზესტაფონელ მეგობრებს ზესტაფონის დაპიარება ძალიან ახარებთ. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ არავის დავცინით. ან როგორ უნდა დავცინოთ, როცა თავადაც ზესტაფონელები ვართ? ჩვენს სკეტჩებს დაცინვად არავინ აღიქვამს. ერთი-ორი შემთხვევა იყო, როდესაც რამდენიმე ადამიანი განაწყენებული დარჩა, მაგრამ ეს იმ ადამიანის პრობლემაა, ვინც ჩვენი იუმორი ვერ გაიგო. ამ სკეტჩისთვის ჩემთვის პატივსაცემი ბევრი ადამიანი მადლობას მიხდის.

— რეალურად, ზესტაფონში კულტურული ცხოვრება როგორია?

ᲗᲐᲛᲣᲜᲐ:

— ამ მხრივ, ზესტაფონში 1998 წლამდე რაც ხდებოდა, იმას გეტყვი: კულტურული ღონისძიებები — მუსიკალური, პოეტური საღამოები ყოველთვის ეწყობოდა.

ᲜᲘᲙᲐ:

— მახსოვს, ცხრაწყაროში „ვარინკობა“ (ვარინკა წერეთლის პატივსაცემად) იმართებოდა. სტუმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიოდნენ.

ᲗᲐᲛᲣᲜᲐ:

— თეატრში სპექტაკლები იდგმებოდა. ზესტაფონში, „კავეენში“ ვთამაშობდი. გახსოვს, ნიკა?

ᲜᲘᲙᲐ:

— კი. თამუნას ვგულშემატკივრობდი.

ᲗᲐᲛᲣᲜᲐ:

— ზესტაფონში ბევრი საკონცერტო დარბაზია. ძალიან ბევრ ღონისძიებაში ვმონაწილეობდი. ბავშვობიდან შემოქმედებით ცხოვრებას შევეჩვიე.

— ერთმანეთი როგორ გაიცანით?

ᲜᲘᲙᲐ:

— ზესტაფონში ცხოვრებისას, ერთმანეთთან არ ვმეგობრობდით. თამუნა „ქალაქელი“ („ქალაქი“ უბანს ჰქვია) იყო, მე კი „კამეჩისთავზე“ ვცხოვრობდი. ხალხს ჩემი უბნის სახელს რომ ვეუბნები, ხუმრობა ჰგონიათ და მეკითხებიან, რისი თავიო?! „ქალაქელი“ თამუნა ზესტაფონში საუკეთესო მომღერალი გახლდათ... ერთმანეთს თბილისში, ტელეკომპანია „202“-ში დავუმეგობრდით. თამუნა ძალიან მიყვარს! სამსახურში ყველანი ერთმანეთთან ვმეგობრობთ, მეგობრებს შორის, ერთ-ერთი ჯიგარი თამუნაა!

— მასში ყველაზე მეტად რა მოგწონს?

— მერყევი ხასიათის ადამიანები

არ მიყვარს. თამუნას აზრს ვერ შეაცვლევინებ (თუ ობიექტურად დაუსაბუთებ, აზრი რატომ უნდა შეიცვალოს, ეგ სხვა საქმეა). საერთოდ, ჩვენს სამსახურში, გოგონები უმცირესობაში არიან, მაგრამ კარგად „გვიმკლავდებიან“.

— თამუნა, ამდენ ბიჭთან „გამკლავება“ რთულია?

— უკვე — აღარ (*იცინის*). თავიდან მართლა რთული იყო, რადგან მარტო ვიყავი, ცოტათი ვკომპლექსდებოდი, ახლა კი „აქეთ-იქით“ გოგონები მყავს. დიდი ხანია, ჩვენს ბიჭებთან ვმეგობრობ და პრობლემა არც ერთთან არ მაქვს. ყველა მიყვარს, მათ შორის — ნიკაც, რომელიც ძალიან მხიარულია, ყოველთვის კარგ ხასიათზე მაყენებს.

ნიკა:

— თამუნაც ამიტომ მიყვარს: ზოგჯერ, როცა სამსახურში ძალიან „დაგრუზულები“ ვართ და თამამად იხუმრებ, შეიძლება გითხრან, რა დროს სიცილიაო? თამუნა ამას არასოდეს იტყვის...

— თამუნა, ბევრი „ქმარი“ გყავდა: კობა, ვასო, „კასპელი ზაურა“, ახლა „იმერელი რომეო“ გამოჩნდა... რომელ „ქმართან“ უფრო კომფორტულად გრძნობდი თავს?

— (*იცინის*) „დიპლომატიურ“ პასუხს გაგცემ: ვერც ერთს ვერ გამოვარჩევ, ყველანი ძალიან კარგები არიან!

ნიკა:

— მე თამუნას და „მუსიე ფხაკუას“ (ვასოს) დუეტის ცქერისას სიცილით ვკვდებოდი — ვითომ არისტოკრატი ქალისა და კაცის როლებს რომ ასრულებდნენ. ვასოს როლი ჯერ ასე არ მოხდენია!

თამუნა:

— ფეხის თითებს შორის, დიდი სიგარა რომ ჰქონდა გარჭობილი, სულ ის მახსენდება (*იცინიან*).

ნიკა:

— ბილიარდის თამაშისას, პირში ყურძნის მარცვალს რომ გიგდებდა? აუ, ეგ სკეტჩი კიდევ გავაკეთოთ, რა!..

— ნიკა, შენი პერსონაჟებიდან ვის გამოარჩევ?

— როცა „კომედი შოუ“ დაიწყო, თავდაპირველად, კონკრეტული ტიპების როლს არ ვთამაშობდი. მერე ძირითადად, გადაცემების პაროდიებს ვაკეთებდი. ყოველთვის აღვნიშნავ, რომ პაროდიის ნიჭი არ მაქვს.

თამუნა:

— ძალიან თავმდაბალია.

ნიკა:

— ვინც მიყვარს, იმათ პაროდიას ვაკეთებ და გამომდის. „ზესტაფონელი“ („პრეზიდენტის“ თანმხლები) არავის პაროდია არ არის, „აგორებული“ ტიპია, რომელიც ხალხს ძალიან მოსწონს. „შორენა ბეგაშვილის“ პარ-

ოდია მომწონდა-მეთქი, რომ გითხრა, შეიძლება, ჩემს პასუხს სხვა კითხვებიც მოაყოლო (*იცინის*). ძალიან წარმატებული პაროდია იყო, მაგრამ შორენას როლის შესრულება დიდად არ მსიამოვნებდა: წარმოიდგინე, მაკიაჟი, კოლჰოტი, კაბა... თან, კობა ბარათელს რომ მოსწონხარ და კულისებში დაგდევს!.. ამ დროს არანაირი როლის თამაში აღარ მინდოდა (*იცინიან*)!

— „ოქროს ჩიჩილაკის“ „დავჯილდოების ცერემონიაზე“ ის კადრები აჩვენეთ, რაც წინათ ეთერში ვერ მოხვდა. სკეტჩების ჩაწერისას, თურმე სიცილისგან თავის შეკავება ზოგჯერ ძალიან გიჭირთ. მსგავსი რამ კონცერტებზეც ხომ არ გემართებათ ხოლმე?

— კონცერტზე გადაცემა „პროფილის“ პაროდიას ვაკეთებდით. ვასო სცენაზე ჩანთით შემოვიდა და წამყვანს უთხრა, შეყვარებული მყავს, მაგრამ მშობლებს მიაჩნიათ, რომ ერთმანეთის შესაფერისები არ ვართო. შემოიყვანეთ შეყვარებული-მეთქი, ვუთხარი. აქ მყავსო, თქვა და ჩანთიდან ქათამი ამოიყვანა. ელენესთან (ქათამს ასე ერქვა) ახლოს მივედი და ვკითხე: ვასოს როგორი სიყვარული შეუძლია-მეთქი? ამ დროს ვცდილობდით, სიცილი არ წაგვსკდომოდა. ვასოსკენ რომ გამეხედა, სიცილისაგან თავს ვეღარ შევიკავებდი. საბედნიეროდ, გადავრჩით.

— თქვენს ოჯახურ ცხოვრებასაც შევეხოთ. შორენა ბეგაშვილის პაროდიას თუ არ ჩავთვლით, ნიკას თავისი ბიჭუნა ეკრანზე რომ ცნობს, ვიცი. თამუნა, შენს პატარას თუ აქვს რეაქცია, როცა ეკრანზე გხედავს?

— რეალურად როცა მხედავს, რეაქცია აქვს, მაგრამ ეკრანს ჯერ არ ვაყურებინებ. ნინი სულ რაღაც 7 თვისაა და მის თვალებს ვუფრთხილდებით...

ნიკა:

— ტელევიზორის ყურების უფლებას მხოლოდ „კურიერის“ დროს აძლევს, რადგან ბავშვმა უნდა იცოდეს, ქვეყანაზე რა ხდება (*იცინიან*).

— როგორი მშობლები ხართ?

— ვერ დავიტრაბახებთ, რომ შვილებს ბევრ დროს ვუთმობთ. გაცილებით მეტი დრო სამსახურს მიაქვს, მაგრამ მიმაჩნია, რომ კარგი მშობელი ვარ და ჩემი შვილისთვის მაქსიმუმს ვაკეთებ. მისი დაბადების დროსაც მის გვერდით ვიყავი. ძალიან პატარა როცა იყო, სამსახურში სისტემატურად ვაგვიანებდი — შვილს ვუვლიდი, რაც მსიამოვნებდა კიდეც. გუშინ ჩემს ცოლს ვეუბნებოდი, ბავშვი სამსახურში უნდა წავიყვანო-მეთქი, მაგრამ სამსახურში რომ წავიყვანო, ვეღარ ვიმუშავებ. არ ვიცი, რა ვქნა... არა მგონია, რომელიმე მშობელს შვილთან ყოფნას, კობა ბარათელთან ერთად ყოფნა ერჩივნოს, მაგრამ...

— კი, მაგრამ კობა ბარათელს რას ერჩი, რამდენჯერ უნდა ახსენო?

— თუნდაც ვასო, მიშა ან ნებისმიერი სხვა იყოს! კობა ჩემი უსაყვარლესი მეგობარი და „მუზაა“!

— თამუნა, პატარის მოვლას როგორ ახერხებ?

— ძიძა მყავს. მის გარეშე რა მეშველებოდა, არ ვიცი. ნინი ძალიან წყნარია. მისი დაბადებიდან დღემდე, არც ერთი ღამე არ გამითენებია: ღამით, ძილის წინ ჭამს და დილამდე მშვიდად სძინავს. ახლა ორი ქვედა „კიჭი“ ამოუვიდა — ძალიან სასაცილოა.

— მალე მუშაობას ისევ დაიწყებთ. მაყურებლებს ახალს რას ჰპირდებით?

— ყოველთვის ხალხის სამსახურში ვიქნებით — იმედებს არ გავუცრუებთ. ალბათ სიახლეებიც გვექნება. მუშაობას განახლებული ენერგიით დავიწყებთ. ჩვენს ერთგულ მაყურებლებს ისევ ძალიან კარგ გადაცემებს ვპირდებით!..

ნიკა:

— 2009 წელს სტაბილურები ვიყავით, მაგრამ „აფეთქებები“ არ გვქონდა, 2010-ში კი ბევრი მაგარი სკეტჩი ჩავწერეთ, ახალი პერსონაჟები გვყავდა... ისეთი ტემპით მივდივართ, რომ დარწმუნებული ვარ, 2011 წელი გასულს აჯობებს. დასვენებულები ახალ სკეტჩებს, ახალ ხუმრობებს შემოგთავაზებთ!..

■

გამსახურდიების მონათლული ამაღლობლები და ტრადიცია, რომელსაც ბევრი არღვევს

ნათლისღება ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაულია. 19 იანვარს, როგორც წესი, ნათლულები ნათლიებთან ერთად ტაძარში ან მათ ოჯახებში ხელდამშვენებულები სტუმრად მიდიან და ამ დღეს ულოცავენ. ნათელმირონობას საქართველოში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა. დავინტერესდით, როგორ აღნიშნავენ ამ დღესასწაულს საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების ნათლიები და ნათლულები.

თამთა დადეშელი

სოფო ხალვაში, *მომღერალი:*

— 3 ნათლული მყავს. ნათლისღების დღესასწაულზე ტაძარში ან მათ ოჯახებში მივდივარ, ზოგჯერ ისინი მოდიან ჩემთან. ჩემი ნათლია ბათუმში ცხოვრობს და როცა იქ ვიყავი, ყოველთვის ვსტუმრობდი მას; ახლა უბრალოდ ვურეკავ და ისე ვულოცავ. ნათლისღება უდიდესი დღესასწაულია, ადამიანი სრულიად იცვლება ნათლობის შემდეგ. მაგალითად, როცა ჩემი შვილი მოვნათლეთ, ღამე კარგად ეძინა; ამ დროს ბავშვს უკვე თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავს, რომლიც იცავს. ჩემი შვილის ნათლიები ჩემი და ჩემი მეუღლის მეჯვარეები არიან, ასევე — ჩვენი მოძღვრის შვილი.

გიო ხუციშვილი, *მომღერალი:*

— ბევრი ნათლული მყავს და ნათლისღების დღესასწაულზე თითქმის ყველა მათგანი მირეკავს და მილოცავს. ჩემი ნათლიებიდან ერთი გარდაცვლილია; მეორე კი — ქალბატონი მედეა გონგლიაშვილია — პიანისტი, რომელიც წლების მანძილზე ქალბატონი ნანი ბრეგვაძის პარტნიორი გახლდათ; ახლა ძალიან ცუდადაა და აუცილებლად უნდა მოვინახულო... დაახლოებით 15 ნათლული მყავს. მათ შორის არიან ხატია შამუგიას და ალეკო კვაშალის შვილები, დანარჩენები — ჩემი ახლობლებისა და მეგობრების შვილები არიან. ნათლისღება ჩემთვის ლამაზი და სასიხარულო დღესასწაულია. ვცდილობ, ამ დღეს მაინც გამოვიჩინო ყურადღება ჩემი ნათლულების მიმართ, რადგან ისეთი დატვირთული და დაძაბული ცხოვრებაა, მათ ნახვას ხშირად ვერ ვახერხებ.

— ტაძარში თუ დაგყავთ თქვენი ნათლულები?

— საერთოდ, ყოველ დღესასწაულზე ვცდილობ, მივიდე ტაძარში, სანთელი დავანთო და ყველას ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა შევთხოვო ღმერთს.

სოსო ციხკარიშვილი, *ექსპერტი:*

— საკმაოდ გვიან — 40 წლის ასაკში მოვინათლე, რადგან ჩემს ოჯახს ცუდი გამოცდილება ჰქონდა ნათლობასთან დაკავშირებით: როცა ჩემი უფროსი და მოინათლა, მისი ნათლია კომუნისტებმა პარტიიდან გარიცხეს და სამსახურიდან გაათავისუფლეს. ჩემი მშობლები საკმაოდ დაფრთხნენ, როდესაც ჩემი მონათვლის საკითხი დადგა, ამიტომ მხოლოდ „ნომინირებული“ ნათლიები მყავდა, თუმცა თავად ნათლობის პროცესი ჩატარებული არ იყო. ამჟამად ერთი ნათლია მყავს. ბედნიერი ვარ იმ ფაქტით, რომ სახლში მისი უწმინდესობის ნაჩუქარი ბიბლია მაქვს, მისივე წარწერით, და როგორც რელიკვიას, ისე ვინახავ.

— თქვენ რამდენი ნათლული გყავთ?

— ვინაიდან მაშინ, როცა ჩემი მეგობრები თავიანთ შვილებს ნათლავდნენ, მე თვითონაც მოუნათლავი ვიყავი, მხოლოდ 3 ნათლული მყავს.

— თქვენი ქალიშვილის ნათლია ვინ არის?

— მისი ნათლია ქალბატონი თოლია (თამარ) აბაშიძე გახლავთ — ბატონ გრიგოლ აბაშიძის ქალიშვილი; ჩემი სიძის, რატი ამაღლობელის — ბატონი ზვიად გამსახურდია იყო; მათი უფროსი ვაჟის კი — კონსტანტინე გამსახურდია და ლაშა ბუღაძე.

გივი სიხარულიძე, *მსახიობი, მწერალი:*

— ნათლისღება უდიდესი დღესასწაულია. ძალიან მიყვარს ეს დღესასწაული, ასევე — შობა, მარიამობა, ნინოობა, გიორგობა, აღდგომა და ა.შ. ახალი წელი, ბოდიში და, სულ „ფეხებზე მკიდია“, — რაც მეტი ახალი წელი მოდის, მეტად მაკლდება სიცოცხლის წლები... მე ერთი ნათლია მყავს; მოჭიდავე, ვაჟკაცი კაცია — გურამ ფირანიშვილი. მე თვითონ ბევრი ნათლული მყავს — ასეთ ამბავზე უარს როგორ ვეტყვი ადამიანს?! ყველა მათგანი ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ვცემ.

ზაალ წულუკიძე (ვინი), *ტელეწამყვანი:*

— 3 წლის ვიყავი, როცა დიდუბის ეკლესიაში მოვინათლე. 2 ნათლია მყავს, რომელთაგან ერთი სულ სამჯერ მყავს ნანახი, მეორე კი — გულიკო ნათლია ყოველთვის ზრუნავს ჩემზე და ხშირად ვნახულობთ ერთმანეთს, თუმცა ნათლისღების დღესასწაულზე მისვლის ტრადიციას, სამწუხაროდ, ვარღვევ ხოლმე. მე თვითონ ერთი ნათლული მყავს, მაგრამ — „გემრიელი“: ანანო ჩუბინიძე — დავით აქუბარდიას შვილიშვილი. ნათლიას ჰგავს — ჩემნაირი „ბოხორია“ გოგოა (*იცინის*). ჭამა-სმა უყვარს და იუმორის გრძნობა აქვს. როცა ერთად ვართ, ისე მოვილხენთ ხოლმე, რომ გარშემო მყოფებს შურთ კიდეც ჩვენი. რაც მთავარია, ჩემით ტრაბახობს. ახლა ბატონები აქვს და გულში ვუმღერი ხოლმე, რომ მალე გამოჯანმრთელდეს.

ნათლიას ჰგავს — ჩემნაირი „ბოხორია“ გოგოა (იცინის). ჭამა-სმა უყვარს და იუმორის გრძნობა აქვს.

გია ხუროშვილი, *მთავრობის საპარლამენტო მდივანი:*

— ძალიან მიყვარს ნათლისღების დღესასწაული. ამბობენ, ქართული ტრადიციის მიხედვით, ნათლულმა ნათლიას მამალი უნდა აჩუქოსო, მაგრამ კიდევ კარგი, ჩემთვის არავის მოუყვანია, თორემ წარმოიდგინე, სად უნდა წამეყვანა 7 მამალი (7 ნათლული მყავს)?!. მამალი არ მიმყავს, მაგრამ აუცილებლად მოვიკითხავ ხოლმე ჩემს ნათლიას, რომელიც უცხოეთში ცხოვრობს. მეორეც უცხოეთშია, მაგრამ მისი კოორდინატები, სამწუხაროდ, არ ვიცი... რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია არა მაქვს, მაგრამ სულ ვფიქრობ, ჩემს ნათლულებს ერთად მოვუყარო თავი, მოვეფერო და ერთმანეთი გავაცნო, ოღონდ მეშინია, არ იეჭვიანონ (იცინის), განსაკუთრებით — ორმა: გურულები არიან და მოსწონთ, როცა მათ ნათლიას მხოლოდ ერთი ნათლული ჰყავს. მიხარია, რომ ქართველებისთვის ქრისტიანული დღესასწაულები უფრო მეტ შინაარსობრივ დატვირთვას იღებს, ვიდრე ეს წლების წინ იყო, როცა ნათლობა ხშირად, გაუცნობიერებლად ხდებოდა. შესაბამისად, ნათლიას მეტი ყურადღება მართებს ნათლულების მიმართ, რითაც, სამწუხაროდ, ვერ გამოვირჩევი და ვეცდები, მომავალში ეს ხარვეზი გამოვასწორო...

ლიკა ქავჭარაძე, *მსახიობი:*

— 5 წლის ასაკში მოვინათლე. ჩემი ნათლიებიდან მხოლოდ ერთია ცოცხალი... მე თვითონ, 3 ნათლული მყავს — ორი გოგონა და ერთი ვაჟი.

— **რა განცდა გქონდათ, როდესაც პირველად მონათლეთ ბავშვი?**

— პირველ რიგში, ძალიან გამიხარდა, რომ ჩემი ნათლიობა მოინდომეს. ვისი მეჯვარეც ვიყავი, მისი შვილი მოვნათლე.

— **რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ეს დღესასწაული?**

— ამ დღეს დედაჩემი გარდაიცვალა, ამიტომ ჩემთვის, ემოციებისა და განცდის მომგვრელი დღე უფროა...

ზურა ხაჩიძე, *მომღერალი:*

— ნათლისღების დღეს დილა ტაძარში წასვლით იწყება. თუმცა ჩემი ნათლულები სხვა დღეს მიმყავს ხოლმე ეკლესიაში, საზიარებლად. ვცდილობ, მუდმივად მივაქციო ყურადღება. განსაკუთრებული ის არის, რომ დები მოვნათლე — ჩემი მეგობრის შვილები. მახსოვს, პირველი ნათლობისას დიდი პასუხისმგებლობა ვიგრძენი. ნათლულებიდან ერთ-ერთი — ავთო ცქვიტინიძის ანასტასია გახლავთ. რაც შეეხება ჩემს ნათლიებს: გია ჯოხაძე და გია გუმბერიძე არიან, რომლებიც ყოველთვის მილოცავენ, ჩემზე ზრუნავენ და როგორც შეუძლიათ, ყურადღებას მაქცევენ.

— **თქვენს ანასტასიას რამდენი ნათლია ჰყავს?**

— 7, მაგრამ არც ერთი არ არის საზოგადოებისთვის ცნობილი, გურამიკო ლომიძის გარდა.

ნატო დუმბაძე, *პროდიუსერი:*

— ნათლისღების დღესასწაულზე, ვიდრე ნათლულები ჩემთან მოვლენ, ტაძარში წირვას ვესწრები და ვეზიარები.

— **ვინ არიან თქვენი ნათლულები?**

— ჩემი ერთ-ერთი ნათლული — გურამიკო ლომიძისა და ხატია შამუგიას შვილია. მის ნათლობას ვერ დავესწარი, რადგან იმ დროს საზღვარგარეთ ვიმყოფებოდი, მაგრამ მოხსენიებული ვარ, როგორც ნათლია. მაშინ „ქუჩის ბიჭების“ პროდიუსერი ვიყავი. როცა ხატია მხვდება, მეხუმრება ხოლმე, — ბავშვი გაიზარდა და ცოლი მოიყვანაო (*იცინის*)... ცუდია, როცა იკარგება ნათლია-ნათლულს შორის ურთიერთობა. ეს ჩემი ბრალიცაა. საერთოდ, ბევრი ნათლული არ მყავს, სულ — 4, რადგან ნათელმირონობა დიდი პასუხისმგებლობაა. ნინო ორდენიძის შვილი, დოდოშკა გვაზავაც ჩემი ნათლულია.

— **თქვენი სხვა ნათლულები ტაძარში თუ დაგყავთ ხოლმე?**

— ზოგიერთი უკვე დიდია და ჩემი წაყვანა აღარ სჭირდება, პატარები კი თავიანთ მშობლებს დაჰყავთ, რადგან არ მომყვებიან — დედებს უფრო ემორჩილებიან.

— **თქვენ რა ასაკში მოინათლეთ?**

— კომუნისტების დროს მოვინათლე, დიდუბის ღვთისმშობლის ტაძარში; მე-6 კლასში ვსწავლობდი. ერთი ნათლია მყავს, რადგან მაშინ უფრო მეტად, ასე იყო მიღებული და ვინმეს მონათვლაც გმირობის ტოლფასი იყო.

თამუნა კვინიკაძე

ეკრანს მიღმა

მეგობრობა, საერთო საქმე და პირადი ცხოვრება

„ჭორები არ აგვცდება“

ეთერში ახალი „დილა იმედზე“ დაიწყო. ჩვენთვის ხალისიანი განწყობილების შექმნაზე მარიამ ჯოლოგუა და ჯაბა კილაძე, ხოლო მეორე დილით — სალომე გოგიაშვილი და კახა მიქიაშვილი ზრუნავენ. ამჯერად ჩემი რესპონდენტები — სალომე და კახა არიან. მართალია, მათი სატელევიზიო ტანდემი პირველად შედგა, მაგრამ ისინი დიდი ხნის მეგობრები არიან.

— როგორ მოხვდით ამ გადაცემაში?

სალომე:

— დაახლოებით 1 თვის წინ „იმედიდან“ დამირეკეს და მითხრეს, რომ დილის გადაცემისთვის კასტინგი ტარდებოდა. მთხოვეს, მივსულიყავი. შესარჩევი ტურის გავლიდან 1 კვირის შემდეგ კვლავ დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ 4 წამყვანიდან ერთ-ერთი მე ვიქნებოდი.

კახა:

— ეს კასტინგი საყოველთაოდ არ იყო გამოცხადებული. რამდენიმე სავარაუდო კანდიდატურა ხელმძღვანელობამ თავიდანვე შეარჩია. მე იმ დღეს ტელევიზიაში სულ სხვა საქმეზე ვიყავი მისული, სალომე შემხვდა და მითხრა, რომ კასტინგზე იყო. ცოტა ხანში გადაცემის პროდიუსერი, ირმა სოხაძე მეც დამიკავშირდა. მის წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი. აი, ასე აღმოვჩნდი „იმედის“ დილის გადაცემაში. თავდაპირველად მე და მარიამ ჯოლოგუა ჩაგვწერეს. შემდეგ შეგვცვალეს, მე — სალომესთან, ხოლო მარიამი — ჯაბა კილაძესთან დააწყვილეს. ძალიან მიხარია, რომ ჩემი პარტნიორი სალომეა. ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვართ. ძალიან ცოტა ადამიანთან ვარ ისე ახლოს, როგორც სალომესთან. ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმის.

— თქვენი დაწყვილება მხოლოდ მეგობრობის გამო მოხდა?

სალომე:

— არ ვიცი. ვფიქრობ, ჯაბას და მარიამს მაყურებელი „შუა ქალაქიდან“ შეეჩვია. საყვარელი სახეები იყვნენ და ერთმანეთს არ დააშორეს.

კახა:

— მაყურებელს ვპირდებით, რომ ჩვენი და მათი ეთერიც ძალიან ხალისიანი, საინტერესო და ენერგიული იქნება — სხვა არხზე გადართვა არ მოუნდება.

— ახალი რეჟიმით გიწევთ ცხოვრება. დილით ადრე გალვიძება ხომ არ გიჭირთ?

სალომე:

— როცა შენი საქმე გიყვარს, დილით ადრე ადგომაც არ არის პრობლემა. ჩვენ აქ მოგვიხარია.

კახა:

— საერთოდ, ტელევიზია ძალიან მიყვარს. ყოველთვის მქონდა სურვილი, რომ დილის ეთერში მემუშავა: 10-ზე ამთავრებ, სამსახურიდან გამოდიხარ და მერე მთელი დღე წინ გაქვს. ისე აგიხდეთ ყველა ოცნება, როგორც მე ეს ნატვრა ამისრულდა. მადლობა უფალს. ისე, ძილისგუდა ნამდვილად არ ვარ. ჩემთვის დილაადრიან ადგომა პრობლემას არ წარმოადგენს, თან როცა ვიცი, სტუდიაში სალომე მელოდება და ეთერს მიღმა — მაყურებელი.

— სალომე, კიდევ რას საქმიანობ?

— რას ამბობ, კონცერტი არ „გაფაჩუნდა“, ეს რომ წამყვანი არ იყოს (*იცინის*).

სალომე:

— რადიო „აფხაზეთის ხმაში“ ვმუშაობ. ერთ-ერთ ცნობილ კლუბში კარაოკე მიმყავს და შოუბიზნესის წარმომადგენლებთან შეხება სულ მაქვს. დაკავებული ადამიანი ვარ, მაგრამ „იმედში“ რომ დავიწყე მუშაობა, ძალიან მახარებს. აქ ჩემი მეგობრები არიან. მინდა, გადაცემის ხელმძღვანელების იმედი გავამართლო.

— გადაცემის თემების შერჩევაში ერევით?

კახა:

— სტუმრებს და თემებს რედაქტორი გვირჩევს.

სალომე:

— წინადღეს ვიცით, სტუმარი ვინ იქნება და მასთან შესახვედრად ვემზადებით, ვიღებთ ინფორმაციას, ეთერი უფრო საინტერესო რომ გამოვიდეს.

კახა:

— ჩვენ არა ვართ დიქტორები. სტუდიაში იმპროვიზაციაც ხშირად იქნება. ამ მხრივ ხელმძღვანელები არ გვზღუდავენ. მთავარია, თემას არ გადავუხვიოთ.

— მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის მეგობრები ხართ, თქვენი ტანდემი პირველად შედგა, არა?

— მართალია, ეთერში პარტნიორები არ ვყოფილვართ, მაგრამ

ერთად კონცერტი წაგვიყვანია.

— სალომე როგორი პარტნიორია?

— არაჩვეულებრივი. ვიცი, ეთერში თავგზა რომ ამებნეს, სალომე მიშველის, მდგომარეობიდან გამომიყვანს.

— სალომე, კახაზე, როგორც პარტნიორზე, რას მეტყვი?

— ჩემთვის მასთან ერთად მუშაობა დიდი სიამოვნებაა. შეხმატკბილებულები ვართ.

კახა:

— კამერები რომ ჩაირთო, კანკალი არ გვქონია.

— ცოტა ხნის წინ „დღის შოუს“ სტუმრები იყავით, სადაც როლები მცირე ხნით გაცვალეთ და შოუს წამყვანები თქვენი სტუმრები გახდნენ. ია ფარულავამ საკმაოდ მკაცრად გაგაკრიტიკათ. რას გერჩოდათ?

— ეს თავად მას ჰკითხე. მსგავსი კითხვები სხვებსაც გაუჩნდათ. მგონი, ჩვენთვის კარგი იყო.

სალომე:

— ანტიპიარი ყველაზე დიდი პიარია.

— მიგაჩნიათ, რომ ეს ანტიპიარი იყო?

კახა:

— არა, ეთერის შემდეგ იამ გვითხრა, რომ ეს მიზანმიმართულად არ გაუკეთებია. შეიძლება დილით გამოუძინებელი სტუმარი მოგვიდეს და ამისთვის მზად უნდა იყო.

— კახა, „თავისუფალ თეატრში“ 14 იანვარს პრემიერა გაქვს, „მშვენიერი ქართველი ქალი“ — ამ პიესაზე რას იტყვი?

— ეს იტალიელი დრამატურგის, კარლ გოლდონის პიესაა, რომელიც ათწლეულების წინ საქართველოზე დაწერა. პიესიდან ირკვევა, რომ ავტორმა ქართული ხასიათი, ტრადიციები კარგად იცის. თავდაპირველად ავთო ვარსიმაშვილმა ეს სპექტაკლი „რუსთაველის თეატრში“ დადგა. გურამ საღარაძე, კახი კავსაძე, ედიშერ მაღალაშვილი მონაწილეობდნენ. ახლა „თავისუფალი თეატრის“ ყველა წამყვანი მსახიობია დაკავებული. ეს მუსიკალური სპექტაკლია, რომლის კომპოზიტორიც ვატო კახიძეა. მხატვარი — მირიან შველიძე. მსგავსი ჟანრი და დრამატურგია ქართულ თეატრალურ სივრცეში არ არსებობს.

— შენი როლი? როგორც ვიცი, მხედართმთავარი ხარ.

— დადიანის მხედართმთავარი ვარ. ჩემი გმირი ძალიან ტემპერამენტიანი და ენერგიულია. თუ უყვარს, ძალიან

უყვარს, მღერის, დახტის. როგორც სხვებს, მასაც მშვენიერი ქართველი ქალი უყვარდება, რომლის როლს თამუნა ნიკოლაძე ასრულებს.

— სალომე, კახას სპექტაკლებს ესწრები?

— რა თქმა უნდა. დროის სიმცირის გამო ზოგჯერ დასწრებას ვერ ვახერხებ. კახა ყოველი პრემიერის წინ მირეკავს და მეკითხება, მოხვალ? ბილეთები დაგხვდებაო. „ისტერიულად“ მეპატიჟება (*იცინის*).

კახა:

— თან ისეთ ადგილს ვურჩევ, არ გაიპაროს.

— იპარება ხოლმე?

სალომე:

— ერთხელ კურიოზულ სიტუაციაში აღმოვჩნდი: კახამ სპექტაკლზე დამპატიჟა, მივედი, მაგრამ წარმოდგენა იმდენ ხანს გაგრძელდა, ვიფიქრე, არასდროს დამთავრდება-მეთქი და გაპარვა დავაპირე. კახა სცენაზე მაყურებლისკენ ზურგით იდგა. წამოვდექი და გასასვლელისკენ უნდა დავიძრა, რომ...

კახა:

— (*აწყვეტინებს*) გაპარვას ფრთხილი ნაბიჯებით აპირებდა, მე ზურგით ვიდექი, მაგრამ დავინახე. ისე დაემთხვა, რომ იმ დროს გვარების ჩამონათვალს ვკითხულობდი, იქ სულაც არ იყო, მაგრამ გოგიაშვილი!!! — დავიძახე რიხიანად.

სალომე:

— სცენიდან ისე იყვირა, მივხვდი, უნდა დავმჯდარიყავი (*იცინიან*).

— ეთერში დაწყვილდით, მაგრამ პირად ცხოვრებაში რა ხდება? ახლო მომავალში დაწყვილებას არც ერთი არ აპირებთ?

— მე და კახა?

— ?

— ისე, ამაზე ფიქრიც შეიძლება. კახა, შენ რას იტყვი?

— ჭორები ისედაც არ აგვცდება. ამას რომ წაიკითხავენ, მერე ხომ საერთოდ — „ფრთებს გაშლიან“. საერთოდ, პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი მეგობრებთანაც კი არ მიყვარს.

სალომე:

— რა?

კახა:

— გაგიკვირდა, არა? შენ იმ ერთეულების ჩამონათვალში ხარ, ვისთანაც ამ თემაზე ვლაპარაკობ.

— როცა მიხვდები, რომ ის ის ადამიანია, ვისაც აქამდე ეძებდი, მერე ალაპარაკდები.

— არ ვიცი.

— ცოლად რომ მოიყვან, მასზე არაფერს იტყვი?

— მერე ვიტყვი, აბა სახლში ხომ არ გამოვკეტავ? ისე, ჭორები მე და შენ მართლა არ აგვცდება, მაგრამ ვინც გვიცნობს, არ დაიჯერებს. ვისაც უნდა, შეთხზას, ჩვენ წინააღმდეგობას ვერ გავუწევთ, ილაპარაკონ.

— წარმატებას ვუსურვებ (*იცინის*). ისე, კახას ვეთანხმები. პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი კარგი არ არის. „ცუდი თვალის“ მჯერა. ვშიშობ, როგორც კი საქმე კარგად ამეწყობა, იმდენს ილაპარაკებენ, ყველაფერი მენგრევა ხოლმე. დიდი გამოცდილებიდან მივხვდი, ამ თემაზე ლაპარკი არ ღირს. მაგრამ ერთს მაინც გეტყვი — ჩემი გული თავისუფალია.

— მოინადირეთ!!! მოინადირეთ!!!

— ჯერ მხოლოდ „იმედის“ დილაზე ვარ შეყვარებული იმ იმედით, რომ ამ გულს ვინმე მალე დაიკავებს (*იცინიან*). ■

ცხოვრება

სომეხი, ოსი და ქართველი — ერთ ოჯახში

„ჩვენი სამშობლო საქართველოა!“

შეუძლებელია, ქეთევან გოგოლაძისა და ვალერი ავაგიანის ოჯახში მოხვედრის შემდეგ არ გაგახსენდეთ ქართული ანდაზა — რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია. ქეთინო და ვალერი ბაკურიანში მოგზაურობისას გავიცანი. ამ რაიონში ჩემი ჩასვლის მიზანი საინტერესოდ მოსაუბრე, მხცოვანი, კოლორიტული ადამიანის მოძიება იყო. მთელი დღე აღმა-დაღმა ხეტიალის შემდეგ, ადგილობრივმა მოსახლემ, კახაბერ ქუმარიტაშვილმა შემომთავაზა, — თუ გინდათ, მხცოვან ადამიანსაც გაგაცნობთ და მისი დისშვილის ერთობ საინტერესო ოჯახსაც. მხცოვანი ადამიანი ეროვნებით ოსი, 88 წლის ქალბატონი მანია დიაკონაშვილი აღმოჩნდა, მისი დისშვილი კი — სომეხი ვალერი ავაგიანი. მარტოხელა მოხუცი დისშვილთან და მის ქართველ მეუღლესთან ერთად ცხოვრობს, თავს შესანიშნავად გრძნობს და მხოლოდ იმას განიცდის, რომ საქმეს არ აკეთებინებენ.

მარტოხელა მოხუცი დისშვილთან და მის ქართველ მეუღლესთან ერთად ცხოვრობს

ხათუნა ბახტურიძე

მანია დიაკონაშვილი:

— ასე როგორ შეიძლება? მთელი დღე უსაქმურად ვზივარ, ჩემი რძალი კი პატარა ბავშვივით მივლის.

— **საკუთარი ოჯახი, შვილები არ გყავთ?**

— ოჯახი სოფელ მიტარბიში მქონდა — შვილები არა, მაგრამ ქმარი მყავდა, რომელიც დიდი ხნის წინ გარდაიცვალა. მოხუცისთვის მარტო ყოფნა ძნელია, ამიტომ დისშვილთან ვარჩიე ცხოვრება.

— **ოჯახი სიყვარულის საფუძველზე შექმენით?**

— მაშინ სიყვარული ვინ იცოდა? დაგავალებდნენ და შენც, უნდა გათხოვილიყავი.

— **ეი. გარიგებით გათხოვდით?**

— კი. ჩემი ქმარი ოსი, გვარად ქუმარიტაშვილი იყო.

— **მოგწონდათ მაინც?**

— ეჰ, მოწონებას რას დავეძებდი, ძლივს მოვასწარი გათხოვება.

— **რას გულისხმობთ?**

— მაშინ სამამულო ომი იყო და ახალგაზრდა ბიჭები პანტაპუნტით იხოცებოდნენ.

— **თქვენი ქმარი არ იბრძოდა?**

— მაშ, არ იბრძოლებდა?! ომი რომ დამთავრდა, მერე დავოჯახდით.

— **რამდენი ხანი იცხოვრეთ ერთად?**

— ერთად კარგა ხანს ვიცხოვრეთ. ის მანამ დაიღუპა, ვიდრე საქართველოში შიდა არეულობა დაიწყებოდა. ბედი ჰქონია, ქართველების და ოსების დაპირისპირებას რომ ვერ მოესწრო. მე იძულებული გავხდი, სახლი დამეტოვებინა, ის კი ამას ვერ გადაიტანდა, საგიჟეთში წასაყვანი გახდებოდა.

— **სახლის დატოვება რამ გაიძულათ?**

— რამდენიმე კაცი თავზე დამადგა, — ოსი ხარ და აქედან უნდა წახვიდეო. ისინი ქართველები კი არა, ყაჩაღები იყვნენ.

— **სად წახვედით?**

ვალერი:

— ჩემს დეიდაშვილს რუსეთში, კერძოდ — როსტოვში გაჰყვა.

— **რუსებმა როგორ მიგიღეს?**

მანია:

— კარგად, თავშესაფარი მოგვცეს.

— **რუსებს რომ კავკასიელები არ უყვართ?**

— მაშინ უყვარდათ.

ვალერი:

— არც მაშინ უყვარდათ, უბრალოდ, როგორც საქმეს აწყობდა, ისე იქცეოდნენ; ილუზიას ქმნიდნენ, თითქოს, ქართველებისგან „შევიწროებულ“ ოსებს მფარველობდნენ. მართალია, რუსებმა დეიდაჩემს სახლიც მისცეს და საყოფაცხოვრებო ნივთებიც, მაგრამ საქართველოს გარეშე ერთი წელიც ვერ გაძლო. ტირილით დამირეკა, — აქედან წამიყვანე, აქ სიცოცხლეს საქართველოში სიკვდილი სჯობია; კარგ რუსსაც კი გლახა ქართველი მირჩევნიაო.

ქეთინო:

— გვიან გაიგეს ქართველების ფასი...

— **მაინც, რა არ მოგეწონათ რუსეთში?**

მანია:

— აბა, რა გითხრათ? იქაური არაფერი მომწონდა. ყოველდღე ბავშვივით მოვთქვამდი, — ჩემს საქართველოში წამიყვანეთ-მეთქი. აქ რომ ჩამოვედი, მეორედ დავიბადე.

— **საქართველოს თქვენს სამშობლოდ მიიჩნევთ?**

— რა თქმა უნდა!

— **როგორ გგონიათ, ქართველები და ოსები რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს?**

— ალბათ, ყველაფერი პოლიტიკის ბრალია, თორემ უბრალო ხალხს ერთმანეთთან გასაყოფი არაფერი გვქონდა. კარგია, რომ ახლა ისევ დავძმაკაცდით.

— **აბა, როგორ დავძმაკაცდით? 2 წლის წინ ქართველებსა და ოსებს შორის ისევ შეიარაღებული**

კონფლიქტი მოხდა.

— არც ეგ კონფლიქტი იყო უბრალო ხალხის ბრალი; ყველაფერში პოლიტიკოსები არიან დამნაშავეები.

— **ქართველი რძალი როგორ გივლით?**

— გაიხაროს ამის გამზრდელმა! თან მყვება, აკვნის ბავშვივით მივლის.

— **ბაკურიანში ოსები ქართველებისგან განსხვავებული ტრადიციებით ცხოვრობდით?**

მანია:

— არა, ერთმანეთისგან ვერც გაგვარჩევდით. ისე, ჩვენებურ გოგონებს ქართველი ბიჭები ძალიან მოსწონდათ და ხშირად, ცოლადაც მიჰყვებოდნენ.

— **ქართველი ბიჭები თქვენ არ მოგწონდათ?**

— რატომაც არა?! მომწონდა, მაშ!

— **ქართველი შეყვარებულიც ხომ არ გყავდათ?**

— არა, მაგას როგორ გავბედავდი?..

ვალერი:

— მაშინ ახალგაზრდას ვინ ეკითხებოდა, — ვინმე ხომ არ მოგწონსო? მანიას ერთ-ერთი და — ანუ დეიდა-ჩემი 14 წლის ასაკში გაათხოვეს.

— **რატომ?**

მანია:

— სულელი მშობლები გვყავდა და იმიტომ! მამიდაჩემი ცოლად სანაკოევს ჰყავდა. ის კარგი კაცი იყო, ჰოდა, რადგანაც ჩემი დის მთხოვნელიც ამ გვარის წარმომადგენელი გახლდათ, თქვეს, — ისიც კარგი იქნებაო.

— **თქვენ რამდენი წლის ასაკში გაგათხოვეს?**

— 20 წლის ვიყავი.

— **ბატონო ვალერი, თქვენც გარიგებით ხომ არ დაქორწინდით?**

ვალერი:

— არა, რას ამბობთ?! ჯერ კიდევ ბაღში დავდიოდი, ქეთინო რომ შემიყვარდა. უკვე 30 წელია, ცოლ-ქმარი ვართ, 3 ბიჭი გვყავს და ერთი რძალი, მალე შვილიშვილიც შეგვეძინება.

— **ქეთინო, ვალერი თქვენც გიყვარდათ თუ უბრალოდ, მისი გრძნობა დააფასეთ?**

ქეთინო:

— რომ არ მყვარებოდა, არ გამოვყვებოდი!

ვალერი:

— თუ სადმე ყვავილს ვიშოვიდი, ქეთინოსთვის მიმქონდა. ჯარში სულ იმაზე ვფიქრობდი, არ გათხოვილიყო. 2 წლის შემდეგ, შინ რომ დავბრუნდი, პირველ რიგში, ქეთინოს ამბავი ვიკითხე, მეორე დღეს კი სვეტიცხოველში დავიწერეთ ჯვარი.

— **მართლმადიდებელი ხართ?**

— კი, ჩემი მშობლები თავიდანვე მართლმადიდებლები იყვნენ.

— **ერთ ოჯახში ქართველს, სომეხს და ოსს თანაცხოვრება არ გაგიჭირდათ?**

ვალერი:

— ბაკურიანში მცხოვრები ოსური თუ სომხური წარმომავლობის ხალხი, ყველა ვქართველობდით. სომხური გვარი მაქვს, მაგრამ სომხურად სამ სიტყვასაც ვერ გეტყვით, მეტიც — ჩემი შვილები გოგოლაძეები არიან, დედის გვარს ატარებენ. ქართველობენ და სომხური გვარი რაღად უნდათ?..

ქეთინო:

— ვალერიმ არა, მაგრამ მე ვიცი სომხური. სხვათა შორის, ოსური და ბერძნულიც ვიცი. ჩემმა დედამთილმა არ იცოდა, ოსური რომ ვიცოდი და თავის ნათესავებს ჩემი თანდასწრებით უთხრა: ერთმა ქართველმა რძალმა რა ხეირი დამაყარა (მაზლის ცოლიც ქართველი მყავს), მეორეც რომ ქართველი შემომიყვანეს ოჯახშიო?! არაფერი შევიმჩნიე, ვითომ არც გამიგონია... აი, ხომ ხედავ, რა სასარგებლოა ბევრი ენის ცოდნა.

— **რა პროფესია გაქვთ?**

— ბუღალტერი ვარ.

— **ბერძნული საიდანღა იცით?**

— ბიცოლა მყავს ბერძენი და ვთხოვე, ესწავლებინა.

— **როდესაც საქართველოში ოსებსა და ქართველებს შორის შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო, სიტუაცია თქვენს ოჯახშიც ხომ არ დაიძაბა?**

— არა, მაგრამ რაღაც-რაღაცების გამო გული კი გვეტკინა.

— **გული მაინც, რის გამო გეტკინათ?**

— ჩვენ გვერდით გაზრდილი ადამიანები საქართველოდან რომ წავიდნენ. რატომ უნდა გაქცეულიყვნენ? თუ ჩვენს ქვეყანაზე გული შესტკიოდათ, მხარში უნდა დაგვდგომოდნენ... 90-იან წლებში ჩემი ქმარი, ქართველ სამხედროებთან ერთად იცავდა ბაკურიანელების სიმშვიდეს, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს კი შვილებმა (უფროსი 27 წლისაა, შუათანა — 26-ის, პატარა — 20-ის) სცადეს საქართველოს დაცვა. ომში მოხალისეებად უნდოდათ წასვლა, მაგრამ არ გაუშვეს. მხოლოდ ჩემი შვილები კი არა, ბაკურიანში მცხოვრები ყველა ახალგაზრდა მოემზადა წასასვლელად, მათ შორის ოსებიც იყვნენ, სომხებიც და უკრაინელებიც...

ვალერი:

— სხვათა შორის, საქართველოდან წასვლა ყველა ოსმა ინანა და ბევრი მათგანი უკანვე მობრუნდა. აქაური ოსები ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობისგან რადიკალურად განსხვავდებიან; მეც განვსხვავდები ერევანში მცხოვრები სომხებისგან... თქვენ იცით, რომ ძალიან ბევრმა სომეხმა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცის?

— **სომხების დიდი ნაწილი იმასაც ამბობს, შოთა რუსთაველი სომეხი იყო.**

— ეგ სისულელეა!.. ისე, რა მნიშვნელობა აქვს, ვის სადაური წარმოშობის გვარი აქვს? მთავარია, საქართველოს მოქალაქედ მიიჩნევდე თავს და ამ ქვეყანაზე გული შეგტკიოდეს.

როდესაც გოგოლაძეებისა და ავაგიანების ოჯახს დავემშვიდობე, ჩემ-

მა მეგზურმა, კახაბერ ქუმარიტაშვილმა მითხრა:

— მეც შერეული ოჯახიდან ვარ. მამა ოსი, დედა კი ქართველი მყავს. ქართულ ენაზე დავიწყე ლაპარაკი და ოსური საერთოდ არ ვიცი. 90-იან წლებში ჩემს ოჯახსაც მოუხდა საქართველოდან გაქცევა და აქედან შორს ყოფნა ძალიან გამიჭირდა. პირველად ვლადიკავკაზში წავედით, მაგრამ იქაც ვერ გავძელით და უკრაინაში გადავედით. ბევრმა ჩვენგანმა იქ, ჩრდილოეთ ოსეთში ყოფნისას უფრო იგრძნო საქართველოს სიყვარული; შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ რამდენიმე ადამიანი დარდისგან მოკვდა.

— ვლადიკავკაზიდან როდის დაბრუნდით?

— ვლადიკავკაზში მხოლოდ რამდენიმე თვე გავჩერდით. იქაც არ მიგვიღეს, მაგრამ მათგან არაფერი მწყენია — ჩემი სამშობლო ჩრდილოეთ ოსეთი კი არა, საქართველოა... ვლადიკავკაზიდან უკრაინაში გადავედით, მაგრამ დიდხანს ვერც იქ გავჩერდით და ბოლოს, მაინც ჩვენს ბუდეს დავუბრუნდით. საქართველოში ჩამოსვლიდან 8 თუ 9 თვეში დავქორწინდი კიდეც და ახლა 14 წლის გოგო და 8 წლის ბიჭი მყავს. სხვათა შორის, მათი დედაც ქართველია, ჩემმა შვილებმაც ქართულად აიდგეს ენა.

— ქართველი გოგო უპრობლემოდ შეირთე?

— ბაკურიანში ყველა ერთმანეთს ვიცნობდით და ჩემი შეყვარებულის ოჯახმაც მშვენივრად იცოდა, რომ მე ქართულად ვიყავი გაზრდილი, სამშობლო მიყვარდა და არანაირი სეპარატისტული ზრახვა არ მქონდა. ოჯახის შექმნიდან რამდენიმე წელიწადში, მატერიალური პრობლემების გამო საბერძნეთში წავედით და იქაური მოქალაქეობა მივიღეთ. ერთხანს შვილებიც იქ გვყავდა, მაგრამ მალევე დავაბრუნე უკან; მინდოდა, ბავშვები საქართველოში გაზრდილიყვნენ... აგვისტოს ომის დროს ბევრი ვინერვიულე და არც დავფიქრებულვარ, საქართველოს დასაცავად მაშინვე მოხალისეთა რიგებში ჩავეწერე, მაგრამ ალბათ იცით, რომ მოხალისეები ომში არ გაგვიშვეს.

— ოსების წინააღმდეგ მართლა იბრძოლეებდით?

— ჩემი სამშობლოს, ჩემი ოჯახისა და შვილების დასაცავად როგორ არ ვიბრძოლებდი? ვინც ჩემი ბუდის მოშლას შეეცდება, ყველას შევეწინააღმდეგები, ჩემი ბუდე კი საქართველოა! ■

სულის სიმტკიცე

ღვთისმშობლის ხატს მიბარებული კაცის ცხოვრება

„ხელახლა შემასწავლეს წამოდგომა, სიარული, მეტყველება...“

29 წლის ლადო ჭინჭარაული ბარად ჩამოსული პატრიოტი ხევსურია. პირველ კურსზე იყო, როდესაც ტრავმა მიიღო და ინვალიდის ეტლს მიეჯაჭვა. მიუხედავად თავისი მდგომარეობისა, მან მოახერხა სწავლის დასრულება, შექმნა ოჯახი, ჰყავს პატარა ქალიშვილი, ამჟამად კი აქტიურადაა ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ლადო ნათელი მაგალითია სულიერად ძლიერი ადამიანისა, რომელიც გაჭირვებას, სიძნელეებს არ შეეპუა და ცხოვრება თავიდან დაიწყო.

ნატო ქურციკაშვილი

„უფრო ჯიუტი ვარ, ვიდრე სევდიანი.
მეც მიყვარს კლდეები, როგორც ჯიხვს ტიალსა.
იქიდან გადმოფრენილს
რქები დამელეწა,
ახლა თქვენ გიბედავთ
ლექსებით ტრფიალსა“.

ლადო ჭინჭარაული:

— თელავის მეოთხე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარე. პირველ კურსზე ვიყავი, როდესაც მეგობრები მდინარე ალაზანზე, საბანაოდ წავედით. მე „წითელი კლდიდან“ თავით გადავხტი და კისრის მალები მოვიტეხე; ამის შემდეგ ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა — ინვალიდის ეტლს მივეჯაჭვე, მაგრამ მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრება მაინც შევძელი... ტრავმის მიღების შემდეგ სამი ურთულესი ოპერაცია ჩამიტარდა. რამდენიმე წელი დამჭირდა საიმისოდ, რომ წამოჯდომა მომეხერხებინა. რვა თვე ხმაც დაკარგული მქონდა, ვერ ვლაპარაკობდი... მოკლედ, მშობლებმა და ექიმებმა ხელახლა შემასწავლეს წამოდგომა, სიარული, მეტყველება. დღეს რომ უკეთ ვარ, ამაში წვლილი ჩემს მეგობრებსაც მიუძღვით.

— ოჯახი ტრავმის მიღების შემდეგ შექმენით. რას გვეტყვით თქვენს მეუღლეზე?

— მე და თიკოს ერთმანეთი შეგვიყვარდა და მესამე პირის ჩარევის, ყოველგვარი რიტუალის გარეშე შევუღლდით. უკვე სამი წლის გოგონა — მზექალა გვყავს. როცა ჩემს პატარას ვუყურებ, ვფიქრობ, რომ სიცოცხლე მხოლოდ მის გამოც ღირდა!

— როგორც ვიცი, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ხართ ჩაბმული. კონკრეტულად, რას საქმიანობთ?

— კახეთში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციის გამგეობის თავმჯდომარე ვარ. გარდა ამისა, წელიწად-ნახევარია, რაც საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ სამოქალაქო რეესტრში დამასაქმა და სპეციალობით ვმუშაობ.

— თქვენ „პოსტსკრიპტუმის“ სიუჟეტიდანაც ახსოვხართ ხალხს: 2009 წლის „შატილობის“ დღესასწაულზე ცხენზე შეჯექით და მთაზე ახვედით...

— მთა, ბუნება, იარაღი — ჩემი ჰობია. თუკი ადამიანს, თუნდაც — ინვალიდის ეჭლს მიჯაჭვულს რაიმე გულით გინდა, შენთვის მიუღწეველი არაფერი იქნება.

— წარმოშობით ხევსური ხართ.

რას გვეტყვით თქვენს წარმომავლობაზე?

— ხევსური ვარ, მაგრამ თბილისში დავიბადე და 1995 წლიდან კახეთში, კერძოდ კი თელავში ვცხოვრობ. ეს ორი მხარე — კახეთი და ხევსურეთი ძალიან მიყვარს. სხვათა შორის, ტრავმის მიღების შემდეგ, ხევსურული წესით, ხატსაც მიმაბარეს.

— ეს რას ნიშნავს?

— ეს ხევსურული რიტუალია; ყველა ხევსური რომელიმე ხატის ყმაა. საერთოდ, ამ კუთხის წარმომადგენლებს ძალიან სწამთ სიზმრის. თურმე, ერთ-ერთ ხუცესს ჩემზე სიზმარი უნახავს, ჰოდა, სწორედ ამის შემდეგ დამიბარეს და გუდანის ჯვარში, ღვთისმშობლის ხატს მიმაბარეს. ხევსურების რწმენით, ხატს მიბარებული ადამიანი მთელი ცხოვრება, მისი მფარველობის ქვეშაა.

— როდის სრულდება ეს რიტუალი?

— ძირითადად, „ათენგენობის“ დღესასწაულზე, მაგრამ ჩემს შემთხვევაში გამონაკლისი დაუშვეს. წარმოშობით სოფელ უკანახოდან ვარ. ამ სოფელში ასვლა მხოლოდ საცალფეხო ბილიკითაა შესაძლებელი, მე კი იქ ასვლა ვერ მოვახერხე და ამიტომაც, ხატს გუდანის ჯვარში მიმაბარეს.

— „ათენგენობის“ დღესასწაულის შესახებ რისი თქმა შეგიძლიათ?

— ეს დღესასწაული დაკავშირებულია ბერძენი წმებულის — ათენგენ სებასტიელის სახელთან, რომლის შესახებ ძალიან ცოტას თუ სმენია. ზოგიერთი ფიქრობს, რომ „ათენგენობა“ წარმართულ-საკრალური დღესასწაულია, მაგრამ ცდებიან! ამ დღეს იკვლება საკლავი და ყველაფერი ქრისტიანული წესით სრულდება, უბრალოდ, ფორმებია შეცვლილი. „ათენგენობა“ ივლისის ბოლო შაბათ-კვირას, ხევსურეთში იმართება.

— ლექსების წერა როდის დაიწყეთ?

— უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ პოეტი არ ვარ. მერწმუნეთ, ლექსის წერის მუზა მოსდის ყველას, ვისაც მთა და ბუნება უყვარს. ტრავმის მიღების შემდეგ, ბევრი თავისუფალი დრო მქონდა და ჩემთან სტუმრად ხშირად მოდიოდა ნათესავი ბიჭი — ბერდია ზვიადაური, რომელიც „ბალალაიკაზე“ უკრავს, მღერის და ყოველი სტუმრობისას საფიქრალს ამიშლიდა ხოლმე. ჰოდა, მისი წასვლის მერე ლექსის წერას ვიწყებდი...

საუბარში ლადოს მეუღლე — თიკო ფეიქრიშვილიც ჩაერთო, რომელმაც ღიმილით აღნიშნა: მას შემდეგ, რაც ცოლად მომიყვანა, ლექსებს აღარ წერს და ამას მე მაბრალებსო...

ლადო:

— (*იცინის*) მართალია, წერა მივატოვე და ამას ცოლს ვაბრალებ... სხვათა შორის, ჩემი ლექსების კრებული ორიოდე წლის წინ გამოიცა, მასში ოთხმოცამდე ლექსია შესული. წიგნის გამოცემისკენ ერთმა გარემოებამ მიბიძგა: შატილის სკოლა-ინტერნატს ფინანსური დახმარება სჭირდებოდა და გაყიდული წიგნებიდან შემოსული თანხა მთლიანად მას მოხმარდა... უკვე 5 წელია, ივნისის ბოლო რიცხვებში თბილისში იმართება ხევსურული საღამოები, რომლის მომზადებაშიც ჩემი პატარა წვლილიც შემაქვს ხოლმე.

„ყელზე ნაჭრელა მაქვს იარა,
გულზე ლოდი მაწევს სალი.
თმა ჭაღარა გახდა ხვიარა,
სულში დაკეჭნაობს ალი.
დრო მიდის იმედით ბრძოლაში,
ათას გზად გაჭრილა სივრცე.
ტანჯვით და სხეულის ბორგვაში,
ამ ყოფას წიხლებიც მივცხე.
ფიქრები დაჰქრიან ქარდაქარ,
ოცნებით მწვერვალებს ვიპყრობ.
თუმცაღა ტირიან ხანდახან,
მაინც გავიმარჯვე, ვფიქრობ.
სად რა გავიმარჯვე?
ბრძოლები წინაა
აღმაგზნებს მომავლის ხიბლი.
ეხ, ამის დედაცა... ჯაბანი
ვინაა?!
ქვა-ღორღის ბილიკზეც ვივლი...“

— საინტერესო ადამიანი ხართ; კიდევ რას გვეტყვით საკუთარ თავზე?

— ძალიან მიყვარს იარაღი და ოფიციალურად რეგისტრირებული სამი შაშხანა მაქვს, თავისუფალ დროს სროლაში ვვარჯიშობ. ვარ საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის წევრი და ვემზადები 2012 წლის პარაოლიმპიადისთვის, მიზანში სროლაში მონაწილეობის მისაღებად. საერთოდ, იარაღთან ურთიერთობა ჩემთვის ერთგვარი თერაპიაა.

— თქვენ უდიდესი სულის სიმტკიცე გამოავლინეთ, არ შეეპუეთ სიძნელეებს... რას ურჩევდით ადამიანებს, რომლებიც ცხოვრებაში თქვენნაირ პრობლემას გადაეწყდნენ?

— ადამიანმა საკუთარი თავის რეალიზება ნებისმიერ მდგომარეობაში ყოფნისას უნდა შეძლოს. რა თქმა უნდა, გარემოსა და გარშემო მყოფებზე ბევრი რამაა დამოკიდებული, მაგრამ თუ თავად არ მოინდომებ, ვერავინ ვერაფერში დაგეხმარება... ტრავმის მიღების შემდეგ, 2 წელი შინ ვიჯექი, რადგან ქუჩაში გასვლის კომპლექსი გამიჩნდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ესეც გადავლახე, ნელ-ნელა აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრება, მანქანით სიარული დავიწყე, ცხოვრების რიტმს ავყევი. თუ ხალხს აგრძნობინებ, რომ ისინი გიყვარს და გჭირდება, მათთვისაც სასურველი, საჭირო ხდები. მიყვარს ჩემი ოჯახი, მეგობრები, ნაცნობები და ყველა ის ადამიანი, ვისთანაც ურთიერთობა მიხდება. ჰოდა, ვგრძნობ, რომ მიუხედავად ჩემი მდგომარეობისა, მათაც ვუყვარვარ, ვჭირდები. ყოველთვის შეიძლება მოძებნო საქმე, რომლითაც საკუთარ თავსაც წაადგები და სხვასაც, მერე კი მერწმუნეთ, ცხოვრება გაცილებით ლამაზი და საინტერესო ხდება.

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

— ჩემი დიდი სურვილი და ოცნება სარეაბილიტაციო ცენტრის დაფუძნებაა. დღეს საქართველოში ბევრი ისეთი ადამიანია, ვისაც საზოგადოებასთან ადაპტაცია უჭირს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში ასეთი სარეაბილიტაციო ცენტრი არ არსებობს... ■

უკვე სამი წლის გოგონა — მზექალა გვყავს

დაგვიანებული ქორწინება
ანუ მოხუცებულობაში შექმნილი ოჯახის ხიბლი

პირველი პაემანი, პირველი კოცნა, პირველი ქორწინება — ალბათ, ამ სიტყვების წაკითხვისას გაიფიქრეთ, რომ ეს „თემა“ ამა თუ იმ ადამიანის მხოლოდ პირველ ნაბიჯებზეა, მაგრამ ნურას უკაცრავად... ალბათ, ბევრი თქვენგანი პირველად პაემანზე სკოლის ასაკში წავიდა, ბევრმა კი ჯერ კიდევ 4-5 წლის ასაკში მოასწრო ვიღაცის შეყვარება, მაგრამ თურმე, ადამიანი შეიძლება, პირველ პაემანზე 65 წლის ასაკშიც კი წავიდეს...

ლიკა ქაჯაია

ჩემი ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელსაც ახალგაზრდობაში ცოლის შერთვაზე არც უფიქრია, ახლა ნანობს, რომ დრო უქმად დაკარგა და ოჯახს არ მოეკიდა. „რა სჯობია სახლში პატარა ბავშვების ჩხავილს?! არადა, ახალგაზრდობაში სწორედ ამის შემეშინდა; არ მინდოდა, ჩემი მყუდროება ვინმეს დაერღვია და საყვარელი ქალი ამიტომაც არ შევირთე“, — გამომიტყდა ბატონი თენგო, რომელმაც „გზის“ მკითხველებს გული სიამოვნებით გადაუშალა...

თენგო, *67 წლის:*

— ახალგაზრდობაში ისეთი სიმპათიური ბიჭი ვიყავი, რომ გოგონები ჩემ გამო ერთმანეთს ხოცავდნენ. ერთხელ ვიღაც თავქარიანმა ქალმა იცი, რა ქნა? — ხიდიდან გადახტა, თავი უნდა მოვიკლაო, მაგრამ დახრჩობას გადავარჩინე. მერე მეჩხუბებოდა: თუ ცოლად არ მომიყვანდი, სიკვდილი მაინც გეცდიაო... წლების შემდეგ ის გოგო გათხოვდა და მერე, როცა შვილებთან ერთად ქუჩაში მხვდებოდა, მადლობას მეუბნებოდა იმისთვის, რომ წლების წინ სისულელის ჩადენის უფლება არ მივეცი... სხვათა შორის, იმ ქალის მიმართ გულგრილი არც მე ვიყავი და ლექსიც კი მივუძღვენი:

„ო, როგორ მიყვარს იისფერ თოვლის
და ჩემი ქალის ხიდიდან ფრენა,
ოდეს აფრენილს გამოუჩნდება
ხორცი მაცდური, სულის წარმწყმედი.
გადავეშვები მეც ზღვაში, მისთვის,
რომ ვიხსნა სული იგი ცოდვილი,
მაგრამ მიზანი სხვაცა მაქვს გულში,
მინდა მოვხვიო მაცდურს ხელები
და ჩავიხატო გულში აღზნებით.
მიყვარს ამ ქალის ლურჯი თვალები,
რომელშიც ელვა და მეხი მოსჩანს,
ის არ მიქადის არაფერს მე კარგს,
მაგრამ მე მაინც მსურს მის გვერდით ყოფნა“...

— ყოჩაღ! პოეტიც ყოფილხართ... ბევრი თაყვანისმცემელი რომ გყავდათ, არჩევანის გაკეთებასა და დაოჯახებაში ამან შეგიშალათ ხელი?

— ჰო, აბა, რომელი ერთისთვის დამეწყვიტა გული (*იცინის*)? არა, რა სისულელეა, უბრალოდ, ყოველთვის ეგოისტი ვიყავი, სიმყუდროვის დარღვევა არ მინდოდა და მარტოხელა მგელივით დავძვრებოდა სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ როცა რუსი, უკრაინელი ქალები „მოვიგულავე“ და ქართველებიდანაც ბევრს ვატკინე გული, მერე უკვე მივხვდი, რომ დრო იყო, დავსერიოზულებულიყავი და ოჯახს მოვკიდებოდი, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი ქმრობა აღარავის სურდა...

— დავიჯერო, იმ თაყვანისმცემლებისგან, რომლებიც გარს გეხვეოდნენ, ერთ-ერთმა მაინც არ გაპატიათ გულისტკენა?

— საქმე იცი, რაშია? უმეტესობა უკვე გათხოვილი იყო (აბა, მე ხომ არ დამიწყებდნენ ლოდინს?), ბევრს ჩემზე გული უკვე აცრუებული ჰქონდა — იმდენი ცუდი რამ გაიგეს, რომ ჩემთან ურთიერთობის სურვილიც აღარ ჰქონდათ, ზოგიერთი კი ამბობდა: ეჰ, რაღა დროს ოჯახის შექმნაა, თავდაყირა დავბერდით და ვერც გაგიგიაო.

— ოჯახის შექმნა რომ გადაწყვიტეთ, რამდენი წლის იყავით?

— უკვე 50-ს გადაცილებული ვიყავი. ჰოდა, ამიტომაც მიწუნებდნენ ქალები; თან, ფულიც აღარ მქონდა, მთელი ქონება გავანიავე — ბოზებმა „შემიჭამეს“...

— თუ „შეაჭმევინეთ“?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარი ისაა, რომ ქალებში დავხარჯე და როცა მატერიალურად ძლიერი აღარ ვიყავი, გავღარიბდი, მათ ჩემი დანახვაც აღარ უნდოდათ...

— ეი. არც ისეთი სიმპათიური იყავით, რომ ქალებს მხოლოდ თქვენი ვაჟკაცური გარეგნობის გამო დაეხოცათ ერთმანეთი...

— 50 წლის ასაკში გარეგნობაც „მომიტყდა“, შვილო, თორემ ახალგაზრდობაში ისეთი ეშხიანი ვიყავი, ბევრ შენნაირ ქალს იოლად გავახვევდი ჩემს თბილ საბანში... ნუ იცინი, თორემ ინტერვიუს აღარ მოგცემ!

— ძნელია, არ გავიცინო, რადგან ძალიან თავდაჯერებული ბრძანდებით. თუმცა, ეს ალბათ, იმ ქალების დამსახურებაა, რომლებიც გარს გეხვეოდნენ... მიუხედავად ყველაფრისა, თქვენ მაინც იპოვეთ ქალბატონი, რომელიც ცოლობაზე დაგთანხმდათ. როგორც ვიცი, მას 5 შვილი ჰყავს...

— ჰო, ინფორმაციები კი მოგიპოვებია... ნათესავმა შენზე მითხრა, — ჭორიკანა არაა, მაგრამ როგორც ჩანს, მოტყუვდა. თუმცა, რა მიკვირს, ყველა ჟურნალისტი ხომ სულით ჭორიკანაა?!. ჰო, 5 შვილი ჰყავს, მაგრამ მერე რა მოხდა? ამის გამო გათხოვების უფლება არ ჰქონდა?

— ეს იმიტომ არ მითქვამს, რომ გაბრაზებულიყავით. უბრალოდ, საინტერესოა, როგორ დაგთანხმდათ ქალბატონი დალი ცოლობაზე? ნუთუ, შვილებმა წინააღმ-

დეგობა არ გაუწიეს?

— წინააღმდეგობა გაუწიეს კი არა, საწყალი დალი ლამის დაახრჩვეს და ამიტომაც დავაჩქარეთ ხელის მოწერა... მოკლედ, დალი ჩემი ძველი სიყვარულია. ერთადერთი ქალია, რომელიც მართლაც, გულწრფელად მიყვარდა, მაგრამ იმიტომ არ შევირთე, რომ თავისუფლების დაკარგვა არ მინდოდა. ახლა ყველაფერს ვნანობ. ძალიან მინდა, შვილებიც მყავდეს, მაგრამ... ახლა რაღა დროს ბავშვებია? უკვე მოხუცები ვართ და ვიცი, ამ ოცნებას ახდენა არ უწერია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ დალის შვილები მაინც გაგვიგებენ, გული მოულბებათ და შეგვირიგდებიან. ისე, შვილებმა კი არა, ნათესავებმაც გაკიცხეს, — ბავშვებს თავს ლაფი დაასხი! ასე როგორ მოიქეცი, ამ სიბერეში რამ გადაგრიაო? არადა, მერწმუნეთ, მის ადგილას ბევრი სწორედ დალისნაირად მოიქცეოდა — ხომ იცი, ადამიანს სიყვარულის გამო ყველაფრის გაკეთება შეუძლია... მხოლოდ ერთმა ნათესავმა, რომლის ვინაობას ვერ დაგისახელებთ იმ მიზეზით, რომ შეიძლება, ისიც გალანძღონ, მოგვინახულა და გაბედნიერება მოგვილოცა, დანარჩენებმა კი ხელი ჰკრეს ადამიანს, რომელიც მათ მთელი ცხოვრება პატივს სცემდა...

— ქალბატონ დალისა და თქვენს ურთიერთობაზეც მიამბეთ რამე...

— დალი უნივერსიტეტში სწავლისას გავიცანი. ის ჩემზე ორი წლით პატარაა. ძალიან მომწონდა და გადავწყვიტე, ჩემი გამხდარიყო, მაგრამ კერკეტი კაკალი აღმოჩნდა, ვერაფრით დავითანხმე, რომ მართო შემხვედროდა. მისთვის ახალგაზრდობაში კოცნას კი არა, ხელის გადახვევასაც ვერ ვბედავდი, ახლა კი ჩემია... ვიცოდი, მასაც ვუყვარდი, მაგრამ ერთხელ, როცა სიყვარული მეგობრების თანდასწრებით ავუხსენი, მითხრა: შენ შესახებ ყველაფერი ვიცი და თუ ამ საქმეს ოფიციალურ სახეს მისცემ, თანახმა ვარ, ცოლად გამოგყვე, მაგრამ იმას, რასაც სხვებს უკეთებ, ჩემთან ვერ ეღირსებიო! მას მერე ხელი ჩავიქნიე და დალისკენ აღარც გამიხედავს, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრება მიყვარდა... მერე დალისაც მოჰბეზრდა ჩემი ლოდინი და იმ კაცს გაჰყვა ცოლად, რომელიც ოჯახის წევრებმა გააცნეს. თურმე, ის ცხონებული ძალიან კარგი ადამიანი იყო, დალის თავი შეაყვარა და ლამის, ჩემი თავიც დაავიწყა. მათ 5 შვილი გაუჩნდათ, მაგრამ მერე სიმსივნით გარდაიცვალა და დარჩა ქალი მარტო. დალიმ შვილები გამოზარდა, მაგრამ ისინი უმადურები აღმოჩნდნენ.

— იმას გულისხმობთ, რომ დედას გათხოვება ვერ აპატიეს?

— ახლავე გეტყვი, რასაც ვგულისხმობ, მაგრამ ლაპარაკი უნდა დამაცადო! (ბატონი თენგო ისე გამიჯავრდა, მეგონა, ინტერვიუს აღარ მომცემდა, მაგრამ მერე რაღაცაზე დაფიქრდა, გაეღიმა და...) თურმე, დალის ცხონებულ ქმარს ხუთივე შვილისთვის უყიდია ბინა — არ ვიცი, ოჯახში ვის შემომიყვანთ, ჰოდა, იმისთვის, რომ მე და დალის ტკბილი სიბერე გვქონდეს, ცალკე უნდა ვიცხოვროთო... როცა ბავშვები სრულწლოვანები გახდნენ და ოჯახებიც შექმნეს, დედას ყველა გაეცალა, დალი მარტო დატოვეს. ქალს წნევა აწუხებს და შვილებს სთხოვა, — რომელიმე მაინც გადმოდით ჩემთან, მატოობაში ნუ ამომხდით სულსო, მაგრამ იმათმა დედასთან ერთად ცხოვრება არ მოისურვეს და დალიც იძულებული გახდა, ოჯახში ვინმე მიეყვანა — უკვე მოხუცს ეშინოდა სიკვდილის, მარტოობის. ჰოდა, ვიღაც სოფლელი გოგონა შეიკედლა, რომელიც ასევე, უმადური აღმოჩნდა და ქალს სისხლს უშრობდა — ხან ფულს ჰპარავდა, ხან უამრავი მეგობარი მიჰყავდა და ქალს მთელი ღამე არ აძინებდნენ... ამასობაში მეც გამოვჩნდი — დალის შემთხვევით, ქუჩაში შევხვდი და ძველი დრო გავიხსენეთ, მერე ჩემ შესახებ ვუამბე; გამოვუტყდი, რომ ახალგაზრდობაში ჩადენილი სისულელეების გამო ძალიან მრცხვენოდა, რომ ჩემს ქარაფშუტობას ვნანობდი და ცოლის შერთვა მქონდა გადაწყვეტილი. ბოლოს, ისიც შევჩივლე: ახლა აღარავინ მომყვებამეთქი. თვალები უცნაურად გაუბრწყინდა. მივხვდი, მის გულში ისევ კიაფობდა ჩემი სიყვარულის ნაპერწკალი და შევთავაზე: მოდი, ახლა ავიხდინოთ ოცნება, ცოლად გამომყევი და დაკარგული დრო ავინაზღაუროთ-მეთქი. იუარა, — ხალხი რას იტყვისო?.. რამდენიმე ხნის შემდეგ შინ დავურეკე, მოვიკითხე და პირველი პაემანიც სწორედ მაშინ დავუნიშნე. საოცრად გამოპრანჭული მოვიდა და გამომიტყდა, — ეს ჩემს ცხოვრებაში პირველი და უკანასკნელი პაემანიაო. მინდვრის ყვავილების დანახვამ ბავშვივით გაახარა; ალექსანდრეს პარკში კარგა ხანს ვისეირნეთ, მერე კი თითზე ბეჭედიც წამოვაცვი და ვუთხარი: შენს შვილებს დღესვე შეატყობინე, რომ თხოვდები, დასაკარგი დრო არა გვაქვს-მეთქი! — კარგიო, — მითხრა და ერთმანეთს დავემშვიდობეთ. დალიმ იმ საღამოსვე, აქვითინებულმა დამირეკა: შვილები შევკრიბე და ჩვენი გადაწყვეტილება ვაცნობე, მაგრამ ისე გამიბრაზდნენ, რომ უფროსმა ჩემკენ საცემრადაც კი გამოიწია; დამცინეს, გამომლანძღეს და დამემუქრნენ: თუ მსგავს სისულელეზე ფიქრს არ შეეშვები, მოხუცებულთა თავშესაფარში გადაგიყვანთო... დალი ვანუგეშე და პაემანი მეორე დღისთვის დავუნიშნე. მითხრა, — ვერ მოვალ, ბავშვები მომკლავენო. — მხოლოდ ერთხელ მნახე და მერე როგორც გინდა, ისე მოიქეცი-მეთქი. მეორე დღეს მართლაც, შევხვდი, ხელი ჩავჭიდე და ეკლესიაში შევიყვანე, სადაც ჯვარი დავიწერეთ მიუხედავად იმისა, რომ პატარძალი ტიროდა; ეშინოდა, შვილებს დავკარგავო, მაგრამ მოვთაფლე და შინ წავიყვანე... ახლა შვილები დედას საკუთარ ბინაში შესვლის უფლებასაც არ აძლევენ, მაგრამ ეგ არაფერი, მთავარია, აზრზე მოვიდნენ და მანამ შეურიგდნენ, ვიდრე ცოცხლები ვართ...

ვეცადე, ინტერვიუ ქალბატონ დალისთანაც ჩამეწერა, მაგრამ უარი მითხრა. სამაგიეროდ, იმაში კი გამომიტყდა, რომ დიდი ხნის ნატვრა აისრულა და მიუხედავად იმისა, რომ შვილები არ ელაპარაკებიან, თავს ბედნიერად გრძნობს; იმედი აქვს, რომ მისი პირმშოები დედას არ გაწირავენ, არ მოიკვეთენ მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი სიყვარულისთვის ბრძოლა არ შეწყვიტა.

მიშა, *74 წლის:*

„ცოლი რომ მოვიყვანე, 60 წლის ვიყავი და ამ ნაბიჯის გამო ბევრი დამცინოდა, მაგრამ სხვისი აზრი არასდროს მაინტერესებდა და რაღა ამ ასაკში დავკომპლექსდებოდი? მთავარი ისაა, რომ დღეს ჩემზე ბედნიერი ადამიანი არსად მეგულება. გინდა დაიჯერეთ, გინდ — არა,

60 წლის ასაკამდე ქალი პაემანზე არ დამიპატიჟია. ისე არ გამიგოთ, თითქოს სუსტი სქესის მეშინოდა, მაგრამ ოჯახის შექმნისგან ვიკავებდი თავს; ვითომდა მძიმე უღელის დადგმა არ მინდოდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ამის გარეშეც შეუძლებელია. სიმართლე გითხრათ, სიბერეში მარტოობისაც შემეშინდა და ნათესავებს ვთხოვე, — ვინმე კარგი, საჩემო ქალი გამომიძებნეთ-მეთქი. ზოგს გაეცინა, რაღა დროს შენი ცოლიაო, ზოგმა კი ნათქვამი ხუმრობაში ჩამითვალა, მაგრამ ბიძაშვილს (იმას შემოევლოს ჩემი თავი) შევეცოდე და მშვენიერი ქალიც გამირიგა... ნინაც არასდროს ყოფილა გათხოვილი და ისიც ეძებდა „ლოგინის გამთბობს“. ის თავის დროზე იმიტომ არ გათხოვილა, რომ 20 წლის ასაკში შეყვარებული გარდაეცვალა და მის გამოგლოვას შეალია წლები. ახლა მართლა ბედნიერები ვართ, ერთმანეთი გვიყვარს და სიცოცხ-

ლის ბოლომდე ერთად ვიქნებით. მის გარეშე არ ვიცი, რა მეშველებოდა. იცით, ცოლი რომ შევირთე, ქორწილიც გადავიხადე, მშვენიერი პურისჭამა გვქონდა, მაგრამ ჩემს ხელში გაზრდილი ძმისშვილი არ მეწვია და გული მატკინა. თურმე, „გაუტყდა“ ბიჭს, ბიძამისმა სიბერეში რომ შეირთო ცოლი; არადა, სინამდვილეში იმის შეეშინდა, ბავშვი არ გაუჩნდეთო. აბა, რაღა დროს ჩემი და ნინას შვილია? ეჰ, ქონება როგორ უბრმავებს თვალს ახალგაზრდებს, არადა, მის გარდა არავინ მყავს, ყველაფერი მხოლოდ მისთვის მემეტება: მშვენიერი სახლ-კარი მაქვს, პატარა ბიზნესიც და არ მინდა, ეს ყველაფერი ვიღაც გადამთიელს ჩაუვარდეს ხელში. სხვათა შორის, თავად 40 წლისაა და ჯერ არ დაოჯახებულა. ასე რომ, არავინ იცის, წინ ვის რა ელის. ხომ გაგიგონიათ ასეთი ბრძნული ნათქვამი: ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო! ჰოდა, იქნებ ოდესმე, მასაც დასცინონ ნათესავებმა და ისიც მიატოვონ ბედის ანაბარად...“

გალინა, *56 წლის:*

„სიბერეში შექნილ ოჯახს თავისებური ხიბლი ჰქონია. პირველად 16 წლის ასაკში გავთხოვდი. ქართველი გიორგი, რომელიც მაშინ მხოლოდ 25 წლის იყო, ლენინგრადში გავიცანი და სიმპათიურ მამაკაცს საქართველოში დაუფიქრებლად გამოვყევი. ჩვენ მხოლოდ 2 წელი გავატარეთ ერთად, მერე კი დავშორდით, რადგან მასთან შვილი არ შემეძინა და დედამთილმა უშვილობა დამწამა, არადა, მისი შვილი ყოფილა უნაყოფო — 3 ცოლი გამოიცვალა და ბავშვი არც ერთთან არ ეყოლა... მეორედ 20 წლის ასაკში, მოსკოველ კაცზე გავთხოვდი, მაგრამ ქართველის ნაცოლარმა რუსის მეუღლეობა ვერ ავიტანე, ჩემივე ეროვნების ადამიანს ვერ გავუგე და 2 თვეში გავშორდი. სწორედ მას მერე გადავწყვიტე: აღარასდროს გავთხოვდები, მხოლოდ შვილს გავაჩენ კაცისგან, რომელიც მომეწონება-მეთქი და ამ მიზნით, 25 წლის ასაკში თბილისში ჩამოვედი, ბინა ვიქირავე და ერთი სიმპათიური კაცი ჩავიგდე ხელში. მართლა კაცური კაცი იყო, მაგრამ ოჯახი ჰქონდა და არ მინდოდა, საკუთარი ბედნიერება სხვის უბედურებაზე ამეგო... როცა ვაჟამ გაიგო, რომ მისგან ფეხმძიმედ ვიყავი, გადაწყვიტა, ცოლს გაშორებოდა და მე შევერთე, რადგან თურმე, უზომოდ შევუყვარდი, მაგრამ ცივი უარი ვტკიცე (სხვათა შორის, მას ცოლთანაც ჰყავდა ქალ-ვაჟი). მისგან ქალიშვილი შემეძინა თუ არა, დავკარი ფეხი და ისევ ლენინგრადში დავბრუნდი... ახლა ჩემი გოგონა თავადაა დედა და ძალიან ბედნიერია, მე კი ჩემი ამჟამინდელი ქმარი სწორედ მის ქორწილში გავიცანი. კატინკას მეუღლე ებრაელია, მაგრამ დედა ჰყავს ქართველი და ქორწილში მისმა ნათესავმა დამადგა თვალი, თავგზა ამიბნია და 50 წლის ასაკში, როცა უკვე შვილიშვილიც მყავდა, გავთხოვდი. გრიგოლი ჩემზე 12 წლით უფროსია, მაგრამ ახალგაზრდულად გამოიყურება. ჩვენ ერთად შევხარით ცხოვრებას. ის ჩემს გოგონას საკუთარ ქალიშვილად მიიჩნევს, მე კი მის ვაჟს, რძალს და შვილიშვილებს ვევლები თავს. სიმართლე გითხრათ, მოხუცებულობაში შექმნილ ოჯახს სულ სხვა ხიბლი ჰქონია; გრიგოლი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ტკბილი და მსუყე ტორტის ნაჭერი აღმოჩნდა, რომელიც უფალმა მაჩუქა და ზუსტად ვიცი, რომ მას არასდროს გავეყრები!.. მადლობა ღმერთს იმისთვისაც, რომ ჯერ კიდევ 16 წლის ასაკში შემახვედრა ქართველ კაცს, რომელმაც მაგრძნობინა, რომ ქართველები ძალიან კარგი ადამიანები და რაც მთავარია — უსაშველოდ ტემპერამენტიანები, ვაჟკაცური ბუნების მქონენი არიან; თუმცა, ამას ვერ ვიტყვი ჩემს პირველ ქმარზე, რომელიც დედის კალთას გამოკერებული ლაჩარი იყო“.

ზინა, *55 წლის:*

„52 წლის ასაკში გავთხოვდი. მართალია, მე და ჩემს მეუღლეს შვილი არ შეგვეძინა, მაგრამ ორი პატარა ვიშვილეთ და მათ ვევლებით თავს. არა მგონია, საკუთარი რომ გვყოლოდა, მათზე მეტად გვყვარებოდა. ოჯახი გვიან იმის გამო შევქმენი, რომ თავს უამრავი ტრაგედია გადამხდა — 15 წლის ასაკში დედა გარდამეცვალა და მას ვგლოვობდი; 18 წლის გახლდით, როცა მამაც მომიკვდა, მერე ძმა, და, დისშვილი გარდამეცვალა და... მოკლედ, მიცვალებულების გამოგლოვას დიდხანს მოვუნდი და როცა ბოლოს და ბოლოს, საკუთარი თავისთვისაც მოვიცალე, სარკეში უკვე სულ სხვა, ნაოჭებიანი ქალი აღმოვაჩინე. სწორედ მაშინ იაქტიურეს ნათესავებმა და გამაცნეს მიშა, რომელიც მართალია, ნაცოლარი გახლდათ, მაგრამ ის ისეთი შესანიშნავი ადამიანია, რომ ჩემი დასაწუნი არაფერი სჭირდა. ჰოდა, გაცნობიდან სულ რაღაც, 4 თვეში შევუღლდით და მერწმუნეთ, ახლა ერთმანეთი უზომოდ გვიყვარს! გამოგიტყდებით და, ის არის ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში პირველად, ტუჩებში ვაკოცე (*იცინის*) და როცა ამაში მასაც გამოვუტყდი, გაოცებისგან თვალები დააელამა: აქამდე თავი ასე როგორ შეინახე? მე ყველა შინაბერა ახალგაზრდობაში „ნაანცარი“ მეგონაო. ახლა, იმის გამო, რომ ყველაფერი კარგი მისთვის მქონდა გადანახული, უზომოდ დიდ პატივს მცემს და ხელის გულზე მატარებს. ასე რომ, გათხოვება და ცოლის მოყვანა არასდროსაა გვიან! მთავარია, მოინდომოთ და ოჯახის შექმნას ნებისმიერ ასაკში, ყველანი შეძლებთ!..“

■

ყოფილი ჟურნალისტის გამხელილი საიდუმლო

„ორ რუსს საკუთარი ხელით გავუთხარე სამარე“

ის ყოველთვის იქ არის, სადაც ომი და კონფლიქტია; პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად ლაოსსა და კამბოჯაშიც კი მოუხდა ჩასვლა. სიკვდილისთვის არაერთხელ ჩაუხედავს თვალებში, მაგრამ თავად არასდროს არავინ მოუკლავს და ეს არც უცდია, რადგან კონფლიქტურ რეგიონებში სამხედრო ჟურნალისტის სტატუსით ჩადიოდა. ეს ადრე იყო, დღეს კი მამუკა არეშიძე საზოგადოებისთვის ცნობილია როგორც ექსპერტი — კავკასიის საკითხებში. სხვათა შორის, იგი პროფესიით დრამის რეჟისორია და მოზარდ მაყურებელთა თეატრში რამდენიმე სპექტაკლიც აქვს დადგმული. უყვარს პოეზია, კლასიკური ლიტერატურა, ისტორია... შინ ერთობ საინტერესო, იარაღების — დამბაჩების, ხმლების, ხანჯლების — კოლექცია აქვს. მისთვის ყველაზე ძვირფასი ერეკლე მეფის ერთ-ერთი პირადი მცველის, მგელიკა ჭინჭარაულის ნაქონი ფარია და როგორც თავად ამბობს, — ეს ნივთი მამამისისთვის ჯერ კიდევ 50-იან წლებში, ჭინჭარაულის შთამომავალს უჩუქებია. ბატონმა მამუკამ ჩვენთან საუბრისას ისიც აღნიშნა, რომ ნამდვილი ქართველია, ეს კი დედამისის, ქალბატონი ლამარას დამსახურება ყოფილა.

ხათუნა გახტურიძე

— მაინც, რა გააკეთა ქალბატონმა ლამარამ იმისთვის, რომ ნამდვილ ქართველად აღზრდილიყავით?

— შემაყვარა ყველაფერი ქართული — ლიტერატურა, პოეზია, ისტორია...

— როდესაც თქვენ პიროვნებად ყალიბდებოდით, საბჭოთა კავშირი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ არარუს ხალხში ეროვნული სულისკვეთება ჩაეკლა. ამ ფაქტმა თქვენზე რა გავლენა იქონია?

— საბჭოთა კავშირი კი, მაგრამ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება ეროვნული სულისკვეთების ჩაკვლას სულაც არ ცდილობდა. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის წყალობით ქართველები უფრო მობილიზებულნი გახდნენ. მაგალითად, დიდი პროფესიონალიზმი და სიფრთხილე იყო საჭირო ისეთი პროდუქციის (ფილმი იქნებოდა ეს თუ სპექტაკლი) შესაქმნელად, რომელშიც ქართველი კაცის სათქმელიც იქნებოდა ჩადებული და მოსკოვიც ვერ „დაბლოკავდა“.

მისთვის ყველაზე ძვირფასი ერეკლე მეფის ერთ-ერთი პირადი მცველის, მგელიკა ჭინჭარაულის ნაქონი ფარია

— ქართულ ენასთან დაკავშირებულ პრობლემებზე რას იტყვით?

— ქართულად ლაპარაკს არავინ გვიკრძალავდა, მაგრამ თუ რუსული ენა არ იცოდი, კარგ სამსახურს ვერ იშოვიდი.

— აბა, 1978 წელს რატომ გამოვიდა ხალხი ქუჩაში, ქართული ენის დასაცავად?

— მაშინ მოსკოვი შეეცადა, ქართულისთვის სახელმწიფო ენის სტატუსი მოეხსნა, მაგრამ სტუდენტების მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. მაშინ ახალგაზრდებს, მშობლებისა და პედაგოგების წყალობით, მშობლიური ენა უზომოდ უყვარდათ და ამ საქმის გამო თავის გაწირვასაც კი აპირებდნენ. აბა, ახლა ამოიღონ კონსტიტუციიდან ქართული ენა და ნახავთ, ამას ვინმე თუ გააპროტესტებს. მერწმუნეთ, ახალი თაობის 60%-ს მშობლიური ენის ბედი სულაც არ ანაღვლებს... ახალგაზრდა ჩინოვნიკების მიერ ერთმანეთისთვის მიწერილი ოფიციალური წერილები რომ ვნახე, თავის მოკვლა მომინდა — წერილები ინგლისურად ან ჩიქორთული ქართულით იყო დაწერილი.

— თუ თქვენმა მშობლებმა და პედაგოგებმა მომავალ თაობას ქართული ენის სიყვარული შთაუნერგეს, ეს თქვენ რატომ ვერ მოახერხეთ?

— ჩემი შვილი 14 წლის ასაკიდან უცხოეთში ცხოვრობდა და უმაღლესი სასწავლებელიც იქ დაამთავრა, მაგრამ უაღრესად პატრიოტია; მან კანადაში ცხოვრებასა და პრესტიჟულ სამსახურს საქართველოში დაბრუნება არჩია, მაგრამ თქვენს შენიშვნას ნაწილობრივ მაინც ვიზიარებ... დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საშინელი პერიოდი გამოვიარეთ და შვილებისთვის ვეღარ მოვიცალეთ.

— ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად იყავით ჩართული?

— 1978 წლის საპროტესტო აქციის დროს თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებს მე და ცხონებული მამუკა კიკალეიშვილი ვხელმძღვანელობდით. აქციების მოთავენი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ, ჩვენ კი მათ ავყევით.

— ზვიად გამსახურდიასთან თქვენი დაპირისპირების მიზეზი რა გახდა?

— ერთი ოჯახის წევრები ვიყავით; დედაჩემიც გამსახურდიაა, მაგრამ ზვიადთან კარგი ურთიერთობა არასდროს მქონია, ის ნათესავებთან ურთიერთობისას შეცდომას ხშირად უშვებდა. ეროვნული მოძრაობის ყველა წარმომადგენელს კარგად ვიცნობდი და მშვენივრად ვიცი, ვის რა შეცდომა თუ დანაშაული აქვს ჩადენილი. მერწმუნეთ, ბევრი რამ მინახავს და გამიგონია. ჰოდა, ღმერთმა ნუ ქნას, რომ მემუარების წერა დავიწყო...

— რადგან წარსულში ბევრი რამ გინახავთ და გაგიგონიათ, ახლა კი ექსპერტიც ხართ, უნდა გვითხრათ, სამოქალაქო ომის ცოდვა ვის კისერზეა?

— მაშინდელმა პოლიტიკოსებმა — როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებმა ქვეყანა საცდელ ლაბორატორიად ვაქციეთ. ჩემმა ბალტიისპირელმა მეგობრებმა მითხრეს, — ჩვენ თქვენს შეცდომებზე ვსწავლობდითო. ქართველები პოსტსაბჭოთა სივრცის ხალხებიდან ყველაზე ემოციურად და გაუაზრებლად ვმოქმედებდით. ჩემი თაობის კისერზეა როგორც აფხაზეთისა და ცხინვალის, ისე სამოქალაქო ომის ცოდვა. მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილება დიდი უბედურების მიზეზი ხდებოდა. ზვიადმა შეცდომა დაუშვა, როდესაც ტელევიზიის ხელმძღვანელად თემურ კვანტალიანი დანიშნა; ამ კაცს სტუდენტობიდან ვიცნობდი და კარგად ვიცოდი, ვინც იყო. ზვიადს ვუთხარი კიდეც, — ტელევიზიასაც დააქცევს და საქმეს შენც გაგიფუჭებს-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა... კვანტალიანმა ტელევიზიის ყველა თანამშრომელი, მათ შორის — ღვაწლმოსილი ჟურნალისტები სამსახურიდან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაყარა და მათ მეც მიმაყოლა. ერთ თვეში ტელევიზიის წინ მჯდომარე აქცია მოვაწყვეთ, რაც სამწუხაროდ, სხვადასხვა პოლიტიკურმა ძალამ თავისი ინტერესებისთვის გამოიყენა...

— **ოპოზიციონერებმა, რომლებიც ქართველებსა და ოსებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის ერთ-ერთ მიზეზად გამსახურდიას პოლიტიკას მიიჩნევენ, თუ გააკეთეს რაიმე იმისთვის, რომ ეს დაპირისპირება თავიდან აერიდებინათ?**

— კი, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ უარი თქვა იმ აქციაში მონაწილეობაზე, რომელიც ზვიად გამსახურდიამ 1989 წლის ნოემბერში ჩაატარა. შეგახსენებთ, მან ცხინვალში 40 ათასი კაცი ჩაიყვანა.

— **კი, მაგრამ მაშინ აქციის მონაწილეებს ოსი ხალხის საწინააღმდეგო განცხადებები ხომ არ გაუკეთებიათ?**

— არა, ისინი ოსებს მოუწოდებდნენ, — ერთად ვიბრძოლოთ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგო, მაგრამ ეს ამბავი კრემლმა სათავისოდ გამოიყენა; რუსეთის შინაგანმა ჯარმა ქართველ მომიტინგეებს გზა ჩაუკეტა და ამით ოს სეპარატისტებს სტიმული მისცა.

— **როგორ ფიქრობთ, რა არის იმის მიზეზი, რომ ოსები დღემდე გვაყვედრიან, — ვიდრე ქართველებმა არ შეგვახსენეთ, აღარც კი გვახსოვდა, ოსები რომ ვიყავითო?**

— ვინც ამას ამბობს, გულწრფელი არ არის. ერთადერთი ჟურნალისტი ვარ, რომელიც ქართველებისა და ოსების პირველ შეტაკებას შეესწრო და ისიც კარგად ვიცი, მანამდე რაც ხდებოდა. 1989 წელს ალან ჩოჩიევმა მოსკოვს საქართველოსგან გამოყოფის თხოვნით მიმართა. ის აქტიურად მონაწილეობდა ორგანიზაცია „ადამონ ნიხასის“ ჩამოყალიბებაში, თანამშრომლობდა რუსეთის სპეცსამსახურებთან და მათი დავალებით ქართველებსა და ოსებს შორს წყალს ამღვრევდა. როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ სკოლებში ქართული ენის გაძლიერებულად სწავლა სავალდებულო გახადა, „ადამონ ნიხასმა“ პანიკა ატეხა, — მშობლიურ ენას გვართმევენო. არადა, ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ჩრდილო ოსეთისგან განსხვავებით, ოსურ ენაზე სკოლებიც ფუნქციონირებდა და პედაგოგიური ინსტიტუტიც. ჩოჩიევი რომ კა-გე-ბეს აგენტი იყო, ამის შესახებ მისმა კარის მეზობელმა, პოეტმა ევგენი ევტუშენკომაც მითხრა. ოსებისთვის არც ზვიად გამსახურდიას და არც სხვა რომელიმე ქართველს არ შეუხსენებია მათი წარმომავლობა, ეს ალან ჩოჩიევმა გააკეთა, ჩვენებმა კი რუსებისა და ოსი სეპარატისტების წისქვილზე უნებურად დაასხეს წყალი. 1989 წელს სეპარატისტების სამ ლიდერთან — ალან ჩოჩიევთან, ალან პარასტაევთან და აღსარ ჯიკაევთან (ჯიკაევი თბილისში დაბადებულ-გაზრდილი ოსი იყო, ცოლი და დედა ქართველი ჰყავდა) ჩავწერე ინტერვიუ. მათ მთხოვეს, ინტერვიუ ვიდეოზე ჩამეწერა და ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებისთვის მეჩვენებინა — მაშინ ისინი მხოლოდ კულტურულ ავტონომიას ითხოვდნენ; ჩოჩიევი არა, მაგრამ დანარჩენი ორი გულწრფელი იყო. ვიდეოკასეტა თბილისში ჩამოვიტანე, სამ დიდ მეცნიერსა და ერთ ეროვნულ მოღვაწეს ვუჩვენე. ნიკო ჭავჭავაძის გარდა, ყველამ მითხრა, — ამ ველურებთან არ ვილაპარაკებო.

საწყალი, მძიმედ იყო დაჭრილი და სურათის გადაღებიდან 5 წუთში დაიღუპა

— **დანარჩენი სამი ვინ იყო?**

— საჯაროდ ვერ გეტყვით... როცა ოსებმა გაიგეს, რომ ცხინვალში მხოლოდ ნიკო მომყვებოდა, დაიმალნენ და ჭავჭავაძეს მხოლოდ ნაფი ჯუსოითი შეხვდა. ისინი ერთმანეთთან ისედაც ძმაკაცობდნენ და საერთო ენაც გამონახეს, მაგრამ მხოლოდ ორი კაცი პრობლემას ვერ მოაგვარებდა.

— **ინტერვიუს დროს ჩოჩიევს არ მიანიშნეთ იმ ფაქტზე, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთისგან განსხვავებით, ჩრდილოეთ ოსეთში ოსურ ენაზე არც ინსტიტუტი ფუნქციონირებდა და არც — სკოლა?**

— კი, მაგრამ ამაზე პარასტაევისგან სულელური პასუხი მივიღე, — ეს ვიცით, მაგრამ ღვთისგან ბოძებული ფუნქცია გვაქვს, რომ ცხინვალში შევიკრიბოთ, მერე მთელ კავკასიაში გაფანტულ ოსურ თემს შევკრებთ... ქართველები კი ამაში ხელს გვიშლითო. სიმართლე გითხრათ, ოსი საზოგადოების დიდ ნაწილს ჩოჩიევი და „ადამონ ნიხასის“ ფილოსოფია ფეხებზე ეკიდა, მაგრამ ზვიადის მიერ ცხინვალში განხორციელებული მარცხიანი დემარშის შემდეგ „პატრიოტები“ გახდნენ.

— **ხელოვან ადამიანს პოლიტიკური პროცესების ეპიცენტრში ყოფნა არ გიჭირდათ?**

— მიხეილ თუმანიშვილის სახელოსნოს დამთავრების შემდეგ საქართველოს ტელევიზიის ახალგაზრდული პროგრამების რეჟისორი გავხდი; შემდეგ ტელევიზიის კინორედაქციის მთავარი რეჟისორი, ასევე, პროგრამა „საღამო მშვიდობისას“ წამყვანი და რეჟისორი, ერთი პერიოდი კი „მოამბის“ მთავარი რედაქტორიც გახლდით. ჩემი საქმე მქონდა და სხვა რამეზე არც ვფიქრობდი, მაგრამ კვანტალიანმა ტელევიზიის დატოვება რომ მაიძულა, რაღაცები ჩემს ცხოვრებაშიც შეიცვალა. სხვათა შორის, ერთხანს „ოსტანკინოს“ კორესპონდენტადაც ვმუშობდი, გამუდმებით ცხელ წერტილებში მიწევდა სიარული და სწორედ მაშინ ჩამოვყალიბდი სამხედრო ჟურნალისტად.

— **ინდოჩინეთში „ოსტანკინომ“ გაგიშვათ?**

— კი. 1991 წელს კამბოჯაში ერთობ საინტერესო რამ გადამხდა: ჯუნგლებში ვარ. ერთმანეთს კომუნისტები, წითელი ქხმერები და მონარქისტები ებრძოდნენ. ქხმერებმა ჩემი თანმხლებნი სრულად გაანადგურეს, მხოლოდ მე და ბელორუსი ოპერატორი გადავრჩით; ცოტა ხანში მეორე ბატალიონი მოგვეშველა. ჩემი ყურადღება ბატალიონის უფროსმა მიიქცია, რო-

ეს ხალხი ომში თავდაუზოგავია, თითქოს — შიშის შეგრძნებაც კი არ აქვთ, სიკვდილს ეთამაშებიან...

მელიც ისეთი ტანდაბალი იყო, ბავშვი გეგონებოდათ. ის კაცი ოპერატორთან მივიდა და რაღაც ჰკითხა — როგორც მოგვიანებით გავიგე, ჩემი წარმოშობით დაინტერესებულა. ვიდრე მეთაური და ოპერატორი საუბრობდნენ, კამერა ავიღე და კადრების გადაღება დავიწყე. წარმოიდგინეთ, ჯუნგლებში ვარ, ნაომარ ადგილებს ვიღებ და უცებ, კამბოჯელი მეომარი ქართულად მეკითხება, — შენ რა გქვია, ბიჭო? კამერა ლამის, ხელიდან გამივარდა. როგორც გაირკვა, წლების წინ ის თბილისში, საფეიქრო ტექნიკუმში სწავლობდა.

— აფხაზეთშიც ჟურნალისტის სტატუსით იყავით?

— კი. უამრავი გმირობისა თუ ღალატის მომსწრე ვარ, პოზიციების გაყიდვის ფაქტსაც კი შევსწრებივარ. პირველად ახლა უნდა გავამხილო, თუ როგორ მიგვატოვა შსს-ს სპეცრაზმმა მე და ჩემი ოპერატორი, გოგა ჭყონია მტრის ალყაში. სოფელ შრომაში განთავსებულ შტაბში მივდიოდით. გზაში სპეცრაზმელები შეგვხვდნენ და გვითხრეს, — უკან დახევის ბრძანება მივიღეთ, შტაბს ვტოვებთო. ბრძოლა დასრულებული გვეგონა და გზა განვაგრძეთ. დანიშნულების ადგილას რომ მივედით, იქ დანგრეული შტაბი დაგვხვდა, ირგვლივ კი ჯარისკაცების გვამები ეყარა; მხოლოდ ერთ-ერთი მებრძოლი იყო ცოცხალი და მანაც, მხოლოდ იმის თქვა მოასწრო, — გვიღალატესო და გარდაიცვალა. მე და გოგა მტრის ალყაში, მარტონი აღმოვჩნდით. კიდევ კარგი, მანგლისელების 13-კაციანმა ბატალიონმა მოგვისწრო. ალყიდან მხოლოდ ხუთმა კაცმა — მე, ოპერატორმა და სამმა მებრძოლმა გამოვაღწიეთ. ერთ ფოტოს გიჩვენებთ, რომელზეც მე და ერთ-ერთი მანგლისელი მებრძოლი ვართ აღბეჭდილნი. საწყალი, მძიმედ იყო დაჭრილი და სურათის გადაღებიდან 5 წუთში დაიღუპა. წიგნია დასაწერი იმის შესახებ, თუ როგორ ყიდნენ ქართველი მაღალჩინოსნები მეომრების მიერ ბრძოლით აღებულ პოზიციებს... ზურგიდან არაერთი ღალატის მიუხედავად, ბიჭებმა წელიწადზე მეტხანს გაუძლეს უზარმაზარ შემოტევას, წარმოუდგენელი რამ შეძლეს...

— კონფლიქტოლოგები აფხაზეთში ქართველების დამარცხების მიზეზად სხვადასხვა ვერსიას ასახელებენ. თქვენი ვერსია როგორია?

— ჩემი ვერსია პარადოქსულია. აფხაზეთში ისეთი სიტუაცია იყო შექმნილი, რომ ომს აუცილებლად წავაგებდით! მართალია, ბიჭები თავდაუზოგავად იბრძოდნენ, მაგრამ ხელისუფლება უშვებდა უხეშ შეცდომებს, მხარდამჭერებიც არ გვყავდა. ჩვენს მხარეს მხოლოდ ერთი მუჭა უკრაინელები, თურქი-მესხები, აზერბაიჯანელები და ჩეჩნები იბრძოდნენ. სხვათა შორის, საქართველოს არაქართველი მოქალაქეების ნაწილიც გმირულად იბრძოდა. ჩემი თვალით ვნახე, აჩადარასთან როგორ დაეჯახნენ ერთმანეთს ბატალიონ „თბილისის“ სომეხი მებძოლები „ბაგრამიანის“ ბატალიონის სომხებს; ჩვენებმა მათ 15 კაცი მოუკლეს. სხვათა შორის, ქართული მიწის დასაცავად, ოსებთან ერთად, რუსებიც იბრძოდნენ; ორ რუსს საკუთარი ხელით გავუთხარე სამარე.

— ისინიც საქართველოს მოქალაქეები იყვნენ?

— არა, ისინი ომსკელები იყვნენ და ჩვენს მხარეს მოხალისეებად იბრძოდნენ.

— თავიანთ საქციელს რით ხსნიდნენ?

— მათი ბრძოლის მოტივი ჩვენთვის სრულიად გაუგებარი იყო. ამბობდნენ, — ჩრდილოკავკასიელების წინააღმდეგ ვიბრძვითო. კი ვეუბნებოდით, რომ ჩრდილოკავკასიელებს სწორედ რუსეთი უმაგრებდა ზურგს (პირადად ვნახე, როგორ ებრძოდა ჩვენი სამხედრო პოლიცია რუსეთის საჰაერო სადესანტო დივიზიის ნაწილს), მაგრამ თავისას არ იშლიდნენ...

— თქვენი აზრით, რატომ თქვა ბაღაფშმა, — ბრძოლის გარდა, ქართველებს ყველაფერი ეხერხებათ. ისინი შესანიშნავად მღერიან და ცეკვავენო?

— ეს პროპაგანდისტული განცხადება იყო. ბაღაფში ქართველებმა სიკვდილს არაერთხელ გადაარჩინეს, მისი ცოლიც ქართველია და ისიც მშვენივრად მოეხსენება, როგორი მეომრები გვყავს... „ჩუსტებიანმა“ ქართველმა მეომრებმა წარმოუდგენელი წინააღმდეგობა გაუწიეს ჯარს, რომელსაც ავღანეთის სამი გმირი — კოლესნიკოვი, ჩინდაროვი და ვორობიოვი ხელმძღვანელობდა. ვორობიოვი დუმაში, უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა. აბა, მას ჰკითხონ, როგორი ბრძოლა იციან ქართველებმა? 2008 წლის სექტემბერში რუს ოფიცრებს შევხვდი, როგორც ქართულ-რუსული კომისიის წევრი ტყვეების მოძიების საქმეში და პირდაპირ მითხრეს, — თქვენმა არტილერიამ სერიოზულად „დაგვაუთოვაო“, მაგრამ დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა არ გამიმხილეს; ისიც თქვეს, — ქართველი გენერლები და პოლკოვნიკები უკანმოუხედავად გარბოდნენ, ქვედა დონის ოფიცრები და რიგითები კი საოცარ გმირობებს სჩადიოდნენო. არც ის დაუმალავთ, ქართულმა სპეცრაზმმა გენერალ ხრულოვის კოლონა მთლიანად რომ გაანადგურა, თავად გენერალი კი სამარცხვინო მდგომარეობაში ჩააგდო...

— ქართველი მეომრების მიმართ ჩეჩნების დამოკიდებულება როგორია?

— მაგათ თავში აქვთ ავარდნილი... დღემდე ლეგენდებს ჰყვებიან 1994 წელს მომხდარ პირველ ომზე, მაგრამ იმას არ ამბობენ, მეორე ომის დროს რუსებმა სრულად რომ გაანადგურა ჩეჩნური არმია. ჩეჩნები, სხვა კავკასიელების მსგავსად, კარგი მეომრები არიან, მაგრამ ქართველებს ვერაფრით აღემატებიან.

— რუსები როგორი მეომრები არიან?

— ცუდი მეომრები ნამდვილად არ არიან. ისე, ყველაფერი მაინც, მთავარსარდალზეა დამოკიდებული: ფრანგები არასდროს ყოფილან გამორჩეული მებრძოლები, მაგრამ ნაპოლეონმა მათგან უძლეველი არმია შექმნა; დიდი ვერაფერი მეომრები იყვნენ (ხმელეთზე) ინგლისელები, მაგრამ ველინქტონის მეთაურობით, მათ ნაპოლეონიც კი დაამარცხეს; გერმანელები საუკეთესო მებრძოლებად მიიჩნეოდნენ, თუმცა იუგოსლავიელებს ვერაფერი მოუხერხეს... პირადად მე, ყველაზე კარგად ქართველ მეომრებს ვიცნობ და დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ მათ შორის ყველაზე კარგი მებრძოლები ქართლელები არიან. ეს ხალხი ომში თავდაუზოგავია, თითქოს — შიშის შეგრძნებაც კი არ აქვთ, სიკვდილს ეთამაშებიან...

— თქვენ თუ აგიღიათ ხელში იარაღი, თუნდაც, თავდაცვის მიზნით?

— მხოლოდ ერთხელ და ისიც მაშინ, როდესაც სპეცრაზმმა სოფელ შრომასთან მიგვატოვა.

— იარაღის კოლექცია როგორ შეაგროვეთ?

— ძირითადად, ნაჩუქარი იარაღები მაქვს.

— ბრძოლის ველზე, მხოლოდ კამერით შეირაღებული შიშის გრძნობას არ აუტანიხართ?

— შემშინებია, მაგრამ ამ გრძნობას არასდროს ავყოლივარ!.. ■



სამყარო

12 ხანჯალასხმული ჩოხოსანი ვაჟკაცის ხმითა და რწმენით მოჯადოებული ინგლისელები

ფოლკლორულ ანსამბლ „შავნაბადაზე“ ხშირად კი ვწერ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ცხელ-ცხელი და მნიშვნელოვანი ამბები არ ელევათ. ახლაც, ინგლისსა და შოტლანდიაში ბოლო მოგზაურობაზე სალაპარაკოდ ვეწვიე და საინტერესო ინფორმაცია დამხვდა. „შავნაბადას“ ძალიან ახალგაზრდა, საინტერესო, ნიჭიერმა და განათლებულმა ხელმძღვანელმა — დავით ცინცაძემ უახლესი ამბით დაიწყო თხრობა:

ირმა ხარშილაძე

— რამდენიმე დღის წინ იცი, რა ფესტივალიდან მივიღეთ მოწვევა?.. რომელშიც 1995 თუ 1994 წლებში ერთ-ერთ ნომინაციაში ლუჩანო პავაროტიც მონაწილეობდა! ამ საერთაშორისო ფესტივალს Landallen ჰქვია და მასში ძალიან უცნაური და ნიჭიერი მუსიკოსები მონაწილეობენ — ფოლკლორსა და სხვა ჟანრის მაღალი დონის კომპოზიციებს რომ ასრულებენ. ივნის-ივლისში ისედაც მივდიოდით, კომერციული კონცერტებისა და „უორკშოპების“ ჩასატარებლად ინგლისში, უესტმინსტერში, მთავარ საკათედრო ტაძარში, დაახლოებით ისეთივე სააბატოში, როგორიც ლონდონშია. ძალიან გაგვიმართლა: ჩვენი იმპრესარიო, დიდგვაროვანი ქალბატონი (მილედი გახლავთ) სარა კობამა გადააწყდა ინფორმაციას, რომ სწორედ ამ დროს ინგლისის ერთ-ერთ ქალაქში 17-დღიანი საერთაშორისო ფესტივალი ტარდებოდა. მონაწილეთა მიღება დასრულებული ყოფილა, მაგრამ მაინც მიუწერია: გთავაზობთ 12 ქართველი ხანჯალასხმული ჩოხოსანი ვაჟკაცის ხმასო. მათაც უპასუხიათ: შევეშვათ აპლიკაციებს, გამოგვიგზავნეთ ანსამბლის დისკი და რადგან ქართულ ფოლკლორზეა ლაპარაკი, ჩვენ მოვუძებნით ნომინაციებსო. 21 ნომინაცია აქვთ და ვფიქრობთ, სამს შეგვირჩევენ: პოლიფონიას, გუნდურ შესრულებასა და სიმღერის დროს ფერხულებს. თითოეულ ნომინაციაში 3 წუთი გვეძლევა, სულ გვექნება 11 წუთი და სამი სიმღერის შესრულების უფლება. ერთი უნდა იყოს წარმართული სიმღერებიდან, როგორიცაა სვანური „ლილე“, „სვანური ზარი“ და ა.შ.; მეორე

შოტლანდიის განათლების მინისტრთან, მის მეუღლესთან და სარა კობამასთან ერთად

— XVIII-XIX საუკუნეებში შექმნილი ხალხური სიმღერებიდან, ამიტომ ავირჩევთ ან მეგრულ ფოლკლორს ან თუნდაც, „ჩაკრულოს“, რომელიც უფრო ძველია, მაგრამ მოგვიანებით დაიხვეწა და მას შემდეგ გაიგზავნა კოსმოსში; მესამე სიმღერა — საკუთარი არჩევანითაა, ამიტომ გურულ „ნადურზე“ შევჩერდებით. „შავნაბადას“ ცხოვრებაში ეს ყველაზე მნიშვნელოვანი გამოსვლა იქნება, რადგან ამ დონის ფესტივალზე არასდროს ვყოფილვართ. იმავე დღეებში სხვადასხვა კონცერტზეც გამოვალთ და „უორქშოპებსაც“ მოვაწყობთ.

— თქვენი დიდგვაროვანი იმპრესარიო საქართველოში ნამყოფია?

— ქალბატონი სარა კობამა ორჯერ სტუმრობდა საქართველოს და ახლაც, თებერვალში გვეწვევა. მისგან შევიტყვეთ, რომ ინგლისის პრინც ჩარლზს კვლავ შეხმიანებია და გამორიცხული არ არის, ზაფხულში ვიზიტისას მანაც მიგვიღოს. წინა ჩასვლისას პრინცმა ინგლისში სტუმრობისთვის სამადლობელი წერილი მოგვწერა: ქართული ფოლკლორის მსგავსი არაფერი მომისმენია და დიდი მადლობა დისკისთვისო. ლაპარაკია „შავნაბადას“ მეოთხე ალბომზე, რომელიც ჯერჯერობით საქართველოში არც იყიდება, რადგან მთელი ტირაჟი ინგლისში წავიღეთ და პრინცსაც გავუგზავნეთ. რასაკვირველია, განმეორებით აუცილებლად გამოვცემთ, საქართველოშიც რომ გაიყიდოს.

— მოდი, ინგლისში ბოლო გასტროლზეც გვიამბე.

— ვიმღერეთ კემბრიჯში, ლიდსში, ბრისტოლში. ლონდონში ემიგრანტი ქართველებისთვის ორი კონცერტი ჩავატარეთ. ორჯერ ვმონაწილეობდით ბი-ბი-სის რადიოგადაცემაში: 35-წუთიანი გადაცემა ლიდსის კონცერტს დაუთმეს, 15-წუთიანი — კემბრიჯისას. 4-5 სიმღერა შევასრულეთ ამ გადაცემებში და ქართული კულტურის „გავლით“, შეძლებისდაგვარად, ბევრი რამ ვუამბეთ მსმენელს საქართველოზე. ამ გადაცემებს ძალზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ლონდონის კონცერტზე მოსული ქართველები გვიამბობდნენ, ვერ წარმოიდგენთ, რა დაგვემართა „მრავალჟამიერის“ გაგონებისასო: მოულოდნელი სიხარულისა და გაოცებისგან ზოგს — მანქანის საჭისთვის გაუშვია ხელი, ზოგს კიდევ — სამუშაო მიუტოვებია (*იღიმის*). ინგლისში შევხვდით რეჟისორ ბილი მაკალისტერს, რომელიც ძალიან „ახლობლობს“ საქართველოსთან, ქართულ თეატრთან, ბევრჯერ სტუმრობდა ჩვენს ქვეყანას, ქართულიც კი იცის და ამიტომ ჩვენც შინაურულად, იუმორით შეგვეგება: „ჰელოუ, ჯორჯიან მაფიაო“ (*იცინის*). მან ინგლისურ ანსამბლ „სამზეოსთან“ ერთად გადაგვიღო კლიპში, რომლის დასრულებული ვარიანტი ჯერ არ ჩამოგვსვლია. ხომ გახსოვთ, „გზაშიც“ წერდით „შავნაბადასთან“ დამეგობრებულ ანსამბლზე, რომელიც ქართულ ფოლკლორს ასრულებს? ამ მეგობრობაზე ინგლისურ ინტერნეტ-გვერდებზე უკვე დევს ინფორმაცია, რომელიც ინგლისელებმა ოთხ კატეგორიად დაყვეს: პირველია „ლამაზი მუსიკა“ — ინფორმაცია ახალდაარსებულ ორგანიზაციაზე, რომელიც ქართულ კულტურას ემსახურება; მეორე კატეგორიაში ლაპარაკია ანსამბლ „სამზეოზე“; მესამე მხოლოდ „შავნაბადას“ ეძღვნება; მეოთხე კი იქნება ქართულ-ინგლისური ურთიერთობის შესახებ გვერდი, რომელსაც მალე დაასრულებენ. ქალბატონი სარა კობამა რომ ჩამოვა, ბათუმში ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლებსაც შევხვდებით და ამ სფეროში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაზეც ვისაუბრებთ... სწორედ ინგლისში ბოლო ვიზიტისას გადავწყვიტეთ, ორი ქვეყნის სკოლებს შორის გაცვლითი პროგრამის მომზადება. ერთი წლის წინ გურიაში, კერძოდ — ლანჩხუთში შევქმენით სკოლა ლოტბარ-რეგენტებისა და მომღერალ-მგალობლების აღსაზრდელად. იქ სწავლა უფასოა და უმადურობა იქნება, ამ კუთხით ლანჩხუთის გამგეობის ღვაწლზე რომ არ ვთქვა: მთელ სწავლის პროცესს აფინანსებს. დღეს 50 მოსწავლე ჰყავს სკოლას, ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით გადარჩევის შემდეგ კი სექტემბრიდან კლასებად დავყოფთ. ორმოცდაათივე ნამდვილად ვერ გამოვა ლოტბარი, მაგრამ ერთიც რომ გავზარდოთ ძალიან ძლიერი, უკვე დიდი საქმე იქნება. სწავლების მეთოდიკიდან დაწყებული, ყველა ნაბიჯს ანზორ ერქომაიშვილთან ერთად ვდგამთ. ბატონი ანზორი ამბობს, — ჩემს სოფელში, მაკვანეთში ათი სახის „კრიმანჭულს“ მღეროდნენ, დღეს ათ კარგ „კრიმანჭულს“ მთელ საქართველოში ვერ მოისმენო. ამ სკოლით გურიას, ლოტბარ-მომღერლებთან ერთად, „კრიმანჭულებიც“ უნდა დავუბრუნოთ, რადგან ასეთი სიმღერა ქართული პოლიფონიის მწვერვალია. სკოლაში სოლფეჯიოსაც შეისწავლიან, ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვრასაც და ქართული ფოლკლორის ისტორიასაც იმ წიგნებით, რომლებიც ანზორ ერქომაიშვილმა ტომებად გამოსცა. 50 ბავშვიდან გამორჩეული, თუნდაც 2-3 ბავშვი, დანარჩენებისგან შემდგარ გუნდთანაც იმუშავებს: თვითონ ასწავლის სიმღერას. ეს უკვე აპრობირებული მეთოდია. სწორედ ამ სკოლასთან გაცვლით პროგრამაზე ვისაუბრეთ ინგლისში. გურიის სკოლის გაცვლით პროგრამას თბილისშიც განვახორციელებთ, რადგან გვსურს, საუკეთესოებმა აქაც ბევრი რამ შეისწავლონ, მაგრამ საბოლოოდ მაინც გურიას დაუბრუნდნენ და იქ შექმნან სრულფასოვანი ფოლკლორული ანსამბლები. რამდენიმე დღის წინ „შავნაბადამაც“ დააარსა საბავშვო სტუდია შენობაში, სადაც ახლა ვიმყოფებით. ეს გახლავთ სკოლა-კომპლექსი „პრემიერი“, სადაც ბავშვები, სხვადასხვა განხრით განსავითარებლად, ბევრ დისციპლინას შეისწავლიან. სკოლის დირექტორის, ბატონი ჯუმბერ კეჭაყმაძის თქმით, ამ სკოლაში ბავშვები იღებენ აკადემიურ განათლებას, მხოლოდ ქართული კულტურის, ტრადიციებისა და სულიერების საფუძველზე. ეს ყველაფერი ბავშვს შეიძლება მივაწოდოთ ქართული მუსიკით, რომელიც ძალიან ღრმად აღწევს ადამიანის სულში. ამიტომაც სკოლის ბაზაზე დავაარსეთ „შავნაბადას“ საბავშვო სტუდია, სადაც 4-დან 16 წლამდე ბავშვებს მივიღებთ. აქაც იმავე დისციპლინებს ვასწავლით, რასაც ლანჩხუთის სკოლაში. განსხვავებული ის

მიშა ჯავახიშვილი და დათო ცინცაძე BBC-ში

არის, რომ გურული ბავშვები, ანზორ ერქომაიშვილის მკაცრი მითითებით, მხოლოდ გურულ სიმღერებსა და გალობას შეისწავლიან, თბილისელები კი — ყველა კუთხისას და კიდევ, თბილისში სწავლა ფასიანია, რადგან სასწავლო პროცესს თვითონ ვაფინანსებთ. აქაც ნიჭისა და უნარის მიხედვით დავაკომპლექტებთ ჯგუფებს და ბავშვებს ყველა დისციპლინას „შავნაბადას“ წევრები შევასწავლით. ჯერ მხოლოდ ათი მოსწავლე გვყავს, მაგრამ მიღება გრძელდება. ამ სტუდიასაც აუცილებლად ჩავრთავთ ინგლისის გაცვლით პროგრამაში. ინგლისის ბევრ სკოლაში მოგვიწევს „შავნაბადას“ წევრებს, ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის მასტერკლასის ჩატარება, შესაბამისად, არც ბავშვების ხშირად გაცვლის მხრივ შეგვექმნება პრობლემა. ოღონდ, არაფრით შევილახავთ ავტორიტეტს და მხოლოდ ძალიან გამორჩეულებს წავიყვანთ. უკვე ოქტომბერში სკოლა-კომპლექს „პრემიერს“ ინგლისის კათოლიკური ტაძრის დირექტორი და სამი ბავშვი ესტუმრება. თბილისიდან კი ორკვირიანი პროგრამით, პირველ ბავშვს აპრილში წავიყვან.

— ანუ ბავშვი შერჩეული გყავთ?

— რადგან ეს სტუდია მხოლოდ ახლა შევქმენით, აქედან ვერავის წავიყვანდი. არადა, არც პროგრამის შეფერხება მინდოდა, ამიტომ შევარჩიე ჩემივე მოსწავლე, 12 წლის კობა ჩანქსელიანი, დები ჭოხონელიძეების სტუდიიდან. კობას საგანგებოდ, ინდივიდუალურადაც ვამზადებთ. რამდენიმე სიმღერის სამივე ხმა იცის, ნელ-ნელა იმავე სიმღერე-

„შავნაბადას“ მასტერკლასი ინგლისში

ბის დირიჟორობასაც სწავლობს, ინგლისურიც კარგად იცის და იმედიანად ვართ, რომ საპასუხისმგებლო მისიას — ინგლისელ თანატოლებს რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილები ჩაუტაროს და ქართული გალობა გააცნოს — კარგად გაართმევს თავს. რასაკვირველია, კობას ჩემს მასტერკლასებსაც დავასწრებ და ისედაც, გაკვეთილებზეც გავუწევ მეთვალყურეობას. მას ალბათ, სამეფო, შესაძლოა, კათოლიკური სკოლის მოსწავლეებთან მოუწიოს მუშაობამ, თუმცა ეს სახელწოდება რელიგიას სრულიად არ უკავშირდება. მეტსაც გეტყვით — ინგლისელ კათოლიკეებს ძალიან აინტერესებთ მართლმადიდებლური სარწმუნოება და თავისაზე არც არაფერს გვეუბნებიან; ხვდებიან, რომ ჩვენი სარწმუნოება გაცილებით მყარია. გჯერათ, რომ 300 ბავშვზე მეტმა გვკითხა, როგორ შეინახეთ თქვენი კულტურაო?!. ჩვენც ვუხსნიდით — რომ ჩვენმა რელიგიამ შეგვანარჩუნებინა. ასაკით უფროს ინგლისელებს აოგნებდათ ჩვენი სარწმუნოებრივი სიმყარე და გვეუბნებოდნენ, — ამით ისეთი მყარი ზურგი გაქვთ, გვინდა, ჩვენმა ბავშვებმაც დაინახონ, როგორი ადამიანები იზრდებიან მართლმადიდებლური რწმენითო. ფოლკლორის ხერხემალი თაობიდან თაობისთვის გადაცემაა, ბატონი ანზორის წიგნებში კი საოცრადაა აღწერილი ბაბუა-შვილიშვილის ფენომენი. მერე და მერე, ჩვენი ბავშვები, ამ წიგნებით კარგად რომ შეისწავლიან, იქაურ თანატოლებს თეორიულად გააცნობენ ქართულ ფოლკლორს, შემსრულებლებს და ასე შემდეგ. მათგან კი ჩვენი ბავშვები ევროპულ ესთეტიკას შეისწავლიან, ასე რომ, გაცვლა ორივე მხარეს წაადგება.

— ძალიან სასიამოვნოა, რომ ინგლისელები ისე დაინტერესდნენ ჩვენი ფოლკლორით, კულტურით, შესწავლაც მოუსურვებიათ. მაგრამ საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც ჩვენით?

— ანსამბლ „შავნაბადას“ სიმბოლო შავნაბდიანი წმინდა გიორგი გახლავთ. ქალბატონ სარა კობამას ინგლისში ბოლო ვიზიტისას წმინდა გიორგის მოოქრული ხატი ჩავუტანეთ საჩუქრად და სიხარულისა და ბედნიერებისგან ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლები. და იცით, რატომ? საზღვარგარეთ ადამიანები უმეტესწილად, ვერ აგნებენ რელიგიას, სარწმუნოებას, რომელიც განსაკუთრებულ სულიერ სიმშვიდეს მიანიჭებს მათ. ჩვენ, პატრიარქის დახმარებით, ეს გვაქვს. იქაური ახალგაზრდა ბიჭები, რომლებსაც თავიანთ საქმეში აღმზრდელი არ ჰყავთ, უყურებენ ჩვენს რეპეტიციებს, ჩოხასთან, გალობასთან, ხალხურ სიმღერასთან, სუფრის ადათთან ჩვენს დამოკიდებულებას, ხედავენ, რომ ყველაფერში გენეტიკური კოდის რაღაც ისეთია ჩადებული, რაც მათ არა აქვთ ან დაკარგეს. ყველა იწყებს მამის, ბაბუის, წინაპრის გახსენებას: მამა აკეთებდა ამას, ბაბუა გვლოცავდა ისეთივე სიტყვებით, რასაც თქვენ ამბობთ სუფრასთანო, — და ასე შემდეგ. იმ ესთეტიკას ხედავენ, რაც მათთან კომპიუტერმა „ამოჭამა“, ჩაყლაპა და ცარიელი სული და გული დაუტოვა... ჩვენი სკოლა-კომპლექსის არსიც ეგ არის — კომპიუტერიზაციის გამოცდას გავუძლოთ ქართული ნიადაგით და კომპიუტერმა კი არ გამოგვიყენოს, არამედ ჩვენ გამოვიყენოთ ის. ახლა ხომ ხვდებით, რატომ დაინტერესდნენ ინგლისელები მაინცდამაინც ქართული ფოლკლორით?

■

მანანა გაბრიჭიძე

— ბატონო ლაშა, ბათუმში გრანდიოზულ საახალწლო სანახაობას შარშან ჩაეყარა საფუძველი. რა იყო საერთო და რა განასხვავებდა ამ ორ კონცერტს ერთიმეორისგან?

— შარშანდელი კონცერტი უფრო მეტად, კლასიკური მუსიკით იყო დატვირთული. წელს მსოფლიო მასშტაბის შემსრულებელთა ჩამოყვანა მოხერხდა და უფრო თანამედროვე სახის კონცერტი გამოგვივიდა. როგორც ცნობილია, ბათუმს ანდრეა ბოჩელი ეწვია. ძალზე დასანანია, რომ მას მხედველობის პრობლემა აქვს, მაგრამ ის სითბო, რომლითაც მას ბათუმში დახვდნენ, უეჭველად, დიდ სიამოვნებას მოჰგვრიდა. ბოჩელის მეუღლე მისი მთავარი მენეჯერია, რომელმაც დიდი მადლობა გადაგვიხადა. ისინი აღტაცებული დარჩნენ შოუთი და დიდი მადლიერება გამოხატეს ჩემ მიმართ. კონცერტამდე ტელეფონით ვუკავშირდებოდით ერთმანეთს და მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ არც ერთ ქვეყანაში არ იყო ამ მასშტაბის სცენა (სცენა ჩემი ესკიზით იყო გაფორმებული), კონცერტში 432 ადამიანი მიიღებდა მონაწილეობას და გვქონდა ყველაფერი, რომ შოუ მრავალფეროვანი გამოსულიყო... მიუხედავად ცუდი ამინდისა, ყველაფერმა ხარვეზის გარეშე ჩაიარა. ლამის ცა ჩამოიქცა. მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სიტყვა „ხარვეზი“ საერთოდ არც უნდა ვახსენო, როცა ამ კონცერტზე ვლაპარაკობ... ანდრეა ბოჩელიმ, რომელიც დღეს პირველ ადგილზეა საოპერო მომღერლებს შორის, დანაპირები შეგვისრულა. მას 6 არია უნდა შეესრულებინა, მაგრამ 8 შემოგვთავაზა. დიდად მადლიერი ვართ მისი, რადგან ვარსკვლავების უმეტესობა ასეთ ნაბიჯს ხშირად არ დგამს.

— ამბობენ, რომ ანდრეა ბოჩელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, თუ ვინ დგას სცენაზე მის გვერდით...

— ამ მხრივ, ნამდვილად შეგვიძლია მოვიწონოთ თავი: ვფიქრობ, ყველას დიდი სიამოვნება მიანიჭა თამარ ივერის, სოფო ნიჟარაძის, ვაჟა მანიას, სოფო ხალვაშის, დიდი თეატრის წამყვანი სოლისტის — ნოვიკოვას გამოსვლებმა. სცენაზე ნანი ბრეგვაძის გამოჩენამ ქართული სული გააცოცხლა. დიდ მადლობას ვუხდი ნინო ანანიაშვილს — მან წინასწარ შეთანხმებისამებრ, ულამაზესი ნომერი შემოგვთავაზა. ეს გამოსვლა ალბათ ყველასათვის დაუვიწყარი დარჩება... სიმ-

როგორ აფასებს ლაშა ონიანი ბათუმის საახალწლო შოუს

საყოველთაოდ აღიარებულ ქართველ რეჟისორ ლაშა ონიანზე, რომელსაც შეუძლია, ნებისმიერი სივრცე დაიპყროს, ხუმრობით იმასაც ამბობენ, — საჰარის უდაბნოშიც კი შექმნის ხელოვნების ოაზისსო... ეს წლევანდელმა საახალწლო კონცერტმაც დაადასტურა, რომელიც მან ბათუმში დადგა.

„ამინდმა ბოლომდე გაგვწირა, მაგრამ ვერ დაგვიმორჩილა..."

ღერებთან ერთად, მაყურებელს ფიგურული სრიალი შევთავაზეთ: ელენე გედევანიშვილმა, ოთარ ჯაფარიძემ, ნია გადელიამ და სხვებმა საინტერესო ნომრები წარმოადგინეს. რაც კი შესრულდა, არასტანდარტული იყო, მაგრამ ყველაფერი ერთმანეთთან საინტერესოდ შეხამებული გახლდათ...

— **ამ მხრივ ალბათ, პირველ რიგში, სუხიშვილების ნაციონალური ბალეტი გამოირჩეოდა.**

— დიახ, ძალზე საინტერესოდ იმუშავეს სუხიშვილებმა „ბუენო ვისტასთან" ერთად. სცენაზე რეკვიზიტად, ავტომანქანა „პობედა" საგანგებოდ, სიმბოლურად გამოვიყენეთ, რადგან კუბა ჯერ კიდევ „საბჭოთა დროში იმყოფება"... „ბუენო ვისტას" სოლისტებმა, მიუხედავად ასაკისა, რეპეტიციასა და კონცერტზე განსაკუთრებული ხალისი შემოიტანეს. ეს მოცეკვავეები რიოდან ჩამოვიდნენ, რომელიც, როგორც ცნობილია, კარნავალების სამშობლოა. მათთან ერთად, ანსამბლ „რუსთავის" გოგონები გამოვიდნენ.

— **შარშანაც და წელსაც, კონცერტი აჭარის სახელმწიფო ანსამბლმა გახსნა...**

— დიახ. ეს ჩემი პრინციპია: რადგან აჭარის მიწაწყალზე ვიმყოფებოდით, თავს უფლებას ვერ მივცემდი, კონცერტი სხვა ჯგუფის გამოსვლით დამეწყო. ეს ანსამბლი ორჯერვე ძალზე ღირსეულად წარდგა მაყურებლის წინაშე.



— **იტალიელ დირიჟორზეც გვითხარით რამდენიმე სიტყვა.**

— ჯანლუკა მარჩიანო, გარდა იმისა, რომ უნიჭიერესი შემოქმედია, ძალზე გულისხმიერი ადამიანი და ამასთანავე, ჩვენი ქვეყნის დიდი გულშემატკივარია. მან კონცერტამდე ერთი კვირით ადრე მითხრა, რომ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი სრულ მზადყოფნაში იმყოფებოდა, ბოჩელისთან ერთად სცენაზე გამოსასვლელად. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში მგონი, ყველანი დავრწმუნდით. შექებას იმსახურებს აჭარის კაპელა, რომელმაც ბოჩელისთან ერთად, საგუნდო ვარიაციები შეასრულა. რაც შეეხება საორგანიზაციო მხარეს: მასზე ერთი მხრივ, საქართველოში მუშაობდნენ („ბიზნეს-პროტოკოლის ჯგუფი" ლევან ლომინაძის ხელმძღვანელობით), მეორე მხრივ კი გერმანიაში, ქართულ-გერმანული კომპანია „არტ-ტრანსფერი" (ირაკლი რუხაძის ხელმძღვანელობით) უზრუნველყოფდა. „არტ-ტრანსფერის" კომპანიონი, თინა გიბიაშვილი უწევდა ორგანიზებას კონცერტის ყველა იმ მონაწილესთან მოლაპარაკებას, ვინც საზღვარგარეთიდან გვყავდა მოწვეული. აჭარის მთავრობამ და ბათუმის მერიამ არათუ დახმარება გაგვიწიეს, პირადად მონაწილეობდნენ ყველა საორგანიზაციო საკითხის მოგვარებაში. არ შემიძლია არ აღვნიშნო მოდების სახლის — „ნატალის" გოგონები. მათი ნომერი, ბოჩელის სიმღერის დროს, ულამაზესი იყო.

ბოჩელის მეუღლე მისი მთავარი მენეჯერია, რომელმაც დიდი მადლობა გადაგვიხადა. ისინი აღგაცებული დარჩნენ შოუთი

— **ამხელა ღონისძიება შეფერხების გარეშე შეუძლებელია ჩატარდეს. რა სირთულეების გადალახვა მოგიხდათ?**

— 25-დან 27 დეკემბრამდე მართლაც, სავალალო მდგომარეობა იქმნებოდა: უამინდობის გამო, კონცერტის მონაწილეთაგან ზოგი 3 დღე მოემგზავრებოდა, ზოგს აეროპორტში ღამის გათევა მოუხდა და იმის საშიშროებაც კი შეიქმნა, რომ ვერც ჩამოვიდოდნენ. ბათუმურმა ამინდმაც ბოლომდე გაგვწირა. მაგრამ ვერ დაგვიმორჩილა... როდესაც კონცერტის ბოლოს, 432 მონაწილე — შემოქმედებითი ჯგუფი, ტექნიკური პერსონალი — ერთად გამოვიდა სცენაზე, ყველაზე ბედნიერი ვიყავი. როგორც რეჟისორი, გეტყვით, რომ ყოველ წელს შემიძლია, სხვადასხვა სახით წარმოვადგინო საახალწლო გალა-კონცერტი. მომავალ წელსაც, საახალწლო ღონისძიების რეჟისორობის პატივი თუ მე მხვდა წილად, სრულიად ახალი, გრანდიოზული შოუ იქნება... ■



დიდ მადლობას ვუხდი ნინო ანანიაშვილს — მან წინასწარ შეთანხმებისამებრ, ულამაზესი ნომერი შემოგვთავაზა

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაჟი

ქეთევანი თოქაჩ ივანიძე

1. პუპაფობია თოჯინების შიშია.

2. ვენეციური გონდოლა 11 მეტრის სიგრძისაა.

3. თემურ ყვითელაშვილი თვითნასწავლი მუსიკოსია.

4. ლადო ასათიანს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული.

5. 30-წლიანმა ომმა (1618-1648 წლები) 17 მილიონი ევროპელის სიცოცხლე შეიწირა.

6. ალფრედ კრუპმა თავის ყველაზე დიდ ზარბაზანს ცოლის პატივსაცემად, „ბერტა“ დაარქვა.

7. ვასო გოძიაშვილი საესტრადო მსახიობებიდან მხოლოდ ერთს, ანდრეი მირონოვს აღიარებდა.

8. ხეოფსის პირამიდა 146 მეტრია სიმაღლეში. XIX საუკუნის ბოლომდე მასზე მაღალი ნაგებობა მსოფლიოში არ აშენებულა.

9. „მე არისტოტელეს მამის გვერდით ვაყენებ: მამამ სიცოცხლე მომანიჭა, არისტოტელემ კი ის, რაც სიცოცხლეს აზრს აძლევს“, — ამბობდა ალექსანდრე მაკედონელი.

10. შეერთებული შტატების მეთერთმეტე პრეზიდენტს, ჯეიმს პოლკს 17 წლის ასაკში ნაღვლის ბუშტი ამოჰკვეთეს. ტკივილგამაყუჩებელი საშუალების არქონის გამო ექიმებმა იგი კონიაკით გამოათვრეს.

11. შეხვედრის დროს ავსტრალიელი მეომარი აბორიგენები საკუთარი კეთილგანწყობილების გამოსახატავად, ხელის ჩამორთმევის ნაცვლად, ხელით სასქესო ორგანოზე ეხებიან ერთმანეთს.

12. ვილჰელმ კონრად რენტგენი სასწავლებლიდან იმისთვის გარიცხეს, რომ უარი თქვა, დაესახელებინა თანაკურსელი, რომელმაც მასწავლებლის კარიკატურა დახატა.

13. შემწვარი აქლემი ბედუინების ტრადიციული საქორწილო კერძია, რომლის შიგნითაც შემწვარ ცხვარს ათავსებენ, ცხვრის შიგნით — მოხარშულ ქათამს, ქათმის შიგნით — თევზს, თევზის შიგნით — მოხარშულ კვერცხს.

14. დიოგენეს ჰკითხეს, როდის უნდა ისადილოს ხოლმე ადამიანმაო? „თუ მდიდარი ხარ, ისადილე, როცა გინდა, თუ ღარიბი — როცა ამის საშუალება გაქვს“, — უპასუხა ფილოსოფოსმა.

15. უზბეკეთში სტუმარს პატივისცემის ნიშნად, ცხვრის მოხარშულ თვალებს მიართმევენ ხოლმე. სტუმარი ვალდებულია, უნდა თუ არა, შეჭამოს მირთმეული დელიკატესი, რადგან უარის თქმა ცუდ ტონად ითვლება.

„იაგუარი“ ახალ კუპეს ცდის

კომპანია იაგუარი განახლებული კუპეს — XK — გამოცდას შეუდგა. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა საავტომობილო გამოცემამ ამ მანქანის პირველი არაოფიციალური ფოტოები გამოაქვეყნა. სურათების მიხედვით, რესტაილირებულ კუპეს მოდერნიზებული შუქფარები, განსხვავებული ფორმის ჰაერშემაკავებლის მქონე ახალი წინა ბამპერი, კაპოტის თავზე ორი სავენტილაციო ჭრილი, უკანა დიფუზორი და ახალი სპოილერი ექნება. გარდა ამისა, გამორიცხული არც ისაა, რომ XK-ის ინტერიერმაც განიცადოს ცვლილება. განახლებული ავტოს ძრავათა გამა იგივე დარჩება: ატმოსფერული, 5-ლიტრიანი, 385 ცხძ სიმძლავრის V8 და ამავე აგრეგატის 510 ცხძ-იანი ვერსია. აღსანიშნავია, რომ სხვა ინფორმაციით, რესტაილირებულ Jaguar XK-ს შესაძლოა, 3-ლიტრიანი დიზელის V6 და ანალოგიური მოცულობის ბენზინის მოტორი დაუმონტაჟონ. ■

„კრაისლერ 200“-ის ღია მოდიფიკაცია

ორიოდე დღის წინ ერთ-ერთმა იტალიურმა საავტომობილო გამოცემამ „კრაისლერ 200“-ის ღია მოდიფიკაციის ოფიციალური ფოტოები გაავრცელა. წინასწარი ინფორმაციით, სიახლის დებიუტი თებერვლის ავტოსალონზე ჩიკაგოში ან აპრილში, ნიუ-იორკის მოტორშოუზე შედგება. ამ ეტაპზე უცნობია, თუ როგორი სახურავი ექნება ახალ კაბრიოლეტს. შეგახსენებთ, რომ ღია Chrisler Sebring-ს, რომელსაც ინდექსი „200“-ის მქონე მოდელი ჩაენაცვლება, ამერიკულ ბაზარზე იყიდებოდა როგორც ლითონის, ასევე რბილი სახურავით. არ არის გამორიცხული, რომ ასეთივე მოდიფიკაციით გაიყიდოს ახალი მანქანაც. Chrisler 200 Convertible-ს ისეთივე ძრავები ექნება, როგორიც — სედანს: 2,4-ლიტრიანი, 173 ცხძ სიმძლავრის „ოთხიანი“ (მოდიფიკაციის მიხედვით, 4 ან 6-საფეხურინი სიჩქარის გადაცემათა კოლოფით), ასევე 283 ცხძ-იანი 3,6-ლიტრინი, 6-ცილინდრიანი Pentastar-ის ოჯახის წარმომადგენელი აგრეგატი. ასეთი მოტორი მხოლოდ 6-დიაპაზონიანი „ავტომატითაა“ ხელმისაწვდომი. ადრე გავრცელებული ცნობით, სედანი და კაბრიოლეტი „კრაისლერ 200“ ევროპულ ბაზარზე გაიყიდება, ოღონდ ამ მანქანებს Lianci Flavia ერქმევა. ასეთი „ლიანჩის“ პრემიერა წლეულს მარტში ჟენევის მოტორშოუზე შედგება. ამერიკული მოდიფიკაციისგან იგი მხოლოდ რადიატორის განსხვავებული ცხაურითა და შეცვლილი ბამპერით იქნება გამორჩეული, რომლებიც უსაფრთხოების ევროპული მოთხოვნების შესაბამისად შეიცვლება. გარდა ამისა, ძრავათა გამაში დაემატება დიზელის აგრეგატი და სიჩქარის გადაცემათა მექანიკური კოლოფი. სავარაუდოდ, „ლიანჩი ფლავიას“ გაყიდვა 2012 წლიდან დაიწყება. ■

აირზე მომუშავე ყველაზე სწრაფი მანქანა

გერმანული ტიუნინგ-კომპანიის — G-Power — მიერ შემუშავებულმა, აირზე მომუშავე BMW M5-ის ვერსიამ სიჩქარის მსოფლიო რეკორდი დაამყარა, როდესაც ქალაქ აუტენცელის მახლობლად მდებარე ავტობანის ერთ-ერთ მონაკვეთზე 333 კმ/სთ სიჩქარე განავითარა. ამგვარად, ეს ავტომობილი მსოფლიოში ყველაზე სწრაფ გაზზე მომუშავე მანქანად იქცა. „ჯი პოვერის“ სპეციალისტებმა BMW M5-ის სტანდარტული 5-ლიტრიანი, V10 ძრავა განაახლეს. მას სხვა შემშვები სისტემა დაუყენეს, ასევე — მოტორისა და სიჩქარის გადაცემათა კოლოფის მართვის პროგრამები შეუცვალეს. შედეგად, აგრეგატის სიმძლავრე 507-დან 660 ცხძ-მდე გაიზარდა. თითქმის 2-ტონიან „ხუთიანს“ 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარება 4,6 წამში შეუძლია, ხოლო 200 კმ/სთ-ისა — 11,4 წამში. გარდა ამისა, სედან BMW M5-ის გაზის ვერსიას უფრო მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმები და 20-დუიმიანი ბორბლების დისკები აქვს, რომლებზეც წინ Michelin-ის 255/35, ხოლო უკან — 285/30 ზომის დისკები უყენია. ასეთი მოდიფიკაციის ფასი 33.571 ევროა. ამასთან, ანალოგიური პაკეტის შეკვეთა BMW M6-ისთვისაცაა შესაძლებელი. ■

ლენონის „ფერარი“ აუქციონზე გაიყიდება

მუსიკოს ჯონ ლენონის პირველ ავტომობილს (ესაა ლურჯი კუპე Ferrari 330 GT 2+2) Bonhams-ის სახელით ცნობილ პარიზის აუქციონზე გაიტანენ, რომელიც 5 თებერვალს გაიმართება. ლენონმა „ფერარის“ კუპე 2 ათას გირვანქა სტერლინგად უმალვე შეიძინა მას შემდეგ, რაც 1965 წელს მართვის მოწმობა აიღო. ავტომობილის სასტარტო ფასი 170 ათასი ევრო იქნება. 1985 წელს აუქციონზე გაიყიდა ლიმუზინი „როლს-როის ფანტომი“, რომელიც ასევე ლენონს ეკუთვნოდა. მაშინ მანქანაში მისმა ახალმა მფლობელმა 2,3 მილიონი დოლარი გადაიხადა. ეს რეკორდულ თანხად იქცა, რაც კი ოდესმე ცნობილი ადამიანების კუთვნილ მატერიალურ ფასეულობაში გადაუხდიათ. ავტომობილი Ferrari 330 GT 2+2 1964-1968 წლებში გამოდიოდა. კუპე 4-ცილინდრიანი, 400 ცხძ-მდე სიმძლავრის V12 ძრავათი იყო აღჭურვილი. 4 წლის განმავლობაში იტალიურმა კომპანიამ 1000-ზე მეტი ასეთი კუპე გამოუშვა. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქემდეგილი თემურ ივანიძე

16. „თუნდაც ასო-ასო დამკეპოთ და სული ამომგლიჯოთ, მაშინაც არ შევცვლი ჩემს ჩვენებას, რადგან მე რომ სხვა ვთქვა, ყოველთვის იქნება საბაბი დამცირებისა, რომ სიტყვა გადამათქმევინეს“, — განუცხადა ჯალათებს დაკითხვისას ჟანა დ'არკმა.

17. 2003 წელს ბანგკოკელი ნაყინის გამყიდველი საენ-უმი ძილში სიცილით გარდაიცვალა. 52 წლის მამაკაცი 2 წუთს გაუჩერებლად იცინოდა ისე, რომ არ გაუღვიძია, რის შემდეგაც სამუდამოდ დადუმდა. სამწუხაროდ, ყველასთვის უცნობი დარჩა, თუ რა დაესიზმრა მას ასეთი სასაცილო.

18. „ლაოკოონის“ ქანდაკება 1506 წელს რომის ერთ-ერთ უბანში, ესკვილინელი ფრედის ვენახში მიწის დამუშავებისას იპოვეს. ქანდაკება რომის პაპმა, იულიუს მეორემ შეიძინა, რომელმაც ვენახის მეპატრონეს ერთი პორტის მთელი წლის შემოსავალი დაუნიშნა და სიკვდილამდე ყოველწლიურად 600 ოქროს დუკატს უხდიდა. ფრანცისკ I-მა ლევ X-ს საჩუქრად სთხოვა „ლაოკოონი“. პაპის ბრძანებით, ბაჩო ბანდინელიმ მეფეს ქანდაკების ასლი დაუმზადა. 1791 წელს ნაპოლეონმა „ლაოკოონი“, როგორც სამხედრო ნადავლი, პარიზში ჩაიტანა. 1815 წელს უკან დააბრუნეს და „უფიცის“ გალერეაში დადგეს. დღეს „ლაოკოონი“ ვატიკანში დგას, სადაც თავიდანვე იდგა, იულიუსის დროიდან.

19. ბაკატორი — კამბოჯელების ნაციონალური ორთაბრძოლაა. მისი მიმდევარი ფალავნები ძველ დროში სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ. ტატამის გვერდით წინასწარ იდგმებოდა კუბო, რომელშიც დამარცხებულ და მოკლულ მებრძოლს აწვენდნენ და ისე გაჰყავდათ საასპარეზო მოედნიდან.

20. ერთი ლხინის დროს ფილოსოფოსმა თეოფრასტმა უთხრა თანამეინახე სტუმარს, რომელსაც მთელი ნადიმის განმავლობაში ერთი სიტყვაც არ დასცდენია: „თუ სულელი ხარ, ჭკვიანურად იქცევი, თუ ჭკვიანი ხარ — სულელურად“.

21. ხიროსიმაში ატომური ბომბის ჩამომდგები პოლკოვნიკი კლოდ იზერლი მოგვიანებით, დარდისა და წუხილისგან ჭკუიდან შეიშალა. რაც შეეხება პოლ ტიბეტს, რომელმაც ნაგასაკიში ჩამოაგდო ატომური ბომბი, 92 წლამდე ისე იცოცხლა, რომ სინდისის ქენჯნას არასოდეს შეუწუხებია.

22. ძველი ბერძენი პოეტი ბიონი მდიდარ ათენელ ვაჭრებთან ერთად მგზავრობდა, როცა მათი ხომალდი მეკობრეებმა ჩაიგდეს ხელში. „დავიღუპეთ, თუკი გვიცნეს“, — მოთქვამდნენ ვაჭრები. „დავიღუპე, თუ ვერ მიცნეს“, — გაიძახოდა პოეტი.

ქართული ხმალივით სწრაფი მთიელი და ჯერჯეროზით აუხდენელი ოცნება

...სეულის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე თვეზე ნაკლებილა რჩებოდა. ქართველ სპორტსმენთა უმრავლესობას სამხრეთ კორეის საგზური უკვე განაღდებული ჰქონდა. მათ რიგს კიდევ რამდენიმე შეიძლებოდა დამატებოდა. მათ შორის — ვლადიმერ აფციაურიც. რაპირისტთა გუნდში ოლიმპიადაზე 5 მოფარიკავეს უნდა ეასპარეზა. ოთხის ვინაობა ცნობილი იყო, ხოლო ბოლო ვაკანსიაზე მწვრთნელებს არჩევანი ვლადიმერ აფციაურსა და მოსკოველ დმიტრი შევჩენკოს შორის უნდა გაეკეთებინათ. მათი პირობა ასეთი იყო: ვინც ბუდაპეშტში „ბალატონის თასის“ გათამაშებაში უკეთეს შედეგს უჩვენებდა, საბჭოთა ნაკრების მეხუთე წევრიც ის გახდებოდა. იმ პერიოდში უნგრელების ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ძალზე პრესტიჟული იყო და 1988 წლის ზაფხულშიც ბუდაპეშტში ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა. აფციაურთან ერთად ტურნირში შევჩენკოც მონაწილეობდა.

გოგი ფრანგიშვილი

— ოლიმპიური წელი ყველასათვის და ჩემთვისაც, გადატვირთული იყო. ამასთან, წინა სეზონი „ჩავაგდე“, მსოფლიოს ჩემპიონატში ვერ მივიღე მონაწილეობა. ოლიმპიური თამაშებისთვის კი გუნდს სწორედ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე აკომპლექტებენ. ამიტომაც, ხელახლა მომიხდა ბრძოლა ნაკრებში დასაბრუნებლად. „ბალატონის თასის“ გათამაშება კი ჩემი ბოლო შანსი იყო. ბუნებრივია, ვნერვიულობდი. ასეთ დროს ყოველთვის მეხმარებოდა ანკესი: თევზაობა მიყვარს და სხვადასხვა შეჯიბრებაზე მუდამ თან დამქონდა რამდენიმე დასაკეცი ანკესი. უნგრეთშიც ასპარეზობების დაწყებამდე სათევზაოდ წავედი. წყლის პირას არც მეტოქეებზე ვფიქრობდი, არც ტურნირსა და მწვრთნელების დანაპირებზე. მეორე დღეს დაწყნარებული გამოვედი საფარიკაო ბილიკზე და მეორე ადგილიც დავიკავე. რაც მთავარია, პირად კონკურენტს — დმიტრი შევჩენკოს დიდი სხვაობით — 10:5 მოვუგე.

მიუხედავად ამისა, მწვრთნელები კიდევ კარგა ხანს მსჯელობდნენ იმაზე, თუ ვინ წაეყვანათ ოლიმპიურ თამაშებზე. მაგრამ ნაკრების უფროს მწვრთნელს, ალექსანდრ პერეკალსკის უფრო აფციაურის იმედი ჰქონდა: მას კარგად ახსოვდა, რომ 1982 წლის რომის მსოფლიოს ჩემპიონატზე სწორედ ვლადიმერმა მოაგებინა გუნდს ოქროს მედლები. ის ჩემპიონატი აფციაურისთვის დიდი გამარჯვებისა და ამასთანავე, ტრაგედიის ჩემპიონატი აღმოჩნდა...

რომის სპორტის სასახლის საფარიკაო ბილიკებზე რაპირისტთა გუნდურ შეჯიბრებებში საბჭოთა ნაკრებმა წარმატებით აიღო სტარტი. მთავარი ბრძოლები მეორე დღეს ელოდათ. ვლადიმერ აფციაური კიეველ ვლადიმირ სმირნოვთან ერთ ოთახში ცხოვრობდა. სმირნოვი მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი იყო. იმ წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა, მაგრამ რომში პირადი პირველობა წააგო და უკმაყოფილო იყო. გუნდური შეჯიბრებების მეოთხედფინალში საბჭოთა ნაკრები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოფარიკავეებს ხვდებოდა. გერმანელები 3:1 იგებდნენ. ბილიკზე ვლადიმირ სმირნოვი და მათიას ბერი იხმეს. სმირნოვმა ეს ორთაბრძოლაც ცუდად დაიწყო, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება კიდევ შეეძლო. ის მეტოქისკენ დაიძრა. შეტევაზე ბერიც გადავიდა. უეცრად, გერმანელის იარაღი გატყდა და სმირნოვს სახეში შეერჭო. სმირნოვი სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს.

— გვეგონა, სმირნოვმა მხოლოდ თვალი დაკარგა. რაღა თქმა უნდა, ამას ყველანი საშინლად განვიცდიდით, მაგრამ ექიმები თურმე მისი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდნენ... გერმანელმა მოფარიკავეებმა შემოგვთავაზეს, შეხვედრა მეორე დღისთვის გადაგვედო, მაგრამ მე დაჟინებით მოვითხოვე ბრძოლის გაგრძელება. ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ ჩემი გავიტანე და შეხვედრა გაგრძელდა. ისეთი გამწარებული ვიბრძოდი, ვერავითარი ძალა ვერ შემაკავებდა. 8:6 გავიმარჯვეთ და ნახევარფინალში გავედით.

ვლადიმერ აფციაურმა და მისმა თანაგუნდელებმა ნახევარფინალში ასევე 8:6 დაამარცხეს იტალიელები და ფინალში ოლიმპიურ ჩემპიონებს — ფრანგ რაპირისტებს დაუპირისპირდნენ. ფინალის წინ საავადმყოფოდან მოსულმა გუნდის ექიმმა ცუდი ამბავი მოიტანა; ის მხოლოდ აფციაურსა და მწვრთნელს აცნობა... მატჩს ქართველი მოფარიკავე იწყებდა და ბოლო შეხვედრაც მასვე უნდა ჩაეტარებინა. აფციაურმა მოგებით დაიწყო, შემდეგ კიდევ ორი ორთაბრძოლა მოიგო, მაგრამ იმ დღეს საბჭოთა რაპირისტებს ძალზე უჭირდათ. არც ფრანგები იყვნენ სუსტები. ოლიმპიური ჩემპიონები ისინი 1980 წელს მოსკოვში გახდნენ და რომაული ფინალისათვის გუნდის შემადგენლობაც შეინარჩუნეს. საბჭოთა ნაკრებთან ფინალში ისინი ერთთავად ლიდერობდნენ — 6:3, 6:5, 8:7. დარჩენილი იყო ბოლო ორთაბრძოლა — ვლადიმერ აფციაურსა და ფილიპ ომნესს შორის.

— ოქროს მედლების ბედი ჩემზე იყო დამოკიდებული. დარბაზს ზურგი შევაქციე და ისე, რომ არავის დაენახა, პირჯვარი გადავწერე. ჩემს სალოცავებს ვთხოვე — მომეცით ძალა, რომ გავიმარჯვომეთქი! გადამწყვეტი შეხვედრა ძალიან რთული აღმოჩნდა. ფრანგი ძლიერი ბიჭი იყო, მაგრამ ბოლო ჩხვლეტა დავასწარი, 5:4 გავიმარჯვე და მატჩის ანგარიშიც გათანაბრდა. ასეთ შემთხვევაში მსაჯები ჩხვლეტების რაოდენობას ითვლიან. ჩვენ უკეთესი შეფარდება გვქონდა და მსოფლიოს ჩემპიონებიც გავხდით. მაგრამ სიხარული არავის განგვიცდია, რადგან რამდენიმე დღეში სმირნოვი გარდაიცვალა.

რომაულმა ტრაგედიამ ძალზე მძიმედ იმოქმედა ქართველ რაპირისტზე. ფარიკაობისთვის თავის დანებებაც კი გადაწყვიტა. ეშინოდა, მის დარტყმასაც არ ემსხვერპლა ვინმე... ნაკრების უფროსი მწვრთნელი ალექსანდრ პერეკალსკი დიდხანს ესაუბრებოდა, ვიდრე დაარწმუნებდა, რომ მისნაირი სტილის მოფარიკავეს, გამორიცხული იყო, მსგავსი რამ შემთხვეოდა. აფციაური მართლაც, განსხვავებული სტილით გამოირჩეოდა. ერთ „საფირმო“ ილეთსაც ფლობდა — შეტევის დროს როგორღაც ახერხებდა, უკნიდან მიეყენებინა ჩხვლეტა მეტოქისთვის. ამასთან, ძალიან სწრაფიც იყო და გადამწყვეტ შეხვედრებს პრაქტიკულად არ აგებდა. თვით მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ალექსანდრ რომანკოვიც ვერაფერს უხერხებდა აფციაურს და მასთან ხშირად აგებდა.

...ფარიკაობაში ვარჯიში ვლადიმერ აფციაურმა შემთხვევით დაიწყო. ბავშ-

ვობაში ცელქი იყო, ხის ხმლებითაც ეფარიკავებოდა თანატოლებს, თუმცა სპორტის ამ სახეობაზე არც ფიქრობდა. უფრო ტანვარჯიში მოსწონდა. მშობლებმაც, თეთრიწყაროს რაიონიდან თბილისში ჩამოიყვანეს და გლდანის სკოლა-ინტერნატში მიაბარეს. ამ დროს იქ ტანვარჯიშის სექცია უკვე შევსებული ყოფილა და დროებით, მოფარიკავეებში ჩაწერეს. მოგვიანებით, რაპირამ იმდენად გაიტაცა, რომ სხვა აღარაფერი უნდოდა. ბუნებით, ძალიან სწრაფი იყო, წამში შეეძლო მთელი საფარიკაო ბილიკის გარბენა. ერთხელ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში სამეცნიერო ჯგუფის წევრებმა მთელ გუნდს სხვადასხვა ტესტი ჩაუტარეს და ყველანი გაოცდნენ — აღმოჩნდა, რომ აფციაურს ჩვეულებრივ ადამიანზე თითქმის ათჯერ სწრაფი რეაქცია ჰქონია. გარდა ამისა, ის ძალზე შრომისმოყვარეც აღმოჩნდა, მწვრთნელის — მალხაზ გაბუნიას ხელმძღვანელობით, საათობით ვარჯიშობდა.

1978 წელს თბილისში საბჭოთა კავშირის ახლგაზრდა მოფარიკავეთა პირველობა ჩატარდა. 17 წლის ვლადიმერი მაშინ არაფრით გამოირჩეოდა მეტოქეებისაგან, მათგან რამდენიმე, თანატოლთა შორის მსოფლიოს ჩემპიონიც იყო. მიუხედავად ამისა, ვლადიმერმა ის ტურნირი ყველაზე უკეთ ჩაატარა. ფინალში კი თითქმის ორმეტრიან უკრაინელ დუხანს იმდენად ადვილად მოუგო, რომ თავადვე ეცინებოდა. ამ გამარჯვების შემდეგ ის საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს. მისთვის წარმატებული აღმოჩნდა მომდევნო — 1973 წელიც, როდესაც პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში — „კიევის რაპირა“ მეორე ადგილი დაიკავა. ფინალურ ექვსეულში წესით, მას ბოლო ადგილი თუ ერგებოდა, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად, რამდენიმე შეხვედრა მოიგო, მათ შორის, ვლადიმირ სმირნოვთანაც და მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონ რუზიევთან დათმო ორთაბრძოლა — 4:5. აფციაურის ჯერცხლის მედალი ამ ძალზე სოლიდურ „საკრებულოში“, ტურნირის მთავარი სენსაცია იყო.

ვლადიმერ აფციაური ბრძოლისას

ქართველი მოფარიკავე მალე საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო რაპირისტი გახდა. ფარიკაობაში ზოგი სპორტსმენი უკეთ ასპარეზობს პირად პირველობაში, ზოგი კი — გუნდურ შეჯიბრებაში. ვლადიმერ აფციაური უფრო გუნდური მებრძოლი იყო. კრიტიკულ სიტუაციაში მთელი შეხვედრის ბედის გადაწყვეტა შეეძლო. ამიტომაც აფციაურს სპორტსაზოგადოება „დინამომ“ და არმიელთა კლუბმა ცე-ე-სკამ ერთდროულად დაადგეს თვალი. თავად ვლადიმერს „დინამოში“ ერჩივნა, სადაც საბჭოთა ნაკრების რამდენიმე წევრი ირიცხებოდა, მაგრამ არმიელებმა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მხარდაჭერა მიიღეს და არმიაში მის გაწვევას აპირებდნენ. მაგრამ „დინამოელებიც“ არ ისხდნენ გულხელდაკრეფილნი და ეშმაკობით სამხედროებს აჯობეს: აფციაური უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხეს და ქართველი სპორტსმენიც „დინამოელი“ გახდა. მსგავსი მაქინაციები იმ დროს არავის უკვირდა. თუმცა აფციაურისა და კა-გე-ბეს „თანამშრომლობა“ დიდხანს არ გაგრძელებულა — სისტემატური გაცდენებისთვის ის სკოლიდან გარიცხეს...

მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემდეგ ვლადიმერ აფციაურისთვის ყველაზე წარმატებული 1984 წელი იყო. იმ სეზონში მან პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი ტურნირი მოიგო და საბჭოთა ნაკრების საუკეთესო რაპირისტადაც აღიარეს, ხოლო საკავშირო პრესის ცენტრალურმა სპორტულმა გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ მას ვრცელი სტატია მიუძღვნა.

„ახალსოფელი აფციაურების მშობლიური სოფელია. იქ გაიზარდა მომავალი ჩემპიონი. ქართული ხმალივით სწრაფს, ყოველთვის პირველობა უყვარდა. ასეთებზე ამბობენ, სპორტისთვისაა დაბადებულიო. საქართველოში მამაკაცები ოდითგანვე ფოლადის იარაღის ოსტატები იყვნენ. გავიხსენოთ ოლიმპიური ჩემპიონი ნუგზარ ასათიანი და მისი თანაგუნდელი მორის სახვაძე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გურამ კოსტავა. გავიხსენოთ 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. გუნდური შეჯიბრების ფინალში სწორედ აფციაურმა მოუგო გადამწყვეტი შეხვედრა ფრანგთა ამომავალ ვარსკვლავს, ომნესს და საბჭოთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ამ მატჩში აფციაურს არც ერთი ბრძოლა არ წაუგია. იგი იმ დღისა და საერთოდ, მთელი ჩემპიონატის ნამდვილი გმირი გახდა. რომიდან დაბრუნებისთანავე მას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭეს. მაშინ იგი სულ 20 წლის იყო. ქვეყნის უმაღლესი სპორტული წოდება ამ ასაკის მოფარიკავეებს შორის, ერთეულებს თუ დაუმსახურებიათ“.

...სეულის XXIV ოლიმპიური თამაშები 1988 წლის 17 სექტემბერს გაიხსნა. მოსკოვისა და ლოს-ანჯელესის ოლიმპიადების ბოიკოტის შემდეგ გახლეჩილი სპორტული სამყარო პირველად გაერთიანდა. საბჭოთა რაპირისტებს 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ ოქროს მედლები არ მოუპოვებიათ. რაპირაში ფავორიტებად უნგრელები და პოლონელები ითვლებოდნენ.

საბჭოთა კავშირის მოფარიკავეთა ნაკრები (1988 წელი)

გუნდური ტურნირი საბჭოთა ნაკრებმა წარმატებით დაიწყო, ზედიზედ დაამარცხა მეტოქეები და მერვედფინალში გავიდა, სადაც პოლონეთის ნაკრებს შეხვდა. პოლონელებს ყოველთვის კარგი რაპირისტები ჰყავდათ. სეულ-

შიც ძლიერი შემადგენლობა ჩამოიყვანეს და პირველობის იმედიც ჰქონდათ. მაგრამ ვლადიმერ აფციაურმა და მისმა თანაგუნდელებმა სოლიდური უპირატესობით — 9:6 დაამარცხეს.

— ჩვენი მომდევნო მეტოქე, მეოთხედფინალში, ჩინეთის ნაკრები იყო. ჩინელებს განსაკუთრებული მიღწევები არასდროს ჰქონიათ და ვიფიქრე — დავისვენებ, ემოციებსაც შემოვინახავ-მეთქი. ჩემს თანაგუნდელებს უნდოდათ ბრძოლა, მაგრამ ბორის კორეეკიმ ჯერ ერთი შეხვედრა წააგო, შემდეგ — მეორეც და ალექსანდრ პერეკალსკიმაც ბილიკზე გამიყვანა... ცოტა კი გაგვიჭირდა აზიელებთან ბრძოლა, მაგრამ საბოლოოდ, მათაც, როგორც პოლონელებს, იმავე ანგარიშით — 9:6 მოვუგეთ და ნახევარფინალში გავედით. იქ კი კიდევ ერთ ფავორიტს — უნგრეთის ნაკრებს „დავუწყვილდით“.

უნგრელები 8:6 დაწინაურდნენ. ამ კრიტიკულ სიტუაციაში დარჩენილი 2 შეხვედრა მეც და ანვარ იბრაგიმოვსაც აუცილებლად უნდა მოგვეგო, თან — დიდი ანგარიშით. ალექსანდრ პერეკალსკიმ კარგად იცოდა ჩემი ხასიათი — კრიტიკულ სიტუაციაში უფრო თავგამოდებით ვიბრძოდი — და ბოლო მეტოქეს, გატაის 5:0 მოვუგე კიდეც. ეს ისეთი სხვაობა იყო, რომ ახლა იბრაგიმოვის გამარჯვება ნებისმიერი ანგარიშითაც საკმარისი იქნებოდა. ანვარმა 5:3 იმარჯვა და ჩვენი და უნგრელების შეხვედრის საერთო ანგარიში გათანაბრდა — 8:8. მაგრამ ჩხვლეტების უკეთესი შეფარდებით, ფინალში ჩვენ გავედით.

ფინალში საბჭოთა რაპირისტები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოფარიკავეებს ხვდებოდნენ. პირველად ბილიკზე, რა თქმა უნდა, აფციაური გავიდა; ბოლო ბრძოლასაც ის ჩაატარებდა, თუკი, რა თქმა უნდა, ამის საჭიროება დადგებოდა. საბჭოთა ნაკრები თავიდანვე დაწინაურდა — 3:1. მეორე წრეში ქართველი რაპირისტი ტომას ვეიდნერს შეხვდა, რომელთანაც მას ყველაზე მეტად გაუჭირდა. აფციაურის პირველ ჩხვლეტას ვეიდნერმა მაშინვე უპასუხა. ისიც მსოფლიოს ჩემპიონი და ძალზე გამოცდილი იყო. ვლადიმერის ყოველ ჩხვლეტას მეტოქის საპასუხო მოჰყვებოდა. ანგარიში რამდენჯერმე გათანაბრდა: 2:2, 3:3, 4:4. დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია და ამ დროს, აფციაურმა ბოლო შეტევის განხორციელება დაასწრო, 5:4 გაიმარჯვა და საბჭოთა ნაკრებიც 4:1 დაწინაურდა. უპირატესობა სოლიდური იყო, მაგრამ შემდეგ თანაგუნდელები ზედიზედ დამარცხდნენ და გერმანელებმაც ანგარიში გაათანაბრეს — 4:4.

— ორი ბრძოლა მქონდა დარჩენილი — მატიას გეისთან და მატიას ბერთან. პირველს რომ მოვუგებდი, ეჭვი არ მეპარებოდა, აი, მეორესთან კი ვიცოდი, ფსიქოლოგიურად ძალიან გამიჭირდებოდა. ეს ის მატიას ბერი იყო, რომელმაც 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე შემთხვევით იმსხვერპლა ვლადიმირ სმირნოვი. ბუნებრივია, მასთან შეხვედრა არ მინდოდა... მესამე წრეში რომანკოვმა, როგორც იქნა, მოიგო. მერე მეც შანსი არ დავუტოვე მატიას გეის, 5:1 მოვუგე და ისევ წინ გავედით საერთო ანგარიშით — 6:4. ამის შემდეგ ბილიკზე გამოსვლა აღარ დამჭირვებია. ბოლო ქულა მამედოვმა აიღო, საბოლოო ანგარიშით 9:5 გავიმარჯვეთ და ოლიმპიური ჩემპიონები გავხდით. მახსოვს, მამედოვმა რომ მოიგო, მთელი გუნდი დავესიეთ, ხელში ავიტაცეთ და ჰაერში რამდენჯერმე ავისროლეთ. რა თქმა უნდა, ძალიან ბედნიერები ვიყავთ.

სულიდან დაბრუნების შემდეგ, ქართული და საბჭოური პრესაც აღნიშნავდა ვლადიმერ აფციაურის დამსახურებას გუნდის გამარჯვებაში. მომდევნო — 1989 წლის სეზონი აფციაურმა გამოტოვა, დასვენება გადაწყვიტა. 1990 წლის ლიონის მსოფლიოს ჩემპიონატში კი კვლავ მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ამჯერად საბჭოთა ნაკრები მხოლოდ ბრინჯაოს მედლებს შესწვდა. ეს ჯილდო ბოლო აღმოჩნდა ვლადიმერ აფციაურის სპორტულ ბიოგრაფიაში.

იშლებოდა საბჭოთა იმპერია. დაარსდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ქართველი ფეხბურთელები გამოეყვნენ საკავშირო ჩემპიონატს. მას სხვებმაც აუბეს მხარი. 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი სპორტსმენები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გაერთიანებული გუნდის შემადგენლობაში გამოვიდნენ. მოსკოველმა მწვრთნელებმა აფციაურსაც შესთავაზეს ამ გუნდთან ერთად ბარსელონაში წასვლა. მაგრამ ამას ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები არ მოუწონებდნენ, მთიელი კაცი კი ვინმეს გადაკრულად ნათქვამს ვერ შეეგუებოდა და ვლადიმერ აფციაურმაც აქტიურ სპორტს თავი დაანება. იმ დროს იგი 30 წლისაც არ იყო — ფარიკაობაში კი ყოფილა შემთხვევები, რომ სპორტსმენები 40 წლის ასაკშიც გამხდარან მსოფლიოსა თუ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები...

1993 წელს ვლადიმერ აფციაური ქუვეითის ერთ-ერთი კლუბის მწვრთნელი გახდა, ხოლო შემდეგ — ქვეყნის ვაჟთა ნაკრები ჩაბარეს. წარმატებებსაც მიაღწია, მაგრამ მისი ოცნება — საქართველოში დაბრუნება და ქართველი ჩემპიონების გაზრდა...

p.s. ახლახან ვლადიმერ აფციაური საქართველოში დაბრუნდა. უკვე ბაბუაც გახდა. შეძლებს თუ არა იგი მისი დონის ჩემპიონების გაზრდას, ეს ჯერჯერობით უცნობია. ■

ჩოტაოდენი რამ ლამაზი თმის შესახებ

ხალხში გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ძილის წინ თმა გულმოდგინედ და ხანგრძლივად უნდა ივარცხნოთ, სპეციალისტები კი ამტკიცებენ, რომ მცდარი და მოძველებული შეხედულებები შეიძლება თმის ცვენის, მტვრევადობის და სიქაჩლის მიზეზი გახდეს.

აი, რამდენიმე არასწორი მოსაზრება:

სტრესი თმის ცვენას იწვევს

მიუხედავად იმისა, სტრესის ქვეშ იმყოფებით თუ არა, ყოველდღიურად 50-დან 120 ღერამდე თმა გცვივათ. რასაკვირველია, ნერვიულობის, ჰორმონული დარღვევების შემთხვევაში, თმის ცვენა ძლიერდება. თუ სრულფასოვნად იკვებებით და დღე-ღამეში სულ ცოტა 8 საათი გძინავთ, 1-2 კვირაში თმა თავისით აღდგება.

თმა დღის განმავლობაში ხშირად და ხანგრძლივად უნდა ივარცხნოთ

რაც უფრო ხშირად და ხანგრძლივად ივარცხნით თმას, მით მეტი ჩამოგცვივდებათ. სავარცხელს მომრგვალებული, მეჩხერი კბილები უნდა ჰქონდეს. თმა მანამ ივარცხნეთ, სანამ სავარცხელი სრიალს არ დაიწყებს.

დროდადრო შამპუნი უნდა ცვალოთ

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ თმისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ერთი და იმავე შამპუნით იბანთ თუ არა. მთავარია, ის ხარისხიანი იყოს. თუ ცხიმიანი თმა გაქვთ ან ვარცხნილობის

შესანარჩუნებლად სპეციალურ, ცვილის შემცველ საშუალებებს იყენებთ, მაშინ კვირაში ერთხელ თავი ისეთი შამპუნით უნდა დაიბანოთ, რომელიც თმიდან ამ ნივთიერებებს ჩამორეცხავს.

40 წელს გადაცილებულმა ქალებმა მოკლე ვარცხნილობა უნდა ატარონ

თუ ლამაზი და ჯანსაღი თმა გაქვთ, მნიშვნელობა არა აქვს, მოკლე ვარცხნილობა გექნებათ თუ გრძელი. მთავარია, გიხდებოდეთ. გაითვალისწინეთ, თუ ფართო სახე გაქვთ, მოკლე, კიბისებურად აჭრილი თმა მოგიხდებათ; თუ ვიწრო — გრძელი, ლამაზად აჩეხილი. ვინაიდან, ასაკის მატებასთან ერთად, თმა შრება, რეკომენდებულია სპეციალური ბალზამის გამოყენება.

გრილი წყლის გადავლება თმას ბზინვარეობას სძენს

ასეთი პროცედურა ნამდვილად გაგამხნევებთ, მაგრამ თმას ბზინვარეობას არ შესძენს. სხვა საქმეა, თუ დაბანილ თმაზე მწვანე ჩაის, გვირილის, სალბის ან ჭინჭრის ნაყენს გადაივლებთ.

თმის შელებვა მავნეა

თანამედროვე თმის საღებავები იმდენად კარგი ხარისხისაა, რომ თმას ზიანს არ აყენებს. პირიქით, ზოგი მათგანი ისეთ ნივთიერებებს შეიცავს, რომლებიც თმას აჯანსაღებს, არბილებს და ბზინვარეობას მატებს. მთავარია, საღებავი სწორად შეარჩიოთ.

სპეციალური საშუალებებით თმის გაყოფილ წვერებს ალიდგენთ

გაყოფილი წვერების აღდგენა შეუძლებელია. რასაკვირველია, სპეციალური საშუალებებით, შესაძლებელია, ნაკლებშესამჩნევი გახდეს (დროებით შეაერთებს და თმას ფაფუკს გახდის). თმის წვერის გაყოფის შეჩერება მხოლოდ მოჭრით შეიძლება (ოღონდ იმ ადგილამდე, სადაც ღერი იყოფა).

მოკლე ვარცხნილობა დაბალ, გამხდარ ქალბატონებს უხდებათ

ნებისმიერ წარმოსადეგ ქალს, რომელსაც მაღალი ყელი და დიდი თვალები აქვს, მოკლე ვარცხნილობა უხდება.

რბილი, სწორი თმა მოცულობითი არ არის

თმა მსხვილი თერმობიგუდით დაიხვიეთ, 5-10 წუთის შემდეგ ნახავთ, როგორი მოცულობითი გახდება. ვარცხნილობა სპეციალური ლაქით დააფიქსირეთ და ხშირად დავარცხნას მოერიდეთ. ■

კეკლუცი თუ ფლირტის მოყვარული?..

თითქმის ყველამ ვიცით, რა არის კეკლუცობა, მაგრამ ამავე დროს, შეუძლებელია მისი კონკრეტულად ახსნა. კეკლუცი ქალი გაფაციცებით დაეძებს თაყვანისმცემელს, „მსხვერპლს“ კი აიძულებს შეიგნოს, რომ სასიყვარულო თამაშში ყველაფერი მის ჭირვეულობაზეა დამოკიდებული. კეკლუცობა ქალის ფსიქოლოგიაში განიხილება, როგორც ყველაზე რთული და ამავე დროს, ყველაზე იოლი ხელოვნება, რადგან ქალს თვით ბუნება ეხმარება, მოახდინოს გავლენა მამაკაცზე — მაშინაც კი, როცა ის კონკრეტული მამაკაცი მის ინტერესში არ ჯდება. წარმოიდგინეთ, რა ხდება მაშინ, როცა ქალი მისთვის სასურველი მამაკაცების გვერდით ხვდება, როცა ბუნებრივ კეკლუცობას, სარკის წინ ნასწავლი მიხრა-მოხრა და ცოტა არ იყოს, ხელოვნურად გამობურცული ტუჩიც ემატება... ამბობენ, ყველაზე ჭკვიანი მამაკაციც კი შეიძლება გაასულელოს ყველაზე სულელმა ქალმა — სწორედ ისეთმა, როგორ ქალთან ფლირტსაც საუკეთესო მეგობარს არაფრით ურჩევდა. ისტორია და ყოველდღიურობა ამის მრავალ მაგალითს გვაძლევს.

ფლირტსა და კეკლუცობას შორის ის განსხვავებაა, რომ ფლირტის მიმდევარი ქალი მგრძნობიარეა, კეკლუცი კი — არა. ფლირტის მოყვარული ქალი ცდილობს, ყველას მოაწონოს თავი, მაგრამ მისი რჩეული მაინც ერთია. კეკლუცი კი მუდამ მერყეობს და მისი ღიმილი და შემოხედვა თითოეულ მამაკაცს ეუბნება, რომ სწორედ ისაა მისი რჩეული.

საინტერესო ისაა, რომ მამაკაცის სიმპათია კეკლუცსა და ფლირტის მოყვარულ ქალს შორის ხშირად, პირველისკენ იხრება. მას მიაჩნია, რომ უზნეობაა, ქალი ეპრანჭებოდეს სხვებს, მაშინ, როდესაც მას უკვე ჰყავს რჩეული. კეკლუც ქალებს მამაკაცების სიმპათია ნუ გაათამამებს, რადგან ისინი სერიოზული საშიშროების წინაშე დგანან: თუკი მათი კეკლუცობა „გაიშიფრება“, შეიძლება თაყვანისმცემლების გარეშე დარჩნენ, რადგან არც ერთ მამაკაცს არა აქვს სურვილი, საბოლოოდ სულელის როლში აღმოჩნდეს. ■

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიშვილმა

„ჰელიმ ჩოხატარ-ოღლის საქმე“ ლაზეთში

მიხეილ ლაბაძე

XX საუკუნის დასაწყისი ოსმალეთის იმპერიაში სიტუაციის მკვეთრი გამწვავებით აღინიშნა. სულთანმა აბდულჰამიდ II-მ და მისმა კარმა იმჟამინდელ მსოფლიოში არსებულ ახალ ვითარებას ალღო ვერ აუღეს და ქვეყნის მართვა შუასაუკუნეობრივი მეთოდებით განაგრძეს, რამაც საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია. ყველაზე მწვავე საკითხი, რომელიც სასწრაფოდ გადაწყვეტას საჭიროებდა, ეროვნული თვითგამორკვევა გახლდათ — მეზობელი რუსეთისაგან განსხვავებით, ოსმალ საზოგადოებაში თვითგამორკვევის პრობლემა იმპერიის ტიტულოვან ერს — თურქებსაც — ძალიან აწუხებდა. საქმე ის იყო, რომ ოსმალეთში ქვეშევრდომთა იდენტიფიკაცია აღმსარებლობის მიხედვით ხდებოდა, ხოლო ეროვნება და მშობლიური ენა ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანი იყო; შესაბამისად, ოსმალო თურქები, ისლამის აღმსარებელი სხვა ხალხებისაგან (ქურთები, ქართველები, ალბანელები, ბოსნიელები) ოფიციალურად გამოყოფილნი არც კი იყვნენ.

ჰელიმ ჩოხატარ-ოღლი შვილთან, ჰასანთან ერთად. 1920 წლის ფოტო

ჯერ კიდევ 1889 წელს, ოსმალეთის სამხედრო აკადემიის რამდენიმე სტუდენტმა — ისჰააქ სუქუუთიმ, იბრაჰიმ სტაროვა-თემომ, აბდულლაჰ ჯევდეთმა, მეჰმედ რეშითმა და ჰიქმეთ ემინმა დააარსეს პოლიტიკური წრე, რომელსაც „ოსმალური საზოგადოების ერთობა“ ეწოდა; მალე მათ პარიზში მოქმედი სხვა მცირერიცხოვანი ოსმალური დაჯგუფებებიც შეუერთდნენ; ასე შეიქმნა „ერთობისა და პროგრესის ოსმალური საზოგადოება“. აქ უნდა ითქვას ისიც, რომ ამ გაერთიანების წევრებზე გარკვეული გავლენა მოახდინა ადრეული მარქსიზმის იდეებმა, რომლებიც მაშინ მთელ ევროპაში ძალზე პოპულარული იყო.

აღსანიშნავია, რომ „ერთობისა და პროგრესის“ დამაარსებელთაგან ისჰააქ სუქუუთი, აბდულლაჰ ჯევდეთი და მეჰმედ რეშითი წარმოშობით ქურთები იყვნენ, იბრაჰიმ სტაროვა-თემო კი — ალბანელი. პარტიაში ოსმალეთის სხვა ხალხთა წარმომადგენლებიც შედიოდნენ; ამიტომ გასაკვირი არც იყო, რომ ისინი ეროვნულ თვითგამორკვევას უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ. „ერთობისა და პროგრესის“ რიგებში განსაკუთრებით გავლენიანი პანთურქისტული ფრაქცია იყო, რომელსაც ბალკანელი თურქები — ენვერ-ბეი, მეჰმედ თელაათ-ბეი და აჰმედ ჯემალ-ბეი მეთაურობდნენ. პანთურქისტები მიიჩნევდნენ, რომ ოსმალეთის ხალხთა თვითგამორკვევა იმპერიის ტიტულოვანი ერის — ოსმალო-თურქების ეროვნული თვითაღქმის განსაზღვრით უნდა დაწყებულიყო. სხვათა შორის, სწორედ მათ ააღორძინეს ძველი ეთნონიმი „თურქი“, რაც მანამდე ოსმალეთში თითქმის სალანძღავ ტერმინად მიიჩნეოდა.

„ერთობისა და პროგრესის“ წარმომადგენლები ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ — „ახალგაზრდა თურქები“ იმ პერიოდში ძალზე აქტიურად თანამშრომლობდნენ ოსმალეთის ხალხთა ეროვნულ-რევოლუციურ დაჯგუფებებთან — მაკედონურ „შიდა მაკედონიისა და ოდრინის რევოლუციურ ორგანიზაციასთან“, სომხურ „დაშნაკცუთიუნთან“, ასევე ქურთთა და ალბანელთა სხვადასხვა გაერთიანებასთან, რომელიც XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთში საკმაოდ მრავლად არსებობდა. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ გამონაკლისი არც ქართველები (ლაზები) აღმოჩნდნენ — 1906 წელს, ხოფაში პირველი არალეგალური რევოლუციური გაერთიანება ჩამოყალიბდა, რომელსაც ადგილობრივი ინტელექტუალი, ჰელიმ ჩოხატარ-ოღლი (ცნობილი მხატვრისა და სახალხო მთქმელის — ჰასან ჰელიმიშის მამა) ჩაუდგა სათავეში.

პროკურორი ნეჯათი-ბეი მემიშ-ოღლი

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში რატომღაც ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომ ლაზებში ერთიანი ქართული თვითშეგნება ადრევე დაიკარგა და XVI საუკუნის შემდგომ, ისინი ქართველი ერის ნაწილად თავს აღარ მიიჩნევდნენ, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული ფაქტობრივი მასალა განსხვავებული და მართებული დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა: XX საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის ქვეშევრდომი ლაზები თავს სწორედ ქართველებთან აიგივებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანები იყვნენ. ლაზისტანის სანჯაყს, რომლის ცენტრსაც იმხანად ქალაქი რიზე წარმოადგენდა, რუსეთის იმპერიის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებთან იმთავითვე მეტად მჭიდრო კავშირი ჰქონდა — ლაზები „რუსეთის საქართველოში“ რეგულარულად დაიარებოდნენ სავაჭროდ, სამუშაოდ და ხშირად, საცხოვრებლადაც კი რჩებოდნენ. გარდა ამისა, ბათუმიდან ლაზისტანის სანჯაყში ოფიციალურად იგზავნებოდა კავკასიის სამეფისნაცვლოში იმხანად გამომავალი ქართული პრესაც.

ამავდროულად, ერთადერთი ქართული რევოლუციური გაერთიანება, რომელიც თავის სამოქმედო არეალად ოსმალეთის საზღვრებში მოქცეულ ლაზეთსაც განიხილავდა, იყო სოციალისტ-ფედერალისტური პარტია, რომელიც ევროპული ყაიდის მემარცხენე, მაგრამ არამარქსისტულ პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდა და წინა პლანზე ეროვნულ საკითხს სნევდა. ბუნებრივია, სოციალისტ-ფედერალისტებს

ლაზისტანის სანჯაყშიც ბლომად ჰყავდათ გულშემატკივარი. ერთ-ერთი მათგანი იყო ჰელიმ ჩოხატარ-ოღლიც — ის პირადად იცნობდა გიორგი (კომანდო) გოგელიას, თედო სახოკიას, ლეო კერესელიძეს და სხვებს, რომლებსაც ქუთაისის გუბერნიაში ყოფნისას სტუმრობდა ხოლმე.

საინტერესოა, რომ გურიაში, კერძოდ — სუფსაში ლაზები მრავლად სახლობდნენ და მათი აბსოლუტური უმრავლესობა 1905-1907 წლების რევოლუციის დროს ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ იარაღით ხელში იბრძოდა. სხვათა შორის, ჰელიმ ჩოხატარ-ოღლის ნათესავი, სუფსელი ლაზი ოსმან ქერეჯ-ოღლიც „წითელი ტერორისტი“ იყო და პირადად იცნობდა გურულ რევოლუციონერთა უმრავლესობას. ამდენად, ჰელიმ ჩოხატარ-ოღლიმ, რომელიც პროფესიით ხურო იყო და ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებშიც მისვლა-მოსვლა ხშირად უწევდა, სოციალისტ-ფედერალისტებისა და „წითელი ტერორისტების“ შეხედულებანი ლაზეთშიც შეიტანა და თავისი გაერთიანების ძირითად იდეოლოგიურ საფუძვლად აქცია.

1908 წელს, რევოლუციის შედეგად, „ახალგაზრდა თურქებმა“ სულთანი აბდულ-ჰამიდ II აიძულეს, 1876 წლის კონსტიტუცია აღედგინა და საჭირო რეფორმებიც გაეტარებინა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, როდესაც სულთნის მომხრეებმა სტამბოლში ბუნტი მოაწყვეს და აბსოლუტური მონარქიის აღდგენა სცადეს, აბდულ-ჰამიდ II „ახალგაზრდა თურქებმა“ ტახტიდან სულაც გადააყენეს; მის ნაცვლად სულთნად, უნებისყოფო მეჰმედ V დასვეს, თავად კი ხელისუფლებაში მაღალი პოსტები დაინაწილეს. სხვათა შორის, ოსმალეთის არათურქი ხალხები ხელისუფლებაში „ახალგაზრდა თურქების“ მოსვლას სიხარულით შეხვდნენ, მაგრამ სულ მალე იმედი გაუცრუვდათ — ახალმა მმართველებმა იმთავითვე პანთურქისტულ-რეაქციული კურსი აიღეს და მათი უფლებები კიდევ უფრო შეკვეცეს.

ლაზისტანის სანჯაყში, რომელიც იმხანად ტრაპიზონის ვილაიეთის შემადგენელი ნაწილი იყო, ხელისუფლებაში „ახალგაზრდა თურქების“ მოსვლისთანავე, საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო: ერთნი, რომელთაც სათავეში პროკურორი ნეჯათი-ბეი მემიშოღლი ედგა, პანთურქისტულ იდეებს იზიარებდა და ლაზებსაც, ცხადია, თურქებად მიიჩნევდა; მეორენი კი, ჰელიმ ჩოხატარ-ოღლის მეთაურობით, ისევ ძველ პოზიციებზე რჩებოდნენ და მიაჩნდათ, რომ ლაზისტანის სანჯაყს ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში ავტონომიური უფლებები უნდა ჰქონოდა; ისინი „ახალგაზრდა თურქების“ ადგილობრივ მომხრეებს „ჩორბაჯეფე“-ს („ჩორბაჯი“ თურქულად „გაზულუქებულს“ ნიშნავს) ეძახდნენ, ხოლო ეს უკანასკნელები მათ ჩვეულებრივ, „ანარქისტთა“ სახელით იხსენიებდნენ. საინტერესოა, რომ თავად ჰელიმ ჩოხატარ-ოღლი თავის დაჯგუფებას უბრალოდ, „ერთობას“ უწოდებდა — იმხანად, ქართველ რევოლუციონერებს შორის ეს სახელწოდება მეტისმეტად პოპულარული იყო.

ხსენებულ ორ დაჯგუფებას შორის დაპირისპირების უკიდურესი გამწვავება ერთმა მნიშვნელოვანმა ფაქტმა განაპირობა — „ახალგაზრდა თურქებმა“ 1909 წელს ე.წ. „ჯიზიას“ ანუ ჯარში გაწვევის სანაცვლო გადასახადის გაუქმებისა და წვევამდელების გაწვევის ახლებური ორგანიზების თაობაზე კანონი გამოსცეს, რომლის ძალითაც გაუქმდა როგორც ჯიზია (რომელსაც ოსმალეთის არამუსლიმანი ქვეშევრდომები იხდიდნენ), ისე ის შეღავათებიც, რომლითაც ლაზები ოსმალურ არმიაში XVII საუკუნიდან სარგებლობდნენ: მათ სახალხო ლაშქრის შეკრება და მეთაურთა არჩევა აეკრძალათ; ეს იმას ნიშნავდა, რომ რეგულარულ არმიაში წვევამდელებად ლაზებსაც ჩვეულებრივად გაიწვევდნენ და თურქულ ქვედანაყოფებში დაქსაქსავდნენ.

უკანა პლანზე – „ოსმალეთის ბანკის“ ფილიალი გრაპიზონში. 1910 წლის ფოგო

ბუნებრივია, ამ ახალმა კანონმა ლაზისტანის სანჯაყის მოსახლეობაში მღელვარება გამოიწვია. ვითარება იმანაც გაამწვავა, რომ დამატებით, ტრაპიზონის ვალიმ ხოფისა და ათინის კაზების კაიმაკამებს (მაზრების უფროსებს) მოსახლეობისაგან იარაღის ამოღება უბრძანა. აღსანიშნავია, რომ ჰელიმ ჩოხატარ-ოღლის ეს ყველაფერი წინასწარ აცნობეს და მანაც, თანამზრახველებთან ერთად, სასწრაფოდ მიიღო ზომები — 1909 წლის 2 მაისს „ერთობის“ კომიტეტმა ხოფის კაიმაკამს, ვინმე ჯავიდ-ბეის, ტერაქტით მოკვლის განაჩენი გამოუტანა, რომლის აღსრულებაც ახალგაზრდა ფირალმა, აზლაღელმა კანუნ კოსტ-ოღლიმ ითავა.

აზლაღელი ფირალი კანუნ კოსტ-ოღლი

მეორე დღეს, როდესაც კაიმაკამი ეტლით ხოფიდან მეზობელ სოფელში მიემგზავრებოდა, კანუნ კოსტ-ოღლი მას პირდაპირ შუა გზაზე ორი დამბაჩით დახვდა. კაიმაკამმა შეიარაღებულ კაცს შორიდანვე მოჰკრა თვალი და მეეტლეს უბრძანა, ეტლი მიახლოებისთანავე შეეჩერებინა და თან მედიდურად წაიტრაბახა: „მაგ სოფლელ თავმომწონე ბიჭს იარაღს ისე ჩამოვართმევ, გონზე მოსვლას ვერ მოასწრებს!“ მაგრამ კანუნ კოსტ-ოღლიმ მეეტლეს შეჩერება არც აცალა — ეტლი მიუახლოვდა თუ არა, გვერდზე გადახტა, მეეტლე კოფოდან ერთი გასროლით ჩამოაგდო, მერე კი მთელი მჭიდი კაიმაკამს დააცალა. ჯავიდ-ბეი ადგილზევე გარდაიცვალა. კანუნ კოსტ-ოღლის მეეტლეც მკვდარი ეგონა (ის მსუბუქად დაიჭრა, მაგრამ ჩამოვარდნისას თავი გაუტყდა და გონი დაკარგა) და ყურადღება აღარც მიუქცევია; ეტლიდან ცხენები მშვიდად გამოხსნა, გაირეკა და წავიდა. იმავე საღამოს, გადაღებილი და ფაფარშეკრეჭილი ცხენები ფირალმა საზღვარზე გადაიყვანა და სოფელ მაკრიალში (მაშინ რუსეთის იმპერიაში შემავალ მხარეს ეკუთვნოდა) სარფიანად გაყიდა.

ხოფის კაიმაკამის მკვლელობის გამო ტრაპიზონის ვილაიეთის გამგებლო-

ბამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, რომლის გამოძიებაც ნეჯათი-ბეი მემიშოღლის დაევალა. მან ინფორმატორებისგან ყველაფერი შეიტყო და კანონ კოსტ-ოღლიზე ძებნა გამოაცხადა, ჰელიმ ჩოხატარ-ოღლის ასაყვანად კი ჩაფრები გაგზავნა. აქვე უნდა ითქვას, რომ 1908 წლის „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციის დროს ნეჯათი-ბეიცა და ჰელიმ ჩოხატარ-ოღლიც სულთნის ძალაუფლების შესაზღუდავად ერთად იბრძოდნენ, ამიტომაც პროკურორმა „ერთობისა“ და მისი ლიდერის ავანჩავანი კარგად იცოდა. ის იმედოვნებდა, რომ „ანარქისტი“ ჩოხატარ-ოღლი მართლმსაჯულებას ვერაფერს დაუმალავდა.

ჰელიმ ჩოხატარ-ოღლის თანამოაზრე ფირალები: დგანან – მემეტ დელიკურტ-ოღლი, ხუსეინ გოჭ-ოღლი, ნური თუთი-ოღლი, ჰასან მანელ-ოღლი; ზის – სულეიმან ჩაქირ-ოღლი. 1910 წლის ფოტო

ამავდროულად, მოვლენები ძალიან საინტერესოდ განვითარდა — ფირალმა კანონ კოსტ-ოღლიმ ქუთაისის გუბერნიას შეაფარა თავი, ხოლო კონაკში (იმ დროს ასე ეწოდებოდა ოსმალეთის იმპერიაში რეგიონულ პროკურატურას) ჰელიმ ჩოხატარ-ოღლი ვერავინ ვერაფერში გამოტეხა — დაკავებული კაიმაკამის მკვლელობაში რაიმე სახით მონაწილეობას უარყოფდა და პროკურორ ნეჯათი-ბეის ბრალს იქით სდებდა: კარგა ხანია, ჩემს მიწებზე თვალი უჭირავს და თანამდებობას ბოროტად იყენებს, რათა მიწის მიყიდვაზე როგორმე თანხმობა გამომტყუოსო. ჰელიმ ჩოხატარ-ოღლი მაინც დააპატიმრეს, რადგანაც სახლში იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ უპოვეს. ლაზი „ანარქისტის“ გასათავისუფლებლად „ერთობის“ კომიტეტმა რამდენიმეეტაპიანი ოპერაცია დაგეგმა, რომლის განხორციელებაც შვიდმა ლაზმა ფირალმა — ზაბით აბდურამან-ოღლიმ, მემეტ დელიკურტ-ოღლიმ, ხუსეინ გოჭ-ოღლიმ, ნური თუთი-ოღლიმ, ჰასან მანელ-ოღლიმ, ხემდი ვეზირ-ოღლიმ და სულეიმან ჩაქირ-ოღლიმ — ითავა.

შვიდეულიდან ორი — მემეტ დელიკურტ-ოღლი და ხუსეინ გოჭ-ოღლი — სასწრაფოდვე სტამბოლში გაემგზავრა და შესაფერისი ადვოკატის ძებნას შეუდგა, ოთხმა კი ტრაპიზონს მიაშურა ადვოკატის გასამრჯელოსათვის ფულის საშოვნელად. სტამბოლში ფირალებმა სეფარდი ებრაელი ადვოკატი, ვინმე მორდოხაი პერესი მალე იპოვეს, მაგრამ ფულის შოვნა გაჭიანურდა და ამასობაში, ტრაპიზონში ჰელიმ ჩოხატარ-ოღლი გაასამართლეს კიდეც. პროცესზე ნეჯათი-ბეიმ მთელი თავისი გავლენა გამოიყენა და განსასჯელს სირიაში გადასახლება მიესაჯა; თუმცა კანონით, მას გამოქვეყნებიდან ორი კვირის განმავლობაში განაჩენის გასაჩივრების უფლება მიეცა.

გასაჩივრება რომ მოესწროთ, ტრაპიზონში მყოფმა ფირალებმა გადაწყვიტეს, ბანკი გაეძარცვათ; იმხანად ქალაქში ყველაზე მეტი ფული სამთავრობო „ოსმალეთის ბანკში“ ინახებოდა. ხასან მანელ-ოღლიმ ორ დღეში კარგად შეისწავლა მისი მუშაობის განრიგი, მერე, ევროპულ ყაიდაზე, ფრაკში გამოეწყო და ბანკში ვითომ ანგარიშის გასახსნელად მივიდა. „გერმანელი ინჟინერი ვარ და ოსმალეთში რკინიგზის გასაყვანად ჩამოვედი“, — ასე გააცნო მან თავი უშუალოდ დირექტორს, რომელმაც თავაზიანად მიიწვია თავის კაბინეტში. როგორც კი მარტონი დარჩნენ, ჰასან მანელ-ოღლიმ ჯიბიდან ხელნაკეთი თუჯის ბომბი ამოიღო, დირექტორს დაანახვა და უთხრა: „ეს უახლესი გერმანული ბომბია და თუ ახლავე ოცი ათას ოსმალურ ლირას არ ჩამითვლით, ავაფეთქებ! იცოდეთ, მთელი ბანკი ნაცარტუტად იქცევა!“...

ბანკის დირექტორი, ცხადია, გვარიანად შეშინდა და გამეორება არც დასჭირვებია, ისე აღასრულა ფირალის მოთხოვნა — მთელი თანხა ხელის კანკალით ჩაუთვალა და გარეთაც კი გამოაცილა. ბანკს ოსმალო ასკერთა (ჯარისკაცთა) ასეული იცავდა, მაგრამ ოდნავადაც არავის უეჭვია, რომ დირექტორის თანმხლები, ახოვანი მამაკაცი, რომელიც „გიაურთა“ ყაიდაზე ფრაკში გამოწყობილიყო, ჩვეულებრივი მძარცველი იყო. მანელ-ოღლიმ ასკერებს ამაყად ჩაუარა, ქუდის მოხდით მიესალმა მათ, მერე იქვე გაჩერებულ ეტლში ჩაჯდა და საჩქაროდ ნავსადგურისკენ გასწია. იმავე საღამოს, ოთხივე ფირალი გემით სტამბოლისკენ გაემართა, სადაც 5 დღის შემდეგ ჩავიდნენ და ადვოკატ მორდოხაი პერესს გასამრჯელო — 15 ათასი ლირა გადაუხადეს; განაჩენი გასაჩივრდა.

ჰელიმ ჩოხატარ-ოღლის პროცესი ოსმალეთის მეორე ინსტანციის სასამართლოში ბრალდებულის გამართლებით დასრულდა — ადვოკატმა სულ ადვილად დაასაბუთა, რომ კაიმაკამის მკვლელობაში მისი დაცვის ქვეშ მყოფი არ მონაწილეობდა, ხოლო „დედაენის“ გამო დაპატიმრება უკანონო ქმედება იყო; აქ უნდა ითქვას ისიც, რომ ჩოხატარ-ოღლის „დედაენა“ საგანგებოდ ქართველ მაჰმადიანთათვის იყო გამოცემული და თან, ქრისტიანული ლოცვების ნაცვლად, ყურანის ციტატები და მოკლე კომენტარები ერთვოდა (იმ დროს ასეთი „დედაენა“ ოსმალეთის ქართველობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ხშირად გამოიცემოდა), რაც ცხადია, ოსმალურ კანონებს არ ეწინააღმდეგებოდა. ბუნებრივია, ადვოკატის მსჯელობა სასამართლომ გაიზიარა და ჰელიმ ჩოხატარ-ოღლი დარბაზიდანვე გაათავისუფლა; მას თავისი „დედაენაც“ დაუბრუნეს. გარდა ამისა, იმავე სასამართლომ ჩოხატარ-ოღლის უკანონო დაკავების ხარჯების ანაზღაურება ტრაპიზონის ვილაიეთსა და პროკურორ ნეჯათი-ბეის დააკისრა. ეს უკანასკნელი უფრო მნიშვნელოვნად დაზარალდა, რადგანაც მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს უტყუარი მტკიცებულებები ვეღარ დაუპირისპირა და, ოსმალური კანონების მიხედვით, იძულებული გახდა, პოსტი დაეტოვებინა.

P.S. ამის შემდეგ მოვლენები ზუსტად ისევე განვითარდა, როგორც ვესტერნებშია — ყოფილმა პროკურორმა და „ანარქისტმა“ ერთმანეთს დევნა დაუწყეს, მაგრამ ვერც ერთი ვერაფერს გახდა: ჰელიმ ჩოხატარ-ოღლიმ ნეჯათი-ბეი მემიშ-ოღლი ცხრაჯერ დაჭრა, თავად, მტრის ტყვიით თერთმეტჯერ დაიჭრა. პარალელურად, ორივენი საკმაოდ ჩანდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე — ჰელიმ ჩოხატარ-ოღლი 1914-1920 წლებში ლაზეთის საქართველოსთან შესაერთებლად იბრძოდა, ნეჯათი-ბეი კი ოსმალური ხელისუფლების ერთგული იყო; მტრობა შენელდა 1926 წელს — როცა ნეჯათი-ბეი ათათურქზე თავდასხმის მცდელობის ბრალდებით, ციხეში მოხვდა — მაგრამ მერე ისევ გაგრძელდა. საბოლოოდ, მოსისხლეები 1959 წელს, 80 წლის ასაკში, ინვალიდის ეტლებს მიჯაჭვულნი გარდაიცვალნენ. ■

„ყველა ადამიანს აქვს უხილავი სახარება, უხილავი ბიბლია — სინდისის ხმა“

შორენა მერკვილაძე

მაცხოვრის იგავი მთესველზე მათეს „სახარების“ მე-13 თავშია მოთხრობილი. გამოვიდა მთესველი დასათესად. ზოგი მარცვალი თესვისას გზის პირას დავარდა. მოვიდნენ ფრინველნი ცისანი და აკენკეს იგი. ზოგი კლდოვან ადგილას მოხვდა, სადაც მიწა ბევრი არ იყო და მალე აღმოცენდა, რადგან ნიადაგს სიღრმე არ ჰქონდა; მაგრამ ამოვიდა მზე და გაახმო, ვინაიდან ფესვი არ ჰქონდა გადგმული. ზოგი მარცვალი ეკლებში ჩავარდა; როცა ამოვიდა, ეკლები გაიზარდა და მოაშთო. ზოგი პოხიერ მიწაზე დაცვივდა, აღმოცენდა, ფესვიც გაიდგა და ნაყოფიც გამოიღო: ზოგმა — სამოცი, ზოგმა — ოცდაათი... იგავს განგვიმარტავს ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის ღვთისმსახური, მამა იაკობ აბაშიძე.

— მაცხოვარი ყველა კატეგორიის ადამიანისთვის გასაგებ ენაზე თხზავდა იგავებს, ცდილობდა, რომ ხალხი მათი მეშვეობით მიეახლებინა ჭეშმარიტებასთან და მიეზიდა თავისთან. რაც შეეხება კონკრეტულად „მთესველის იგავს“, მასში ლაპარაკია სხვადასხვა სულიერი მდგომარეობის ადამიანებზე: გზის პირას დავარდნილ თესლში იგულისხმებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ისმენენ ღვთის სიტყვას, როცა უფალი თესავს მათ გულებში ჭეშმარიტების მარცვლებს, მაგრამ ღრმად არ ჩაიბეჭდავენ გულსა და გონებაში, ამიტომ „მოვლენ ფრინველნი ცისანი“ — ბოროტი სულები და „აკენკავენ“ — იმასაც წაართმევენ, რაც მოისმინა, მოძღვრის ქადაგებისას თუ სახარების კითხვისას. ასე და ამგვარად, როდესაც ადამიანი ღრმად არ ჩაიდებს გულში ღვთის სიტყვას, ბოროტი სული იმასაც წარტაცებს, რაც მის გულში მოხვდა... მეორენი — „გზის პირას დათესილნი“ ისეთი კატეგორიის მორწმუნენი არიან, რომლებიც ღვთის სიტყვას სიხარულით იღებენ, მაგრამ გულსა და გონებამდე ვერ სწვდებათ. ასეთი მორწმუნეობაც უნაყოფო და ხანმოკლეა. „ამოვა მზე“ — სულ მცირე დევნას განიცდიან ან სხვა სახის განსაცდელს წააწყდებიან და მაშინვე ცდუნდებიან, შეიძლება, იქვე უარყონ სჯული ქრისტესი...

მესამე კატეგორიის ქრისტიან ადამიანთა სულიერი მდგომარეობა წაგავს იმ ადგილს, სადაც ჩავარდა თესლი, მაგრამ ეკალ-ბარდებმა მოაშთო: არსებობს კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც ისმენენ ღვთის სიტყვას, თითქოსდა ღრმადაც იმარხავენ გულში, მაგრამ ამქვეყნიური სიამეები, უამრავი საცდური, ვნებანი და წუთისოფლის საზრუნავი აშთობს მათ გულში ღვთის სიტყვას და უნაყოფოს ხდის... მეოთხე კატეგორია მორწმუნეებისა — „პოხიერ ნიადაგზე დათესილნი“ — არიან ადამიანები, რომლებიც დღენიადაგ მოღვაწეობით, უფლისკენ სულიერი სრულყოფილებისკენ სწრაფვით, ჭეშმარიტი სინანულითა და სხვა მცნებათა დაცვით ცდილობენ მოიცილონ გარემომცველი სარეველები — ცოდვები და საცდურები. ასეთები არიან ჭეშმარიტი შვილნი ეკლესიისა, რომლებიც გამოიღებენ კიდეც კეთილ ნაყოფს. შესაძლოა, ზოგმა გამოიღოს მცირე ნაყოფი, რასაც იგავურად მიანიშნებს რიცხვი 30, მაგრამ მთავარია, მისი მოღვაწეობა ნაყოფიერი იყოს; ზოგი კი უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებს, რაზეც იგავურად რიცხვი 60 მიანიშნებს. ეს ნიშნავს, რომ შენი ცხოვრებით, შენი მოღვაწეობითა და ქადაგებით, სხვებიც მოექცევიან ქრისტიანობაზე ან განმტკიცდებიან ჭეშმარიტ სჯულში. ერთ-ერთი წმინდა მამა ბრძანებს: ადამიანო, მოიპოვე მცირეოდენი მადლი და შენ ირგვლივ ათასები ცხონდებიანო; რაც მეტად განაპოხიერებ შენს სულს, შენ გარშემო მით მეტი ადამიანი გახდება მიმბაძველი შენი ეკლესიური ცხოვრებისა. იგავში სულსა და ხორცს შორის ჭიდილზეა ლაპარაკი. უფალი მიგვანიშნებს, რომ სულმა უნდა იბატონოს სხეულზე, სული უნდა ექცეს კეთილ ნიადაგს მომვლელად — ეკალბარდები, ვნებები და ცოდვები მოაშთოს, ნიადაგი მოამზადოს და დაამუშაოს უფლის სიტყვების მოსასმენად; სულმა მართოს სხეული და არა სხეულმა სული, რათა ვცხონდეთ. თუ სხეულს მივდევთ, ვიცით, მისი ბოლო — სიკვდილი და მიწად ქცევაა, სული კი უკვდავია. „სიბრძნე ბალავარისა“ გვთავაზობს იგავს, რომელიც კარგად ესატყვისება ამ საკითხს: ადამიანს 3 მეგობარი ჰყავდა. ერთი ძალიან უყვარდა, მეორე — უფრო ნაკლებად, მესამე კი საერთოდ არ უყვარდა. როდესაც გარდაცვალების ჟამი დაუდგა, პირველ რიგში, იმ მეგობარს მიაკითხა, რომელიც ძალიან უყვარდა და დახმარება სთხოვა, მან კი მიუგო: ერთადერთი, რაც შემიძლია, ის არის, რომ ყველანაირად კარგი დაკრძალვა მოგიწყო ან ექიმთან მიგიყვანო, თუკი გიშველისო. — ჩემო მეგობარო, მთელი ცხოვრება მიყვარდი და შენ კი არ აღმოჩნდი ჩემ გვერდით გაჭირვების ჟამსო, — უპასუხა კაცმა და განეშორა. ვინ იყო ის პირველი მეგობარი, ძალიან რომ შეჰყვარებია კაცს? — სიმდიდრე და ფული — ვერცხლისმოყვარეობა, რომელმაც ვერ უშველა გარდაცვალების დროს. შემდეგ, მეორე მეგობართან მივიდა და მასაც იგივე სთხოვა. მან უთხრა: ერთი შემიძლია, — ვიტირო, ცრემლი დაგაფრქვიო და საფლავამდე მოგყვეო. ეს მეორე მეგობარი იყო საკუთარი დედა, კიდევ — მამა, ოჯახის წევრები; ვერც ერთი ვერ ჩაჰყვება საფლავში ადამიანს: კაცს ვერც მეორე მეგობარმა უშველა. მესამე მეგობარი, რომელიც ყველაზე ნაკლებად უყვარდა, არის სული. როდესაც კაცი მივიდა მესამე მეგობართან და სთხოვა, — ვკვდები და დამეხმარეო, — მან მიუგო: მთელი ცხოვრება არ გახსოვდი, მაგრამ რახან სიკვდილს ჟამს მაინც გამიხსენე, შენ გვერდით ვიქნები და ეშმაკს შენი სულის წაწყმედის უფლებას არ მივცემო. მხოლოდ მაშინ მიხვდა კაცი, რომ საკუთარ სულზე უნდა ეზრუნა ყველაზე მეტად, ვიდრე წინა „ორ მეგობარზე“. ლაპარაკია არა იმაზე, რომ მოყვასი არ გიყვარდეს ან მატერიალური საერთოდ უარყო, არამედ მეტი წილი არ უნდა იფიქრო და იზრუნოთ ხორციელზე, ამქვეყნიურზე, არამედ — სულიერზე, სულის ცხონებაზე, რაც არის მარადიულობის მომტანი. თუკი ადამიანი სიკვდილის წინ მაინც მოასწრებს აღსარებას, მას შეენდობა. მაცხოვრის გვერდით ჯვარცმულმა ავაზაკმა სიკვდილის წინ აღიარა უფალი და ცხონდა, მაგრამ რადგან არ ვიცით, როდის დადგება ჩვენთვის ბოლო ჟამი — გარდაცვალების დრო, ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ ღვთის წინაშე წარსადგომად; ყოველდღე ვიფიქროთ, თითქოს ეს არის ჩვენთვის ბოლო დღე: ვარ ნაზიარები? აღსარება მაქვს ნათქვამი?.. თუ ასე არ არის, ჩემი სულიერი მდგომარეობა სავალალოა: როდესაც ჩათვლი, რომ დღეს შენთვის ბოლო დღეა — ნაკლებად განიკითხავ, ყველა გეყვარება, აღარ შესცოდავ, აღსარებას ჩააბარებ, განიწმინდები, არ დატოვებ ცოდვას შენს სულში.

თუკი ასე იცხოვრებ, მაშინ იქნები ნამდვილი ქრისტიანი, ეკლესიის ჭეშმარიტი შვილი — „პოხიერ ნიადაგზე დათესილი“... ერთ-ერთ წმინდა მამას საოცარი გამოცხადება ჰქონდა — ბოროტი სულების კრება იხილა. მათ სატანამ ბოროტების ჩადენა დაავალა. ვინც ყველაზე დიდ ბოროტებას ჩაიდენდა, გვირგვინს დაჰპირდა. როცა კვლავ შეიკრიბნენ, ზოგმა თქვა, — კაცს კაცი მოვაკვლევინეო, ზოგმა — ამა თუ იმ ხორციელ ცოდვაში ჩავაგდე ადამიანიო. სატანამ არც ერთის ჩადენილი ბოროტება არ მოიწონა და არ მიიჩნია გვირგვინის ღირსად. ბოროტმა სულმა თქვა: ხალხს ვუქადაგებ, აღსარება ჩააბარონ, ეკლესიურ ცხოვრებას შეუდგნენო. სატანას გაუკვირდა: ეს რა ბოროტებაა? ასე ხომ კაცი ცხონდებაო!.. — მართალია, ჭეშმარიტებას ვქადაგებ, მაგრამ ყველას ჩავძახი — მისი აღსრულება მეორე დღისთვის გადადოსო, — უპასუხა ბოროტმა სულმა. სწორედ მან დაიმსახურა გვირგვინი სატანისგან. ამგვარად, როცა ეკლესიური ცხოვრების დაწყება, მოძღვართან მისვლა და აღსარების ჩაბარება გვსურს, მაგრამ მომავლისთვის გადავდებთ, „ხვალის ეშმაკი“ გვებრძვის. ამიტომ, უნდა ვძლიოთ თავს, შევებრძოლოთ ბოროტ სულს, არ გადავდოთ სამომავლოდ ის, რისი გაკეთებაც დღეს შეიძლება. მთავარია, ბოროტის ნებას არ დავყვეთ, ძალით კი ვერაფერს გაგვაკეთებინებს.

ღმერთი ყველა ადამიანის შემოქმედია. ყველა ადამიანში, არამართლმადიდებელშიც კი, დევს უფლისმიერი მადლი, სულიწმიდის ნაწილი. ამიტომ ყოველი ჩვენგანი მოწოდებულია, შეიმეცნოს ჭეშმარიტება. უფალი ცდილობს, სინდისით, უფლის ხმით ადამიანი ჭეშმარიტების შემეცნებამდე მიიყვანოს. ყველა ადამიანს აქვს უხილავი სახარება, უხილავი ბიბლია — სინდისის ხმა. ვინც ამ ხელთუქმნელ წიგნს ეცნობა, მიჰყვება სინდისის ხმას, მივა კიდეც ჭეშმარიტებამდე. ღვთისკენ მავალთ კი თავად უფალი განამტკიცებს.

„იყავით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს“, — მოგვიწოდებს უფალი, მაგრამ სულიერ სრულყოფილებას კაცი ვერასოდეს მიაღწევს. ალბათ დაგვებადება კითხვა: მაშ, რატომ მოგვიწოდებს უფალი ამისკენ? ჩვენს ზეციურ მამას სურს, სრულყოფილებისკენ, ღვთისკენ სწრაფვა ჩვენი მიზანი გახდეს და მის მისაღწევად, ძალა არ დავიშუროთ.

■

მხიარული შვებულება

• იტალიელები ევროპელთა შორის, ყველაზე მხიარული, ხმაურიანი და ტემპერამენტიანები არიან. სტატისტიკის მიხედვით, მათ ყველაზე გრძელი — 45-დღიანი შვებულება აქვთ. იტალიის დიდი ქალაქები აგვისტოში თითქმის დაცარიელებულია, სამაგიეროდ, გადაჭედილია კურორტები, რადგან მოსახლეობის 70% ამ თვეში დასასვენებლად მიემგზავრება.

• ჰოლანდიელთა უმეტესობა შვებულების 30 დღეს შინ ატარებს. მათზე ხუმრობენ, რომ დასასვენებლად ფული ენანებათ. ეზოებში კენკრის ბუჩქებს რგავენ და მათ ჩრდილში ისვენებენ.

• გერმანელებს 18-დღიანი შვებულება აქვთ. ძველად, გერმანული ოჯახი მთელ დღეებს ერთ კურორტზე ატარებდა. ახლანდელი ახალგაზრდობა ექსტრემალურ დასვენებას ანიჭებს უპირატესობას: 2-3 დღეს მთაში ატარებს, 2-3 დღეს — ზღვისპირეთში, უიკ-ენდებს — საზღვარგარეთ და ა.შ.

• იაპონელებსა და ამერიკელებს შვებულების გატარებას (10-12 დღე), მუშაობა ურჩევნიათ. კონკურენციის გამო, ამერიკელებს ეშინიათ, რომ შვებულებიდან დაბრუნებულებს ძველ ადგილზე სხვა დახვდებათ. გარდა ამისა, დასასვენებლად წასული თანამშრომელი, სამუშაოს გამო შესაძლოა, უკან მოაბრუნონ. გარდა ამისა, ამერიკელი დასვენებას ვერ ახერხებს, ამიტომაც შვებულებაზე უარს ამბობს. იაპონელებს კი კოლექტივის, წრისგან შორს ყოფნა არ უყვართ. ამერიკელებსა და იაპონელებს კიდევ ერთი რამ აქვთ საერთო — ჰავაიზე ისვენებენ. სტატისტიკის მიხედვით, იქ დამსვენებლებს შორის, ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლები ჭარბობენ. ■

ბოროტმოქმედთა ქველმოქმედება

√ იაკუძა — იაპონიაში მოქმედი დამნაშავეთა ჯგუფია. 1995 წელს ქალაქ კობეში (კუნძული ჰონსიუ) ძლიერი მიწისძვრა მოხდა, რომლის შედეგადაც, 6 ათასი ადამიანი დაიღუპა, 30 დაიჭრა, ამდენივე უსახლკაროდ დარჩა. მოსახლეობას დახმარება იაკუძის წევრებმა აღმოუჩინეს. დაზარალებულებს ვერტმფრენებით წყალი, პლედები, პირველადი მოხმარების ნივთები და ბავშვთა საკვებიც კი ჩაუტანეს.

√ „ჯოჯოხეთის ანგელოზებში“ სხვადასხვა ქვეყნის ბაიკერები არიან გაერთიანებული. მათ წევრებს ქურდობის, მკვლელობის, ნარკოტიკების მოხმარებაგავრცელებისთვის ასამართლებენ. მაგრამ კეთილ საქმესაც ემსახურებიან. წელიწადის ერთ დღეს ისინი შეწირულობებსა და საჭირო ნივთებს აგროვებენ და უპატრონო ბავშვთა სახლებს, მოხუცებულთა თავშესაფრებსა და სხვა გაჭირვებულ ადამიანებს ეხმარებიან.

√ „ჰამასის“ საქმიანობის შესახებ ყველას გეცოდინებათ. საინტერესო ის არის, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელები შემოსავლის 90%-ს ქველმოქმედებისთვის ხარჯავენ. ფულს სპორტსმენებს, განათლებისა და სამედიცინო ცენტრებს ურიცხავენ. გაჭირვებულებს კი უფასო სადილებით უმასპინძლდებიან.

√ პაბლო ესკობარი — ცნობილი კოლუმბიელი ნარკობარონი და მკვლელია. მისი ბრძანებით, დაქირავებულმა მკვლელებმა საერთო ჯამში, 600 პოლიციელი, რამდენიმე ჟურნალისტი და მაღალჩინოსანი მოკლეს. მაგრამ ესკობარი კეთილ საქმესაც აკეთებს: აგებს გზებს, სოფლებში გაჰყავს წყალი, შეაქვს წვლილი ეკლესიების, აეროპორტების, სკოლებისა და სტადიონების მშენებლობაში.

√ სომალელი მეკობრეები სასწავლო დაწესებულებებს ურიცხავენ ფულს.

■

მოამზადა **რუსუდან ბელაშვილმა**

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

გრიპი — სეზონური საფრთხე

დადგა ზედა სასუნთქი გზების ვირუსული ინფექციების სეზონი. მართალია, ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, გრიპის ეპიდემია საქართველოს მოსახლეობას არ ემუქრება, მაგრამ სიფრთხილე არ გვაწყენს. ამიტომ გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ შევეხოთ გრიპის პროფილაქტიკას და იმ აუცილებელ ზომებს, რომლებიც დაავადების პირველი ნიშნების გამომჟღავნებისთანავე უნდა მივიღოთ.

ორგანიზმში გრიპის ვირუსის მოხვედრიდან 1-2 დღეში (ზოგჯერ — 5 დღის შემდეგ) სიმპტომებიც ვლინდება. ეს ვირუსული ინფექცია ზოგ ადამიანში მსუბუქად მიმდინარეობს, ზოგს კი მძიმე ფორმით დაატყდება თავს. დაავადების სიმძიმე დამოკიდებულია ინფიცირებულის ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობაზე, ასაკზე, ადრე გადატანილ გრიპის ინფექციაზე და ა.შ.

გრიპის სიმპტომეგია:

მაღალი ტემპერატურა (მძიმე ფორმის დროს — 40-40,5 გრადუსს აღწევს);

ინტოქსიკაცია — ჭარბი ოფლიანობა, სისუსტე, სინათლის შიში, სახსრებისა და კუნთების ტკივილი, თავის ტკივილი;

კატარული მოვლენები — რბილი სასისა და ხახის უკანა კედლის სიწითლე, სკლერების ჰიპერემია (სიწითლე);

რესპირატორული სიმპტომები — ტრაქეისა და ხორხის დაზიანება, ხმის შეცვლა, მშრალი, მტკივნეული ხველა, გულმკერდის არეში ტკივილი, სურდო, ცხვირისა და ხახის ლორწოვანი გარსის ჰიპერემია, ციანოზი (მოლურჯო ელფერი) და სიმშრალე;

ფილტვების სეგმენტური დაზიანების სინდრომი — ფილტვ-გულისმიერი უკმარისობა, რომელიც გრიპის გავლასთან ერთად უკვალოდ ქრება;

აბდომინალური სინდრომი (მუცლის ტკივილი, ფაღარათი).

თუ გრიპი გართულების გარეშე მიმდინარეობს, ცხელება 2-3 დღეში გაივლის და 5-10 დღეში სრული გამოჯანმრთელებით მთავრდება.

გრიპის პირველი სიმპტომების გამოვლენისთანავე უნდა მიმართოთ შემდეგ ზომებს:

ექიმის გამოძახება!

ეს უმნიშვნელოვანესია — მხოლოდ ასე ავიცილებთ თავიდან გართულებას.

წოლითი რეჟიმი!

ვირუსი ანგრევს იმუნიტეტს და დასუსტებული ორგანიზმი სრულიად დაუცველი რჩება ნებისმიერი ინფექციისგან. სწორედ ამ დაავადების მიმართ ზერელე დამოკიდებულების შედეგია საკმაოდ ხშირი გართულებები და ლეტალური შედეგი. ამიტომ, რაოდენ მნიშვნელოვანი საქმეც უნდა გქონდეთ, მინიმუმ 3 დღე საწოლში უნდა გაატაროთ!

სითხის მილება!

აუცილებელია დიდი რაოდენობით სითხის მიღება (ცხელი ჩაი, კომპოტი, „ბორჯომი“ რძით).

ტემპერატურის 38-ზე მაღლა აწევის შემთხვევაში საჭიროა სიცხის დამწევი საშუალებების მიღება (პარაცეტამოლი, პანადოლი, კოლდრექსი და სხვა).

ცხვირის გაჭედვის შემთხვევაში საჭიროა ადგილობრივი სისხლძარღვების შემავიწროებელი, ცხვირის წვეთების გამოყენება, მაგრამ — არა უმეტეს 4-5 დღისა.

რეკომენდებულია მუკალტინი, ძირტკბილას ფესვები, ალთეს სიროფი და სხვა საშუალება ნახველის გასათხელებლად და ადვილად ამოსახველებლად.

ყურადღება!!!

ხველების საწინააღმდეგო ბევრი პრეპარატის მიღება ექიმის უნებართვოდ დაუშვებელია! თვითმკურნალობისას ექიმის გარეშე დასაშვებია მხოლოდ ამოსახველებელი საშუალებების მიღება. ეს ის პრეპარატებია, რომლებიც ათხელებს ნახველს და აიოლებს ბრონქებიდან მის გამოყოფას. რაც შეეხება უშუალოდ ხველის სინდრომის მოსახსნელ პრეპარატებს, ისინი აუცილებლად ექიმმა უნდა დანიშნოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მშრალი ხველა თენთავს და ბალიშზე თავის დადების საშუალებას არ აძლევს ავადმყოფს.

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ამოსახველებელი და ხველების საწინააღმდეგო პრეპარატების ერთდროული მიღებისას — არასწორი დანიშნულების შემთხვევაში შესაძლოა, ნახველი ბრონქებში დაგროვდეს და დიდხანს არ გამოიდევნოს, ეს კი ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს აყენებს.

დაავადების პირველ დღეებში რეკომენდებულია გვირილის, ყვითელგულას, პიტნის, სალბის ან კრაზანას ნაყენის ორთქლით ინჰალაცია;

ყურადღება!!!

სამკურნალო მცენარეები ყველასთვის როდი შეიძლება!

ერთი შეხედვით უვნებელი მცენარეებით თვითმკურნალობაც შესაძლოა, მავნე აღმოჩნდეს. მაგალითად:

* ალოეს წვენი აკრძალულია თირკმლებისა და შარდის ბუშტის ანთებითი დაავადებების, ბუასილის, ორსულობისა და ქალური სისხლდენის დროს;

* შავნაყოფა ცირცელის მიღება არ შეიძლება არტერიული წნევის დაქვეითების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების შემთხვევაში;

* მცირე რაოდენობით უნდა მოვიხმაროთ კრაზანას ნაყენი, რადგან ეს მცენარე შეიცავს შხამებს, რომელთა დიდი ოდენობა ორგანიზმისთვის მავნებელია.

* აუცილებელია C ვიტამინი და პოლივიტამინები — ეს საშუალებები ამაღლებს ინფექციების მიმართ ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს. დიდი რაოდენობით C ვიტამინს შეიცავს: კომბოსტოს მწნილი, ლიმონი, კივი, ფორთოხალი, გრეიპფრუტი, მანდარინი.

რეკომენდებულია ანტიჰისტამინური პრეპარატები (ტავეგილი, სუპრასტინი ან სხვა ანტიალერგიული საშუალება);

დაავადების პირველ დღეებში რეკომენდებულია ნატურალური პრეპარატები, რომლებიც ხელს უწყობს იმუნი-

ტეტის შენარჩუნებას (ინტერფერონი, აფლუბინი).

დაიცავით ჰიგიენა!

— ავადმყოფის მიერ გამოყენებული ჭურჭელი უნდა დაიმდუღროს, სასურველია თეთრეული გამოვცვლოთ 3 დღეში ერთხელ, ხოლო პირსახოცი — ყოველდღე. თეთრეული უნდა გაირეცხოს ცალკე, სარეცხ მანქანაში, მდუღარე წყლის რეჟიმით. ხელით რეცხვის შემთხვევაში გამოიყენეთ სადეზინფექციო საშუალება. ავადმყოფის მიერ გამოყენებული ერთჯერადი ცხვირსახოცები უნდა შეფუთოთ პოლიეთილენის პარკში და ისე გადაყაროთ.

გრიპის დროს გაცივების თავიდან ასაცილებლად ბევრი უარს ამბობს შხაპსა და აბაზანაზე. არადა, ვირუსების აქტიური ცხოველმოქმედებისას ორგანიზმში აუარებელი ტოქსინი გროვდება, რომლის მნიშვნელოვანი

ნაწილი კანის მეშვეობითაც გამოიყოფა. თუ ისინი კანიდან დროულად არ მოვიცილეთ, ორგანიზმის გაწმენდა და შესაბამისად, მისი გამოჯანმრთელება გაჭიანურდება.

ასე რომ, დაბანა აუცილებელია, ოღონდ — ფრთხილად (მაღალი სიცხის დროს — არა), რათა სააბაზანოდან გამოსვლის შემდეგ ხელახლა არ გაცივდეთ.

ხშირად გაანიავეთ ოთახი!

ავადმყოფი განუწყვეტლივ გამოყოფს ვირუსებს, რომლებიც გაუნიავებელ ოთახში გროვდება. ამიტომ, რაც შეიძლება ფართოდ გააღეთ ფანჯარა, ოთახში სუფთა ჰაერი და მზის სხივები შემოუშვით — მზის პირდაპირი და არეკლილი სხივები იოლად ანადგურებს ვირუსებს.

სითბოს მოყვარული ვირუსებისთვის ტემპერატურის ცვალებადობა და სიცივე დამღუპველია, რაც თქვენს გამოჯანმრთელებასაც დააჩქარებს.

ანტიბიოტიკებით მკურნალობა დასაშვებია მხოლოდ ექიმის ნებართვით. მათი უკონტროლოდ მიღება მხოლოდ და მხოლოდ დაასუსტებს ორგანიზმს და ხელს შეუშლის ვირუსებთან ბრძოლას. გარდა ამისა, ეს პრეპარატები ანადგურებს ნაწლავის სასარგებლო მიკროორგანიზმებს, რომლებიც სხვა ფუნქციებთან ერთად, იმუნიტეტის ჩამოყალიბებაშიც მონაწილეობს, ამიტომ მათი მიღებისას, ნაწლავის მიკროფლორის აღმდგენი საშუალებების სმაც აუცილებელია.

* როგორც ნებისმიერი ინფექციური დაავადების, ასევე გრიპის დროს უნდა იხელმძღვანელოთ შემდეგი წესით: თუ 3 დღეში ტემპერატურა ნორმას არ დაუბრუნდა, უნდა იეჭვოთ გართულებებზე (პნევმონია, პიელონეფრიტი, ჰაიმორიტი) და ხელახლა მიმართოთ ექიმს.

გრიპის პროფილაქტიკა

ნებისმიერი დაავადების პროფილაქტიკა უფრო ადვილია, ვიდრე მისი მკურნალობა. იგივე კანონი ვრცელდება გრიპზეც. ამიტომ, შევეხებით იმ აუცილებელ ღონისძიებებს, რომლებიც გრიპის თავიდან აცილების ან მის იოლ ფორმებში გადატანის მიზნით უნდა ჩატარდეს.

გაითვალისწინეთ, რომ ორსულებს, მოხუცებსა და ბავშვებს იმუნური სისტემა შედარებით სუსტი აქვთ, ამიტომ ისინი ყველაზე უმწეონი არიან და გრიპის ვირუსი მათთვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს. ასე რომ, მეტი გულისყურით მოეკიდეთ გრიპის პროფილაქტიკას.

გრიპის პროფილაქტიკის ძირითადი მეთოდია — გრიპის საწინააღმდეგო აცრა. მაგრამ იმუნიტეტის ჩამოყალიბებას აცრიდან დაახლოებით 3 კვირა სჭირდება და ეს იმუნიტეტი 6 თვე ნარჩუნდება (შემდეგ კლებულობს).

* ადამიანებთან ურთიერთობისას დაიცავით ერთმეტრიანი დისტანცია — გრიპი აირ-წვეთოვანი გზით გადამდები ინფექციაა. დაავადებული ადამიანი დაცემინების ან დახველების დროს ჰაერში გამოტყორცნის ცხვირის ან პირის ღრუს სეკრეტის თვალით უხილავ წვეთებს, რომლებიც ვირუსს შეიცავს. ეს წვეთები ერთი მეტრის გავლის შემდეგ დალექვას იწყებს და საფრთხეს აღარ წარმოადგენს.

ნუ გადაკოცნით ახლობლებს, ნაცნობებს, რადგან პირისა და ცხვირის ღრუ (როგორც ჩვენი, ასევე მათი) შეიძლება შეიცავდეს გრიპის ვირუსს, რომელიც პირდაპირი კონტაქტისას გადაეცემა მას, ვისაც ჰკოცნით.

* გრიპის პროფილაქტიკისთვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ხელმისაწვდომი საშუალებაა მარლის პირბადე (ნიღაბი). დაიცავით პირბადის მოხმარების წესები:

√ პირბადე მთლიანად უნდა ფარავდეს ცხვირსა და პირს; ის პირბადეში ჩაყოლებული სპეციალური სამაგრით უნდა მოირგოთ ცხვირზე.

√ პირბადე ორ საათში ერთხელ უნდა გამოიცვალოთ. დაუშვებელია ერთჯერადი პირბადის მეორედ გამოყენება. თუ ერთჯერადი პირბადე არ გაქვთ, შეიძლება, ოთხფა დოლბანდისგან დამზადებული პირბადის გამოყენება, რომელიც ასევე ორ საათში ერთხელ უნდა გამოიცვალოთ, გაიკეთოთ ახალი, ხოლო გამოყენებული გარეცხოთ და დეზინფექციისთვის ცხელი უთოთი გააუთოოთ.

* ერიდეთ ხელის ჩამორთმევას — თუ ავადმყოფმა დაცემინების, ხველის, ლაპარაკის დროს პირზე ხელი აიფარა, მასზე შეიძლება დაილექოს ვირუსი, ხელის ჩამორთმევისას კი მეორე ადამიანის ხელზე გადაინაცვლოს. იგივე ხდება ამა თუ იმ საგნის ზედაპირთან შეხებისას. ორივე შემთხვევაში ადამიანი ხდება ვირუსის მატარებელი, რომელიც 2-8 საათის განმავლობაში ირგვლივ მყოფთათვის საფრთხეს წარმოადგენს.

* ხშირად დაიბანეთ ხელები. ამგვარად მოიცილებთ გარემოსთან კონტაქტისას ხელებზე მოხვედრილ გრიპის ვირუსს. თან ატარეთ სადეზინფექციო სველი ხელსახოცი ან სპეციალური სითხე. ხელსახოციც და სითხეც გამოგადგებათ იმ შემთხვევაში, როცა ვერ ახერხებთ ხელების წყლით დაბანას.

* ხველისა და ცემინების დროს ცხვირ-პირზე აიფარეთ არა ხელი, არამედ ქაღალდის ცხვირსახოცი, რათა ჰაერში ვირუსების გამოფრქვევა არ მოხდეს.

რჩევები ხალხური მედიცინიდან

გრიპით ავადმყოფის დროს:

ძალიან ეფექტურია ფეხების აბაზანა. 5-10 წუთით ფეხები ჩააწყვეთ მდოგვიან ცხელ წყალში და ამის შემდეგ ტერფები დაიზილეთ რომელიმე გამახურებელი კრემით.

ექიმის მიერ დანიშნულ წამლებთან ერთად შეიძლება, არამედიკამენტური საშუალებების გამოყენებაც — მაგალითად, ასკილის ნაყენის, ლიმონიანი, თაფლიანი და ჟოლოიანი ჩაის.

ძალზე სასარგებლოა გრიპის საწინააღმდეგო სხვადასხვა ჩაი. მაგალითად: აიღეთ თანაბარი რაოდენობის ცაცხვის ყვავილი, კრაზანას ყვავილები, სამკურნალო გვირილის ყვავილები და კარგად დაქუცმაცებული ასკილის ნაყოფი; ნარევს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, თბილად შეფუთეთ, 20 წუთის შემდეგ კი ნაყენი ცეცხლზე შემოდგით, 5 წუთი თავდახურული ადუღეთ ნელ ცეცხლზე, მერე გადმოდგით და კვლავ თბილად შე-

ფუთეთ, 1 საათის შემდეგ — გაწურეთ. გრიპის ეპიდემიის დროს ასეთი ჩაი დღეში 2-ჯერ, ჭამის შემდეგ უნდა მიირთვათ 0,5 ჭიქის რაოდენობით; კარგი იქნება, თუ ცოტა თაფლსაც დაუმატებთ. შეგიძლიათ, გრიპის საწინააღმდეგო ჩაისთვის ტირიფის ხის ქერქი, გვირილის, ცაცხვის ყვავილები და ასკილის ნაყოფი გამოიყენოთ. 1 ჩ/კ ამ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 10 წუთის შემდეგ გაფილტრეთ, გაწურეთ და თბილი, დღეში 3-ჯერ 1/3 ჭიქა ჭამამდე 15 წუთით ადრე მიიღეთ.

სასარგებლოა ჟოლოს ნაყოფი და ცაცხვის ყვავილი. თანაბარი რაოდენობით აურიეთ ისინი; ერთ ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 30 წუთი გააჩერეთ, მერე კი მიირთვით თითო ჭიქა ცხელი ნაყენი დღეში 2-3-ჯერ.

გრიპის დროს სასარგებლოა სოჭის ზეთის დალევა, გულმკერდის, ზურგის არეში შეზელა და ამ ზეთით ტერფების მასაჟი დღეში 4-5-ჯერ. ყოველი პროცედურის შემდეგ ტერფები შეიხვიეთ პოლიეთილენით, ჩაიცვით წინდები, დაიფარეთ თბილი გადასაფარებელი და დალიეთ ნაყენი, რომელსაც ოფლმდენი მოქმედება აქვს (მაგალითად, ჩაი ჟოლოს მურაბით). ინჰალაციის მიზნით, მომინანქრებულ ქვაბში ჩასხმულ მდუღარე წყალს დაამატეთ 3-4 წვეთი სოჭის ზეთი და გაიკეთეთ ინჰალაცია. სურდოს დროს შეგიძლიათ, თითო წვეთი ზეთი ჩაიწვეთოთ თითოეულ ნესტოში. სოჭის ზეთი ხველის შეტევასაც ხსნის. ამ მიზნით დილა-საღამოს ენაზე დაიწვეთეთ 3-5 წვეთი სოჭის ზეთი.

ძლიერი ხველის დროს ეფექტიანია შემდეგი საშუალება: დაჭერით თხელ ნაჭრებად უმი ბოლოკი, მოაყარეთ შაქრის ფხვნილი, მიიღებთ ტკბილ წვენს. საათში ერთხელ დალიეთ 1 ს/კ წვენი. ან გახეხეთ ბოლოკი, ჩაყარეთ დოლბანდში, გამოწურეთ წვენი, დაამატეთ თაფლი და დილა-საღამოს (ძილის წინ) დალიეთ 2-2 ს/კ.

პროფილაქტიკის მიზნით:

* გრიპის სეზონის წინ, პროფილაქტიკის მიზნით, შეიძლება ყოველდღიურად 2-3 კბილი ნივრის მიღება. პირის ღრუს ბაქტერიებისა და ვირუსისგან მთლიანად გასათავისუფლებლად საკმარისია ნივრის რამდენიმე წუთი ღეჭვა. ასეთივე ეფექტი აქვს ხახვს.

* ეფექტიანია პროპორციით 1X1, გახეხილი ნივრისა და თაფლის ნარევი. უნდა მიიღოთ ღამით, 1 ს/კ და დააყოლოთ ცხელი წყალი.

* ეპიდემიის დროს სასარგებლოა ევკალიპტის ნაყენიც (20 გ გამხმარ, დაქუცმაცებულ ევკალიპტის ფოთოლს უნდა დაასხათ 100 მლ სპირტი, მჭიდროდ მოხუფოთ, გააჩეროთ 10 დღე, მერე კი გაწუროთ. ნაყენი დღეში 3-ჯერ, წყალთან ერთად, 25-25 წვეთის ოდენობით უნდა მიიღოთ) და კოთხუჯის ფესვის ღეჭვაც.

* ეფექტიანი პროფილაქტიკური საშუალებაა ჩვეულებრივი ვაშლი: მის შემადგენლობაში შემავალი მიკროელემენტები და ვიტამინები ხელს უშლის გრიპის ვირუსის გავრცელებას. შემჩნეულია, რომ ადამიანებში, რომლებიც დღეში 2-3 ვაშლს ჭამენ, გრიპით დაავადების ალბათობა 3-ჯერ მცირდება.

* ეფექტიანია პროპოლისის პატარა ნაჭრის პირში გაჩერება. პროპოლისი არც უნდა დაღეჭოთ და არც წუწნოთ, უბრალოდ უნდა გაიჩეროთ პირში მაქსიმალურად დიდხანს. ■

P.S. **პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com.



ადამიანი

ნიკა ხაჩიძის რისკიანი ნაბიჯები

ნიკა ხაჩიძემ ერთმანეთთან „ჯაჭვურად“ დაკავშირებულ ჟურნალისტიკის სამივე სფეროში — პრესა, რადიო, ტელევიზია — მოსინჯა ძალა. ის ჯერ 25 წლისაა, არადა, უკვე 12 სამსახურის გამოცვლა მოასწრო. ნიკა ამჟამად, საზოგადოებრივი მაუწყებლის დილის პროგრამის წამყვანია; პარალელურად, ნინო ჩხეიძესა და სალომე გოგიაშვილთან ერთად, რადიოში ორ სხვადასხვა გადაცემას უძღვება.

„ცნობილების შესახებ ბევრი რამ ვიცი“...

ეთო ყორღანაშვილი

— ტელეწამყვანის ამპლუის მორგება გამიჭირდა ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დილის 6-ის ნახევარზე გაღვიძება ჩემთვის არაკომფორტული იყო და მეორეც — ტელეკამერებთან მუშაობაც არ ვიცოდი... მართალია, ახლა ეს სამსახური მომწონს, მაგრამ არც ისე, რომ ვთქვა: ტელევიზიის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია-მეთქი. სამაგიეროდ, ზუსტად ვიცი, რომ რადიოს გარეშე ცხოვრება გამიჭირდება.

— ტელევიზიაში მუშაობა რამ გადაგაწყვეტინა?

— სიახლეები მიყვარს და შესაბამისად — ექსპერიმენტებს, რისკს არასოდეს ვერიდები; თუ მივხვდები, რომ ამა თუ იმ საქმეში საკუთარი შესაძლებლობები ამოვწურე, ასეთ დროს მატერიალური საკითხიც მეორეხარისხოვანი ხდება და სამსახურიდან აუცილებლად წამოვალ. შეიძლება, ვიღაცას ეს სიგიჟედ მოეჩვენოს, მაგრამ რა ვქნა, ასეთი ვარ... სტუდენტობისას ტელეგადაცემა „თინეიჯერში“ ვმუშაობდი, მაგრამ მას მერე ტელევიზიაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებაზე არც მიფიქრია; მინდოდა, რეპორტიორობა მესწავლა, თორემ ტელეწამყვანობაზე ორიენტირებული არ ვიყავი, მაგრამ გოგა ჩართოლანისა და რუსიკო მანჯგალაძის წყალობით, დილის პროგრამაში ამოვყავი თავი.

— აღნიშნე, — რისკის არ მეშინიაო. კარიერასთან დაკავშირებული შენი ყველაზე დიდი რისკი რა იყო?

— გასულ ზაფხულს, ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორის მოადგილე ვიყავი და უცებ, გადავწყვიტე, რომ პრესაში მუშაობა აღარ მინდოდა! იმ პერიოდში რადიოშიც ვმუშაობდი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, იქ აღებული მიზერული ხელფასი არაფერში მყოფნიდა. დაახლოებით ერთი თვე მხოლოდ ამ რადიოსა და მწირი ჯამაგირის ამარა ვიყავი, შემდეგ მეგობარმა დამირეკა: ახალი რადიო იხსნება და მენეჯერი სჭირდებათო. ამასობაში რუსიკო მანჯგალაძემაც შემატყობინა, — ტელევიზიაში რაღაც ვაკანსიაა და ორ ახალ სამსახურს ერთდროულად შევეჭიდე.

— დამოუკიდებლად ცხოვრება რა ასაკიდან დაიწყე?

— 15 წლის ასაკიდან. მშობლები თითქმის არაფერში მზღუდავდნენ, მაგრამ ყოველთვის მინდოდა, მატერიალურად დამოუკიდებელიც ვყოფილიყავი და გადავწყვიტე, ჟურნალებთან მეთანამშრომლა, რაღაცებს ვწერდი. პირველი ჰონორარი — 4 ლარი რომ მომცეს, „მაკდონალდსში“ წავედი და ჯემიანი ნაყინი მივირთვი

— ეს კარგად მახსოვს (*იცინის*)! პირველი სერიოზული სამსახური ჟურნალი „ბომონდი“ იყო, სადაც ამ გამოცემის მაშინდელი რედაქტორის — სოფო თევდორაშვილის წყალობით ბევრი რამ ვისწავლე. მახსოვს, ინსტიტუტიდან მოსული, „კვირის პალიტრის“ სასადილოში ვსადილობდი, მერე ინტერვიუების ჩასაწერად მივდიოდი. იქ მუშაობისას იმდენ თანხას ვუყრიდი თავს, რომ საშუალება მქონდა, 2-3 კვირაში ერთხელ ახალი სამოსი მეყიდა... მერე ცხოვრება მართლაც, დამოუკიდებლად შევძელი, გადასახადებსაც თავად ვიხდიდი და ეს ყველაფერი მომწონდა! ძალიან მიკვირს, გადასახადების დაფარვას, მეგობრებთან გართობას და რაღაცების ყიდვას ერთდროულად როგორ ვახერხებდი. ყველა მეგობრული თავშეყრა ჩემთან იმართებოდა, თუმცა ზოგჯერ, მარტოობაც მინდოდა ხოლმე და ერთხელ, როცა შინ ვიყავი, მეგობარიც კი მოვატყუე, —

ყველა მეგობრული თავშეყრა ჩემთან იმართებოდა

ნუ მოხვალ, სახლში არა ვარ-მეთქი. მიპასუხა: როგორ არა ხარ, ახლა ტელევიზორს უყურებო — თურმე, ფანჯრიდან დამინახა (*იცინის*)... ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემს 2-ოთახიან ბინაში 20 კაცამდე დავრჩენილვართ.

— შენს საქმიანობაში „ჟურნალისტური ხრიკები“ არასოდეს გამოგიყენებია?

— როგორ არა, ამის გარეშე მუშაობა წარმოუდგენელია, მაგრამ მერწმუნეთ, ჩემთვის სხვისი იმიჯის შელახვის ხარჯზე მიღწეული წარმატებაც მიუღებელია. მახსოვს, ერთ-ერთ მსახიობთან ინტერვიუს ვწერდი. ის რაღაც ფილმზე მელაპარაკებოდა და მეორე ცნობილ მსახიობთან დაკავშირებით თქვა: ჩვენს „ზასაობაზე“ (ფილმის ერთ-ერთ სცენას გულისხმობდა) მთელი თბილისი ილაპარაკებსო. ის ქალბატონი გათხოვილი გახლდათ, ჰოდა, დიქტოფონი გამოვრთე და რესპონდენტს ვკითხე: ეს ფრაზა რომ დავწერო, უხერხული ხომ არ იქნება-მეთქი?.. ყოველთვის ვცდილობდი, „თბილი“ ინტერვიუ გამოსულიყო. შოუბიზნესში ბევრი მეგობარი მყავს და შესაბამისად, ზოგიერთის ცხოვრების შესახებ ისეთი რამ ვიცი, რომ დამეწერა, ნამდვილი „ბომბი“ იქნებოდა, მაგრამ მეგობრების საიდუმლო არასდროს გამიცია, ეს ამბები პრესის ფურცლებზე არ მოხვედრილა. როცა მეგობრებთან ინტერვიუზე მივდიოდი, მათ ვეუბნებოდი: ახლა ჟურნალისტი ვარ და მხოლოდ ის მიპასუხეთ, რაც გინდათ, რომ დაიწეროს-მეთქი. ერთ-ერთი მათგანი მეხუმრებოდა: ერთ დღეს რომ გაგიჟდე და ვისზეც რა იცი, ყველაფერი წიგნად გამოსცე, ხომ მოგვეჭრება თავიო?!.

— პრესაში მიღებული სამუშაო გამოცდილება ტელევიზიაში რამდენად გამოგადგა?

— პრესა, ტელევიზია და რადიო ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება და ამავე დროს, ერთმანეთთან „ჯაჭვურ“ კავშირშია: როცა ნორმალურად წერ, ნორმალურადაც აზროვნებ — ანუ შეგიძლია, წინადადება კარგად ააწყო და შესაბამისად, რადიოში მუშაობა არ გაგიჭირდება; რადიოში მუშაობის გამოცდილება როცა გაქვს და იცი, რომ ჟურნალისტი სხარტად უნდა აზროვნებდეს, მუშაობა ტელევიზიაშიც გაგიიოლდება. ისე, ყველაზე რთული პრესაში მუშაობაა.

— ამჟამად რადიოში ნინო ჩხეიძესა და სალომე გოგიაშვილთან ერთად, გადაცემები მიგყავს. ვიცი, სალომე ჟურნალისტია. რაც შეეხება ნინოს, წამყვანად მაინცდამაინც ის რატომ შეარჩიე?

— როცა „აფხაზეთის ხმაში“ მივედი, გადავწყვიტე, იქ ყველაფერი შემეცვალა და გამიჩნდა იდეა, ცნობილი ადამიანები რადიოწამყვანებად მექცია. ნინოსთან წლებია, ვმეგობრობ, თან — საკმაოდ რეიტინგული მომღერალია და სწორედ ამის გამო შევარჩიე. მიმაჩნია, რომ თუ ადამიანთან მეგობრობ, მასთან ტელე და რადიოპარტნიორობა ძალიან კომფორტულია.

— ნინო ჩხეიძემ რადიოს წამყვანობა იოლად აითვისა?

— მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, ძალიან „გახსნილი“ ადამიანია, თავიდან დაძაბული იყო, მაგრამ დღესდღეობით, ყველაფერი მშვენივრად გამოსდის, მასთან ერთად თავს ფანტასტიკურად ვგრძნობ. იმავეს თქმა შემიძლია სალომეზეც: ეთერში ორი გადარეული ვართ!.. რადიოში მხოლოდ 2 ეთერი „ავიღე“, დანარჩენი დრო — ტელევიზიისა და ძილისთვისაა განკუთვნილი (*იცინის*)!

— პირადი ცხოვრებისათვის?

— გატაცებები ყოველთვის მაქვს, მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანი არა, რომ ამაზე სერიოზული ურთიერთობა აეწყოს. მეგონა, ჩემი გრაფიკის გამო, ეს პატარა „რაღაცებიც“ აღარ იქნებოდა, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ამის გარეშე არ შეიძლება. კარგა ხანია, ძალიან შეყვარებული არ ვყოფილვარ... სიყვარული მინდა, მაგრამ ოჯახი — ჯერ არა. სახლში ღამის 12 საათზე მივდივარ და საწოლიდან დილის 5-ზე ვდგები; ძილისთვის განკუთვნილი ეს მოკლე დროც ბავშვმა რომ გამათენებინოს, საგიჟეთში მოვხვდები და ინტერვიუს თეთრ ხალათში გამოწყობილი მოგცემთ (*იცინის*)... ■



ზამირა თორდინავას მილიონები და „შურით დამსკდარი“ ხალხი

მოდი, ყველამ ერთად აღიარეთ, რომ ჩემსავით (თუ ჩემზე მეტად არა) შეგშურდათ „ახალგამომცხვარი“ მილიონერისა და მისი იღბლის, მაგრამ თუ თქვენც არასოდეს გიყიდიათ ლატარიის ბილეთი, ჩემი არ იყოს, ვის რაში ადანაშაულებთ?.. ჰო, ასეთი უცნაურობა მჭირს — ლატარიის ბილეთში „გადასაგდებად“ 2 ლარს ვერასოდეს ვიმეტებ, მერე კი ვბუზღუნებ ან იმაზე ვფიქრობ, რომ მეყიდა და მომეგო, როგორ ან რაში დავხარჯავდი მოგებულ მილიონებს...

ინგა ჯაყელი

ერთი ძველი ანეკდოტიც გამახსენდა: კაცი ყოველდღე მხოლოდ იმიტომ შედის ეკლესიაში, რომ ღმერთს უსაყვედუროს: მთელი ცხოვრება ვირივით ვმუშაობ და ერთხელ არ გამიკეთებ საჩუქარს; რა იქნება, რომ ლატარიაში ფული მომაგებინოო... ამ კაცმა იმდენი ქნა, რომ ყოვლის დამთმენი უფალიც კი გააბრაზა და ერთხელაც, მაცხოვარმა ხატიდან ჩამოსძახა: კაცი არა ხარ? წადი და ცხოვრებაში ერთხელ მაინც იყიდე ბილეთიო!..

ჰოდა, აწი მეც უნდა ვიყიდო ბილეთი!.. სხვათა შორის, ქუთაისში ჩემსავით, ბევრს გაუჩნდა მილიონის მოგების სურვილი, ბევრი „ღვინჭიპაზე გასკდა შურით“ და სადაც უნდა წახვიდეთ, ყველგან ზამირა თორდინავას სახელი ისმის...

ვერაბ ბურჭულაძე, *51 წლის, ტაქსის მძღოლი:*

— ვითომ, მართლა მოიგო და არ მოაგებინეს? ეს მთავრობა გვატყუებს რაღაცას.

— **მთავრობა ლატარიასთან რა შუაშია? იმათ თავიანთი ცოდვებიც ეყოფათ! — ვამბობ მე.**

— ყველაფერს აფუჭებენ და მაგათი ჩარევის გარეშე ლატარია გათამაშდებოდა?! — არ ცვლის „ტაქსისტი“ „პირველ ჩვენებას“. — თან, რაფერი მაკვარანცხი ციფრები ამევიდა: 1, 3, 8, 10... აბა, რომელი ჭკუათამყოფელი შემოხაზავდა ოთხ ციფრს პირველი ათეულიდან?!

— **თქვენც თამაშობდით?**

— არა... მე ვინ მომცა მოგების იღბალი?!

— **რომ მოგეგოთ, რას იზამდით?**

— მუშაობას დავანებებდი თავს, ამ მანქანას ჩემს უფროსობას მივუგდებდი და ვეტყოდი: ახლა თქვენ იბოდიალეთ ქუთაისის ქუჩებში და მერე, თქვენივე დანიშნული ხელფასით იცხოვრეთ-მეთქი!..

ზაირა ჟურდიანი, *54 წლის, პედაგოგი:*

— ჩემი ხელფასი გადასახადებში მიდის, სხვას ვერაფერს ვყიდულობ. ნეტავ, „თორდინავას მილიონები“ მაინც მომეგო...

— **და რომ მოგეგოთ, რას იზამდით?!**

— პირველ რიგში, სკოლიდან წამოვიდოდი. 30 წელიწადია, მასწავლებლად ვმუშაობ. წელს გამოცდებზე გავედი და სერტიფიკატიც ავიღე, მაგრამ რომ დავხედე, შეურაცხყოფისაგან ლამის, გული გამიჩერდა: ენიჭება მასწავლებლობის უფლებაო! რა, ეს სერტიფიკატი რომ ვერ ამეღო, პედაგოგობის უფლება აღარ მექნებოდა?.. თავიდან 160-ლარიან დანამატს შეგვპირდნენ და 75-ზე ჩამოიყვანეს, ესეც იმოდენა პროცენტით იბეგრება, რომ ხელზე 60 ლარს ვიღებთ. ჰოდა, ჩვენი მთავრობის წევრებსა და მინისტრებს ასე ვლოცავ ხოლმე: მასწავლებლის ხელფასზე ეცხოვროთ დარჩენილი ცხოვრება!.. ნეტავ მომეგო ის მილიონები და სკოლაში საბუთების წამოსაღებადაც არ მივიდოდი.

52 წლის ქალბატონი ნათელა ვეფხვაძე წლების განმავლობაში, „სასწრაფო დახმარების“ ექიმად მუშაობდა, მაგრამ 3 წლის წინ სამსახურიდან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაათავისუფლეს:

— რაც იმ მილიონების მოგების ამბავი გავიგე, ვერ დავიგდე წნევა. ჩემი იღბალი ცეცხლშია დასაწვავი — ბილეთი ბევრჯერ ვიყიდე, მაგრამ თითო ციფრიც ვერ დავამთხვიე... ეჰ, ის ფული რომ მომეგო, მოვხვევდი ჩემი ოჯახის წევრებს ხელს და საცხოვრებლად საზღვარგარეთ წავიდოდი. იქ ფერმას ვიყიდდი და სოფლის მეურნეობით დავკავდებოდი...

— **ფერმის ყიდვა ხომ საქართველოშიც შეიძლება...**

— საქართველოში ჩემნაირების საშველი დიდხანს არ იქნება. სამედიცინოზე რომ ჩავაბარე, მამაჩემი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო: ავშენდით, აწი ჩვენს ოჯახს არც საქმე მოაკლდება და არც ფულიო, მაგრამ აბა, მითხარი, ამ მთავრობის ხელში ექიმებზე გაჭირვებული ვინაა?!.

— **ისე, ლატარიაში გათამაშებული მილიონებით საკუთარი კლინიკის აშენებასაც შეძლებდით...**

— ოღონდ — საქართველოში არა! — ქალბატონმა ნათელამ ხელები ისე გაასავსავა, თითქოს, ფული უკვე ჯიბეში ედო და მშენებლობის დასაწყებად მხოლოდ მისი თანხმობა გახლდათ საჭირო.

მილიონი რომ მოგეგოთ, რას გააკეთებდით?! — დაახლოებით 100 ქუთაისელს დავუსვი ეს შეკითხვა. 100-დან 82-მა რესპონდენტმა მითხრა, რომ პირველ რიგში, სამსახურიდან წამოვიდოდა. დაახლოებით 50-მა კაცმა საზღვარგარეთ წასვლის სურვილი გამოთქვა, ოჯახთან ერთად და თითქმის ასივემ აღნიშნა, რომ ისეთ საქმეს წამოიწყებდა, სადაც საკუთარი თავის უფროსი თავადვე იქნებოდა.

ამ ადამიანებთან გასაუბრების შემდეგ მეც გამოვუტყდი საკუთარ თავს, რომ მილიონის მოგების შემთხვევაში, მსგავსი სურვილები გამიჩნდებოდა — მივატოვებდი ყველა ძველ სამსახურს, სამუდამოდ გავწყვეტდი კავშირს ყველა უფროსთან და... შეიძლება, ახალი საქმეც წამომეწყო. და კიდევ, სანამ ის ფული მეყოფოდა, მსოფლიოს გარშემო, ოჯახის წევრებთან ერთად ვიმოგზაურებდი ანუ ქარის მოტანილს ქარსავე გავატანდი! ბოლოს და ბოლოს, ამქვეყნად ერთხელ მოვდივართ და თავზე დაყრილი მილიონებიც აღარ „შევირგო“?! ეჰ, კარგია ოცნება, მაგრამ ახლა ჯობია, იმაზე ვიფიქრო, ჰონორარის სახით რამდენ ლარს გამომიწერენ ამ სტატიაში, რათა მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა კი არა, სამსახურიდან სახლში მისვლა მაინც შევძლო, ამ გაძვირებული გადასახადების გადამკიდემ... ■

„მორგიდან პირდაპირ ფილარმონიაშიც წავსულვარ“

პროკურორ-პაროდისტის საინტერესო ცხოვრება

ცნობილმა იურისტმა და პაროდისტმა — მერაბ სიჭინავამ უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მთაწმინდის პროკურატურაში, გამომძიებლად დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი რამდენიმე თანამდებობა გამოიცვალა: გახლდათ მთავარი სამხედრო პროკურატურის გამომძიებელი, უშიშროების საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ბოლოს კი გენერალურ პროკურატურაში, იმ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, რომელსაც იუსტიციის სამინისტროზე, სახელმწიფო დაცვის სამსახურსა და სასჯელაღსრულებით დაწესებულებებზე ზედამხედველობა ევალებოდა. მკაცრი პროკურორი სცენაზე პაროდისტად გარდაქმნას თავისუფლად ახერხებდა — ეს ორი სრულიად განსხვავებული ამპლუა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

თეა ხურცილავა


იურისტობა ჩემი ცხოვრების ნაწილია, ამ საქმეზე შეყვარებული ვარ...

— ბატონო მერაბ, გილოცავთ ახალი წლის დადგომას! როგორ აღნიშნეთ შობა-ახალი წელი? ვინ იყო თქვენი მეკვლე?

— ახალ წელს ყოველთვის ოჯახურ გარემოში ვხვდებოდი, წელს კი ტრადიცია დავარღვიე და 2011-ს გორში, მეგობრებთან ერთად შევხვდი... მეკვლეობის ტრადიციას პატივს ვცემ და ისიც ვიცი, რომ ზოგი წინასწარ არჩევს, თუ ვინ უნდა შევიდეს მეკვლედ მის ოჯახში, მაგრამ ჩემთან ასე არ ხდება.

— თქვენ თუ ყოფილხართ მეკვლე?

— არა! საერთოდ, ადამიანის ბუნება ასეთია: თუ წელი ნაყოფიერი იქნა, ქებაში ეყოლები, თუ არ გაუმართლა, ზრდილობისთვის გეტყვის, — შენი რა ბრალიაო?! ძალიან კარგი ფრაზაა: მაინცდამაინც ჩემს ფეხებს ნუ ენდობი, ტვინი შენც გაანძრიეო.

ეკას შემთხვევით, ქუჩაში შევხდი და ასე აეწყო ჩვენი ურთიერთობა...

— პროკურატურაში მუშაობის პარალელურად, სცენაზეც იდექით...

— იუმორის ნიჭი ბავშვობიდან გამომყვა. სტუდენტობის დროს ლექტორებისა და კურსელების პაროდიას ვაკეთებდი. დეკანატში რომ იკითხავდნენ, — სად შეიძლება, სიჭინავა ვნახოთო? ჩემი აღმზრდელი, ბატონი კაკო ლაბარტყავა იტყოდა, — მას აქ რა უნდა? სცენაზე, ბატონო, სცენაზეო!.. მაშინ პრორექტორი ვახტან გოგუაძე გახლდათ და ჩემი გამოსვლები მასაც მოსწონდა. მალე ბატონი ჯემალ ბაღაშვილის შესანიშნავ კონცერტებში მონაწილეობა შემომთავაზეს და მეც, ფილარმონიაში გადავინაცვლე. ორი პროფესიის გადამკიდეს, ხშირად მქონია შემთხვევა, როცა მორგიდან პირდაპირ ფილარმონიაში წავსულვარ და ხალხის გართობაზე მიზრუნია.

— ალბათ, ეს იოლი არ იქნებოდა...

— 15 წუთი მჭირდებოდა იმისთვის, რომ ყველაფერი გადამეხარშა. მერწმუნეთ, სცენაზე გავიდოდი თუ არა, ჩემი გარდასახვა ხდებოდა. კონცერტიდან სამსახურშიც ბევრჯერ გავქცეულვარ და საქმის გამოძიება გამიგრძელებია. სამსახურებრივი პრობლემისგან თავის დაღწევაში ყოველთვის იუმორი მეხმარებოდა. დიდი ბედნიერებაა, როცა შენს პაროდიებს მაყურებელი კარგად იღებს, შენს ნათქვამზე ეცინება. პროკურატურაში მუშაობის პარალელურად, თემურ ჩხიკვაძესთან ერთად, ტელეკომპანია „ევრიკაზე“ ბევრი სახალისო გადაცემა გავაკეთე... ბევრჯერ, მეგობრებს შუა ქეიფისას უთხოვიათ, — მერაბ, მოდი, ამ ხალხსაც მიანიჭე სიამოვნებაო და რესტორნებში იუმორისტული საღამო არაერთხელ გამიმართავს. ბატონები — ნუგზარ კვაშალი, ვახტანგ ტატიშვილი და სხვები აცხადებდნენ: ახლა სცენაზე გამოვა მთაწმინდის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი, მერაბ სიჭინავა. გთხოვთ, მოუსმინოთ; და მეც ვიწყებდი: „საქართველოს რესპუბლიკაში ახალშექმნილი ერთობლივი კავშირი — „აბა, დამაცადე“ აცხადებს უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების მიღებას ჭრა-სროლის კურსებზე, შემდეგი სპეციალობით: მოქალაქეთა ძარცვა-გლეჯა, ავტომანქანების გატაცება დროებითი სარგებლობის მიზნით, ექსტრემალურ სიტუაციებში მძევლად აყვანის სპეციფიკა... მსურველთათვის საჭიროა: მართვის მოწმობის ორი ქსეროასლი, წვერი 2-დან 3 სანტიმეტრამდე, ნასამართლობის ბეჭდით დამოწმებული ცნობა და პლანის მოწევის ერთწლიანი სტაჟი...“

მამაჩემი წლების მანძილზე, პროკურორი იყო და ჩემი პროფესიული არჩევანი ოჯახურმა ტრადიციამაც განაპირობა. იურისტობა უზომოდ მიყვარს და მენატრება, საქმის გამოძიება საოცარი ხელოვნებაა. პროკურატურიდან ადეიშვილის გენპროკურორობის დროს, 2004 წელს საკუთარი სურვილით წამოვედი, ახლა კი იქაურობა ძალიან მენატრება. ხშირად მესიზმრება, რომ საქმეს ვიძიებ...

— საკმაოდ მაღალი თანამდებობა გეკავათ — ცხეებზე ზედამხედველი პროკურორი იყავით. პატიმრები როგორ ხვდებოდნენ პაროდისტ-პროკურორს?

— იურისტობა ჩემი ცხოვრების ნაწილია, ამ საქმეზე შეყვარებული ვარ... იყო შემთხვევები, როცა სისხლის სამართლის საქმეებიდან იუმორი იძერწებოდა. ერთხელ გადაცემაში ასეთი განცხადება გავაკეთე: „შაბათ-კვირას, რიყის ტერიტორიაზე იმ ავტომანქანების გამოფენა-გაყიდვა გაიმართება, რომლებიც მფლობელებმა დაკარგვის შემდგომ ვერ იპოვეს ან

ამის შესახებ შესაბამის ორგანოებში არ განუცხადებიათ“. ეტყობა, ხალხმა ვერ გაიგო, ეს იუმორი რომ იყო და ქუთაისიდან, ასევე სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოვიდნენ, რიყეზე შეიკრიბნენ; ატყდა დიდი ხმაური და სიმართლის გასარკვევად ჯერ პროკურატურაში, მერე — ტელევიზიაში მიცვივდნენ. როცა სიმართლე გაარკვიეს, ლამის გაგიჟდნენ, — რა გეღადავებათო?!.

ისეთი გამოსვლები მქონია, როცა 7-8 წუთში 30-35 ადამიანის პაროდია გამიკეთებია

ერთხელ საქმის გამოძიება დავასრულე, ბრალდებულს 15-წლიან პატიმრობაზე ვუშვებ. საბრალდებო დასკვნის გასაცნობად, ციხეში მის ადვოკატთან ერთად შევედი. პატიმარს ბრალი გავაცანი, ის კი მეუბნება: მე თქვენ სცენიდან გიცნობთ; ამდენ წელს მაძლევთ, მაგრამ მხოლოდ ერთი სურვილის ასრულებას გთხოვთ, — ზვიადის ხმა გამაგონეთო... როცა ძალიან ჩამაცივდა, გადავწყვიტე, მისთვის ეს სურვილი შემესრულებინა, კარი მივხურე, მერე კი როლში ისე შევიჭერი, რომ ოთახში სხვებმაც შემოიხედეს... ბევრჯერ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა დაკითხვაზე პატიმარი ამოუყვანიათ, მე მას მთელი სერიოზულობით, ბრალის ფაბულას ვუკითხავ, ის კი გაღიმებული სახით ზის და მიყურებს.

ერთხელ პატიმარმა არ იცოდა, ჩემთვის პატივი როგორ ეცა და ჩამაცივდა, — ბატონო მერაბ, წერა თუ გეზარებათ, მომეცით, მე დავწერ, თქვენ არ შეწუხდეთო.

სამხედრო პროკურატურაში მუშაობისას ძალიან კარგი ფეხბურთის გუნდი ჩამოვაყალიბეთ. გუნდის კაპიტანი ჩვენი უფროსი, პაატა ჯახუტაშვილი იყო, რომელსაც სპორტის ეს სახეობა ძალიან უყვარდა და წაგებას ვერ ეგუებოდა; ჩვენც გვიმართლებდა — ყველა მოწინააღმდეგე დავამარცხეთ, მაგრამ საფინალო თამაშის წინ სხვა განყოფილების თანამშრომლებმა გამომძიებელი გლურჯიძე შემოგვიგზავნეს, რომელმაც 20-ლიტრიანი ჭურჭლით ღვინო შემოიტანა და პურმარილიც მოაყოლა. ერთი ჭიქა რომ დავლიეთ, მერე ქეიფის აზარტშიც შევედით და მოედანზე „აცა-ბაცა“ გავედით. იმ მომენტში პაატამ ვერ შეამჩნია, რაც გვჭირდა და თამაშისას გვეხვეწებოდა: ფრე მაინც „გავაკეთოთო“. ბოლოს, თამაში 2:2 დასრულდა... ამის შემდეგ გუნდის კაპიტანმა კაბინეტში შეგვიყვანა და „გამოძიება“ ჩაატარა; აინტერესებდა, რატომ ვერ ვითამაშეთ.

ბედნიერებაა, როცა შენს პაროდიებს მაყურებელი კარგად იღებს, შენს ნათქვამზე ეცინება

როცა სიმართლე გაიგო, მოწინააღმდეგეებს დაემუქრა, — მომავალი თამაშისას გაჩვენებთ სეირსო და მართლაც, მათ 5:1 მოვუგეთ, აქედან 3 გოლი პაატამ გაიტანა.

— თქვენ შეგიძლიათ, ერთი პაროდიის გაკეთებისას ხმა რამდენჯერმე შეიცვალოთ. ეს არ არის რთული?

— ისეთი გამოსვლები მქონია, როცა 7-8 წუთში 30-35 ადამიანის პაროდია გამიკეთებია. სამსახურში თავისუფალი დრო თუ გამომიჩნდებოდა, დავჯდებოდი და „ჩამოვყრიდი“ პერსონაჟებს, მერე კი ყველაფერი თავისთავად მოდიოდა. თვეში 10-15-წუთიანი საეთერო დრო რომ მქონდეს, ბევრის რეალიზებას მოვახდენდი... მეგობრის, მერაბ ხუჭუას დახმარებით პაროდიები დისკებზე ჩავწერე. სხვათა შორის, უკვე მეხუთე დისკს ვამზადებთ; ბავშვებისთვის ანიმაციებსაც ვაკეთებთ და ამ მულტფილმებმა საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. მაგალითად, ამას წინათ „კავკასიაზე“ გავიდა — „პოლიტიკოსები ფეხბურთს თამაშობენ“ (კარიკატურებზე ზაალ სულაკაურმა იმუშავა, პერსონაჟები კი ხუჭუამ აამოძრავა), რომლის 6-7 სერია უკვე გადაღებულია და კარგი იქნება, თუ ამით რომელიმე ტელევიზია დაინტერესდება.

— თქვენს ოჯახზეც გვიამბეთ. როგორც ვიცი, მომავალი მეუღლე და სასიდედრო სცენიდან მოხიბლეთ, არა?

— მყავს მეუღლე, ეკატერინე კერვალიშვილი და ოთხი შვილი — ბუბა, ნატა, გუგა და საბა. წელს უფროსი ბიჭი სტუდენტი გახდა, ძალიან გაგვახარა. სხვათა შორის, ის მომავალი იურისტია და პაროდიებიც ძალიან კარგად გამოსდის, თუმცა, მომავალში რამდენად გამოიყენებს, ვერ გეტყვით. მეუღლე შვილებს ეკლესიურად ზრდის. ის მართლაც, ფილარმონიასთან გავიცანი. მახსოვს, 1991 წლის 8 მაისის კონცერტზე ოჯახის წევრებთან ერთად მოვიდა. მათ დედაჩემი იცნობდა და კონცერტიდან რომ გამოვედი, მეც გამაცნო. მაშინ „რენო-მოსკვიჩი“ მყავდა და დედამ მთხოვა, — ეს ხალხი სახლამდე მიიყვანეო. სასიდედრო ჩემი გამოსვლით აღფრთოვანებული იყო... ამ ამბიდან სულ მალე ეკას შემთხვევით, ქუჩაში შევხდი და ასე აეწყო ჩვენი ურთიერთობა... სიდედრთან კარგი ურთიერთობა მაქვს.

— ალბათ, თამადობაც ხშირად გიწევთ.

— კი, ასეა და როგორც ამბობენ, ეს საქმე კარგად გამომდის. ყოველთვის გულიდან ამოსულ სადღეგრძელოს ვამბობ, ამას კი თან სდევს იუმორი, ლექსი, ცეკვა. ■

სიგარეტი და ალკოჰოლი — მოზარდების ცხოვრებაში

„მთავარია, არ „გავიჩხიროთ“!

მწეველი მოზარდების რიცხვმა რომ იმატა, ეს არახალია, მაგრამ უმეტესობა უკვე სასმელსაც ეძალება და ხშირად, სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ თინეიჯერების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები მომრავლდა. ალკოჰოლურ სასმელს არა მარტო ბიჭები, არამედ გოგონებიც სიამოვნებით მიირთმევენ, მერე კი ერთმანეთს ხან დანით ემუქრებიან და ხანაც — ცემით თვალებს ულურჯებენ. მართალია, მეორე დღეს შესაძლოა, თავიანთი ნამოქმედარი აღარც ახსოვდეთ და ერთმანეთს ისე შეხვდნენ, როგორც ნამდვილ მეგობრებს შეჰფერით, მაგრამ ვითარება რომ საგანგაშოა, ეს ფაქტია და ამას პედაგოგებიც ადასტურებენ.

ლიკა ქაჯაია

ნინო, *ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი:*

— ჩვენს სკოლაში საშინელება ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს მანდატურები აკონტროლებენ, ისინი სკოლის გარეთ მაინც ახერხებენ ალკოჰოლის მიღებას და ხშირ შემთხვევაში, მათი სიმთვრალე სავალალო შედეგით სრულდება. მაგალითად, ამას წინათ მეთერთმეტეკლასელმა გოგონამ დიდი ოდენობით სპირტიანი სასმელი მიიღო, მერე კი თანაკლასელს ისე სცემა, რომ ის საწყალი ორი კვირა შინ იწვა, სკოლაში ვეღარ მოდიოდა. საბედნიეროდ, ეს გოგონები დაქალები იყვნენ, დღესაც მეგობრობენ და საქმე პოლიციის ყურამდე არ მისულა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, უარესი რამ მომხდარიყო? მერწმუნეთ, რაც დრო გადის, მოზარდების გაკონტროლება მით მეტად შეუძლებელი ხდება!

— **როგორც ამბობენ, სკოლაში მწეველი გოგონების რიცხვი მეტია, ვიდრე — ბიჭებისა...**

— მართალია! ყოველ მეორე გოგოს მაინც ასდის ნიკოტინის სუნი, არადა, მათ გამოჭერას ვერაფრით ვახერხებთ. მშობლებს ვაფრთხილებთ, შვილები გააკონტროლონ, მათი ჩანთები შეამოწმონ, მაგრამ ყოველგვარი ხერხი უშედეგოა — ახალი თაობა თაღლითობაში იმდენად გაწაფულია, რომ მათი გამოჭერა იოლი სულაც არაა, თვალის დახამხამებაში მოგატყუებენ. ჩემი მოსწავლეების უმეტესობა გასაოცრად ნიჭიერია და მეშინია, ეს ნიჭიერება ცუდი საქმეებისთვის არ გამოიყენონ.

კლარა, *ინგლისური ენის მასწავლებელი:*

— ჩემს მოსწავლეებზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი; თითოეული მათგანი ცდილობს, უცხო ენა აითვისოს, მაგრამ მაშფოთებს ის ამბავი, რომ კლასში 20 მოსწავლიდან 15 მაინცაა მწეველი. ეს ბავშვები საკუთარ ჯანმრთელობაზე არ ზრუნავენ; ჰგონიათ, რომ მოწევა მაგარი პონტია და ფილტვებს „იბოლავენ“. მოსწავლეებთან ვმეგობრობ და ვიცი, ვინ ეწევა, ვინ ეძალება ალკოჰოლს (ერთ-ერთი მათგანი უკვე პლანსაც ეწევა) და ვცდილობ, მათ ამ მავნე ჩვევების მოშლაში დავეხმარო, მაგრამ ჯერჯერობით, მიზანს ვერ მივაღწიე... ფარულად, ბავშვების მშობლებთანაც მაქვს კონტაქტი, მაგრამ ამ პრობლემის წინაშე ისინიც უძლურები არიან.

— **გინდათ თქვათ, რომ ამ სიტუაციიდან გამოსავალი არ არსებობს?**

— ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ ქვეყანაში მოსწავლეებისთვის სიგარეტის, სასმლის მიყიდვა უნდა აიკრძალოს, ეს უნდა ისჯებოდეს!.. მაგრამ ახლა ხალხი ისეა გამწარებული, რომ ოღონდაც ფული იშოვონ და შეიძლება, თავიანთი პროდუქტი 5 წლის ბავშვსაც კი შეასაღონ...

ნიკა, *15 წლის:*

— სიგარეტს ვეწევი, ალკოჰოლს კი მხოლოდ მაშინ ვეტანები, როცა ვქეიფობ.

— **და ქეიფისას რომელ სასმელს ანიჭებ უპირატესობას?**

— ღვინოს, მაგრამ ხშირად, არყის სმაც გვიწევს.

— **ნასვამ მდგომარეობაში მყოფი გაკვეთილზე თუ შესულხარ?**

— შევსულვარ და მასწავლებლები ვერაფერსაც ვერ მიმხვდარან. საერთოდ, სიმთვრალე არ მეტყობა, მხოლოდ სუნით თუ მიხვდება ადამიანი, რაღაც რომ მაქვს დალეული.

— **მშობლებმა იციან, სიგარეტს რომ ეწევი?**

— იციან. თავიდან მამამ ყურის აწევაც კი დამიპირა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ამით ვერაფერს მიაღწევდა და შემეშვა. ასე თქვა, — გიჟი მიუშვი ნებასაო. დედა დღემდე მსაყვედურობს ხოლმე, მაგრამ მის ნათქვამს ერთ ყურში ვუშვებ, მეორიდან კი ამ საყვედურების გამოდინება ხდება (*იცინის*).

— **როგორი მოსწავლე ხარ?**

— კარგი მოსწავლე რომ ვარ, ამიტომაც ითმენენ ჩემს გამოხდომებს არა მარტო მშობლები, არამედ — მასწავლებლებიც; კარგად რომ არ ვსწავლობდე, მერწმუნე, პედაგოგები სიამოვნებით მომიშორებდნენ თავიდან.

— **ანუ შეიძლება ითქვას, რომ მათ სისხლს უშრობ?**

— აბა, რას ვშვრები?!. ისე, მე კი არა, სიგარეტს გოგონებიც ეწევიან. დასვენებაზე ბევრი მათგანი მთხოვს, — მომაწევინეო. გარდა იმისა, რომ დაბოლება „ასწორებს“, ეს მოდაშიცაა და ბევრი მხოლოდ ამიტომ ეწევა, თორემ ეს პროცესი სიამოვნებას სულაც არ ანიჭებს.

— **შენ იცნობ ასეთ მოდასაყ-**

ოლილ ადამიანებს?

— როგორ არა! მაგალითად, ჩემს ძმაკაცს სიგარეტის გემო არ მოსწონს, ბოლი კი აღიზიანებს, მაგრამ მაინც ეწევა; ასე ამბობს, — გოგონები „ექაჩებიან“ და სირცხვილი არაა, მე რომ არ მოვწიოო?..

— **როცა სიგარეტს ყიდულობ, მის კოლოფზე გაკეთებულ წარწერას თუ კითხულობ?**

— კი, ძალაუნებურად ყოველთვის ვკითხულობ და ვიცი, რომ სიგარეტის მოწევა მავნეა ჩემი ჯანმრთელობისთვის, მაგრამ ამ მავნე ჩვევას ვერაფრით დავძლევ — უკვე 2 წელია, სერიოზული მწეველი ვარ.

— **და დღეში დაახლოებით, რამდენ ღერს ეწევი?**

— დღეში ერთ კოლოფ სიგარეტს ვეწევი.

— **მის შესაძენად ფულს მშობლები გაძლევენ?**

— არა, ისინი ფულს სულ სხვა რაღაცების საყიდლად მაძლევენ, მაგრამ მე სიგარეტს ვყიდულობ (*იცინის*).

— **სიგარეტის მწეველი გოგონები თუ მოგწონს?**

— არა, მაგრამ ვერავის ვერაფერს აუკრძალავ. თანაც, ხომ იცი, აკრძალული ხილი უფრო გემრიელია!

სალი, *17 წლის:*

— დიახ, ვეწევი და ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. მთავარია, არ „ვიჩხირავ“ და პირიდან ბოლს თუ გამოვუშვებ, ვისი რა საქმეა?

— **ამბობენ, რომ მწეველი გოგონები აგრესიულებიც არიან...**

— პირიქით, სიგარეტი საოცრად მამშვიდებს, მაწყნარებს...

— **ალკოჰოლს თუ ეტანები?**

— პირადად მე, მხოლოდ ლუდს ვსვამ, ჩემი დაქალები კი ზოგჯერ, ღვინითაც თვრებიან.

— **შეზარხოშებული გოგონების ჩხუბს არასდროს შესწრებიხარ?**

— როგორ არა! ის კი არა, ერთხელ თავადაც ვიყავი „საქმის გარჩევაზე“ და ერთი გოგო თმითაც ვითრიე! ვიცი, ქალს ასეთი საქციელი არ შეეფერება, მაგრამ ცხოვრება ისეთი რამაა, რომ ზოგჯერ, ამისკენაც გიბიძგებს და ვალდებული ხარ, არა მარტო საკუთარი თავი, არამედ მეგობრებიც დაიცვა.

— **ანუ შენ შეგიძლია მეგობრის დასაცავად ვიღაცას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენო?**

— რა თქმა უნდა, ამას დაუფიქრებლად გავაკეთებ!

— **ფხიზელ მდგომარეობაშიც?**

— დიახ, მაგრამ თუ ცოტა „ნაყლაპში“ ხარ, მაშინ უფრო დიდი გული გაქვს.

— **საინტერესოა, სიგარეტის მოწევა რატომ დაიწყე?**

— იმიტომ, რომ მინდოდა! ჩემი დაქალი ეწეოდა, ერთხელ მეც გამასინჯა და მომეწონა.

— **მშობლებმა იციან, რომ ეწევი?**

— არა. ეს ამბავი რომ გაიგონ, ინფარქტი დაემართებათ.

— **ამის შესახებ ეჭვიც არა აქვთ?**

— ეჭვი ჰქონდათ და სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ ჩანთასაც მისინჯავდნენ, მაგრამ ვერაფერი საეჭვო რომ ვერ იპოვეს, შემეშვნენ. ჰმ, სულელი კი არა ვარ, ნივთმტკიცება რომ „სამართალდამცავებს“ ჩავუგდო ხელში. ერთი სამალავი მაქვს, სადაც იმ ყველაფერს ვინახავ, რისი დანახვაც ჩემს მშობლებს არ მოეწონებათ.

— **გარდა სიგარეტისა, შენს „სეიფში“ კიდევ რას ინახავ?**

— ძმაკაცების ნივთებს, მოსაწევს ანუ პლანს და რაც მთავარია, ჩემს პირად დღიურს, რომელსაც მართალია, მინიბოქლომი აქვს, მაგრამ მშობლებმა მისი გახსნა და წაკითხვა რამდენჯერმე მაინც მოახერხეს...

— **პლანსაც ეწევი?**

— ერთხელ გავსინჯე, მაგრამ არ მომეწონა — ცუდად გავხდი, მთელი დღე უნიტაზს ვიყავი ჩახუტებული და მას შემდეგ აღარ მომიწევია. პლანს ბიჭებისთვის ვინახავ.

— **მოწევა რომ სახიფათოა, ეს არ იცი?**

— კარგი, რა! დედაჩემი ჩემზე ფეხმძიმობის დროსაც ეწეოდა, მაგრამ ფიზიკური ნაკლის გარეშე დავიბადე. და კიდევ, ბაბუა, რომელიც უკვე 90 წლისაა, სიგარეტს 13 წლის ასაკიდან ეწეოდა, მაგრამ წნევის გარდა, არაფერი აწუხებს. ასე რომ, არ მჯერა, რომ მოწევა კლავს.

ზურა, *18 წლის:*

— სიგარეტი 13 წლის ასაკში გავსინჯე, მაგრამ არ მომეწონა, ვერ დავუმუღამე. სამაგიეროდ, პლანის კაიფია ძალიან მაგარი. მოსაწევი რომ ვიშოვო, ყოველ ზაფხულს სვანეთს ვსტუმრობ, სადაც ყოველდღე, ძალიან მაგრადაც „ვბოლდები“ და მოსაწევის მარაგი თბილისშიც ჩამომაქვს.

— **ამბობენ, სვანეთში პლანს მოხუცი ქალებიც ეწევიანო...**

— ზოგი ეწევა, ზოგი კი მას, როგორც სუნელს, კერძებში ურევს. იქ ასე ამბობენ, — რომ არა ეს დალოცვილი ბალახი, ამ ცხოვრებას რა გაიტანდაო?!

— **ოდესმე „წამალიც“ ხომ არ გაგისინჯავს?**

— არა, და ამის სურვილიც არ მაქვს... ბევრი ნარკომანი მეგობარი მყავს და ვიცი, ეს რა საშინელებაცაა. ნარკომან ადამიანს მეგობრის გაწირვაც კი იოლად შეუძლია; ოღონდ „წამალი“ იშოვონ და ყველაფერზე მოაწერენ ხელს, ცოლ-შვილსაც კი გაყიდიან...

— **და როცა ეს იცი, როგორ შეგიძლია, ასეთ ადამიანებთან იმეგობრო?**

— მათთან მანამდე ვმეგობრობდი, ვიდრე ნარკომანები გახდებოდნენ და როცა „ცუდი“ ბიჭები გახდნენ, მერე ხომ არ ვკრავდი ხელს? მათთან ვმეგობრობ, მაგრამ ბოლომდე არც ერთს არ ვენდობი; მათ ფულს არასდროს მივცემ იმისთვის, რომ „წამალი“ იყიდონ.

— **როგორც ამბობენ, ნარკომანების უმეტესობა ცდილობს, ჭაობში სხვებიც ჩაითრიოს...**

— სიმართლე გითხრა, ჩემი ჩათრევაც გადაწყვიტეს, ამის მცდელობა ბევრჯერ ჰქონდათ, მაგრამ პლანის კაიფში მყოფსაც კი მეყო ნებისყოფა, რომ „გაჩხერაზე“ უარიმეთქვა.

■

თინეიჯერები გვწერენ

უცნობი:

„გამარჯობა. გთხოვთ, ეს წერილი დამიბეჭდოთ. მე 14 წლის ვარ. მამაჩემი, რომელიც 12 წლის წინ გარდაიცვალა, ნაშვილები იყო. იგი 1955 წლის მარტში (რიცხვი არ ვიცი), თბილისის №1 სამშობიაროში დაიბადა. სავარაუდოდ, მამაჩემის ბებია (დედის დედა) ნატაშა ჯანჯალაშვილი იყო და 2 გოგო ჰყავდა: ერთს ნათელა ერქვა, მეორეს — ლუიზა. სამწუხაროდ, არ ვიცი, მამაჩემი რომლის შვილი იყო. ნატაშა სამშობიაროში სანიტრად მუშაობდა. ჩემთვის ცნობილია, რომ ბებიას ანუ მამაჩემის დედას 4 ქალიშვილი ჰყავდა. გთხოვთ, გამომეხმაუროთ“.

კახა:

„ვაუ, ეს რა მაგარი ჟურნალი გქონიათ!.. გული მწყდება, რომ თქვენ შესახებ აქამდე არაფერი ვიცოდი. ძალიან მომეწონა პროვოკატორის შემოქმედება და ისიც, რომ მკითხველს საოცრად დალაგებულ, „დავარცხნილ“ სტატიებს აწვდით. თქვენი ჟურნალისტების ნამუშევრები ადვილი, თანაც — საინტერესო წასაკითხია და სწორედ ამისთვის გიხდით მადლობას. P.S. სხვა რას ფიქრობს, არ ვიცი, მაგრამ ჩემი სახით ნამდვილად, ერთგული მკითხველი შეიძინეთ“.

სოფო 187:

„ძალიან მინდა, ჩემი გულისტკივილი გაგიზიაროთ. ამას წინათ მითხრეს, — „გზა“ ყველაზე ცუდი ჟურნალიაო და გავცოფდი. თქვენს გამოცემას დიდი ხანია, ვკითხულობ, ყოველ ხუთშაბათს სულმოუთქმელად ველი და ვერ ვიტან, როცა „გზაზე“ რაიმე ცუდს ამბობენ. არადა, ამის მთქმელს ბევრი ვერაფერი ვუთხარი, რადგან ის ჩემი მეგობარია და გულს ვერ ვატკენდი... „გზა“ ბევრ რამეში დამეხმარა; რუბრიკაში — „ყველა ერთისათვის“ ჩემი პრობლემის შესახებ ბევრჯერ მოგწერეთ და შესანიშნავი რჩევებიც მივიღე — მადლობა ამისთვის არა მარტო თქვენ, არამედ თქვენს მკითხველებსაც. პირადად მე, ამ ჟურნალში დაბეჭდილი სტატიები საოცრად მომწონს, ჩემს მეგობარს კი იცით, რა არ მოეწონა? — ცნობილების შესახებ ბევრი არაფერი იწერება, მხოლოდ ვიღაც კაცების ნაბოდვრებს წერენ და საქართველოს ისტორიას გვასწავლიანო. ისე, ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია, არა?.. ძალიან მიყვარხართ და იმედია, სხვა ჟურნალებს არ დაემსგავსებით, მათსავით უინტერესო არასდროს გახდებით“.

სალი, *17 წლის:*

„ძალიან მსუქანი ვარ და ამის გამო ბევრ წინააღმდეგობას ვაწყდები. თანატოლების მზერაში, სხვა რაღაცებთან ერთად, იმასაც ვგრძნობ, რომ ყველას ვეცოდები. არასტანდარტული ფორმები მაქვს და ეს თვალში საცემია. ჩემი გარეგნობის გამო ბევრჯერ მიტირია, მაგრამ პლასტიკური ოპერაციების გაკეთება რომ შემომთავაზონ, უარს ვიტყვი იმიტომ, რომ სიახლეებიც კი მაშინებს... თუ სადმე რაიმე დიეტის შესახებ გავიგონებდი, ყველაფერს ვასრულებდი; ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში თავს შიმშილით ვიკლავდი, მხოლოდ წყალს ვსვამდი, მაგრამ გრამიც ვერ დავიკელი. მოკლედ, ისევ ისეთი მსუქანი ვარ, როგორიც მანამდე ვიყავი. აღარ ვიცი, რა მეშველება. მგონი, გათხოვებასაც ვერ მოვახერხებ და სიცოცხლის ბოლომდე, ჩემი ერთადერთი მეგობარი „გზა“ იქნება“.

ნია, *16 წლის:*

„ლიკა, ის თემები, რომლებსაც „თინეიჯერულ პონტებში“ აშუქებ ხოლმე, გულზე ხშირად მხვდება. რატომ? — იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ქართველი ადამიანის ნამდვილი სახის დაკარგვაზე მიუთითებს. ჩემი თაობა უცხოელებს ეჯიბრება სიბილწეში და უნდა ვაღიარო, რომ მართლაც, ქართველები ძალიან ნიჭიერები ვართ — სიბილწესაც ისევე კარგად ავუღეთ ალღო, როგორც კარგ რაღაცებს... საუბედუროდ, ეს მწარე სიმართლეა და უფროსები ჩვენი თაობის შეცვლას ვეღარ შეძლებენ. 1 წლის შვილი მყავს და იმაზე ვოცნებობ, რომ მის დროს მშობლების თანდასწრებით არ მოაწყონ ორგიები, თორემ შესაძლოა, ამ ამბავს მეც ვემსხვერპლო და ჩემი ქმარიც. ხალხნო, აზრზე მოდით და საკუთარ საქციელს დაუფიქრდით. „გზავ“, დიდ მადლობა, რომ არსებობ და ჭკუის სასწავლებელ მაგალითებსაც უხვად გვაწოდებ“.

მილა, *ესპანეთი:*

„გზა“ რომ არ გამოდიოდეს, აქაური ემიგრანტების ცხოვრება ბევრად მძიმე იქნებოდა. მე ბავშვებს ვუვლი და ქუჩაში ცხვირის გასაყოფადაც არ მცალია. ერთადერთი ნათელი წერტილი კვირადღეა, როცა მაღაზიაში გავრბივარ და თქვენს ჟურნალს ვყიდულობ. „გზასთან“ „ურთიერთობა“ კვირიდან კვირამდე მაძლებინებს. სხვათა შორის, თქვენს სტატიებს ჩემი „შვილების“ მშობლებსაც ვუთარგმნი და თქვენით ისინიც აღფრთოვანებულები არიან, მოსწონთ ქართული იუმორი და „გზის“ ჟურნალისტებს პროფესიონალებად მიიჩნევენ. ჩემი არ იყოს, მათაც უხარიათ კვირადღის მოახლოება. ძალიან მოეწონათ რუსუდან ლებანიძისა და სვეტა კვარაცხელიას შემოქმედება. გაიხარეთ, „გზის“ შემქმნელებო და ჩემო იმედებო. როცა საქართველოში ჩამოვალ, აუცილებლად მოგინახულებთ. მიყვარხართ და გკოცნით“. ■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

პატარა გოგო დამეჯარგა...

ვისა წყაროს ემატება,
ანდა, ვისთან იარება,
მისი ნახვა მენატრება,
მისი ჯოვზით ზიარება.
სვამს და მაინც ვერა თვრება –
შარბათსა სვამს ფუფუნების,
მისი ჯოცნა მენატრება,
მისი მჯერდის ბულბულები.
ანთებულან ჯელაპტრებად,
ცხრაჯლიტულში ვარსჯვლავები,
ახლოს მისვლა მენატრება,
არც ჯიბე აქვს, არც – ჯარები.
ღრუბელ-ღრუბელ ვარონინე
თაბორი და თამარისი,
ვინც მე იმას მაპოვნინებს,
ჩემი სული ალალმისი.

ჯანსუღ ჩარჯვიანი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

ჯ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-52, 2010 — №1-2, 2011

კარაბადინი — 1. ძველებური წიგნი, შეიცავს სხვადასხვა ავადმყოფობათა აღწერილობას, ცნობებს მათი მკურნალობისა და სამკურნალო საშუალებების შესახებ; 2. (ძვ.) ასტროლოგიური საწინასწარმეტყველო წიგნი.

კარაპა — ერთგვარი პატარა გემი.

კარაპანი — სახლის უკედლო დერეფანი.

კარბა — 1. ქვაბის ყური (საბა); 2. რკალი.

კარდალა — მომცრო ქვაბი.

კარჩხი — ლოლუებად ქცეული ჭირხლი ხეებზე.

კარჩხა — მოჭრილი ხე, რომელსაც შერჩენილი აქვს ტოტების ნაწილი — კაპებიანი ხე.

კარჭაპი — მოზრდილი, განიერი ნავი ტვირთის გადასაზიდად.

კატუნი — ველური, გარეული კატა.

კაური — შუა სარმა ქართულ ჭიდაობაში.

კაფია — მოუმზადებლად, სახელდახელოდ თქმული ლექსი, ექსპრომტი.

კაჩა — მუხლის ძირის სადრეკი (საბა).

კაჩხა — კაპებიანი საკიდარი (ირმის რქის კაჩხა).

კაწანი — 1. (ძვ.) პატარა ეკლიანი ღობე; 2. პატარა, დაბალი ღობე ქიზიყში.

კაწაპი — იგივეა, რაც საშველი (ჩაზნექილი ფირფიტა ფეხსაცმლის ჩაცმისას ქუსლის გასამართავად).

კაწარა — ფიცრის კიდის გასწვრივ ხაზის გასავლები სადურგლო იარაღი.

კაწანი — თმა საფეთქელთან.

კაწახი — უმწიფარი, მკვახე (ხილი).

გაგრძელება შემდეგ ნომერში

შალვა ნუცუბიძე

ქართველი ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი — შალვა ნუცუბიძე დაიბადა 1888 წლის 14 დეკემბერს სოფელ ფარცხანაყანებში. 1910 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. 1911-1914 წლებში ლაიფციგის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა... 1915 წელს მიენიჭა აღნიშნული უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი, 1916-1918 წლებში კი პეტერბურგის უნივერსიტეტის ლექტორი გახდა. 1918 წელს თსუ-ის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პრორექტორიც იყო, ასევე უნივერსიტეტის ფუნდამენტური ბიბლიოთეკის დირექტორი, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ნუცუბიძე 30-იანი წლების ნახევრიდან ინტენსიურად იკვლევდა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიას და მასთან დაკავშირებულ „აღმოსავლური რენესანსის“ საკითხებს. მისი მეცნიერული გამოკვლევების საფუძველზე, ქართველოლოგიის ეს დარგი დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა. დიდი წვლილი შეიტანა ფსევდოდიონისე არეოპაგელისა და ცნობილი ქართველი მოღვაწის პეტრე იბერის იდენტურობის საკითხის კვლევაში. ეს ჰიპოთეზა მან 1942 წელს წამოაყენა, მისგან დამოუკიდებლად ამავე დასკვნამდე (1952 წელს) მივიდა ბელგიელი მეცნიერი — ერნესტ ჰონიგმანი, რის შემდეგაც აღნიშნულ თეორიას ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია ეწოდა. ნუცუბიძემ გაარკვია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ჰუმანისტური მსოფლმხედველობა. ახლებურად გადაწყვიტა პოემის ეროვნულ-ფილოსოფიური წყაროების შესწავლის საკითხი, განსაზღვრა რუსთაველის ადგილი რენესანსში. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ მოწინავე აღმოსავლეთის ქვეყნების საერთო კულტურული ცხოვრების პოეტურ გამოსახვასა და ქართული რენესანსის მწვერვალს წარმოადგენს.

„ჩვენში ყველაფერს გაპატიებენ, ნიჭს კი — არა“

„ზოგიერთის კრიტიციზმი კრეტინიზმში გადადის. ეს ფრიად დამახასიათებელია გონებრივად ვიწრო ადამიანებისათვის, რომელთაც ქმნილებაში ხინჯის ძიება უფრო აინტერესებთ, ვიდრე — ჭეშმარიტებისა“

შალვა ნუცუბიძე და ივანე ბერიგაშვილი

ქართული ფილოსოფიის, ლიტერატურის სოციალური კულტურის, ისტორიის გარემოს საკითხების კვლევას ნუცუბიძემ 40-ზე მეტი გამოკვლევა უძღვნა, რუსულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, „აბდულმესიანი“, „თამარიანი“, ხალხური „ამირანიანი“. ცნობილია მისი კვლევა ბერძნული „ბალავარიანის“ ქართული წარმომავლობის შესახებ.

1919-1921 წლებში შალვა ნუცუბიძე საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (პარლამენტის)

„სიტყვა ცოცხალი ორგანიზმია და დროთა განმავლობაში ხშირად შინაარსს იცვლის“

წევრი გახლდათ. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის (1921 წლის 25 თებერვალი) შემდეგ, იგი მუდმივად განიცდიდა დევნას საბჭოთა რეჟიმის მხრიდან: დაპატიმრებული იყო 1921 და 1938-1940 წლებში; 1953-1960 წლებში გააძევეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ჩამოართვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობა.

თბილისის უნივერსიტეტში ნუცუბიძის მიერ 20-იან წლებში დაარსებული სემინარები იქცა ფილოსოფიური აზროვნების კერად, სადაც აღიზარდნენ გამოჩენილი ქართველი მოაზროვნეები.

გარდაიცვალა თბილისში, 1969 წლის 6 იანვარს. დაკრძალულია თსუ-ის ბაღში. ■

სიტყვით მოკლულთა მზე

თამთა დოლიძე

ამჯერად, ჟურნალ „გზასთან“ ერთად, გამოვიდა მწერალ გიორგი შატბერაშვილის მოთხრობების კრებული — „მკვდრის მზე“. ვინც პირველად გაეცნობა ამ ავტორს, თამამად შემიძლია ვთქვა, როგორც მკითხველი, აღმოჩენის წინაშე დადგება, რადგან სრულიად განსხვავებულ სამყაროს ეზიარება. გიორგი შატბერაშვილის მოყოლილ ამბებს თბილი ღვინის გემო და დნობაშეპარული, მონაცრისფრო თოვლის ფერი დაჰკრავს, მაგრამ ამავდროულად, ეს ყველაფერი ადრიანი გაზაფხულის სურნელით არის გაჟღენთილი.

წიგნში, ადამიანის ბუნების შეცნობის მცდელობასთან ერთად, ხშირად ვხვდებით გარემოს აღწერასაც. თითქმის ყველა მოთხრობაში იგრძნობა, თუ როგორ უყვარს და იცნობს მწერალი მშობლიური სოფლის ბუნებას. ის ხომ ხშირად სტუმრობდა ბებიასა და პაპას, კასპის რაიონის სოფელ თვალადში. მისი ბავშვობის საუკეთესო წლებიც ამ სოფელთანაა დაკავშირებული. შატბერაშვილების ძველი სახლი იდგა მდინარეების — კავთურასა და გუდალურას შესართავთან. პატარა გიორგი აქედან შეჰყურებდა ძლევის ქედს, სწორედ იმ ქედს, სადაც ხიზამბარელისა და თენგოს (მოთხრობის — „მკვდრის მზე“ გმირები) — ცოცხალის მკვდართან ჭიდილს აღწერს.

მწერალმა საკმაოდ საინტერესო, რთული ცხოვრების გზა გაიარა. ლექსი — „წერილი ახალგაზრდობას“, პიესა — „დუშმანთან“ ერთად, გახდა მისი დაპატიმრების, შემდეგ კი გადასახლების მიზეზი. გადასახლებიდან დაბრუნებულ გიორგის თბილისში ლიტერატურული მოღვაწეობა აეკრძალა, ამიტომ მას გარკვეული პერიოდით ისევ მშობლიურ თვალადში მოუხდა დაბრუნება. სოფელში ცხოვრებამ უფრო გაამყარა მასში ბუნებისადმი სიყვარული. ვინმემ რომ მკითხოს, მაინც რომელ გმირში დაინახე თავად ავტორიო, მამალხინეს ავირჩევდი, ზამთარში რთვლის გამართვაც რომ დაეჯერება.

ყველაზე მეტად ჩამაფიქრა მოთხრობამ — „მკვდრის მზე“. ეს არის ამბავი სიტყვით მოკლულებისა და მათი უნებლიე „მკვლელების“ შესახებ. მათი სათრევი ლოდი ნებისმიერ საჯილდაო ქვაზე მძიმეა. მხოლოდ გულწრფელი მონანიება, ღვარძლიანი გულის ცრემლით განწმენდა თუ გაათავისუფლებს მათ ამ მძიმე ტვირთისაგან („სიტყვა აგორებულ ქვასა ჰგავს, თუ ერთი მოსხლტა, მორჩა, ზვავად იქცევა“).

ამ ზვავმა დაიტანა ჯერ გიორგის დედა, მერე კი თავად გიორგი და მისი შვილი თენგო. ამ გმირების პირით ავტორმა თითქოს მთელი კაცობრიობის დარდი აამეტყველა, გულზე კი საჯილდაო ქვად, თაობებს შორის მუდმივი განხეთქილება დაადო. მწერალი მშობელსა და შვილს შორის აღმართული კედლის ულიმღამო ფონზე მცხოვრებ ადამიანებს საოცარი სინატიფით აღწერს („ამ კედლის გაღმა-გამოღმა ორი მიზანდაკარგული ადამიანი სევდიანად დაფარფატებდა“).

და რადგან „ნამდვილი უფრო ხშირად უთქმელია“, აქ სიტყვას — „მიყვარხარ“ ვერ გაიგონებთ. გრძნობას იშვიათად და ისიც პირუკუ, მოფერების ნაცვლად წყრომით, ჭკუის სწავლებით, სხვის ცხოვრებაში უხეში ჩარევით ავლენენ. შედეგი თავზარდამცემია — სამუდამო მარტოობა და სიკვდილიც კი.

ალბათ საოცარი მოსასმენი იქნებოდა ჭიქით ხელში სალხინო თუ საჭირისუფლო სუფრასთან მდგომი გიორგი მეტად უცნაური სადღეგრძელოთი, — ნურც ცოცხალი გამოგილიოთ ოჯახში გამჩენმა ღმერთმა და ნურც — მკვდარიო. გასაკვირი არცაა, მწარე სიმართლის გაგონება არავის სიამოვნებს, ავსიტყვიანსაც შეარქმევენ მართალი სიტყვის მთქმელს, არადა, „სადაც სიკვდილი არ შეაბოტებს, იქ ხომ არც სიცოცხლეა. საკუბოვე ხე იმ ოჯახში იზრდება, სადაც აკვანი ირწევა“.

სიკვდილისა და სიცოცხლის უცნაური სიახლოვე, სოფელსა და სასაფლაოს შორის საზღვრის მოშლა (სასაფლაო სოფლისკენ მოიწევდა) თანდათან მხოლოდ ერთ, ცალმხრივ გზას გვიტოვებს; გზას, რომელსაც გვერდს ვერავინ აუქცევს და არც არის საჭირო, რადგან „სასაფლაოს გზას ასაქცევი რად უნდა?.. მიცვალებულნი მუდამ იქით მიდიან“.

აქ ჩნდება კითხვა, თუ გზა ერთია და, ადრე თუ გვიან, ყველას ამ გზის ავლა გვიწერია, რაღა აზრი აქვს ამ გზამდე გავლილ უამრავ ბილიკს? ნუთუ დრო დგას და მხოლოდ ჩვენ ვჩქარობთ? ნუთუ მართლა ტყუიან საათები, ისრების მოძრაობით გამუდმებით დროის სვლაზე რომ მიგვითითებენ და გვაჩქარებენ? ნუთუ მხოლოდ ის გვევალება, მკვდრებს გავეჯიბროთ და ლეგენდებს ვდიოთ? ალბათ, ამ კითხვებზე პასუხს მკვდრის მზის წუთიერი გამონათებისას თუ მიხვდება კაცი, მაგრამ საჯილდაო სიტყვის მძიმე ლოდს ჩაჭიდებული ავტორი მაინც ცდილობს, ამ კითხვასაც გასცეს პასუხი — „ბედნიერია ის, ვინც სიკვდილით სიკვდილს ამარცხებს, მკვდრის მზეც იმათთვის ამოდის, ვინც ღირსეულად კვდება“.

სიტყვის შხამით მოწამლულები უფრო ჩქარა ადგებიან ძლევის ქედისაკენ მიმავალ გზას. საკითხავია, რას უნდა სძლიონ, ან რატომ ხარჯავენ მთელი სიცოცხლის სამყოფ ენერგიას ასე ერთბაშად. რატომ ვიბრძვით გამუდმებით საკუთარი უპირატესობის დამტკიცებისთვის, ან რატომ ვჩქარობთ ნატვრის ასრულებას, „ნატვრაშესრულებულ კაცზე უბედური ხომ ქვეყანაზე არავინ არი“, რადგან ცხოვრება — ნატვრაა.

მოთხრობაში ერთ პატარა, მაგრამ საინტერესო ნიუანსსაც წავაწყდი. სიკვდილის მოახლოებისას, თითქოს გამაფრთხილებელი ნიშანიაო, წითელი პერანგი გაიელვებს (ენდროსფერხალათიანი ჭაბუკი). აქ, ბუნებრივია, გაგვახსენდება თავფარავნელი ჭაბუკი და მისი წითელი მოვის პერანგი, მისი დასაძლევი ლოდი (სიყვარული) და მთელი სიცოცხლის სამყოფი ძალის ერთი ნატვრისთვის დახარჯვა. მაგრამ შორს აღარ წავალ, ლიტერატურაში პარალელებს რა დალევს.

ვინც ამ მოთხრობას წაიკითხავს, შეიძლება, თავის თავსაც მიაგნოს სადმე: ერთს ეს ამბავი მძიმე ლოდის ქვეშ მოქცეული მზეს დანატრული მცენარესავით ეტკინოს, მეორემ კი ამავე გზაზე უდარდელი სტვენით მომავალ იმედში შეიცნოს თავი. ვინ იცის?! მე კი მომაკვდავი გიორგის წინ მის სინდისად ვიჯექი და მის სიზმარ-ცხადში ვიქექებოდი, რადგან სიზმარში უფრო ხშირად სცოდავს ადამიანი, ვიდრე ცხადში, მოკითხვით კი სიზმარში ჩადენილი ცოდვაც ცხადის მსგავსად მოგვეკითხება („ვის გაუყვია ცხადისა და სიზმრის ცოდვა? განა ორივე კაცის გულის ნაჟური არ არის?“).

რადგან წიგნს ყველა მკითხველი თავისებურად აცოცხლებს, მეც ეს წიგნი ჩემი შთაბეჭდილებების წიაღში ჩემს ენაზე გავაცოცხლე. იმედი მაქვს, ქართველ მკითხველს მოეწონება „მამალხინეს“ (გიორგი შატბერაშვილის მეტსახელი და მისი ერთ-ერთი მოთხრობის გმირი) მოყოლილი ამბები და ეს ავტორიც თავის ადგილს დაიკავებს (თუ უკვე არ უკავია) ქართული პროზის რჩეულ ავტორთა გვერდით, არა მარტო წიგნის თაროზე, არამედ — ჩვენს გულებშიც. ■

მორიგანი

ეჩხლიერთა ლელოფალი

დასაწყისი იხ. „გზა" №48-52, 2010 - №1-2, 2011

მარი ჯაფარიძე

სხვა გზა მაინც არ იყო, ფორმიან მამაკაცს უნდა გავყოლოდი. ის წინ მიდიოდა, ჩემს ჩანთას მიაქანავებდა, მე კი მორჩილად მივყვებოდი და ვცდილობდი, გამომეცნო, რა შეიძლებოდა, ამას მოჰყოლოდა. ოთახში შევედით, რომელსაც კარზე „აეროპორტის უშიშროების სამსახური" ეწერა. მაგიდის თავში მჯდომი მამაკაცი წამოდგა და რატომღაც ფანჯარასთან დადგა.

ჩემმა თანმხლებმა მამაკაცმა ჩანთა მაგიდაზე დადო.

— მობრძანდით, თქვენი ხელით გახსენით ჩანთა და ამოალაგეთ, — მომმართა და განზე გადგა.

— კი, ბატონო, — თამამად მივედი და ელვაშესაკრავი გავხსენი.

დავიწყე ჩანთაში არსებული ნივთების მაგიდაზე ამოწყობა: ჯემპრი, შარვალი, მაისური. ჩანთა განახევრდა. უეცრად, კუთხეში ცელოფანის პარკი შევნიშნე, რომელიც კარგად მახსოვდა, რომ ჩანთაში მე არ ჩამიდვია. მაშინვე დავწვდი, მაგიდაზე დავდე და გავხსენი. თვითონვე მაინტერესებდა, რა იყო პარკში.

ოთახში მყოფნი გამოცოცხლდნენ და მაგიდას მოუახლოვდნენ. პარკს შიგნით ჩავხედე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რატომ დამხვდა სანდრო აეროპორტში და რას აკეთებდა მისი სიმამრი მოსკოვში.

— ეს რა არის? — მკითხა იმან, ვინც ოთახამდე „მომაცილა".

— ეს ჩემი არ არის, მაგრამ უკვე ვიცი, რასაც ემსახურება ჩემს ჩანთაში ნარკოტიკის დიდი რაოდენობით აღმოჩენა და გთხოვთ, ბევრს ნუღარ მაწვალებთ; დაუძახეთ იმ ხალხს, ვინც ეს გააკეთა.

თავს საკმაოდ მშვიდად ვგრძნობდი და არ ავღელვებულვარ, რადგან მშვენივრად ვიცოდი, რაც მოხდებოდა შემდეგ: მე დამაკავებდნენ, მერე მოვიდოდა ჩემთან სანდრო ან სულაც ამბის მთავარი „გმირი" — მისი სიმამრი, ბატონი ჯონი და თავისუფლების სანაცვლოდ თანამშრომლობას შემომთავაზებდნენ. იძულებული გავხდებოდი, დავთანხმებოდი, რადგან თვალის ერთი შევლებით, ნარკოტიკის რაოდენობით თუ ვიმსჯელებდით, მინიმუმ, 15-წლიანი ციხე მელოდა, მე კი არანაირი სურვილი არ მქონდა, ისევ ციხეში დავბრუნებულიყავი. ეგ იყო, ის ვერ გავიხსენე, როდის მოახერხა სანდრომ ჩემს ჩანთაში პარკის ჩადება.

მართლაც, ყველაფერი ისეთი სცენარით განვითარდა, როგორც ვიწინასწარმეტყველე: ხელბორკილი დამადეს და სკამზე ლამის ძალით დამსვეს. ჩემი უფლებები ჩამომირაკრაკეს...

— ის დაგავიწყდათ, რომ უფლება მაქვს, შევხვდე სანდრო გოგავას ან მის სიმამარს — ჯონი ხარებავას მოსალაპარაკებლად... და თუ ჩვენი მოლაპარაკება შედგება, ბორკილს ამხსნით და გამიშვებთ.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ და ყველაფრის მცოდნედ ნუ მოგაქვს თავი, — შემოღრინა ერთმა, — თორემ მოგიწევს ციხის კედლების ხეხვა და მერე ვნახავთ, როგორ იტლიკინებ.

ცოტა ხანში ტელეფონმა დარეკა. ორივე მამაკაცი გავიდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ჯონი დამადგა თავზე.

— გამარჯობა, — ისეთი სახე ჰქონდა, სიამოვნებით ჩავათხლეშდი რამეს. ისედაც წვრილი თვალები კიდევ უფრო დაუწვრილდა და გამომცდელად შემომხედა.

სალამზე არ ვუპასუხე.

— გაბრაზებული ხომ არ ხარ ჩემზე?

ისევ არ გავეცი პასუხი.

— მარგო, სალამი ღვთისაა...

— როდის იყო, ღმერთის გწამდა? — შევუღრინე.

— კარგი, შევრიგდეთ, სანდრომ უკვე გადმოგცა ჩვენი დანაბარები და უარით გამოისტუმრე. ამიტომ, იძულებული გავხდით, შენს გადმოსაბირებლად ასეთი მეთოდისთვის მიგვმართა.

— კი, მაგრამ რაღა მე დამადგი თვალი? რა გინდა? რატომ ერევი ჩემს ცხოვრებაში? მომეცი უფლება, რომ ისე ვიცხოვრო, როგორც მინდა და თავად განვკარგო საკუთარი ცხოვრება.

— შენ ჩვენ გვჭირდები. სამაგიეროდ, გვთხოვე რაც გინდა და შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს გავაკეთებთ.

— როცა თქვენ გჭირდებათ, შეუძლებელსაც აკეთებთ და ჩემთვის — მხოლოდ შესაძლებელს?

— შენი უშუალო ხელმძღვანელი სანდრო იქნება. მასზეა დამოკიდებული, რას გააკეთებს შენთვის.

— მერე, არ გეშინია, რომ შენს ქალიშვილს ქმარი წავართვა? სანდროს ხომ მე ვუყვარვარ... — ინტრიგაზე წავედი, — ხელის ერთი დაქნევა საკმარისი იქნება, რომ ის ისევ ჩემი გახდეს და ჩემს ჭკუაზე ვატრიალო.

— ვიცი, მაგრამ საქმეს ასე სჭირდება. თანაც, არა მგონია, რომ მომხდარის შემდეგ შენ მასთან ურთიერთობის გაგრძელება ისურვო. წინათ, ქართველი მეფეები ბევრ დათმობაზე მიდიოდნენ, სახელმწიფო ინტერესების გამო.

ხმამაღლა გადავიხარხარე.

— მოდი, ერთ რამეზე შევთანხმდეთ, მეფეს ნუ შეადრი თავს; დამპალი სტრუქტურის, „დამპალი" სულის თანამშრომელი ხარ და ამას ნუ დაივიწყებ.

— ცოტა ენას მოუკელი, ნუ გაჯეჯილდი და თავს ნუ გაგივიდა, რადგან კარგად გექცევი.

— მითხარი თქვენი პირობები!

— ჩვენი პირობა ისაა, რომ რა საქმესაც დაგავალებთ, კეთილსინდისიერად უნდა შეასრულო.

— სულ ეგაა?

— კი, სულ ეგაა და კიდევ ის, რომ ენას კბილი უნდა დააჭირო.

— ჩემი პირველი მოთხოვნა ისაა, რომ ხელბორკილი ამხსნათ!

— ეს იმას ნიშნავს, რომ მოლაპარაკება შედგა?

— სხვა გზას მიტოვებ? არსებობს ალტერნატივა?

— კი — პატიმრობა.

— ჰმ... მომხსენით ხელბორკილი!

დათოს ქორწილის შემდეგ თითქოს ცხოვრება უფრო სწრაფად წავიდა. სანდრო ხშირად გვსტუმრობდა, მა-

გრამ ჩემი მისდამი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. გრძნობა, რა თქმა უნდა, ძველებურად დარჩა, მის მიმართ კვლავ მქონდა ლტოლვა, მის გამოჩენას ყოველთვის მოუთმენლად ველოდი, მაგრამ საკუთარი გრძნობების მართვა ვისწავლე. იოლად ვუმკლავდებოდი ყველა ემოციას და არ ვამჟღავნებდი, რასაც ამა თუ იმ მომენტში განვიცდიდი.

მე და ლალი მეგობრები გავხდით. საღამოობით საათობით ვისხედით ხოლმე სამზარეულოში ან ტერასაზე (თბილ ამინდში) და ვლაპარაკობდით. ბევრი რამ ვისწავლე ამ ქალისგან და მთელი გულით შევიყვარე.

საბუთები რუსულ სკოლაში შევიტანეთ, მაგრამ ქართულის სწავლას გულმოდგინედ განვაგრძობდი. 1 წლის შემდეგ უკვე თითქმის გამართულად ვლაპარაკობდი. სიტყვათა მარაგი ბევრი არ მქონდა, მაგრამ ყველაზე მეტად ის მახარებდა, რომ ყველა აღნიშნავდა — აქცენტი არ მქონდა.

მამაჩემის პოვნის საქმე კარგა ხანს ადგილიდან არ იძვროდა. სანდროს და დათოს მამა იყო ჩარეული ძებნაში და ჩემს დახმარებას მთელი გულით ცდილობდა. თბილისში ჩამოსვლიდან წელიწად-ნახევარი იყო გასული, როცა ერთ საღამოს დათო მოვიდა და მისამართი მომიტანა — მამაშენი აქ ცხოვრობსო. აღმოჩნდა, რომ ის საცხოვრებლად ლაგოდეხში გადასულიყო. ვინაიდან მარტო წასვლას ვერ შევძლებდი, ჩემი წაყვანა ლალიმ ითავა.

მამას ადგილსამყოფელს კითხვა-კითხვით მივაგენით. ეზოში შესულმა ახალგაზრდა ქალი დავინახე, რომელმაც თასით წყალი გამოიტანა და ეზოში დაღვარა. მეგონა, რომ ვიცანი... უფრო კი მივხვდი, რომ ჩემი დედინაცვალი იყო, რომელთანაც 3 წლის განმავლობაში ვიზრდებოდი და რომელმაც ვერ შემიყვარა.

— ქალბატონო, ერთი წუთით! — ლალიმ დაუძახა, რადგან იმან ვერ შენიშნა ეზოში შესული უცხო ხალხი და შინ შებრუნებას აპირებდა.

ხელით მოიჩრდილა და გამოგვხედა.

— ნოდარი აქ ცხოვრობს? — ჰკითხა ლალიმ.

— დიახ, აქ ცხოვრობს, — საშინელი აქცენტით გვიპასუხა, — თქვენ ვინა ბრძანდებით?

ახლოს რომ მოვიდა, მე დამაშტერდა.

— მარგალიტა, შენა ხარ?

საშინლად არ მიყვარდა, როცა მარგალიტას მეძახდა და ისეთი გამომეტყველება მივიღე, რომ ქალმა უნებურად უკან დაიხია.

— მობრძანდით, გენაცვალე, — შინ შეგვიძღვა.

— მამა სახლში არაა? — ვეღარ მოვითმინე.

— კი, სახლშია, სად იქნება, აბა? — პირველი ოთახი გადავჭერით და მეორეს მივადექით.

აზამ კარი ფრთხილად შეაღო.

— გძინავს? — ჩუმად ჰკითხა ვიღაცას.

— არა, — ჩახლეჩილი ხმით უპასუხეს ოთახიდან.

აზამ კარი ბოლომდე გამოაღო და მე და ლალი ოთახში შევედით. ის

— სხვა გზას მიტოვებ? არსებობს ალტერნატივა? — კი — პატიმრობა.

იყო, თვალი სიბნელეს მიეჩვია, რომ ქალმა ფარდები გადასწია და ოთახი განათდა.

კუთხეში მიდგმულ საწოლზე მამაკაცი იწვა. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ის მამაჩემი იყო, რადგან არ მიფიქრია, რომ როცა მასთან შეხვედრის დრო დადგებოდა, ასეთ უმწეო მდგომარეობაში დამხვდებოდა.

მამაკაცს თავზე დავადექი. ვცდილობდი, მისი სახის ნაკვთებში ნაცნობი შტრიხები დამეჭირა, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ პირველად ვხედავდი.

კარგა ხანს მაკვირდებოდა... მზერა თანდათან დაუთბა, სახეზე ღიმილი გამოესახა.

— მარგო... — თქვა და ცრემლი ჩამოუგორდა.

— მიცანი, მამა? — დავიხარე და მკერდში ჩავეკარი.

ხელი ზურგზე მომიცაცუნა, მომეხვია და აქვითინდა.

ლალი ცრემლის წმენდით გავიდა ოთახიდან და აზაც გაიყოლა. მამასთან პირისპირ დარჩენილმა აღარ ვიცოდი, რა მექნა.

სკამი ახლოს მივიდგი და ჩამოვჯექი. მისი ხელი ხელში მეჭირა და ვგრძნობდი, როგორ უცახცახებდა. კარგა ხანს ორივე ცრემლს ვყლაპავდით.

— რატომ წეხარ, რა მოხდა? — როგორც იქნა, გავბედე კითხვა.

— აი, ამიტომ, — საბანი გადაიძრო.

ორივე ფეხი მოჭრილი ჰქონდა. ელდა მეცა.

— რა მოხდა? რატომ დაკარგე კიდურები?

— „ელმავალმშენებელ ქარხანაში“ ვმუშაობდი; იქ დავმარცხდი. უკვე 2 წელია, ვწევარ და ვერ ვდგები.

— კი, მაგრამ პროთეზის გაკეთება ხომ შეიძლება?

— ვის აქვს ამდენი ფული? ძვირი ჯდება... საწარმომ იმდენი ქნა, რომ დამნაშავედ გამომიყვანა და საწარმოო ტრავმაც კი არ გააფორმა. ასე რომ, პატრონი არ მყავს და საკუთარი სახსრებით კი ვერაფერს გავხდები.

— მე გაგიკეთებ პროთეზს, — ლალის იმედად დავპირდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ამაზე მისგან უარს არ მივიღებდი.

მამამ ხელი ჩაიქნია, აქაოდა, შენ რა შეგიძლია, არაფერი მეშველებაო.

ლაგოდეხიდან მესამე დღეს წამოვედით. ლალი მამას შეჰპირდა, რომ სულ მალე „ხელოვნური“ ფეხები ექნებოდა.

კვირაში ერთხელ ლაგოდეხში, მამას მოსანახულებლად ჩავდიოდი. ყოველ ჩასვლაზე ლალი გარკვეულ, არც ისე მცირე თანხას მატანდა. 3 თვის შემდეგ კი საჩუქრით ხელდამშვენებული ჩავედით. ლალიმ თან ექიმი წამოიყვანა, რომ მამას მისი თანდასწრებით გადაედგა პირველი ნაბიჯები.

სიხარულით ყველა ვტიროდით. აზა კი რაღაცნაირად, დაბოღმილი იყურებოდა და სახეზე ნაკვთიც არ შესტოკებია.

სანდროს სახეზე თითქოს დამცინავი ღიმილი ჰქონდა, რამაც ძალზე გამაღიზიანა, მაგრამ არ შევიმჩნიე, რადგან გადაწყვეტილი მქონდა, დამარცხებული ქალის როლი მეთამაშა, რომელსაც სხვა გზა არ დარჩენია და იძულებულია, შეთავაზებულ პირობებს დათანხმდეს და სანდროს და მისი საქმის ერთგული იყოს. გულგრილობა შევინარჩუნე და გავუღიმე.

— ასე არ სჯობია?!. — მისმა რეაქციამ არ დააყოვნა.

— რას იზამ, ჩათრევას ჩაყოლა სჯობია.

— მარგო, დამიჯერე, შენთვის უკეთესია, თუ ისე მოიქცევი, როგორც გეტყვი. უკეთ იცხოვრებ. სხვანაირად ცხოვრებისთვის ფეხის აწყობა გაგიჭირდება. ხუმრობა ხომ არაა, ყველაფრის ნულიდან დაწყება?!

— ჰო, მართალი ხარ; რომ დავფიქრ-

დი, მეც მაგ დასკვნამდე მივედი, — კიდევ ერთხელ „ჩავყევი“.

— არც პირადი ცხოვრება გაქვს, არც — სამსახური და ფული. აბა, წარმოიდგინე, როგორ უნდა იცხოვრო? ჩვენ კი იმის საშუალებას მოგცემთ, რომ თავიდან დაწყება არ გაგიჭირდეს.

— მე სხვა პრიორიტეტები მაქვს ცხოვრებაში, მაგრამ რადგან თქვენ და ბედმა ასე ინებეთ, წინააღმდეგობას ვერც მე გაგიწევთ.

— მაინც, რა პრიორიტეტები გაქვს?

— დედამიწის ზურგზე ყველა ადამიანი მკერდში „ცარიელი ხვრელით“ იბადება, რომელიც დისკომფორტს არ უქმნის, მაგრამ მაინც ყველა მის ამოვსებას ცდილობს. ზოგი რელიგიით ავსებს, ზოგი უამრავ, უსარგებლო ნივთს ყიდულობს, ზოგიერთი კი „ხვრელს“ სხვა ადამიანის საშუალებით ამოქოლავს...

— შენ? შენ რით ავსებ მაგ „ხვრელს“? — გაეცინა სანდროს და ისევ ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომელიც ყველაზე მეტად მიშლიდა ნერვებს.

— მე კი ცარიელი დავტოვე და მის ამოვსებას არ ვაპირებ, რადგან ერთი საინტერესო მოვლენა შევნიშნე: როცა ქარის საპირისპირო მიმართულებით გავრბივარ, „ხვრელიდან“ მხიარული სტვენის ხმა ისმის...

— ეგ სისულელე თავში როდის მოგივიდა?

— ამაზე ციხეში ყოფნის დროს ვფიქრობდი და თანაც — ძალიან ხშირად.

— მარგო, მოდი, საქმეზე ვილაპარაკოთ და სიტყვების რახარუხს თავი დავანებოთ.

— კარგი, — უცებ დავთანხმდი.

— შენ რას მოითხოვ ჩვენგან, გაწეული სამსახურისთვის?

— პირველ რიგში — ჩემი პროფესიით მუშაობის უფლებას.

— ისევ ადვოკატობას აპირებ?

— კერძო საადვოკატო ფირმის დაარსება მინდა, სადაც გარდა დაცვისა, გამოძიების საშუალებაც გვექნება — ანუ დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებას შევძლებთ.

— კარგი, მაგაზე თანახმა ვარ. კიდევ?

— კიდევ იარაღის ტარების უფლება და კარგი ცეცხლსასროლი იარაღი — რომელსაც ხელს დავადებ.

— ეგეც შესაძლებელია. „დალშე“...

— ფული მჭირდება. საწყის ეტაპზე — 10.000 და შემდეგ — სოლიდური ხელფასი.

— ხელფასის საკითხს მე არ ვწყვეტ და ეგ ალბათ შენ მიერ შესრულებული სამუშაოს სირთულესა და ხარისხზე იქნება დამოკიდებული. როგორც წესი, ყოველთვიურად ხელფასს მიიღებ, შესრულებული სამუშაოსთვის კი — პრემიას, რომელიც ხშირ შემთხვევაში საკმაოდ სოლიდურია ხოლმე.

— და კიდევ, — ლაპარაკი შევაწყვეტინე, — კონკრეტულ საქმეზე უარის თქმის უფლება უნდა მქონდეს. შესაძლოა, არსებობდეს მიზეზი, რის გამოც რაიმე საქმეზე ხელის მოკიდება არ შემეძლოს.

— ეგ გამორიცხულია, — ხმამაღლა გადაიხარხარა სანდრომ. რატომღაც ძალზე გაამხიარულა ჩემმა ნათქვამმა, — ასარჩევად ვინ მოგცემს? დაგავალებენ და უნდა გააკეთო.

— სანდრო, ვიცი, რომ ძალიან ცუდ საქმეს ვეჭიდები. შესაძლოა, საბოლოოდ ისეთი რამე დამავალონ, რომლის შესრულების შემდეგაც ჩემი ლიკვიდაციის გადაწყვეტილებაც მიიღონ. მე კი ჯერ სიკვდილს არ ვაპირებ.

— ვერაფერს შეგპირდები. მომავალი გვიჩვენებს, რა მოხდება.

ნათქვამმა დამაფიქრა. ტყუილი დაპირება არ მომცა... ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ციხიდან მხოლოდ ერთი, კონკრეტული საქმის შესასრულებლად გამომიყვანეს და ამის შემდეგ თავიდან მომიშორებენ?

— ნუ გეშინია, ჯერჯერობით არაფერი გემუქრება, — ჩემი აზრების წაკითხვა შეძლო — ის ხომ თავისი საქმის პროფესიონალი იყო.

— წადი, უნდა დავიძინო, დავიღალე. ერთი დღისთვის მეტისმეტად ბევრი რამის გადატანა მომიხდა. შენი გამოისობით ფსიქიკა ისედაც დანგრეული მაქვს... ეს უკვე მეტისმეტია და ისე გადავიღალე, რომ შენი არსებობაც კი მაღიზიანებს.

— მარგო, დავრჩები შენთან, ხვალ კი ერთად გავფრინდებით თბილისში.

— აქედან გაეთრიე! — ნერვებმა მიმტყუნა და მთელი ძალით ვიღრიალე.

წამოდგა და ახლოს მოვიდა.

— არ წავალ! — გადაჭრით თქვა. — შენი ყვირილით კი ზურა შეაშინე, შენი ციხის ექიმი, რომელიც 3 წლის განმავლობაში შენი საყვარელი იყო და ციხეში უმამაკაცობას არ გაგრძნობინებდა. იქაც კი გამოძებნე ადამიანი, რომელიც შენს დაუოკებელ ვნებას დააცხრობდა და დაგაურვებდა, — ვერ მივხვდი, ეჭვი ალაპარაკებდა თუ ჩემი გამწარება სურდა.

ამის გაგონებაზე აფთარივით ვეცი, წავაქციე, ზევიდან დავახტი და იატაკზე ზურგით გავაკარი.

— ხომ იცი, რომ ახლა შემიძლია, წიწილასავით მოგიგრიხო კისერი და სამუდამოდ ინვალიდად დაგტოვო? — მშვიდი ხმით ვკითხე.

— ნამდვილად მომერევი, მაგრამ შენ მაგას არ იზამ, რადგან იცი, რომ პასუხს მოგთხოვენ.

თავი ვგლიჯე შუბლში და მხოლოდ ამის შემდეგ გავათავისუფლე — ავდექი. გონი არ დაუკარგავს, მაგრამ როგორც ჩანს, საშინლად ეტკინა, რადგან კარგა ხანს ღმუოდა.

საძინებელში გავედი და კარი მოვხურე. რაც გინდა, ის გიქნია-მეთქი, მივაძახე და საწოლზე გაუხდელად მივწექი. დაძინება კარგა ხანს ვერ შევძელი, რადგან გულისყური მთლიანად კარისკენ მქონდა მიმართული. მეგონა, რომ აუცილებლად შემოვიდოდა და არ მინდოდა, მძინარე დავხვედროდი. თუმცა, შემდეგ ძილმა მაინც თავისი გაიტანა და მხოლოდ დილით, უფრო სწორად — შუადღისას გავახილე თვალები.

სანდრო არ დამხვედრია. როგორც ჩანს, წასულიყო, მაგრამ წუხელვე წავიდა თუ მხოლოდ დილით, ეს არ ვიცოდი. სამზარეულოში, მაგიდაზე თვითმფრინავის ბილეთი დამხვდა. რეისი დღის 3 საათზე იყო დანიშნული. ავჩქარდი, რადგან უკვე 12 საათი იყო და აეროპორტში დროულად უნდა მივსულიყავი.

ამჯერად სანდრო ჩემთან ერთად მოფრინავდა და ადგილებიც გვერდიგვერდ გვქონდა. მის შუბლზე უზარმაზარი კოპი რომ შევნიშნე, სიცილი ამიტყდა და კმაყოფილება ვიგრძენი. თითქოს სამაგიერო გადავუხადე. თავადაც მიხვდა, რატომ გამეცინა და შუბლზე ხელი მოისვა.

— აბა, შენ იცი, სიმამრთან მიჩივლე და კუთხეში დამაყენებს, — უკვე გულიანად ვხარხარებდი.

— ისტერიული შეტევა გაქვს, — გამოცდილი ექიმივით დასვა დიაგნოზი.

როგორც იქნა, ავფრინდით. დიდი ხანი იყო, ასეთი განცდა არ დამუფლებია. თავს მსუბუქად და კარგად ვგრძნობდი.

თვალები დავხუჭე. თავში ის დღე ამოტივტივდა, როცა შინიდან გამოვიქეცი და თვითმფრინავით დათოსთან ერთად ვმგზავრობდი. ახლა გვერდით კვლავ „დათო 2“ მეჯდა, რომელიც გარეგნულად „ორიგინალის“ ასლი იყო, მაგრამ ბუნებით — სრულიად განსხვავებული. ერთი ძმა გულისხმიერი, თბილი, კეთილსინდისიერი და პატიოსანი იყო, მეორე კი ბუნებამ ყველა უარყოფითი თვისებით დააჯილდოვა. ვცადე, წარსულზე არ მეფიქრა. მხოლოდ მომავალზე ვფიქრობდი: ამ „მომავალშიც“ კი ხან ძალიან ბედნიერი ვიყავი, ხანაც — უბედური.

სინამდვილეში რა მოხდებოდა, ეს მხოლოდ განგებამ იცოდა. შესაძლოა — სანდრომაც.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №51, 2010 – 1-2, 2011

გოგლამ ვაჟას ბინა დაბნეულმა დატოვა. „ნუთუ ეს ბიჭი არ ხუმრობს და იაშვილის სურათებს მართლაც აქვს რაღაც სერიოზული ღირებულება? — ფიქრობდა იგი. — იქნებ მართლა არ ღირს მათი სასწრაფოდ გაყიდვა?! ეს რა დილემის წინაშე აღმოვჩნდი! არადა, სურათს კლიენტი უკვე გამოუჩნდა, მაგრამ ფული, რომელსაც მასში მთავაზობენ, ვაჟას მიერ დასახელებულ თანხასთან ახლოსაც კი ვერ მოვა“.

შეფიქრიანებულმა გოგლამ საშა კლიმიაშვილის ტელეფონის ნომერი აკრიბა.

— ალო, ბატონო საშა, მოგესალმებით.

— გოგლას გაუმარჯოს. ეტყობა, რაღაცით უნდა გამახარო, ხომ?

— აბა, როგორ გითხრათ...

— პირდაპირ მითხარი, რა ხდება?

— იაშვილის კიდევ ერთი სურათი ვიპოვე.

— მოსალოცად გქონია საქმე და ეგაა.

— არა მგონია, რადგან მისი პატრონი ძალიან დიდ ფულს ითხოვს.

— მაინც რამდენს?

— 5.000-ს.

— 5.000 ლარს?

— არა, დოლარს.

— რაო?..

— ირწმუნება, იაშვილის სურათზე მოთხოვნა ისე სწრაფად იზრდება, რომ შეიძლება, ეს ფასიც კი არ იყოს საბოლოო.

— გიჟი ყოფილა. ან, უბრალოდ, სიტუაციით სარგებლობს. დამიჯერე რა, იაშვილში ასეთ ფულს არც ერთი ჭკუათამყოფელი არ მისცემს.

— გასაგებია, მაგრამ მე როგორ მოვიქცე?

— აზრზე არა ვარ. იქნებ ვინმე ნორმალური გამყიდველი მოძებნო.

— კარგი, ბატონო საშა, როგორც კი რამეს გავარკვევ, მაშინვე დაგიკავშირდებით.

გოგლამ ყურმილი დადო და ჩაფიქრდა: „კლიმიაშვილს რა ენაღვლება. სათქმელად ადვილია ახალი გამყიდველის ანუ ახალი სურათის პოვნა. და თუნდაც მართლა მოვახერხო ვინმეს პოვნა, რა გარანტია მაქვს, რომ ის ადამიანი ნამუშევრის გაყიდვას მოისურვებს?“ უეცრად ტელეფონი აწკრიალდა და ლაღიძე უსიამოვნო ფიქრებიდან გამოიყვანა.

— ალო, გოგლა ლაღიძესთან მინდოდა დალაპარაკება, — გაისმა ყურმილში მამაკაცის ჩახლეჩილი ხმა.

— დიახ, გისმენთ.

— განცხადების თაობაზე გირეკავთ. ალბათ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ.

— რა თქმა უნდა. იაშვილის ნამუშევარი — „უკანასკნელ გზაზე“ გაინტერესებთ, ხომ?

— დიახ. სწორედ მასზე მოგახსენებთ. მისი ყიდვა მინდოდა.

— სამწუხაროდ, ვერაფრით დაგეხმარებით, რადგან სურათს უკვე ჰყავს რეალური კლიენტი.

— მართლა?.. მაინც ვინ?

— ჩემი კლიენტების შესახებ ინფორმაციას არ ვიძლევი.

გოგლა უკვე ყურმილის დაკიდებას აპირებდა, მაგრამ უცნობმა შეაჩერა:

— კარგი. მაშინ სხვაგვარად დაგისვამთ კითხვას: ის კლიენტი სურათში რამდენს გაძლევთ?

— აღარც ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგან გარიგება უკვე შედგა.

— მით უმეტეს. რა მოხდება, რომ მითხრათ? განა, ეს საიდუმლოა?

— კარგი, გეტყვით. 6.000-ზე შევთანხმდით.

— დოლარზე?

— არა.

— ევროზე?

— არა, ლარზე.

— ლარზე? — გაუკვირდა უცნობს. — მაშინ 7-ს მოგცემთ.

— არა, რადგან როგორც უკვე გითხარით...

— 8 იყოს! — გონს მოსვლის საშუალებას აღარ აძლევდა უცნობი გოგლას. — თანაც, ახლავე გადაგიხდით. შევთანხმდით?

ლაღიძე პასუხის გაცემას მაინც არ ჩქარობდა, რადგან უცნობი სურათში მეტ თანხას კი სთავაზობდა და, თან, პროცენტის გადახდაც აღარ მოუწევდა, მაგრამ კლიმიაშვილისა და მისი კლიენტის ნდობას აუცილებლად დაკარგავდა.

— მაინც უნდა დავფიქრდე, — როგორც იქნა, ამოთქვა მან ბოლოს.

— ერთი დღე-ღამე გეყოფათ?

— არა, 2 მაინც დამჭირდება, — გოგლამ დროის მოგება სცადა.

— კარგი, — მაშინვე დაეთანხმა უცნობი და ყურმილი დაკიდა.

მეორე დღეს განვითარებულმა მოვლენებმა გოგლა საბოლოოდ დააბნია. ჯერ იყო და დილაადრიან კლიმიაშვილმა დაურეკა და შეატყობინა, რომ ჩემი კლიენტი იაშვილის ნამუშევარში დათქმულზე ორჯერ მეტის გადახდაზეც კი თანახმაა, ოღონდ ყიდვამდე მისი საკუთარი თვალით ნახვა სურსო.

— უკვე ისიც კი მეჩვენება, რომ ხელოვნებაში საერთოდ აღარაფერი მესმის, — ამოიოხრა საშამ, — თორემ ვიღაც იაშვილის ნამუშევრებში ამხელა ფულის გადაყრა სხვა რით უნდა ავხსნა?

— როდის შეიძლება, კლიენტთან შეხვედრა? — მაშინვე ისევ საქმეზე გადართო გოგლამ მოწუწუნე კლიმიაშვილი.

— როცა მოისურვებ. ქალს მარი ჰქვია. გვარად მდივანია და დღეს გვიანობამდე სახლში იქნება.

„მადლობა ღმერთს! — შვებით ამოისუნთქა გოგლამ კლიმიაშვილთან გამომშვიდობების შემდეგ. — ერთი კარგი ამბავი მაინც გავიგე“. ცოტა ხანში ის უკვე კლიენტის ელიტური სახლის ჭიშკართან იდგა. ლაღიძემ ზარი დარეკა და მშვიდად დაიწყო ლოდინი. თუმცა მის ზარს არავინ გამოხმაურებია. ლაღიძემ კიდევ ერთხელ დარეკა, მაგრამ კვლავაც უშედეგოდ. „ეტყობა, კლიმიაშვილმა რაღაც აურია და ან არასწორი მისამართი მომცა, ანდა სახლის პატრონი დროებით სადღაც არის გასული“, — გაიფიქრა მან და ამჯერად ღილაკს თითი უკვე ხანგრძლივად მიაჭირა, მაგრამ მაინც არავინ გამოხმაურებია. გოგლამ ცოტა კიდევ შეიცადა და შემდეგ ჭიშკარს მუშტი დაუბრახუნა. მისდა გასაოცრად ჭიშკარი მაშინვე შეიღო. ლაღიძემ თავი შეყო და ეზო გულდასმით მოათვალიერა. სახლის მახლობლად, მწვანე მდელოზე, უზარმაზარი გერმანული ნაგაზი იწვა, რომელსაც უცხო ადამიანის გამოჩენაზე რეაქცია თითქმის არ ჰქონია. უფრო სწორად კი თავი წა-

მით ასწია, გოგლას ერთი თვალი შეავლო და მხოლოდ საწყალობლად აწკმუტუნდა. გოგლამ ძაღლს მაინც შიშით აუარა გვერდი, სახლს მიუახლოვდა და კარზე ფრთხილად დააკაკუნა:

— მასპინძელო, სტუმარს მიიღებთ?

კარზე დაკაკუნება და მისი შეღება ამჯერადაც ერთი აღმოჩნდა, თუმცა ლაღიძეს შიგნით შესვლა აღარ უჩქარია. „ვინ იცის, მასპინძელი მართლაც სადმეა გასული და უკან მობრუნებულს სახლში შესული რომ დავხვდე, როგორ ავუხსნა, რომ ეს ცუდი განზრახვით არ გამიკეთებია; ან უფრო უარესი: ხომ შეიძლება, სახლში მძარცველები იყვნენ შესული... მაგრამ თუ მართლა ასეა, მაშინ ხომ უმწეო ქალს ჩემ გარდა საერთოდ ვეღარავინ უშველის...“, — ფიქრობდა იგი. ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ გოგლამ სახლში შესვლა მაინც გადაწყვიტა, თუმცა მანამდე იღლიაში ამოჩრილი იაშვილის ნახატი კიბის ქვეშ საგულდაგულოდ დამალა.

— ქალბატონო მარი! — ჰოლში შესვლისთანავე ხმამაღლა დაუძახა მასპინძელს გოგლამ. — მე საშა კლიმიაშვილმა გამომგზ...

ლაღიძემ სიტყვის დასრულება ვეღარ მოასწრო, რადგან თავში რაღაც მძიმე საგანი მოხვდა და მაშინვე თვალთ დაუბნელდა...

მოგვიანებით გონს მოსულმა გოგლამ ვერაფრით გაიხსენა, იატაკზე რამდენ ხანს ეგდო. თვალის გახელისთანავე საშინელი ტკივილი იგრძნო, კეფა მოისინჯა და ხელი მაშინვე სისხლით დაესვარა. ამ დროს სახლის სიღრმიდან ვიღაცის კვნესის თუ სულაც ღმუილის მსგავსი ხმა შემოესმა. გოგლა ფეხზე რის ვაი-ვაგლახით წამოდგა და იქით წალასლასდა, საიდანაც ეს უცნაური ხმა მოდიოდა. ასე აღმოჩნდა ფართო სააბაზანოს კარის წინ, რომლის შეღების შემდეგაც თვალწინ კიდევ უფრო უცნაური სურათი გადაეშალა. ცარიელ აბაზანაში ხელფეხშეკრული ქალი იწვა, რომელსაც პირზე „სკოჩი“ ჰქონდა გადაკრული, შიშით გაფართოებულ თვალებში კი სრული სასოწარკვეთილება ეხატა...

წონასწორობიდან გამოსული ოთარ ორდენიძე თავის კაბინეტში შევიდა და კარი გამეტებით მიაჯახუნა. ორიოდე წუთი გაუნძრევლად იდგა და საკუთარ გულისცემას უგდებდა ყურს. „ოთო, ბიჭო, ასე აღარ ივარგებს, — შეუძახა შემდეგ ფიქრში საკუთარ თავს, — როგორმე თავი ხელში უნდა აიყვანო, თორემ ერთხელაც იქნება, მართლა დაგკრავს ეს ოხერი გული და გაგათავებს“. ორდენიძის მდგომარეობიდან გამოსვლის მიზეზი ის რისხვა იყო, რომელიც ჩვეულებრივ თავშეკავებულმა შეფმა ამჯერად რატომღაც მხოლოდ მას დაატეხა თავს. გამომძიებელმა მაგიდაზე მდგარი ჭიქა წყლით პირთამდე აავსო, სულმოუთქმელად გამოცალა და ოდნავი შვება იგრძნო. „ასე არ სჯობია? უნდა დამშვიდდე და საქმეს მიხედო!.. — ისევ საკუთარ თავს გაუბა საუბარი. — ისე, ალბათ, უფროსის გაგებაც შეიძლება. ეტყობა, მას კიდევ „ზემოდან“ დაუქნიეს თითი და ჯავრი ჩემზე იყარა. თან, მიზეზს არ ვაძლევ თუ რა?!. ის მაინც რამ მათქმევინა, კოლექციონერების საქმესთან დაკავშირებით ჯერ მხოლოდ ეჭვები თუ მაქვს-მეთქი? ეჭვები კი არა, ფაქტები მაქვს და, თანაც, როგორი ფაქტები, მაგრამ ჯერ მათი გამომზეურების დრო არ დამდგარა“.

ორდენიძეს ფაქტები ნამდვილად ჰქონდა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ანტიკვარ — არონ ხიმშიაშვილის სააბაზანოში სისხლის ნაწილაკები აღმოჩნდა. როგორც შემდეგ გაირკვა, სისხლი სახლის პატრონს ეკუთვნოდა. თუმცა ეს ჯერ კიდევ ბევრს არაფერს ნიშნავდა, რადგან სისხლი მის პატრონს შეიძლება, მაღალი წნევის გამო წასკდომოდა ცხვირიდან, ანდა პირის გაპარსვისას უბრალოდ კანი გაეჭრა. თუმცა მცირე ხანში კიდევ უფრო საინტერესო ამბები დაიწყო. კერძოდ, ისრაელიდან ხიმშიაშვილის ერთადერთი შვილის ჩამოსვლის შემდეგ გაირკვა, რომ მამამისს სახლში სპეციალური სამალავი ჰქონდა მოწყობილი, სადაც უძვირფასეს ანტიკვარიატსა და დიდძალ ფულსაც ინახავდა. სამალავის არსებობის შესახებ მხოლოდ მამა-შვილმა იცოდა. თუმცა როცა უმცროსმა ხიმშიაშვილმა გულმოდგინედ შენიღბული სამალავის კარი გააღო, ის სრულიად ცარიელი აღმოჩნდა. ამასთან, სამალავის კარს არათუ გატეხის არანაირი კვალი არ ემჩნეოდა, არამედ მასზე ერთი თითის ანაბეჭდიც კი არ იყო დატოვებული — ანუ მაშინაც კი, თუ ყველა შეთანხმდებოდა, რომ სახლიდან წასვლისას ხიმშიაშვილმა თავად წაიღო საკუთარი ქონება, თითის ანაბეჭდები მაინც ხომ უნდა დაეტოვებინა?!

ხიმშიაშვილამდე გაუჩინარებული კიდევ ერთი ანტიკვარის სახლშიც ყველას სიურპრიზი ელოდა. მოწვეულმა ექსპერტმა ყველაზე ძვირად ღირებული ნამუშევრის შეხედვისთანავე უყოყმანოდ განაცხადა, რომ ის ნაყალბევი იყო. ამის გამგონე ანტიკვარის ქალიშვილს კინაღამ გულყრა დაემართა. ორდენიძეს კი გულში გაეღიმა, რადგან ჯერ ერთი, მისი ეჭვი გამართლდა და მეორეც, ამით ისეთი ხელჩასაჭიდი ნახა, რომლითაც უკვე ბევრი სხვა რამის გარკვევაც შეეძლო. რა თქმა უნდა, სულ ადვილი შესაძლებელი იყო, სურათი ანტიკვარის გაუჩინარებამდეც შეეცვალათ, მაგრამ ორდენიძე რატომღაც უკვე მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ეს ორი მოვლენა უთუოდ ერთმანეთს უნდა დამთხვეოდა.

— ერთი კითხვა მაქვს თქვენთან, — ექსპერტს ხელკავი გამოსდო მან და გვერდზე გაიყვანა, რათა მისი სიტყვები სხვებს არ გაეგონათ.

— ყურადღებით გისმენთ! — მართლაც მაშინვე სმენად იქცა მამაკაცი.

— ჩემი ვარაუდით, სურათის ასლის გაკეთება მხოლოდ ანტიკვარის სახლში მიღებულ ადამიანს თუ შეეძლო.

— ეს აუცილებელი სულაც არ არის, — უარის ნიშნად თავიც კი გაიქნია ექსპერტმა, — ცნობილი ოსტატების ნამუშევრები ხომ არაერთ კატალოგშია შესული.



— მაგრამ მაშინ იმის გაგება როგორ შეძლო დამნაშავემ თუ სულაც დამნაშავეებმა, რომ ამ სახლში აღნიშნული მხატვრის სწორედ ეს სურათი ინახებოდა და არა რომელიმე სხვა? როგორც ანტიკვარის ქალიშვილი ირწმუნება,

ამის შესახებ მხოლოდ ვიწრო წრემ თუ იცოდა.

— აი, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა კი ალბათ, თქვენ მოგიწევთ, — სევდიანად გაეღიმა ექსპერტს...

„მაშ, ასე, — ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და კაბინეტში დინჯად გაიარ-გამოიარა გამომძიებელმა, — ნელ-ნელა თითქოს, ყველაფერი თავის ადგილზე დგება. უკვე ცხადია, რომ დაკარგული კოლექციონერები მძარცველებმა იმსხვერპლეს, მაგრამ თავად ეს მძარცველები ვინ არიან? მათთვის ხომ მარტო მდიდარი კოლექციონერების სახელები კი არა, მათი კოლექციების „შიგთავსიც“ ზედმიწევნითაა ცნობილი...“ კარზე გაუბედავმა კაკუნმა ორდენიძეს ფიქრი გააწყვეტინა.

— შემოდით, — მაშინვე მაგიდას მიუჯდა იგი.

ოთახში ანდრო ლეკიშვილი შემოიძურწა.

— რა ხდება? — მკაცრად ჰკითხა ხელქვეითს ორდენიძემ.

— არაფერი. უბრალოდ იმის თქმა მინდოდა, ბატონო ოთარ, რომ შეფის წეღანდელი ყვირილი გულთან ძალიან ახლოსაც არ მიიტანოთ.

— ვითომ რატომ? — კიდევ უფრო პირქუში გამომეტყველება მიიღო გამომძიებელმა. — ეტყობა, უფროსობის მოსმენა და მათი შენიშვნების გათვალისწინება მოდაში აღარ არის, ხომ?

— არა, უბრალოდ გავიგე, რომ მანამდე „ზემოდან“ დაურეკეს და ეტყობა, მაგრადაც შეჯორეს...

— აჰ, აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე!.. შემთხვევით ისიც ხომ არ იცი, რატომ?

— არა, ეს ნამდვილად არ ვიცი, — შეწუხდა ლეკიშვილი.

— სამაგიეროდ, მე ვიცი! — ხმას აუწია ორდენიძემ. — იმისთვის, რომ გაუხსნელ საქმეებს ბოლო აღარ უჩანს, ჩვენ კი ძველებურად ერთ ადგილს ვტკეპნით და წინ ერთი ნაბიჯითაც კი ვერ წაგვიწევია!

— დიახ, მართალი ბრძანდებით, — სასწრაფოდ წასასვლელად მოემზადა დამფრთხალი ლეკიშვილი.

— საით? — შეაჩერა ის ორდენიძემ. — დავიჯერო, მარტო ამის სათქმელად შემოხვედი?

— არა, მაგრამ...

— მაშინ დაამთავრე!

— სანამ თქვენ შეფთან იყავით, კერძო სახლის გაქურდვის მცდელობაზე შემოვიდა ინფორმაცია...

— ანუ სახლის გაქურდვა ვერ მოასწრეს?

— დიახ, ასე იყო.

— მაშინ ამ საქმეს უჩემოდაც მშვენივრად მიხედავთ.

— რა თქმა უნდა, მივხედავთ, მაგრამ რადგანაც კოლექციონერებით ხართ დაინტერესებული, ამიტომაც...

— რაო? — ხელქვეითს სიტყვის დასრულება აღარ აცალა ორდენიძემ. — კოლექციონერის გაქურდვა სცადეს?

— დიახ, და თანაც — ქალის.

— ახლავე შეკრიბე ჯგუფი, ადგილზე გავდივართ!

ნახევარი საათის შემდეგ ორდენიძე უკვე დაზარალებულს ესაუბრებოდა.

— კარზე დარეკეს და ვიღაცამ „ყაზტრანსგაზის“ თანამშრომლად წარმომიდგინა თავი, — ცრემლებს ვერაფრით იკავებდა დაზაფრული ქალი.

— მერე?

— მერე ჭიშკართან გავედი და მაღალი, გამხდარი მამაკაცი დავინახე, — მრიცხველის გეგმური შემოწმებისთვის ვარ მოსულიო.

— სახე თუ დაგამახსოვრდათ?

— სახე? — დაიბნა ქალი.

— მის ამოცნობას თუ შეძლებთ?

— ამოცნობას?.. არა მგონია. იმიტომ, რომ პირზე ცხვირსახოცი ჰქონდა აფარებული, ხშირად ახველებდა და, თან, ბოდიშს მიხდიდა, გაცივებული ვარო...

— დოკუმენტები მაინც თუ გიჩვენათ?

— დიახ. უფრო სწორად, გულზე ჰქონდა რაღაც საბუთი ჩამოკიდებული, მაგრამ დიდად ნამდვილად არ დავკვირვებივარ.

„ესეც ჩვენი ტრადიციული დაუდევრობა, — გაიფიქრა ორდენიძემ, — საკმარისია, ვინმემ ცხვირწინ რაიმე საბუთის მსგავსი აგვიფრიალოს, რომ მაშინვე სახლის კარს ვუღებთ“.

ქალს ისევ ცრემლი მოერია:

— როცა გონს მოვედი, სააბაზანოში ხელფეხშეკრული ვეგდე. კიდევ კარგი, ეს ახალგაზრდა გამოჩნდა, თორემ... — შორიახლოს მდგარ გოგლაზე ანიშნა ქალმა გამომძიებელს.

— რა გვარი ხარ? — ორდენიძე ახალგაზრდას მიუბრუნდა.

— ლაღიძე.

— პატრული შენ გამოიძახე?

— დიახ.

— თავად როგორ მოხვდი აქ?

— ქალბატონ მარისთან ერთი სურათის საჩვენებლად მოვედი.

— გასაგებია. კარი ვინ გაგიღო?

— არავინ. ღია იყო.

— სახლში ან მის სიახლოვეს ხომ არავინ შეგინიშნავს?

— არავინ. თანაც, როგორც კი სახლში შევედი, თავში მაშინვე რაღაც მძიმე ჩამარტყეს და გამთიშეს, — დოლბანდით შეხვეულ თავზე ხელი ფრთხილად მოისვა გოგლამ.

— თავი მე შევუხვიე, — გოგლას კიდევ ერთხელ ესროლა მადლიერი მზერა მასპინძელმა.

— გამოდის, რომ არც ერთს არავინ გინახავთ და არც არაფერი გაგიგონიათ. ეს კი საქმისთვის ძალიან ცუდია, — დაღვრემილი სახით დაასკვნა ორდენიძემ და შემდეგ მასპინძელს მიუბრუნდა: — ქალმატონო მარი, ყურადღებით დაათვალიერეთ, სახლიდან რა არის წაღებული. დაკარგული ნივთების სია ახლავე უნდა შევადგინოთ.

— უკვე დავათვალიერე, — მაშინვე ბეჯითი მოსწავლის გამომეტყველება მიიღო მარიმ, — თითქოს ყველაფერი ადგილზეა. არც ფულისთვის და არც ძვირფასეულობისთვის ხელი არავის უხლია.

— არც სურათებისთვის?

— არც მათთვის. ეტყობა, ვეღარ მოასწრეს.

— მაშინ, ძალიან გაგიმართლათ...

— თუმცა, არა! — გააწყვეტინა გამომძიებელს მარიმ და ხელი სტატუეტის ცარიელი სადგარისკენ გაიშვირა. — იქ აპოლონის ბრინჯაოს ასლი იდგა. დაქალმა ჩამომიტანა ათენიდან. თუმცა კი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა.

— არც თქვენი აპოლონი დაკარგულა, — ისევ უკმაყოფილოდ ჩაახველა ორდენიძემ, — ის შემოსასვლელთან გდია. ეტყობა, მძარცველმა სწორედ ის ჩაარტყა ამ ბიჭს თავში.

— ეს ბიჭი რომ არა, არ ვიცი, რა დამემართებოდა...

„აქ უკვე ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ ამ ბიჭის ცალკე დაკითხვა მაინც არ გვაწყენდა“, — ამის გაფიქრება იყო და გამომძიებელმა საკუთარი თავი მაშინვე იმაშიც დაიჭირა, რომ მას სახლის პატრონი უკვე ძალიან მოსწონდა, გოგლასი კი ცოტა შურდა, იმიტომ, რომ მარი სწორედ მას მიიჩნევდა თავის მთავარ მხსნელად.

მარი მდივანი ოცდაათზე ცოტა მეტის იქნებოდა; საკმაოდ მიმზიდველი ქალი იყო, შავი ტალღოვანი თმა და დიდი მწვანე თვალები ჰქონდა. ქალის ყურადღებას გადაჩვეული ორდენიძე მარის თვალს ვეღარაფრით სწყვეტდა.

— ხომ მოძებნით იმ არამზადებს? — უამისოდაც საკმაოდ დაბნეულ ორდენიძეს უცბად მხარშიც ჩააფრინდა ასლუკუნებული ქალი და გამეტებით დაუწყო ჯანჯღარი.

— რა თქმა უნდა, — მარის ხელი ძლივს გააშვებინა გამომძიებელმა და საკუთარი სიტყვების თავადვე გაუკვირდა, რადგან მსგავს შემთხვევებში მძარცველების პოვნის შანსი ნულის ტოლი იყო. მაგრამ ორდენიძეს უკვე იმდენად მოსწონდა ეს ქალი, რომ მის გულის ტკენას ყველანაირად ერიდებოდა.

— როკი როგორაა? — ფიქრიდან ისევ მარიმ გამოარკვია გამომძიებელი.

— ვინ?

— ძაღლზე გეუბნებით. მოკლეს, ხომ, საზიზღრებმა?

— არა, — გაეღიმა ორდენიძეს, — უკვე თქვენი როკიც კარგადაა. ეტყობა, მხოლოდ რომელიღაც ნარკოტიკით გააბრუეს.

— მადლობა ღმერთს! — სიხარულით კინაღამ ტაში შემოკრა მარიმ. — მისი სიკვდილის გადატანა მართლა ძალიან გამიჭირდებოდა.

— ძაღლთან დაკავშირებით რაღაც გაუგებრობაა, — საუბარში სრულიად მოულოდნელად ჩაერთო შორიახლოს მდუმარედ მდგარი ანდრო ლეკიშვილი.

— რას გულისხმობ? — უხალისოდ ჩაეკითხა მას ორდენიძე.

— ჩემი აზრით, მძარცველებმა სერიოზული შეცდომა დაუშვეს, როცა ძაღლი გააბრუეს. ხომ შეიძლებოდა, ნარკოტიკს არ ემოქმედა და მაშინ ამხელა ნაგაზს ძნელად თუ გაუმკლავდებოდნენ. განა მისი მოწამვლა უფრო უპრიანი არ იქნებოდა?

— ალბათ... — დაეთანხმა ხელქვეითს ორდენიძე. თუმცა სინამდვილეში მას ამის თაობაზე სულ სხვა მოსაზრება ჰქონდა.

გამომძიებელი ხვდებოდა, რომ მძარცველებმა ძაღლი სპეციალურად არ მოკლეს, რათა შემდგომ გამოძიებას სრულიად ბუნებრივი კითხვა გასჩენოდა — თუ სად უნდა ყოფილიყო სახლის პატრონი, თუ მისი მცველი, ამოდენა ნაგაზი უვნებელი დახვდათ.

— ჰა, ანაბეჭდების საქმე როგორღაა? — ჰკითხა უცბად ორდენიძემ გვერდით ჩავლილ ერთ-ერთ თანამშრომელს.

— ძალიან სუფთად უმუშავიათ, — უპასუხა მან, — კვალი თითქმის არსადაა დატოვებული.

— ბრიყვები ხომ არ არიან, რომ კვალი დატოვონ... — ხელი საბოლოოდ ჩაიქნია გამომძიებელმა. — კარგი, დროზე დაასრულეთ ყველაფერი და წავიდეთ.

— როგორ, ბატონო ოთარ, ყველანი მიდიხართ? — გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა მარის.

— რა თქმა უნდა. ჯგუფმა მუშაობა უკვე დაასრულა.

— მე?

— რა თქვენ?

— მე რა მეშველება? — კვლავ აკანკალებული ხმით იკითხა მარიმ. — სულ მარტო მტოვებთ?

ორდენიძემ პასუხად მხრები აიჩეჩა.

— მართლა მარტო მტოვებთ? — კიდევ ერთხელ გაუმეორა მას კითხვა ქალმა.

— თუ შინ დარჩენის გეშინიათ, ნათესავთან ანდა სულაც რომელიმე მეგობართან წადით. ხომ გყავთ მეგობრები?

— რა თქმა უნდა, მყავს, მაგრამ აქურობას ასე ხომ ვერ მივატოვებ?

— მაშინ სთხოვეთ, რომ თავად დარჩნენ თქვენთან.

— გამორიცხულია. ჩემი დაქალი ჩემზე უფრო მშიშარაა და დღევანდელი შემთხვევის შემდეგ ჩემს სახლს კარგა ხანს სათოფეზეც კი აღარ გაეკარება.

— მაშინ აღარც კი ვიცი, რა გირჩიოთ, — შეწუხდა ორდენიძე, — მართლა, ძაღლი ხომ მაინც გეყოლებათ გვერდით?

— ჰო, მაგრამ ხომ ნახეთ, რაც დამართეს საწყალს.

— მაშ, რით დაგეხმაროთ?

— დაცვა დამიტოვეთ, — მავედრებელი მზერა ესროლა ქალმა ორდენიძეს.

— დაცვა?

— ჰო, თუნდაც ერთი ადამიანი.

— მესმის თქვენი, მაგრამ ხალხი ისედაც არ გვყოფნის.

— გემუდარებით! — ხმა აუკანკალდა მარის. — იმ მძარცველებს თავისუფლად შეუძლიათ უკან მობრუნება.

— ჰო, მაგრამ მთელი ცხოვრება ხომ ვერ დაგიცავთ?

— რატომ მთელი ცხოვრება? წელან არ მითხარით, დამნაშავეებს მალე დავიჭერთო? — ისეთი საყვედურნარევი მზერა ესროლა ქალმა გამომძიებელს, რომ ამ უკანასკნელმა თავი უხერხულად ჩაქინდრა და ისე დასძინა:

— კარგი, დაცვას გამოგიყოფთ, ოღონდ, ჯერ უფროსობას მოველაპარაკები...

გოგლა ლაღიძე შინ უხასიათოდ ბრუნდებოდა და ამის მიზეზიც ნამდვილად ჰქონდა. ჯერ ერთი, თავი სტკიოდა, მაგრამ პოლიციელებს დახმარებაზე მაინც უარი უთხრა, რადგან ჭრილობის შეხვევას თვითონაც მოახერხებდა. თანაც, იაშვილის სურათთან დაკავშირებული გარიგების გაჭიანურებაც ძალიან აღიზიანებდა. თუმცა, გამომშვიდობებამდე, მარი მდივანმა მისი წამით გვერდით გახმობა მაინც მოახერხა და დააიმედა, რომ ნამუშევარს აუცილებლად იყიდდა.

— ის კი არა და, იქნებ ნაცნობს როგორმე მოელაპარაკოთ და იაშვილის მეორე ნამუშევარიც მაჩვენოთ, — სთხოვა ქალმა, — მე მასაც აუცილებლად შევიძენ.

გოგლამ მარი მდივანს პირობა მისცა, რომ იაშვილის მეორე ნახატის ამბავსაც სასწრაფოდ გაურკვევდა, მაგრამ იმ დღეს დანაპირები ვერ შეუსრულა, რადგან შინაც პრობლემები დახვდა. ლაღიძის ბინაში ვიღაცას შეეღწია და ყველაფერი თავდაყირა დაეყენებინა.

„ალბათ, დღეს მძარცველების მსოფლიო დღეა! — გულში მწარედ იხუმრა გოგლამ, რომელიც არეულ-დარეულ საკუთარ ოთახს გაოგნებული ათვალიერებდა. მეორე ოთახშიც, რომელიც ადრე კოტეს ეკუთვნოდა, იგივე სურათი დახვდა. მხოლოდ კომპიუტერისთვის არავის ეხლო ხელი, რამაც ლაღიძე ოდნავ დაამშვიდა.

— უხ, თქვენი!.. — ერთი გემრიელად შეუკურთხა მან შემდეგ „ანონიმ სტუმრებს“ და სახლის დალაგებას შეუდგა.

დაახლოებით ერთ საათში ბინაში ყველაფერი ისევ თავის ადგილზე იდო და იდგა.

„ეტყობა, ბინის გაქურდვასაც აქვს თავისი პლუსები, — გაეღიმა ლაღიძეს, — ბოლოს აქაურობა მგონი, ორი თვის წინ დავალაგე. ისე, ცოტა უცნაური ქურდები კი ყოფილან, რადგან არაფერი წაუღიათ, კომპიუტერიც კი, რომელიც ასეთ დროს მძარცველების ერთ-ერთი პირველი ლუკმა ხდება ხოლმე. მაშ, რას ეძებდნენ? — წამით ჩაფიქრდა და გონებაც მაშინვე გაუნათდა: — რა თქმა უნდა, იაშვილის სურათს! ერთადერთი, რაც ამ დროს შინ არ მქონდა, ეს სურათი იყო“...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ „გზა“ №2

მამაკაცი ხმას არ იღებდა. ირგვლივ სიმშვიდე გამეფდა, მზეც კი არ გარხეულა ცაზე, თითქოს დროც გაჩერდა. სამყარო წამით გაირინდა.

— საიდან მახსენდები? რას უნდა ნიშნავდეს ეს? — დაარღვია ზურამ დუმილი, დაძრა დრო.

— ადამიანის არსი მის სირთულეშია, — თქვა გოგონამ, — მეცნიერებას ეს ფენომენი ჯერაც ვერ ამოუხსნია. აი, შენ ცხოვრობ შენთვის, ცხოვრობ, ცხოვრობ, ცხოვრობ, მე კი მეტაფიზიკური გოგონა ვარ, მეტაფიზიკური ტერფებით, — ამ სიტყვებით ქვიშაში ამოგანგლული წვივები დაიბერტყა და წამოდგა.

— ნახვამდის.

— ხვალამდე. ხვალაც გნახავ, კარგი? — ზურამ წამოიწია, მაგრამ არ წამომდგარა, სხეული არ დაემორჩილა.

ის წავიდა. კაბა და შარფი ხელზე გადაიკიდა და ნელი ნაბიჯებით დაუყვა ნაპირს. მამაკაცს მოეჩვენა, თითქოს ქალს ფეხი ერეოდა. ალბათ იმიტომ, რომ იცოდა, ზურა თვალს აყოლებდა, მის მზერას გრძნობდა. რამდენიმე მეტრი რომ გაიარა, მოიხედა. ღიმილი გამოუგზავნა, თითქოს მადლობას უხდიდა გამოლაპარაკებისთვის. დიდხანს არ ულაპარაკიათ, მაგრამ ზურა მიხვდა, რომ მათი სულები რაღაცით ერთმანეთთან იყო დაკავშირებული, რითი — ეს კი არ იცოდა. არც ის იცოდა, სად იყო დამალული ის კვანძი, რომელმაც ისინი ერთმანეთში გადახლართა. ამის გაგება ძნელი იყო. ალბათ სადღაც, გამოუცნობ ადგილას, რომელიღაც შორეულ სამყაროში. სადაც ერთმანეთში აირია მისი ბავშვობა, მცხეთაში გატარებული ბიჭობა და მეტაფიზიკური გოგონა (მისი საოცნებო მირანდა)... რაც მეტს ფიქრობდა ამაზე, მით მეტად ივსებოდა წარსულის მოგონებებისადმი ნოსტალგიური სითბოთი. არადა, სადღაც ხომ უნდა ყოფილიყო კვანძი, რომელიც თუნდაც საკუთარ თავთან დააკავშირებდა (ან მირანდასთან). იმედს არ კარგავდა, რომ აუცილებლად მოხვდებოდა იმ შორეულ სამყაროში, იმ გამოუცნობ ადგილას, სადაც იმ გოგონასაც შეხვდებოდა და საკუთარ თავსაც. როგორ სურდა, იქ სითბო ყოფილიყო და კიდევ... სიგარეტი (ლუდიც)... საოცნებოც აღარაფერი დარჩებოდა მერე. იქ გადაიქცეოდა იმად, ვინც იყო სინამდვილეში, ხოლო ის, ვინც იყო სინამდვილეში, გადაიქცეოდა იმად, ვინც ახლა იყო... და ორივე ერთი მთლიანი არსება გახდებოდა. და ორივე ამ პატარა გოგონაზე იზრუნებდა (მეტაფიზიკურ გოგონაზე)... რომელიც ოდესღაც მართლაც ჰყავდა ნანახი. უფრო მეტიც, ახლოს იცნობდა ერთხელ, შორეულ წარსულში (თუ ბავშვობაში), ძალიან ახლოს... ნუთუ?

არა, სადღაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო ასეთი ადგილი...

ზურა მოუთმენლად ელოდა დილის დადგომას, რომ ერთხელ კიდევ ენახა ზღვის გოგონა. მზე ამოცურდა ჰორიზონტიდან, კვლავ თბილი ამინდი გამოვიდა. ისიც ადგა, თუმცა სანაპიროზე გასვლა დააგვიანა. სანამ წვერი გაიპარსა, სანამ ისაუზმა, თორმეტი საათიც გახდა. მერე გავიდა, ამოჩემებულ ადგილას დაჯდა და დაელოდა...

დიდხანს გაგრძელდა ლოდინი... დრომ დრო გაწელა თითქოს... არ მოვიდა. თვალები დაეღალა იმ მხარეს ცქერით (და გულიც), საითაც ის უნდა გამოჩენილიყო, ჯონ უოტერჰაუსის მირანდა. მართლა რომ მირანდა ერქვას, უცნაური არ იქნება? სახელი რატომ არ ჰკითხა? ან მისამართი არ გამოართვა, ან ტელეფონის ნომერი... ესეც განგების ნება იყო ალბათ. რას იფიქრებდა, ასე მოულოდნელად თუ ასცდებოდა იდუმალ ქალს დროსა და სივრცეში? იქნებ იყო უკვე და წავიდა? ასე ადრე? არა, ზურა მხოლოდ საღამოობით ხედავდა მას პლაჟზე. თუმცა, დილაობით როგორ ნახავდა, როცა თვითონაც მხოლოდ საღამოს გამოდიოდა სანაპიროზე? იქნებ ის დილითაც მოდიოდა და საღამოსაც? ჰო... აი, ამაზე კი არ დაფიქრებულა...

საღამომდე ადგილიდან არ დაძრულა. ლუკმა არ ჩასვლია პირში, ერთიორჯერ წყალში შევიდა მხოლოდ, რომ გაგრილებულიყო. ისე მოეკიდა მზე, იგრძნო, ბეჭები როგორ აეწვა (და ცხვირიც). მირანდა არ გამოჩნდა. იქნებ შეგნებულად არ მოვიდა, რომ ზურას მოლოდინი გაემძაფრებინა? იქნებ აქვეა სადმე ჩასაფრებული და შორიდან ადევნებს თვალს, ირონიული ღიმილით შეიარაღებული? მაგრამ რატომ უნდა მოქცეულიყო ასე? იმიტომ, რომ მათი სულების გადახლართვა მანაც იგრძნო? ნეტამც! თუ ასეა, ხვალაც გამოვა და იმედია, აღარ დაემალება თავისი მეტაფიზიკური ტერფებით.

მამაკაცი წამოდგა, ქვიშიანი ხელები დაიფერთხა და ტაატით დაუყვა ნაპირს. ახლა ცივი ლუდი მოუხდებოდა (და სიგარეტიც)...

მაქსის ჩამოსვლის ამბავს სიცილ-ხარხარით იხსენებდნენ მეორე დღეს ოჯახის წევრები. ნუკი ღიმილით უსმენდა ბიცოლას.

— ერთი სული გვქონდა, დაგვენახა, როგორ გამოიყურებოდა. უცებ ვიღაც კაცი გამოჩნდა, ცალ ყურზე საყურით, ორივე მხარეს კიკინით, შორტით და ბოტასით. ხუტას სახე უნდა გენახათ ამ დროს, ლამის გული წაუვიდა საწყალს. ჰა-ჰა-ჰა�ა! მაქსი ეგონა და ისე დაფრთხა, იქვე ჩაიმუხლა, არ წავიქცეო. რა სასაცილო იყო! მერე, როგორც იქნა, მაქსიც გამოჩნდა. მაშინვე ვიცანით. ძალიან ელეგანტურად გამოიყურებოდა. თეთრი პერანგი, შავი შარვალი და ჰალსტუხი! აი, კაცი! აი, სასიძო! მოფერიანდა ჩემი ქმარი, როგორც იქნა და დაწყნარდა.

— აბა, რა იქნებოდა. უცხო ადამიანს ველოდებოდი ჰოლანდიიდან, კაცს, რომელმაც ჩემი ქალიშვილი ინტერნეტით გაიცნო და არ უნდა დავინტერესებულიყავი? კარგად ვიცი ჰოლანდიელების ამბავი, რა უცნაურებიც არიან, ამიტომ არ მინდოდა, ჩემი შვილი პიჟონს გაჰყოლოდა ცოლად. წამივიდოდა გული, აბა, რა მომივიდოდა? კიდევ კარგი, ამაში მაინც გამიმართლა.

— მამა! — აღშფოთდა ეკა და თვალები დააკვესა.

— რა მამა, რა მამა! კიკინებიანი რომ ყოფილიყო, როგორ უნდა მოვქცეულიყავი? შენ თავში ქარები გიქრის, სულერთია, ოღონდ კაცი ერქვას და შარვლიან ცოცხსაც გაჰყვები ცოლად. გათხოვების მეტი არაფერი გიტრიალებს მაგ ცარიელ თავში, — შეუტია მამამ.

— ნეტავ, მართლა ეგეთი ყოფილიყო, რომ გული გაგსკდომოდა, ამის ღირსი იყავი! — გაწიწმატდა ეკა და ტუჩაბზუებული ოთახიდან გავიდა.

— სად არის ის კაცი? — მოისაკლისა ხუტამ სტუმარი.

— ეზოში, გარემოს ათვალიერებს.

— კარგი ბიჭი ჩანს, მაგრამ ნეტავ, იცოდეს, რა ყულფში ყოფს თავს. ეკას გაუძლებს ეგ?

— ხუტა! ნუ იცი შენ ასე ლაპარაკი. ვისზე ნაკლებია ჩემი შვილი, რა სჭირს მაქსის დასაწუნი?

— რა ვიცი, რა ვიცი... — მხრები აიჩეჩა ხუტამ. — მე ახლა, სიმართლე გითხრა, ის უფრო მადარდებს, ერთი კაცი რომ არ მყავს გვერდით, მაგას რომ მეგზურობას გაუწევს, ინგლისურად დაელაპარაკება და არ მოაწყენს. ვინ ვიპოვო ასეთი?

— ვინ და ზურა! ჩვენი ზურა ჩამოსულა თურმე — თბილისშიაო. მიდი ქეთოსთან, გამოართვი ტელეფონის ნომერი და დაურეკე, ჩამოვიდეს. არ დაგზარდება. თანაც, რამდენი წელია, არ გვინახავს, მოგვანატრა თავი.

— შენც მართალი ხარ, თამარ ქალო! ეს რა კარგი იდეა მომაწოდე! ახლავე გავალ ქეთოსთან! — ხუტა პატარა ბიჭივით წამოხტა და მკვირცხლად ჩაირბინა კიბეზე.

ზურას ხსენებაზე ნუკის ოთხმა ფერმა გადაუარა სახეზე (მორიგეობით): გაწითლდა, გამწვანდა, გაყვითლდა და გათეთრდა. ბავშვობის მოგონებები აეშალა. საინტერესოა, რომ ჩამოვიდეს, როგორ შეხვდება? მოეწონება ნუკი თუ არა? რატომ არ უნდა მოეწონოს? ის ხომ ყველას მოსწონს, ვინც კი ნახავს (განსაკუთრებით მამაკაცებს)? მაქსმაც კი ვერ მოაცილა თვალი, რომ დაინახა. ყველა ქართველი ქალი ასეთი ლამაზი და ეშხიანიაო? — ზუსტად ასე თქვა და ეკას ამრეზილი მზერაც დაიმსახურა. რა შტერი გოგოა ეკა. რა იყო ამაში გასაბრაზებელი? ძალიან დაკომპლექსებულია და იმიტომ. ეშინია, ვინმემ არ დაიწუნოს, ვინმემ შეყვარებული არ აართვას. ალბათ არ უყვარს თავისი თავი (ან ძალიან უყვარს)... მასზე ლამაზი ყოველთვის იქნება ვიღაც. ყველაზე ასე უნდა აიმრიზოს (და დაიბოღმოს)? უშველის კი ეს საქმეს? რა თქმა უნდა, არა. იმის მაგივრად, რომ თბილი იყოს და სხვა დადებითი თვისებებით გამოაჩინოს თავი, აგრესიას აფრქვევს (ან ანთხევს). ნეტავ, არ გადაიფიქრებდეს მაქსი მის ცოლად მოყვანას, თორემ მთელ ოჯახს დაერხევა. კონცერტები მერე უნდა ნახო! მის ანჩხლობას ვინ გაუძლებს!

— შენ რა გითხარი, გუშინ ჩამოვედით ჩვენც ქობულეთიდან. რომ მცოდნოდა, იქ იყავი, ხომ გნახავდი? ახლა მომცა ქეთომ შენი ნომერი და ეგრევე დაგირეკე. ესე იგი, ჩამოხვალ, ხომ? თუ დღესვე წამოხვალ, დიდ საქმეს გამიკეთებ, ჩემო ზურა. მე ინგლისური არ ვიცი და ამ ბიჭმა — ქართული. რაზე ველაპარაკო, როგორ გავაგებინო რამე? შენნაირი კაცი მჭირდება ახლა გვერდით და თუ დამეხმარები, ჩემზე იყოს, — ეზოში შემოსული ხუტა ბოლთას სცემდა ჭიშკრიდან კიბემდე და პირიქით, თან მობილური ტელეფონით ხმამაღლა ლაპარაკობდა.

ნუკი სმენად იქცა. ბიძამისის ყოველ სიტყვას სულგანაბული უგდებდა ყურს, რამე მნიშვნელოვანი არ გამომეპაროსო.

— როგორც მოგიხერხდება, ჩემო ზურიკო, ხვალ იყოს, ძმაო, არ არის პრობლემა. ათი დღე რჩება მაქსი ჩვენთან. ნიშნობა გვექნება და მერე გავამგზავრებთ. ასე რომ, გელოდებით ყველანი დიდი ამბით. არ დამაღალატო, მთავარია!.. კარგი, გენაცვალე, აბა, დროებით! დღესაც გელოდები და ხვალაც! — ხუტამ ამაყად ამოიხედა აივანზე და თამარას თვალი ჩაუკრა, — მოდის!

— როდის ჩამოვალო?

— შეიძლება, დღესაც წამოვიდე, მაგრამ უფრო ხვალო. ქობულეთში ყოფილა თურმე, მეხუთე დღეა, იქ ვისვენებო.

— უი, რას ამბობ! ნეტავ, გვცოდნოდა!

— რომ მცოდნოდა, რა, ტელეფონის ნომერი ვიცოდი თუ სახეზე ვიცნობდი, რომ შემხვედროდა?

— კარგი ახლა, როგორ ვერ იცნობდი!

— ვინ იცის, იქნებ სადმე შევხვდით კიდეც ერთმანეთს, გვერდით ჩავუარეთ და ვერ ვიცანით.

— არ არსებობს! მაგ ბიჭის სახეს რა დამავიწყებს, მთელი ბავშვობა ჩვენს სახლში გაატარა. მეორედ არ წამოგცდეს ეგ, არ გრცხვენია?! — დატუქსა ცოლმა ქმარი.

— ჰო, მაგაში გეთანხმები. მე თუ არა, თვითონ ხომ მიცნობდა. შენ მაინც ასიანი გიცნობდა, ჩემო პატარავ, სულ არ ხარ შეცვლილი, — გაეხუმრა ხუტა თამარას და ენა გამოუყო.

— მაგ ლაზღანდარობას გირჩევნია, იმ ბიჭს მიხედო, მოკვდა ეზოს თვალიერებით. ავდგეთ და სვეტიცხოველში წავიყვანოთ, ჯვარზე ავიყვანოთ, რა ვიცი, ათასი რამის ჩვენება შეიძლება.

— აბა, რას ვიზამ, თამარ ქალო, აბა, რას ვიზამ! შენი სიტყვა ჩემთვის კანონია, ჩემო მეორე ნახევაროოო!.. — მხიარულად შესძახა ხუტამ და ჰოლანდიელი სასიძოსკენ გაემართა, რომელიც ეკას რაღაცაზე აღტაცებით ელაპარაკებოდა.

როცა სახლიდან ყველანი გაიკრიბნენ, ნუკიმ ფული ჯიბეში ჩაიდო და პურის მოსატანად გავიდა. დროზე უნდოდა მოესწრო სადილის მომზადება. კარგია, რომ საღამომდე არ მოვლენ, ცოტას დაისვენებს ხმაურისგან (განსაკუთრებით ეკასგან). მოატარებენ ახლა მაქსს მთელ მცხეთას, ხვალ მთელ თბილისს და გააგიჟებენ საწყალს, მერე შეატენიან თავიანთ წითურ ქალიშვილს, გაამგზავრებენ ჰოლანდიაში და ყველას მოეშვება გულზე. მაქსი კარგი ადამიანი ჩანს, ერუდირებული, კულტურული... ეტყობა, უცხოელი რომ არის. ძალიან თავაზიანი და თავდაჭერილია, თან სულ ღიმის. ნეტავ, ზურა როგორია? ერთი სული აქვს ნუკის, როდის



ნახავს ყოფილ მეზობელს. ძალიან იქნება შეცვლილი? რა თქმა უნდა, იქნება. მას ხომ ერთობ ახალგაზრდა ახსოვს იგი. ღმერთო, როგორ ფანტაზიებს აგებდა მაშინ, რა რომანტიკული აზრები მოსდიოდა თავში, გულუბრყვილო, მიამიტური (მაცდურიც)... ახლა კი... ის ალ-

ბათ საერთოდ ვერ შეამჩნევს ნუკის. ამბობენ, ბევრი ფული იშოვაო. ჰოდა, მისნაირი გაღლეტილი რაში სჭირდება მდიდარ ადამიანს? ქალების მეტი რა არის ირგვლივ, რომელსაც ხელს დაადებს, მისი გახდება. არადა, იყო დრო, როცა ზურას სამყაროს ცენტრად მიიჩნევდა. მის გარდა ბიჭი (თეთრი პრინცი) თუ არსებობდა დედამიწის ზურგზე, არ ეგონა.

პური იყიდა და უკან გამობრუნდა, თან ზურაზე გააგრძელა ფიქრი. მოულოდნელად მოსახვევიდან მთელი სისწრაფით გამოვარდა მანქანა, გუბეში ჩახტა და ნუკი ერთიანად გაწუწა. ამ უკანასკნელმა ისეთი შეყვირა, თითქოს გველმა უკბინაო. ჭუჭყიანი წყალი არათუ კაბაზე, სახეზეც შეესხა. ცხვირსახოციც არ ჰქონდა, რომ თვალ-ღაწვი მოეწმინდა. გაბრაზებულმა ხელის ზურგი აისვა სახეზე და განრისხებული მძღოლს მიუბრუნდა, რომელსაც მანქანა გაეჩერებინა და იქიდან თავი გადმოეყო.

— უკაცრავად, არ მინდოდა... მაპატიეთ... — მოუბოდიშა მამაკაცმა და ჯიპიდან გადმოვიდა.

— პირველად ზიხართ საჭესთან? არ იცით, რომ მოსახვევში ამ სისწრაფით არ უნდა იაროთ? — საყვედურის ტონით მიახალა ნუკიმ და მოულოდნელად თავზარი დაეცა... მის წინ ის მამაკაცი იდგა, გუშინწინ სანაპიროზე რომ გაიცნო. „არა, ოღონდ ეგ არა!“ — გაუელვა გონებაში და დამუნჯებული მიაჩერდა უცნობს.

— თქვე-ეენ? — ზურა შეჩერდა და ხელები გაშალა. — მირანდა! აქ ნამდვილად არ გელოდებოდით!

— მე მირანდა არ მქვია, — ხმადაბლა შენიშნა ნუკიმ და ერთიანად გაწითლდა, — მე... მე...

— საიდან გაჩნდით აქ, ციდან ჩამოვარდით? — მაღლა აიხედა ზურამ.

— არა, ხიდან ჩამოვვარდი, — ბრაზიანად უპასუხა გოგონამ და ხელის ზურგი კიდევ ერთხელ მოისვა სახეზე.

— აი, ეს გამომართვით, — მამაკაცმა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ნუკის გაუწოდა, — მაპატიეთ, კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, არ მინდოდა... სრულიად სამართლიანად ვიმსახურებ საყვედურს, ჩემი ბრალია.

ნუკიმ ცხვირსახოცი არ გამოართვა, წარბები კუშტად შეკრა, გატრიალდა და ჩქარი ნაბიჯებით გააგრძელა გზა.

— მოიცათ... მირანდა! — დაეწია მამაკაცის ძახილი.

„მე მირანდა არ მქვია, არ ვარ მირანდა!“ — თითქოს ეჭვიანობსო, გაგულისებული ნუკი უფრო და უფრო უჩქარებდა ნაბიჯს, რომ არ შეჩერებულიყო და კვლავ არ გამოლაპარაკებოდა ნახევრად უცნობს. მამაკაცი მიმავალს კარგა ხანს გაჰყურებდა. მისმა შავმა თმამ, გაბუტულმა ტუჩებმა და სიარულის მანერამ (ვნებიანმა მიხრა-მოხრამ) ბუნდოვანი მოგონებები აღუძრა. თითქოს დიდი ხნის წინ იცნობდა კიდეც მის მსგავს პატარა გოგოს, მაგრამ კონკრეტულად ვინ (და ვისი შვილი) იყო, ვერაფრით აღიდგინა მეხსიერებაში.

ზურას შერცხვა, უკან დასდევნებოდა გოგონას. ამდენი წელია, მცხეთაში არ ყოფილა, ახლა რომ ქალს გაკიდებული დაინახონ, ვიღაცა დასცინებს. არ შეშვენის მისი ასაკისა და მდგომარეობის კაცს ასე ამჩატება (თუნდაც ნახატიდან გადმომხტარი გოგონას გამო). რაც მთავარია, მირანდა აქ ცხოვრობს. ამის მიხვედრა ძნელი არ არის. ცელოფანის პარკში პურები ეწყო. ეს იმას ნიშნავს, რომ შინისკენ მიიჩქაროდა. აი, მივა მამიდასთან და გამოჰკითხავს, წითელ-სარაფნიანი გოგონა რომელ ეზოში ცხოვრობს და ვისი შვილია. ყველაფერს გაარკვევს და მერე გაიცნობს. ვინ იცის, იქნებ ხუტასთანაც შეხვდეს ნიშნობის დღეს. აქ ხომ ასე იციან — ჭირში თუ ლხინში, მეზობლები ერთმანეთს გვერდში უდგანან, ეხმარებიან.

არადა, ოჯახის შექმნაზე საერთოდ არ ფიქრობს. არც მაინცდამაინც გათქვეფილია ქალებში. ტვინი შეუჭამა დედამ, დროა უკვე ცოლი შეირთო და ოჯახს მოეკიდო, პატარა აღარ ხარ, შვილი გინდა, მე კი შვილიშვილი მენატრებაო. ხან ვის გააცნობს და ხან — ვის. ზურა კი ყველა არჩევანს უწუნებს (ირონიული ღიმილით). გააგიჟა ქალი. ეს ბოლო პერიოდი, დედამაც ხელი ჩაიქნია, ამის ნერვები არ მაქვს, თუ ჩემი არჩეული არ მოსწონს, თვითონ მოძებნოს უკეთესო. მამა გულჩათხრობილი ჰყავს ზურას, ასეთ რამეებში არ ერევა. არასდროს უხსენებია შვილთან, რას ფიქრობ სამომავლოდო. თავისებური იყო ზურა ყოველთვის. მშობლების სიტყვაზე არასდროს დადიოდა. ყოველთვის დამოუკიდებლად იღებდა გადაწყვეტილებას. პროფესიაც თავისი სურვილით აირჩია. ფიქრიას მთელი გულით უნდოდა, ერთადერთი ვაჟიშვილი იურისტი გამოსულიყო: კარგი მომავალი ექნება, ან პროკურორი გახდება, ან მოსამართლეო, — შორს მიმავალ გეგმებს აწყობდა დედა. ამაზე ზურას გულიანად ეცინებოდა. ერთი სული მაქვს, მოსამართლის მანტიას როდის მოვირგებ და ჩაქუჩს როდის მოვიგდებ ხელშიო. ადგა და, მშობლების დაუკითხავად, საბუთები ეკონომიკურ ფაკულტეტზე შეიტანა. არც უნანია. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ამერიკაში გაემგზავრა და იქ გააგრძელა სწავლა.

ეჰ, მას შემდეგ იმდენმა წყალმა ჩაიარა (ბევრი პრობლემაც შეხვდა)... კარგი კი იყო უცხოეთში, მაგრამ თავისი ქვეყანა ყველაფერს ურჩევნია. ამიტომაც, როცა სწავლას მორჩა და საქმიანი პრაქტიკაც გაიარა, დაკრა ფეხი და უკან დაბრუნდა.

ახლა ბიზნესიც აქვს, საკუთარი ბინაც და მანქანაც. ერთადერთი, ცოლი არ ჰყავს და შვილები (არც საყვარელი ქალი). უნდა კი? უნდა, როგორ არა, მხოლოდ ხმამაღლა არ უტყდება საკუთარ თავს ამაში. მართლა აღარ არის პატარა, ნელ-ნელა ბერდება უკვე, წლები და ჭაღარა ერთნაირად ემატება. პრობლემა ის არის, რომ ისეთი ქალი ვერ იპოვა, მის გულთან ახლოს მოსულიყო. ვინც კი პირველ ნახვაზე მოეწონა, მერე და მერე ყველას მნიშვნელოვანი ნაკლი აღმოუჩინა. თვითონაც არ იცის, რას გულისხმობს მნიშვნელოვანში, რადგან ერთის სახე თუ არ მოსწონს, მეორეს ტანს უწუნებს, მესამეს — სიმაღლეს, მეოთხეს — ერუდიციას, მეხუთეს — ხასიათს, მეექვსეს — ჩაცმის სტილს და ა.შ. არადა, ხომ შეიძლება, სადღაც ერთი მაინც აღმოჩნდეს უნივერსალური (გულის გამთბობი)? ყველაფერი რომ თავის ადგილას ჰქონდეს, რბილი ხასიათისაც იყოს და ცოტათი ნაკითხიც? მთლად ტყემალზე არ უნდა იჯდეს ქალი და ვაშინგტონს და ვარშავას მაინც უნდა არჩევდეს ერთმანეთისგან. ნუთუ ეს ასე ბევრია? ხშირად იმაზეც უფიქრია, იქნებ ბერბიჭული ტიკები დამეწყოო? ჩვევად ექცა უკვე, როგორც კი ვინმე თვალში მოუვიდოდა, მის დადებით მხარეზე კი არ ამახვილებდა ყურადღებას, პირველ რიგში ნაკლს ეძებდა ქალში და აქედან იწყებდა გაცნობას (შეცნობას უფრო).

აი, მაგალითად, მირანდა... ის ყველაზე განსხვავებული აღმოჩნდა მათ შორის, ვინც აქამდე გაიცნო, თუმცა ნაკლი მასაც აღმოუჩინა. ძალიან თამამიაო, პირველსავე გამოლაპარაკებისას დაასკვნა გუნებაში. როგორ მომიშვირა ფეხები და თავისი ტერფები მაჩვენაო. ამერიკაში გაზრდილს (ლამის გაზრდილს), წესით, ეგ არ უნდა გაჰკვირვებოდა. იქ მართლა არ გაუკვირდებოდა, აქ კი, საქართველოში, ათი წუთის გაცნობილი გოგო რომ ტერფებზე ხელს მოგაკიდებინებს, მისი აზრით, ცოტა დასაფიქრებელი უნდა ყოფილიყო.

სასიამოვნოდ გაბრუებული მიადგა ჭიშკარს. რას იფიქრებდა, ჯონ უოტერჰაუსის მირანდა მცხეთელი თუ იქნებოდა და აქ ცხვირწინ შეეფეთებოდა? თანაც, რა სიტუაციაში?! არც მეტი, არც ნაკლები, ტალახიანი წყლით გაწუწა. ესეც ბედის ირონიაა, სხვა არაფერი. რამდენი წელია, აქეთ არ ყოფილა. გული უცნაურად უცემდა. ჭიშკართან მამიდა გამოეგება. ქალის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. როგორ დაბერებულა მამიდა, გამხდარა, მხრებში მოხრილა...

ნახევარი საათიც არ იყო გასული,

რომ ზურას სახლი მეზობლებით გაივსო. უკვე მთელმა ქუჩამ იცოდა მისი ჩამოსვლის ამბავი. მოდიოდნენ და მოჰქონდათ მოსაკითხები — ზოგს თავისი ბაღჩის პომიდორი, ზოგს კიტრი, ზოგს ატამი და ზოგს კიდევ საზამთრო. ვისაც რა შეეძლო, ვინ რა სიმდიდრის პატრონიც იყო, იმის დემონსტრირებას ცდილობდა დიდი ხნის უნახავ მეზობელთან. თან, ყველა მათგანი ბოლოს ერთსა და იმავე შეკითხვას უსვამდა: — ცოლი არ მოგყავს, ბიჭოო? ესენიღა მაკლდნენო, ეღიმებოდა ზურას და ეშმაკურად პასუხობდა: — არავინ მომყვება და რა ვქნაო! როცა მეზობლები წავიდნენ, ზურა მამიდას მიუჯდა გვერდით.

— აბა, ქეთო, მომიყევი, რა ხდება კორძაძეებთან, რა ზეიმი აქვთ?

— რა ვიცი, შვილო, მსუქანა ეკას ათხოვებენ, მგონი, ვინცხა უცხოელი ჩამოსვლიათ და...

— ეგ გავიგე, ჰოლანდიელი ყოფილა.

— ჰოლანდიელია თუ აფრიკელი, არ ვიცი, მარა ნამეტანი წითური რომაა, ქე დევინახე.

— რა მოხდა მერე, წითური ადამიანი არ არის? — გადაიხარხარა ზურამ.

— ადამიანი რავა არაა, შვილო, მაგრამ ის თავისი გოგოც რომ ნაკვერჩხალივით წითელია, მაგას რა ეშველება? ორ წითელს შემწვარი გოჭივით წითელი შვილი რო ეყოლება მერე, თუ იცი?! ათი ვერსიდან დეინახავ, „ლამპოჩკასავით“ რო გაანათებს! — გურულ-მეგრული ერთდროულად მოიშველია მამიდამ (ცხონებული ქმარი ჰყავდა გურული).

ზურა ხარხარებდა. მოულოდნელად, თითქოს რაღაც გაახსენდაო, სიცილი შეწყვიტა და სერიოზული სახით გადახედა ქეთო მამიდას.

— ერთი გოგო დავინახე წეღან, პური მოჰქონდა. წითელი სარაფანი ეცვა. შავგვრემანი იყო, შავთმიანი, ლამაზი, ჯიშიან ფეხებზე იდგა... ვისია, ხომ არ იცი?

— მაგნაირების მეტი რა დადის, ბიჭო, ჩვენს ქუჩაზე. რა ვიცი, რომლის იყო. თუ ძალიან ლამაზი გეჩვენა, ხუტას ნუკი იქნებოდა ან შალიკოს მაყვალა. ისე, სხვაც ბევრია შავგვრემანი.

— ხუტას ნუკი? — ჩაეკითხა ზურა და იგრძნო, როგორ აუჩქარა გულმა ცემას.

— არ გახსოვს ნუკი? ხუტას ძმა რომ დეეღუპა, იმის გოგოა. იმფერი ხშირი თმა ჰქონდა ბაღნობაში, სულ მაჯისსიმსხო ნაწნავებს დაატარებდა. ახლა აღარ კადრულობს ნაწნავებს, ქალობს უკვე. მარა კაი გოგო კია, წესიერი, კეთილი და თბილი. ყველას ძალიან გვიყვარს. იმ ეკამ გაუმწარა სიცოცხლე, თვარა სხვა მხრივ არაფერი უჭირს.

— ეკას რაღა უნდა?

— მე კი ვიცი, რაც უნდა, მარა მაგის მშობლებს ესმით? ვერ აუტანია, მასზე ლამაზი რომაა და ამაზე მწარდება. მერედა, რა ენა აქვს? ალესილი, „ბრიტვასავით“ სერავს სუყველას.

— მეც არ ვთქვი, საიდან მეცნობამეთქი? აღარც მახსოვდა ეგ ბავშვი, როგორ შეცვლილა.

— რავარც იქნა, მიხვდი. ჰო, ეგ არის. შენთვის ნამეტანი პატარაა, თვარა უკეთეს საცოლეს ვერ იპოვიდი, რომ იცოდე... მარა ბაღანაა თლა.

ზურას სიამოვნების ღიმილმა გადაურბინა სახეზე. „ბაღანა“ მოეწონა „ნამეტნავად“. უძახე შენ „ბაღანა“, კარგად კი გათქვირებულა და... რა გაკნაჭული იყო მაშინ, ახტაჯანა, კიკინებიანი გოგო... თუ ნაწნავებიანი? არა, კიკინებიანი. ნაწნავები სკოლაში ჰქონდა. როგორც კი სკოლა დაამთავრა, თმა შეიჭრა და კიკინები გაიკეთა. ეს კარგად ახსოვს ზურას, რადგან ისე დასწყდა გული მის თმაზე, რომ უსაყვედურა კიდეც ერთხელ, რატომ შეიჭერი შენი სიმდიდრეო. სხვა სიმდიდრეებიც მაქვსო, მაშინ ასე უპასუხა ნუკიმ და ზურამ ისე გაატარა მისი სიტყვები, თითქოს ქვეტექსტს ვერ მიუხვდა (არ შეიმჩნია). მისთვის მთლად ბავშვი იყო მაშინ ნუკი და იმიტომ. ახლა კი... ახლაც ბავშვია. და მისთვის ყოველთვის ბავშვად დარჩება, რადგან გაცილებით უმცროსია.

— სახლში არიან, თუ იცი? — ფიქრებში წასულმა ჰკითხა მამიდას.

— ვინ, შვილო?

— ხუტა და მისიანები.

— აბა, რა ვიცი. ის უცხოელი ჩამოუვიდათ წუხელის და დაატარებენ მგონია, აქეთ-იქით. დაურეკე და გაიგებ, ან გადადი. თვითონ თუ არა, ნუკი მაინც იქნება შინ. მაგი მოსამსახურედ სჭირდებათ მხოლოდ. მე შენ გეტყვი, თან წაიყვანენ, თუ — რა.

— რატომ არ წაიყვანენ? ამას წინათ, ქობულეთში ჰყავდათ, ნამდვილად ვიცი.

— ეგეც ხუტას დამსახურებაა... მაგის წყალობით დაჰყავთ, თვარა სხვა დროს სახლში ჰყავთ გამოკეტილი. მთელი ქუჩა კორძაძეების მზეთუნახავს ეძახის.

— ოჰ, კარგი ახლა, არც ისეთი მზეთუნახავია.

— შენ, შვილო, ქვაზე დახატული ეშმაკის მსგავსი, ამერიკელი უნიფხვო ქალების ცქერას ხარ მიჩვეული და აგი ჩვენი ანგელოზი გოგო რავა მოგეწონება. ვიცი შენი ამბავი, კაი ტარტაროზი ხარ! — თითი დაუქნია მამიდამ და თავშალი გაისწორა.

— კარგი, ჰო, ნუ გამომლანძღე ტექნიკურად. მშვენიერი გოგოა, ცუდი არაფერი მითქვამს. წავალ ერთი, თუ არიან სახლში, ვინახულებ. ხუტამ მთხოვა, დამეხმარე, უცხო კაცს ვერაფერს ვაგებინებო, — თქვა ზურამ და წამოდგა.

— რას გააგებინებს, ღერი ინგლისური არ იცის და... ის თავისი ჟღალთმიანი მსუქანაც, ვითომ ინგლისურად ველაპარაკებიო, ატყუებდა მამამისს და თურმე ნუკი უთარგმნიდა, რა უნდა ეთქვა. აწი რა ეშველება, იმ გოგოს თან წეიყვანს თუ რაფერ აპირებს ქმართან ლაპარაკს, არ ვიცი.

ზურამ ჩაიღიმა. სახლში შევიდა, წყალი გადაივლო, თმა გადაივარცხნა, სარკეში საგულდაგულოდ ჩაიხედა და ეზოდან გავიდა.

კორძაძეები მეორე მოსახვევში ცხოვრობდნენ. ზურამ შეატყო თავის თავს, რომ ნერვიულობდა. ნეტავ, რატომ? მირანდასთან შეხვედრა აღელვებდა ასე თუ დიდი ხნის უნახავ ნუკისთან?

ჭიშკართან მისულს დაძახება არ დასჭირვებია. ნუკი ეზოში დახვდა, წინკარს გვიდა. გოგონა ზურგშექცევით იდგა, ოდნავ წინ გადახრილი და ენერგიულად უსვამდა ცოცხს მოასფალტებულ მიწას. მოკლე წითელი სარაფანი მუხლს ზემოთ გვარიანად ახტომოდა და ზურასთვის უკვე კარგად ნაცნობი გარუჯული ფეხები მთელი თავისი ბრწყინვალებით მოუჩანდა.

— შეიძლება? — ხმამაღლა დაიძახა, რომ გოგონასთვის გაეგონებინა.

ნუკი წამით თითქოს გაშეშდა, მერე ნელ-ნელა გაიმართა წელში და მოტრიალდა. ღაწვები კაბისფერი გახდომოდა.

— მობრძანდით, — მორცხვად წარმოთქვა, ცოცხი იქვე მიაგდო და ხელის ზურგით შუბლზე ჩამოშლილი თმა გადაიწია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

უცნაური ქორწილი

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, საყვარელო და ტკბილო მგზავნელებო... თუმცა, „მწარეებმა“ რა დააშავეთ? როგორც ვხვდები, ჩვენმა მგზავნელებმა მწერლობა დაიწყეს და ამბებს კი არა, პირდაპირ რომანებს მიგზავნიან. მაგრამ, სასაყვედურო მხოლოდ გზავნილის ზომასთან დაკავშირებით მაქვს. რაც შეეხება შინაარსს, ამ მხრივ ყველაფერი, როგორც იტყვიან, ოკეი. ჰოდა, რაღა დაგიმალოთ და ჩემი შესავლის ადგილიც აღარ მაქვს, მაგრამ ოღონდ თქვენ წერეთ და ვინ ოხერი დაგიშლით? მოკლედ, ასე... გავეცნოთ ამ კვირაში მოსულ მესიჯებს და რომელიც ახლა ვერ დავტიე, იმას მომავალ კვირაში შემოგთავაზებთ.

„რუსულად“ აღშფოთებული

მოსკოვში ისეთი დილა თენდებოდა, თითქოს გავალდებულებდა, სასწრაფოდ წამომხტარიყავი, დილის ვარჯიში გაგეკეთებინა, დილის ტუალეტი მოგესტუმრებინა და ნაჩქარევად გესაუზმა. მამაჩემიც ძალაუნებურად აჰყვა ამ რიტმს და ჩემი ჩათრევაც უნდოდა. თბილისში დილაობით ვარჯიში კი არა, ძილს რომ ძლივს ვართმევდით თავს, აქ, მოსკოვში, რადიოს ხმაზე, ტრუსის ამარა დილის გამამხნევებელი ვარჯიშით იყო დაკავებული და მეც იმავეს მაიძულებდა.

თუმცა, როგორც იქნა, ამოვაგდე მოსკოველთა აფორიაქებული, მაგრამ ამავე დროს, მდორე ცხოვრების კალაპოტიდან. ერთ მშვენიერ დღეს ლენინგრადში მატარებლით გავემგზავრეთ. ნაშუადღევს, სანაყინეში ცხელ შოკოლადს გეახლებოდით. ალექსანდრე ნეველის მოედანზე მამას მეგობარი გველოდა. ამიტომ მაჩქარებდა და თვითონაც წასასვლელად ემზადებოდა. ჩვენს მეზობლად ახალგაზრდა წყვილი შეექცეოდა ნაყინს. გოგონა აშკარად უხალისოდ იყო და მისი უკმაყოფილო, მაგრამ წკრიალა და სუფთა ხმა ჩვენს ყურამდეც აღწევდა.

— „ჩტო, ტებე ჟალკო, სტაკან კოქტეილია“?

ბიჭი კი უკვე მერამდენედ უხსნიდა: — „მი ტუტ პოელი ნა ტრი შესტდესიატ, უ მენია ვოსემდესიატ კოპეეკ ნა კინო ი ეშჩო სოროკ კოპეეკ ნა დოროგუ, მოჟეტ ნა მარშრუტნომ პრიდიოტსა დობირატსა დომოი“.

— „ნუ იგორ, და ვედ უ ტებია ეშჩო ჩირიკ“ — საყვედურით ახსენებდა გადანახულ, წითელ თუმნიანს გოგო.

ცნობისმოყვარეობა არ მასვენებდა. ჩემ თვალწინ ნაღდი, შეუფერადებელი, რუსული სცენა თამაშდებოდა. მამას ვთხოვე, მარტო წასულიყო იმ პირობით, რომ მოგვიანებით მეც მის მეგობართან მივიდოდი. თავი უნდილად გადააქნია, მაგრამ იმ შუაგულ რუსეთში ძიძგილაობას ხომ არ დამიწყებდა და კაფედან მარტო წასვლამ მოუწია. სანაყინეში კი ვითარება უკიდურესად იძაბებოდა და მეც აზარტში შესული, დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს მოვლენების განვითარებას. მაშინ ვნახე პირველად და ცხადად შევიგრძენი, რას ნიშნავს გოგოს აპილპილება. გოგონა ფეხზე იდგა და ისე ეუბნებოდა თანმხლებს, უკანასკნელად, გეუბნები, მინდა კოქტეილი მიყიდო, მაგრამ შეიძლება არც დავლიოო... ამ დროს ბიჭმა, რომელიც ჩემკენ ზურგით იჯდა, მაგიდას დაჰკრა ხელი და გოგოს დაუყვირა:

— „ვსიო, ვიშლი იზ კაფე ი პოიდიომ ვ კინო“...

გოგონამ კი ჩანთა მხარზე გადაიკიდა, თავის ქურთუკს დაავლო ხელი და იმის მაგივრად, თავის „კავალერს“ გაჰყოლოდა, მოულოდნელად ჩემს მაგიდასთან გადმოინაცვლა. სკამი გამოსწია და ურცხვად ჩამიშვა:

— „ვაშე პრიგლაშენიე ეშჩო ვ სილე“?

ახლა ვაღიარებ, რომ მამაჩემის გასვლისთანავე ორი კოქტეილი შევუკვეთე — ერთს მე შევექცეოდი, ხოლო მეორე, გოგონას დასანახავად, თავისუფალი სკამის წინ დავდე. რაღაც მომენტში დრო ვიხელთე და როცა მისი მზერა დავიჭირე, ცალი ხელი გულზე დავიდე, მეორე კი კოქტეილისკენ გავიშვირე, რაც ჩემი ჭკუით, გულითად მიპატიჟებას ნიშნავდა. არაფერი შეიმჩნია რუსმა ლამაზმანმა იმ მომენტამდე, სანამ ჩემს მაგიდასთან არ გადმოინაცვლა და სკამზე მოწყვეტით არ დაეშვა.

იმავ წამს ჩვენს (უკვე ჩვენს) მაგიდასთან ქერათმიანი, რუსული, აპრეხილი ცხვირითა და „რუსულადვე“ აღშფოთებული იგორი აისვეტა. გოგოს მხარში წაავლო ხელი და შეაჯანჯღარა:

— „ტი, ჩო, მარია... სოვსემ, ჩტო ლი... ა ნუკა, დავაი, ვალი ოტსუდა“...

ჩემდა გასაოცრად, არ გავბრაზებულვარ. მეტიც, ვაცნობიერებდი, რომ აქ ყვირილი და შეხლა-შემოხლა ჩემ სასარგებლოდ არ იმუშავებდა. ჩემს გონს და მეტყველებას ვიღაც მართავდა:

— „ტი გოსტია მოეგო ნე ტროშ... სამ პრისიად, გოსტემ ბუდეშ... ტოლკო ლაპი უბერი“...

თითქოს ჩემი სიტყვები არ გაუგონიაო, მაინც მარიას ეძალავებოდა — სურდა, სკამიდან აეყენებინა. მარია კი თავს ოსტატურად ითავისუფლებდა და ბრძოლით მოპოვებულ კოქტეილს ნეტარებით წრუპავდა, თუმცა შიგადაშიგ დიდ, ცისფერ თვალებს შემოგვატარებდა ხოლმე. სკამი ხმაურით გავწიე და მძიმედ წამოვდექი.

— „და ტი ჩტო... და ია“...

— „ა ნიჩტო... პროსტო ნადოელ ტი მნე ი ვალი ოტსუდა, პო ხოროშემუ“...

— „და ტი ჩტო... ია ტებია... ტი ჩო ვოობშე“...

— „ვალი ბრატან, ვალი, დაი ლუდიამ პოსიდეტ სპოკოინო“...

იგორმა რაღაც დაიქადა და სანაყინეს კარი ხმაურით გაიჯახუნა. სკამი მაგიდასთან მივაჩოჩე და ვიგრძენი, რომ დაძაბულობას ერთიანად ვყავდი ატანილი. მარია კი, ვითომც არაფერი, კოქტეილს შეექცეოდა და ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა მართლაც ლამაზ სახეზე. მერე აუჩქარებლად მიირთვა ნამცხვარი და შემომცინა:

— „პორა სმატივატსა... ონ ვერნიოტსა ი ნე ოდინ... პრივედიოტ ნავერნო სვოიხ გორილ“...

ვცდილობდი, თავი არ გამეცა და აუღელვებლად გავსულიყავი სანაყინედან. ნევსკისკენ ნელ-ნელა მივსეირნობდით, როდესაც მარიამ სახელოზე დამქაჩა:

— „სმოტრი, სმოტრი, ონ ვერნულსა სო სვოიმი ამბალამი“...

მართლაც კარგად ჩანდა, სპორტულებსა და მოკლესახელოიან, „ადიდასის“ მაისურებში „გამოპრანჭული“ რამდენიმე თავგადახოტრილი ახალგაზრდა როგორ შევარდა სანაყინეში. ერთიც გარეთ ელოდებოდა, ხელზე დახვეული, ვერცხლისფერი, მაჯისსიმსხო ჯაჭვით. ის ჩვენკენ იცქირებოდა, შემდეგ ადგილს მოსწყდა და ისიც სანაყინეში გაუჩინარდა.

— „ვსიო, ხანა, ესლი ნე სვალიმ“ — ღონივრად მიბიძგა მარიამ რომელიღაც ეზოსკენ.

პატარა, ლამაზ და ქვაფენილით მოკირწყლულ, გოგოლის ქუჩაზე გავედით. მარიამ რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა და შესაშური ხმის ტემბრით წაუმღერა: „ვოტ ეტო ულიცააა, ვოტ ეტოტ დომ, ვოტ ეტა დევუშკაა ჩტო ია ვლუბლიოონ“.

— ამ სახლში პუშკინის „პიკოვაია დამას“ პერსონაჟის პროტოტიპი, ნატალია გონჩაროვა ცხოვრობდა, რომელიც ბებიაჩემის დიდი ბებია იყო და ახლა შენც გაგაცნობ...

ძველებური სადარბაზოს კიბეს ავუყევით. მარიამ კარზე იქვე ჩამოკონწიალებული, კოხტა ჩაქუჩით დააბრახუნა. კარს მიღმა ნაბიჯების ხმა გაისმა, შემდეგ კარი ოდნავ გაიღო და ერთიანად გათეთრებულმა ბერიკაცმა თავი გამოყო. მარია როგორც კი დაინახა, აიმრიზა:

— „ტებე ჩიო ნადო... იავილას ტოჟე მნე... ხახალია პრივოლოკლა... ნე პუშჩუ ია ტებია ვ დომ“...

ამ დროს კარს ფაშფაშა დიასახლისიც მოადგა. მარია ერთიანად ალანძული იდგა, ტუჩებს იკვნეტდა და აშკარად ნანობდა იქ მისვლას.

— რისთვის მოხვედი ან შენი კურო აქ რას მომაყენე? — მკვახედ შეეკითხა ბებია შვილიშვილს. — ხომ გითხარი ერთხელ გასაგებად, არ დამანახვო ეგ „გორსალი“, არც დედაშენმა და არც შენ. მოვკვდებით მე და ბაბუაშენი და მერე მობრძანდით, არ ამოგწერ ბინიდან, არ ინერვიულო...

პასუხს არ დალოდებია, კარის დაკეტვას აპირებდა, მაგრამ ფეხი დავუხვედრე და მოტანილი ტკბილეული გავუწოდე:

— ეს თქვენ, თეთრი ღამეების დადგომასთან დაკავშირებით, — მისვლის სხვა მიზეზი ვეღარ მოვიფიქრე.

ყურადღებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა და შვილიშვილს მიუბრუნდა:

— ეს ის არ არის... ვინაა? ან რა ჩემი საქმეა... გაქრი აქედან, პატარა როსკიპო, — და კარი ხმაურით მიხურა. მარიამ ცრემლიანი თვალებით გამომხედა. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ამ დროს კარი ისევ გაიღო და ბებიამ პირდაპირ მე მომმართა:

— ქართველი ხარ? თუმცა, რას ვკითხულობ... მამალიგა, ლობია, გენაცვალე, გოგია... მამალიგა იცი, ბიჩო? — ქართულად მკითხა და ქმარს მიუბრუნდა. — ქართველია, ხომ გითხარი... ამ ჯიშს კილომეტრში ვგრძნობ... ევგენია ვასილევნა გონჩაროვა, — დარბაისლურად წარმომიდგა და მეუღლეც გამაცნო, — ეს კი მარიას ბაბუა გახლავს, ალექსანდრ კუზმიჩი ან უბრალოდ, კუზმიჩი. სახლში ღიმილით შეგვიძღვა, მაგრამ შვილიშვილთან მაინც უბრად იყო ბებია-ბაბუა. ჩემი თხოვნით, სამზარეულოში „სამოვარს“ შემოვუსხედით და ხანგამოშვებით სომხური კონიაკით ქართულ-რუსული სადღეგრძელოებითაც ვიქცევდით თავს. სწორედ იმ სამზარეულოში გამიმხილა ევგენია ვასილევნამ, რომ ქართველებზე „სამუდამოდაა“ შეყვარებული. გაიხსენა, როგორი პატივი სცეს პატარა, ზღვისპირა დაბაში. გაიხსენა ვინმე მიხაკო, საბჭოთა კავშირის გმირი, რომელმაც სოფელ „ტვორეცში“ ჩაიყვანა ევგენია და კუზმიჩი... იქ კი...

— ღმერთო ჩემო, უფალო, შეგვიწყალე... იქ ეკლესიას რომ ვათვალიერებდით, მღვდელი გამოვიდა და დაგვლოცა... მიხაკოს ამერიკელი სტუმრები ახლდნენ, რომლებიც ითხოვდნენ, ძველი, ქართული ტრადიციები გაეცნოთ მათთვის. ადგა ეს ჩვენი მიხაკო და მღვდელს მიეჭრა, ჯვრისწერის ცერემონია უნდა ვაჩვენოთ ამერიკელებსო. მღვდელმა ჩაიქირქილა, შენ და ამ ლამაზ რუსის გოგოს დაგწეროთ ჯვარიო?! მივხვდი, ჩემზე ლაპარაკობდნენ რაღაცას და გეფიცები, ყველაფერზე თანახმა ვიყავი...

— აბა, აბა, ნუ სულელობ ამ სიბერეში, — ხუმრობით დაუბღვირა კუზმიჩმა, — ისე, იმ სოფელს სხვა სახელი ერქვა, ჩვენ გვითარგმნეს და ასე დაგვამახსოვრდა — „ტვორეც“.

— შემოქმედი, — წამოვიყვირე გახარებულმა და არანაკლებ გაიხარეს მოხუცებმა, დაუვიწყარი და ტკბილი მოგონებებით.

— დიდი იუმორის მქონე და ენაკვიმატ ხალხში მოვხვდით, — გააგრძელა კუზმიჩმა, — რაღა ბევრი გავაგრძელო, მე და ჟენია საკურთხეველთან დაგვაყენეს და ჯვარი დაგვწერეს... მერე „კრიმანჭული“ გვიმღერეს და ჩოხიანმა ვაჟებმა ხანჯლებქვეშ გაგვატარეს... ამერიკელები გონზე არ იყვნენ, სულ „ჯორჯიარაშას“ გაყვიროდნენ. მთავარი მაინც ზღაპრული სუფრა იყო...

— სადაც შენ ულმერთოდ ჩასკდი, — ნიშნის მოგებით შეახსენა ევგენიამ.

კუზმიჩს ვითომ არც გაუგონია მეუღლის კომენტარი, მშვიდად განაგრძო:

— სუფრას თვითონ მიხაკო თამადობდა და ერთ-ერთი პირველი, მშვიდობის სადღეგრძელო შესვა, დიდი ყანწით. მაშინ გავიგე პირველად „ალავერდის“ მნიშვნელობა. ჰოდა, ბრძანა მიხაკომ, ალავერდი ვარო, სუფრას თვალი მოავლო, მერე ამერიკელებს მიაშტერდა, ერთ-ერთი გამოიხმო და ხმამაღლა დასჭექა, ალავერდი ვარ ამერიკის პრეზიდენტ, რონალდ რეიგანთან, გადაეცით მას ეს წყვილი ყანწი და იქ, ოკეანგაღმეთში შესვას მშვიდობის სადღეგრძელოო. შემდეგ ორი მომცრო, მოვერცხლილი ყანწი ხელში შეათამაშა, ესენი კი ჩემი საქორწილო საჩუქარია ალექსანდრეს და ევგენიასთვის, ჰოდა, ჩემო ძვირფასო, გამომართვი ახლა ეს ყანწი და მშვიდობა უსურვე ქართულ-რუსულ მეგობრობას...

უხმოდ გადავკარით. ბებია-შვილიშვილმა კი მართლაც უზადოდ გვიმღერა რუსული ხალხური სიმღერები. ევგენიამ პატარა ყანწით სიყვარულის სადიდებელი შესვა და საოცრად ტკბილი ხმით ჩაარაკრაკა: „ტვალი ტვალს რომ დაშორდება, გულიც გადასხვაპერდება... შენ დჟვარს იცერდი იმ გამეს, ჟენია, ჟენია, იმ გამეს მაგ ტვალტა სმერტ... იქ იყო ერთი კაცი... ძალიან ლამაზი სახელი ჰქონდა — ყვავილის სახელი — ია, ქალებსაც ჰქვია თურმე. ნუ, ხო, რაც იყო — იყო... იყო, არ იყო, — ხელი ჩაიქნია და კონიაკი გადაკრა.

ამ დროს მამაკაცის სასიამოვნო ბარ-

იტონით შესრულებული „მამაო ჩვენო“ გაისმა. კარში ანაფორაში გამოწყობილი, ოლარმოსხმული კუზმიჩი იდგა და ქადაგებდა: „სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა გაცხადებთ ცოლქმრად“, — მოგვიახლოვდა მე და მარიას, თავზე ხელი დაგვადო და დაიყვირა — „გორკაااა“!

გულიანად ვიცინეთ. თურმე კუზმიჩის მამა მოძღვარი იყო და მის ნივთებს სათუთად ინახავდნენ. ჟენია ბებომ, — მარტო ეს საკმარისი არ არისო, — და ოთახიდან გავიდა. მოულოდნელად გაისმა მენდელსონის მარში და დიდი, სადღესასწაულო ბაფთით მკერდდამშვენებული ევგენია ვასილევნა გამოჩნდა. მან საზეიმო და ოფიციალური ხმით გამოგვაცხადა მე ქმრად, მარია — ცოლად და სამოქალაქო ქორწინება კანონიერად ცნო. დასასრული კი ტრადიციული იყო: „გორკა“, ამხანაგებო!

მარიას ბებია წლების განმავლობაში სარიტუალო სახლის დირექტორი ყოფილა. დაგვათენდა, თუმცა, როდის დაგვაღამდა?! გარეთ სრულიად ნათელი ღამე იდგა. ბებია და შვილიშვილი კიდევ დიდხანს საუბრობდნენ ტკბილად და შემთხვევით, მარიას სიტყვებიც მომწვდა:

— ია ხომ იყო შენი წუთიერი სისუსტე?.. ისე ვარ მეც ახლა, მის მიმართ... იგორიც უკვე დიპლომს იცავს. მამამისმა უკვე გაუკეთა ატაშეს ადგილი საელჩოში და მალევე გავემგზავრებით... მე, მარია გონჩაროვა, მომავალი დიპლომატის მომავალი ცოლი ვარ და... არადა, რა მაცდური და თან რა გულწრფელი აქვს ამ ქართველს ეს ეშმაკური ულიბკა?!

წიოკქორწილი

„ისეთი თემაა, არ შემიძლია, არ მოგიყვეთ ერთი (ვისთვის სასაცილო და ვისთვის — სატირალი) ქორწილის შესახებ: ჩემი ნათესავის „ხელმოწერაზე“ ვიყავი. კონკასთან ვდგავართ და როგორც ხდება ხოლმე, ჩვენ გარდა კიდევ რამდენიმე წყვილი დგას. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ მაღალქუსლიან ფეხსაცმელს შეუჩვეველი ვარ — წელიწადში მაქსიმუმ, 2-3-ჯერ თუ ვიცვამ, საჭიროების შემთხვევაში. ამიტომ, ლოდინისგან დაღლილმა და მაღალ ქუსლებზე დგომისგან ფეხებნატკენმა გადავწყვიტე, შეუმჩნევლად შევმძვრალიყავი ერთ-ერთ მანქანაში, სანამ ჩვენი შესვლის რიგი მოაღწევდა. ასეც მოვიქეცი და ბედნიერმა, მაშინვე გავიძრე ფეხსაცმელები.

ის-ის იყო, ყურსასმენებში უსაყვარლესი კომპოზიცია ავაჟღერე და თვალები დავხუჭე, რომ განწირული წივილ-კივილი მომესმა და პირველი, რაც გავიფიქრე, ის იყო, რომ ამ კომპოზიციაში კივილის ელემენტები არ მახსოვდა და გამიკვირდა, საიდან მოვიდა-მეთქი. გაოგნებულმა თვალები გავახილე და რას ვხედავ?! კოლმეურნეობის მოედნიდან კონკისკენ საქორწილო კოლონა ეშვება. წრეზე ასაკოვანი და ახალგაზრდა ქალები დგანან და ცეკვა-თამაშით „მოქრიან“. წრის შუაში „მოცანცარებს“ პატარძალი, ასევე გაშლილი ხელებითა და „ტანცებით“. გვერდით ლოყებდაბერილი დამკვრელები მოსდევენ, ბოლო ხმაზე მოჭყვიტინე დაფა-ზურნით. მამაკაცები ყველაზე უკან ჩაუყენებიათ და ხელგაშლილნი იქნევენ ტლინკებს, თან რაღაც გაურკვეველ ენაზე მღერიან. რაც მთავარია, კივილ-წივილი რატომ ისმოდა: ეს ასაკოვანი და ახალგაზრდა ქალები, რომლებსაც წრე ჰქონდათ შეკრული პატარძლის გარშემო, ინდიელებივით ირტყამდნენ ტუჩებზე ხელებს და ბოლო ხმაზე წიოდნენ. როგორც იქნა, ამ კოლონამ კონკასთან მოაღწია და ახლა კონკის წინ შეკრეს წრე და უარესად ყარეს ტლინკები. ვიღაც ახსოვდა ქორწილები და წყვილების რიგები? გაოგნებული ხალხი თვალებგაფართოებული შევყურებდით ამ სანახაობას. მანქანების საცობი შეიქმნა, მაგრამ არავინ ასიგნალებდა, დროზე გაიარეთო, მთელი მოძრაობა შეჩერებული იყო და უამრავი თავი იყო მანქანებიდან გამოყოფილი. :) მე პირადად იმდენად გამაოგნა ამ სცენებმა, ფეხსაცმელები ხელში დავიჭირე და ასე ფეხშიშველი და პირღია ვიდექი ასფალტზე და ენაჩავარდნილი ვუყურებდი საოცარ სანახაობას... როდის-როდის დამშვიდდნენ (მგონი, დაიღალნენ) და ყველანი, პატარძლის გარდა, პირდაპირ მიწაზე დასხდნენ. პატარძალმა უშველებელი, თეთრი კაბა აიკეცა და სკამის კიდეზე ჩამოჯდა. თან ისეთი მიამიტი სახეებით იყურებოდნენ, თითქოს ორიოდე წუთის წინ იმათ კი არა, ჩვენ ავიკელით ქალაქი გულისწამღები წიოკით. :)) ამის შემდეგ ქუჩაში მოძრაობა განახლდა, წყვილებს გაახსენდათ, რომ ხელის მოწერის რიგში იდგნენ, მომუშავე პერსონალი გამოფხიზლდა და დასაქორწინებელ ქალ-ვაჟთა შეუღლება განაგრძო, მე გამახსენდა, რომ ფეხზე უნდა ჩამეცვა... როგორც მერე ამიხსნეს, ქურთებს, აზერბაიჯანელებსა და მათ მონათესავე ერებს მსგავსი საქორწილო ტრადიციები ჰქონიათ. ბედნიერი ვარ, ქართველად რომ დავიბადე! :) ბამბუჩა“.

გავიდა და აღარ დაბრუნებულა

„მოგესალმები, პატივცემულო მკითხველო. მსურს მოგითხროთ ნამდვილი ამბავი, რომელიც მე გადამხდა. მყავდა შეყვარებული, რომელსაც 6 წლის განმავლობაში ვხვდებოდი. არაერთი ბედნიერი, უბედური, სიყვარულით სავსე, შემოპარული ზიზღით და საბოლოო ჯამში, სიყვარულით დამთავრებული დღეები, თვეები და წლები გამოვიარეთ. თითქოს მეგონა, რომ ვიცნობდი იმაზე მეტად, ვიდრე ჩემს თავს, თუმცა სულ ახლახან, 2 იანვარს იმ ადამიანმა ტექსტური შეტყობინება გამომიგზავნა, რითიც მაცნობა, რომ იგი ქვეყნიდან გავიდა და აღარასოდეს დამიბრუნდება და რომ ჩვენს ურთიერთობას წერტილი დაესვა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. ბედობა დღეს იმ ადამიანმა, რომელიც სიცოცხლეზე მეტად მიყვარდა და ჩემი წარმოდგენით, ვიცნობდი კიდეც, გამაუბედურა. ბუზღუ, 24 წლის“.

„სხვანაირი“ ბედნიერება

„ქონდროდისტროფია ანუ კიდურების ზრდაში ჩამორჩენა, — ასეთი დიაგნოზი დაუსვეს თეთრხალათიანებმა... ფსიქოლოგიურად გამანადგურებელი დიაგნოზის დასმის შემდეგ მრავალმა წელმა განვლო... დაავადების გამკლავებასთან ერთად, ჯული საზოგადოებაში დამკვიდრებას, საკუთარი თავის წარმოჩენასა და სწავლა-განათლებაზეც აქტიურად ფიქრობდა... ფიზიკური მონაცემების გამო სამსახურის შოვნა ძალიან გაუჭირდა... მთელ დღეებს სახლში, ფანჯრიდან ყურებაში ატარებდა, მხსნელს ელოდა და საკუთარ გულისთქმას ფურცელს უზიარებდა... მიუხედავად ფიზიკური ნაკლისა, თავს სრულფასოვან ადამიანად მიიჩნევდა და საზოგადოებაში გამოჩენის არათუ რცხვენოდა, არამედ ამაყობდა, ხალხი მის დანახვაზე სიბრალულის ნაცვლად, აღფრთოვანებას რომ გამოხატავდა... ოჯახში ყველაზე უმცროსი წევრი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ექიმებმა ფიზიკური ნაკლი აღმოუჩინეს, მშობლებს მის აღზრდაზე ხელი არ ჩაუქნევიათ, არც ზედმეტი ყურადღებით გაუნებივრებიათ. მოკლედ, არ აგრძნობინეს, რომ „სხვანაირი“ დაიბადა... დროთა განმავლობაში უფრო აქტიური, მიზანსწრაფული გახდა. სამსახურიც იშოვა, ხელფასიც საკმაოდ სოლიდური დაუნიშნეს და ცხოვრებაც თითქმის კალაპოტში ჩადგა... ასაკის მატებასთან ერთად, მელანქოლია შეეპარა... ვერავინ ხვდებოდა მისი დეპრესიის მიზეზს... თითქოს ყველაფერი აეწყო: სამსახური, აქტიურობა, წამლების საყიდელი ფული... „ალბათ ისე მოვკვდები, ორმხრივ სიყვარულს ვერ ვეღირსები“, — გაანდო თავისი გულისტკივილი, მორიგი, დამღლელი დღის ბოლოს თავის დღიურს

და კიდევ ერთი ღამე გაატარა ოცნებაში... რეალისტი გოგონა, რომელსაც დაბრკოლებას ფიზიკური მონაცემებიც კი ვერ უქმნიდა, ილუზიების სამყაროში გადასახლდა, თითქოს დაფრინავდა და დაბლა, ხმელეთზე ფეხის დადგმას აღარც აპირებდა... 28 წელს ისე მიაღწია, ვარცხნილობაც არ შეუცვლია. ახლა კი... თმა გაიშალა, სათვალე მოიხსნა, ტუჩები შეიღება... როცა მშობლები დარიგებას უწყებდნენ, ყვიროდა: ხომ მეუბნებოდით, რომ მეც ისეთივე ადამიანი ვარ, როგორიც სხვები, ჰოდა, მეც ისე ვიქცევი... ცრემლმორეული, სათქმელს ვეღარ ამთავრებდა ხოლმე... დროთა განმავლობაში ყველასთვის ნათელი გახდა ინვალიდი გოგონას ევოლუციის მიზეზი... ის შეყვარებული იყო... დიახ! მის გულსაც ეწვია ის გრძნობა, რომელსაც არარსებულისკენ სწრაფვის მთავარ „ტრანსპორტად" მიიჩნევდა... ახლა კი, ეს „ტრანსპორტი" მის გაჩერებაზე ჩამოდგა... სამსახურიდან ჯერ წამოსული არ იყო, უკვე მეორე დღის გათენებასა და სამუშაო მაგიდასთან დაბრუნებაზე ოცნებობდა... დღეს ლევანზე ფიქრით იწყებდა და მასზე ოცნებით ასრულებდა... იმედი ჰქონდა, რომ მამაკაცის იდუმალებით მოცული, შავი, მწველი თვალები მზერას მასზე შეაჩერებდა... ის დიდი გრძნობაც გაჩნდებოდა და მისი ოცნებაც ხელშესახები გახდებოდა და ერთად, ტკბილად მოკალათდებოდნენ სიყვარულის მარადიულად მოძრავ „ტრანსპორტში"... ჯულის ცხოვრება კონკიას ზღაპარს დაემსგავსა... ამბავმა, რომ ლევანი მისით იყო დაინტერესებული, ქალი ჯერ შეაცბუნა, შემდეგ კი ქედმაღლური ინსტინქტები გაუღვიძა და თავი იმაზე მეტად უნარიანად მიიჩნია, ვიდრე იყო... ბევრს აღარ გავაგრძელებ და გეტყვით, რომ მამაკაცმა უკანასკნელ იმედს ჩაბღაუჭებულ მანდილოსანს გულის სანაცვლოდ, ხელი სთხოვა... ჯულიც რასაკვირველია, დათანხმდა... საერთოდ არ დაინტერესებულა, მომავალი მეუღლის წარსულით... სულ რომ უვარგისი იყოს, მაინც გავყვები ცოლად, ასეთი შანსი მხოლოდ ერთხელ ეძლევა ადამიანს და ამ შესაძლებლობას აუცილებლად, ყოველ მიზეზგარეშე გამოვიყენებო, აღნიშნავდა საკუთარ ყოვლისშემძლეობაში დარწმუნებული... შვილის შესაძლო გათხოვების ამბის გაგების შემდეგ გულისხმიერ დედას ერთი წამითაც არ დაუსვენია... სასიძოს დაბადებიდან, უკანასკნელი დღის ჩათვლით, განვლილი ცხოვრების შესახებ ყველა ინფორმაცია მოიძია და არცთუ ისე სახარბიელო სიახლეებით დახუნძლული, შვილის ოთახის კარს მიადგა... ბევრს ეცადა დედა, მაგრამ უმადური აღმოჩნდა ეს ჩვენი ჯული. ძლივს რაღაც მეღირსა, ძლივს მზის ჩასვლა მეც მიხარია, ღამე ცხელი „გრელკის" ნაცვლად ქმარი ჩამეხუტება და ამ ბედნიერებას შენ კი არა, ვერავინ და ვერაფერი წამართმევსო, — განუცხადა შვილის უაზრო საქციელით სასოწარკვეთილ ქალს... ქორწილი მართლაც გულისამაჩუყებელი იყო... სადა, ძვლისფერ საქორწილო კაბაში გამოწყობილი ჯული დღემდე სიყვარულის სიმბოლოა ჩემთვის... იმ წუთიდან, რაც პატარძლის იმედით სავსე, ბედნიერებისგან მბრწყინავი თვალები დავინახე, რაღაცების სხვანაირად აღქმა და გადაფასება ვისწავლე... ინვალიდი ქალისა და ჰოლივუდური ღიმილის მქონე მამაკაცის გულისამაჩუყებელი ვალსის ხილვა ხომ ჩემი ემოციების პიკი იყო... ულამაზესი წუთები, იმ ადამიანებისთვისაც კი, ვინც ამ ქორწინებას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა... ნეფემ ტანის გრაციოზული მოძრაობით გაარღვია პატარძლის ირგვლივ შეკრებილი, ინტერესით აღსავსე ხალხი... სუფრის თავში დამონტაჟებულ მიკროფონთან მივიდა, ჯიბიდან კონვერტი ამოიღო — თითქოს „ოსკარი" უნდა გადასცეს, ქალის საუკეთესო როლის შემსრულებელსო, — ჩახედა გაშლილ ფურცელს და ცოლს საქორწილო საჩუქრის შესახებ აცნობა... ერთთვიანი მოგზაურობა ვერონაში, მხოლოდ მე და შენ! რას გრძნობდა ჯული, როგორი იყო ჩემი რეაქცია და დამსწრე საზოგადოების გამომეტყველება, მგონი, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს...

— მწვანედ ალივლივებული ფოთლების ზღვაში, აქა-იქ კუნძულებივით მოჩანდა კოტეჯების წითელი სახურავები... წამიერად სიჩუმე გამეფდებოდა ხოლმე, შემდეგ კი სიწყნარეში, ყურთასმენას კვლავ მისწვდებოდა ულამაზესი ხმები... სხვადასხვა ფრინველისა, — ემოციებით დატვირთული მიყვებოდა 21-დღიანი გაუჩინარების შემდეგ, შინ დაბრუნებული პატარძალი...

— შესანიშნავი იუმორის გრძნობა ჰქონია შენს ქმარს, — აღვნიშნე იმედგაცრუებულმა...

— ჯობს, დაივიწყოთ, ჩიტი ბდღვნად არ ღირს! ქალი შეიშმუშნა და ხელის წრიული მოძრაობით გაისწორა საგულდაგულოდ შეღებილ-დავარცხნილი თმა.

ჯერ მომეჩვენა, რომ სურდა, მისთვის ქათინაური მეთქვა. მერე მივხვდი, მხოლოდ ჩემს გაღიზიანებას ცდილობდა... იზოლირებულმა ოთახმა გულწრფელობისთვის განაწყო, პატარა ბავშვივით მოღიმარი ქალი და...

— თეთრი წყლების ახლოს, სოფელ ვერონაში ვიყავით (სიმწრით გაიღიმა თუ იუმორით, ვერ მივხვდი), კიდევ ერთი კვირა ვაპირებდით დარჩენას, მაგრამ სიდედრმა დაურეკა და სასწრაფოდ თავის შვილებთან წავიდა...

არ გამოჰპარვია ჩემი გაოცებისაგან დაჭყეტილი თვალები. გამიღიმა და განაგრძო:

— ვიცოდი, რომ შვილები ჰყავს, ისიც ვიცოდი, რომ განქორწინებული იყო, მაგრამ როცა გიყვარს, შენთვის არაფერს აქვს მნიშვნელობა, გიო...

ისეთი აღტაცებით ლაპარაკობდა თავის მეუღლეზე, მივხვდი, ჩემი კომენტარი სრულიად უადგილო და არაფრის მაქნისი იყო... ერთთვიანი განშორების შემდეგ ლევანი დაბრუნდა... დაბრუნდა, მაგრამ მარტო — არა...

— ჩემს ცოლს მანქანა დასჯახებია, ბავშვებს ვერ მივატოვებდი, ისინი აქ... შენთან... — ცივი, არაფრისმთქმელი თვალებით უყურებდა ჯულის და თითქოს პატიებასა და დახმარებას სთხოვსო, თავჩაქინდრული, დასჯილი ბავშვივით იდგა...

— კოტე! რომა! მოდით, საჭმელი გავამზადე, ხელები დაიბანეთ, გამოსაცვლელები საწოლთან დაგიწყვეთ, გაკვეთილები მოვამზადოთ! — დღის ნებისმიერ მონაკვეთში გაიგონებდით, გახარებული ქალის ხმას... ყველა აღფრთოვანებული იყო სიყვარულის, გაგების, პატივისცემის მისი უნარით... ფიზიკური ნაკლის ადამიანებს ყველაზე მეტად საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა გვიჭირს, მე კი ბედნიერი ვარ, რადგან ცხოვრების მთავარ „ავტობუსში" საუკეთესო ადგილი დავიკავე, შვილებისა და ქმრის გვერდითო, სევდისა და სიხარულის ნაზავი ღიმილით აღნიშნა ერთხელ ჯულიმ... სწორედ ასეთი „ავტობუსით" მგზავრობას გისურვებთ, მე, თქვენი უბილეთო მგზავრი, რუისპირი (YELLOW)".

■

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე"

ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე 8.77.45.68.61

ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com

ყურადღება! თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში" დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

„შეყვარებული შეურაცხყოფას ვერ მოგაყენებს“

„მისი შენდამი სიყვარული თავადვე შეთხზე“

„გზის“ №1-ში დაიბეჭდა გიჟუკას მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ უყვარს 2 წლით უფროსი ბიჭი, რომელთანაც იჩხუბა და მან შეურაცხყოფა მიაყენა. „მას მერე ნახევარი წელი გავიდა, ხანდახან ვხვდები ხოლმე და ისე მიყურებს, რომ მგონია, ძველებურად ვუყვარვარ, მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია: ბიჭები გოგონებისადმი თავიანთ სიმპათიას უზრდელობით გამოხატავენ?..“

ლიკა ქაჯაია

უწუწური:

„კაცმა საყვარელ ადამიანს შეურაცხყოფა რომ მიაყენოს, ეს სიყვარულის გამოხატვის ერთ-ერთი მეთოდი გგონია? არა, ეგ უბრალოდ, მის აღზრდაზე მეტყველებს. თუ ადამიანი შეყვარებულობის პერიოდში მოგაყენებს შეურაცხყოფას, ცოლად რომ გაჰყვები, მერე ერთი კარგად მიგტყეპავს კიდეც. საკუთარ თავს ეცი პატივი...“

ილიკო:

„პრივეტ“ „სასტავს“. მე ახალი ვარ და იმედია, მიმიღებთ. თუ შეურაცხყოფა მოგაყენა, არ უნდა აპატიო“.

აუტანელი:

„თუ ბიჭს უყვარხარ, ის შეურაცხყოფას არავითარ შემთხვევაში არ მოგაყენებს. ბიჭები გოგონებისადმი სიმპათიას თავიანთი სითბოთი, ყურადღებით გამოხატავენ და არა — ჩხუბით. გირჩევ, ეგ ბიჭი დაივიწყო. ვიცი, რთული იქნება, მაგრამ შენ მაინც სცადე. მჯერა, ყველაფერი გამოგივა. აბა, შენ იცი, ჭკუით იყავი“.

ცქნაფა:

„თუ ნახევარი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ერთმანეთს არ ესალმებით, რატომ გგონია, რომ ისევ უყვარხარ? როცა ბიჭს გოგო უყვარს, რაც უნდა გაბრაზებული იყოს, მას შეურაცხყოფას არ მიაყენებს. ჩემო კარგო, მხოლოდ თვალების შემოფეთება არ კმარა იმის საფიქრებლად, რომ უყვარხარ“.

რუისპირი (YELLOW):

„დავიჯერო, შენამდე არ მოუღწევია იმ ინფორმაციას, რომ შეყვარებული ბიჭები რჩეული გოგონას შეურაცხმყოფელს მიწასთან ასწორებენ? თუ გოგო გიყვარს და მასთან დაკავშირებით სერიოზული გეგმები გაქვს, ურთიერთობის დასაწყისშივე არ დაუწყებ ლანძღვა-გინებას (დარწმუნებული ვარ, შენ ასე მოგექცა). ბიჭები გოგონების მიმართ სიმპათიას ყვავილების, ტკბილეულის მირთმევითა და შეურაცხმყოფელების ჩამოშორებით ვცდილობთ, მათ უხერხულ მდგომარეობაში არ ვაყენებთ. თუმცა ისეთი გოგონებიც ვიცი, რომლებსაც უხეშობა, უზრდელობა, ლანძღვა-გინების კორიანტელში გახვევა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. პირადად მე, მეგობარი გოგონა „ესემესში“ წერტილ-მძიმის დასმის გამო დამშორდა; აბა, სასვენი ნიშნები რა კაცის საქმეაო? ჰოდა, რა უნდა ელაპარაკო ასეთ „უშიგთავსოს“? ჩვენში დარჩეს და შენც ასეთი გოგონების კატეგორიას მიეკუთვნები. ნახევარი წელია, რაც შეურაცხმყოფელი შორიდან გიყურებს, თავს დამნაშავედ გრძნობს, შენც ისევ გიყვარს და არც ერთი არ დგამთ პირველ ნაბიჯს? — დაგიჯერე, როგორ არა... P.S. ბიჭები შეურაცხყოფას უტვინო და მსუბუქი ყოფაქცევის მდედრებს ვაყენებთ. იმედია, შენ უტვინო ხარ“.

ლაშა F.C.B:

„ასეთი საქციელი ყველა ბიჭს, ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი; როცა გოგო მოსწონთ, სურთ, მას ეუზრდელონ, რაიმე ატკინონ, უხეშად მოექცნენ და თავიანთი ჭკუით, მსგავსი საქციელით სიყვარულს გამოხატავენ, მაგრამ ვერ ხვდებიან, რომ გოგონებს ეს არ მოსწონთ (მხოლოდ ზოგიერთს მოსწონს). გირჩევ, შენს რჩეულს დაელაპარაკო და აუხსნა, რომ მსგავსი რაღაცები არ მოგწონს, მეორედ ასე არ მოგექცეს. P.S. ამას იმიტომ გწერ, რომ თავადაც ბიჭი ვარ და ვიცი, შეყვარებულ მამაკაცს რისი გაკეთებაც შეუძლია. წარმატებები!“

გრუზინკა:

„თუ შეურაცხყოფა მოგაყენა, იმდენი შეგნება მაინც უნდა ჰქონდეს, რომ ბოდიში მოგიხადოს; თუ ასე არ იქცევა, ჯობია, დაივიწყო. უზრდელი ბიჭი არამყარი ფსიქიკის პატრონი იქნება“.

სვანის ასული:

„უზრდელობით გამოხატული სიმპათია ცოტა არ იყოს, მეუცნაურება. და კიდევ, მხოლოდ დაჟინებული ცქერა არც ისე იმედისმომცემია, უფრო აქტიურ ქმედებაზე უნდა გადავიდეს. მაგალითად, ბოდიში მოგიხადოს და შეეცადოს, შენი ნდობა ხელახლა მოიპოვოს (თუ რა თქმა უნდა, ამის სურვილი აქვს). იქნებ, ზედმეტად ფიცხი ხასიათი აქვს და უბრალოდ, ზედმეტი მოუვიდა?.. მაგრამ ამ საქციელის გამოსწორება ხომ უნდა სცადოს? საუკეთესო ვარიანტი, რა თქმა უნდა, მისი დავიწყებაა, მაგრამ თუ არ გეთმობა და მასთან ურთიერთობა ამად გიღირს, ინიციატივა გამოიჩინე, გაუღიმე, მიესალმე და მერე ყველაფერი აეწყობა. P.S. ბიჭების გასაგონად მინდა ვთქვა: უხეშობით ჯერ არავის არაფერი მოუგია!“

ქოთქოთა:

„თვალები სულის სარკეაო, — ნათქვამია, მაგრამ კაცისგან, რომელიც საყვარელ ქალს შეურაცხყოფას მიაყენებს, კარგს არაფერს უნდა ელოდე. ჩემი აზრით, მისი შენდამი სიყვარული თავადვე შეთხზე და ახლა გინდა, საკუთარი თავიც დააჯერო იმაში, რომ უყვარხარ! ეცადე, ეს პრობლემა თავადვე გადაჭრა. წარმატებები!“

ჭიათურა:

„შენ ალბათ, სიტყვიერ შეურაცხყოფას გულისხმობ, არა? თუ ასეა, უნდა დაივიწყო, რადგან მსგავსი რამ ხშირად განმეორდება და გულიც ბევრჯერ გეტკინება“.

CREZY:

„ჩემო კარგო, შეყვარებული მეც მყავს და ბევრჯერ გვიჩხუბია კიდეც, მაგრამ შეურაცხყოფა?.. არა მგონია, უყვარდე. კაცები უზრდელობით სიყვარულს კი არ გამოხატავენ, არამედ ამით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ძალიან მაგრები არიან“.

ბაჭია:

„შეყვარებული მეც მყავს და როცა ვჩხუბობთ, ნეტავ მოგასმენინა, ერთმანეთს რაებს ვეუბნებით. ასე რომ, გააჩნია, რა შეურაცხყოფა მოგაყენა“.

მისტერ:

„როგორ ფიქრობ, ბიჭი გოგოს რომ „წაემწარსიტყვება“ და შეაგინებს, ამით მის მიმართ სიმპათიას გამოხატავს? თუ ასე მიგაჩნია, მაშინ წადი და ვინმე თეთრხალათიანს (ვეტერინარის გარდა) გაესინჯე. ნუ „უგიჟუკებ“, თავი ბანძი ფიქრისგან გაითავისუფლე. ისე კი, ჩემი აზრით, მისთვის ერთ-ერთი რიგითი „ზაპასკა“ ხარ ანუ ისეთი ქალი, რომელთან ურთიერთობაც არაფერს აკარგვინებს“.

კესანე:

„ბიჭი არა ვარ, მაგრამ იმის თქმა კი ნამდვილად შემიძლია, რომ უხეშობას და სიყვარულს ერთმანეთთან კავშირი არა აქვს. ვინც გიყვარს ან მოგწონს, იმას ვერ შეურაცხყოფ. აბა, დაფიქრდი — ნამდვილად გინდა, რომ მისნაირი კაცი გყავდეს გვერდით? პირადად მე, არ მენდომებოდა, რადგან სიყვარული პირველ რიგში, პატივისცემაა და შემდეგ — გრძნობა. წარმატებები!“ ■

„შეყვარებული სისულელის გამო არ დაკარგო“

„დაბალმა მაღალი თუ არ შეირთო, ჯიშს ვერ გამოისწორებს“

„გზის“ №1-ში დაიბეჭდა ბუსა 93-ის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ ჰყავს შეყვარებული, რომელსაც 3 წელია, იცნობს. „ის ახლა ცოლობას მთხოვს. დედამ ამის შესახებ იცის, მაგრამ მამას სიმართლეს ვერ ვეუბნები. ერთი პრობლემა გვაქვს — ჩემზე დაბალია და მასთან ურთიერთობას ამის გამო მიშლიან“.

მარია:

„ეგ არანაირი პრობლემა არაა და მიზეზებს ნუ ეძებ. სხვებს ვინ ეკითხებათ, თავად ხომ არ თხოვდებიან?“

TAEKWONDO WTF:

„თუ შეყვარებულთან ურთიერთობას მხოლოდ მისი სიმაღლის გამო გიშლიან, მაშინ ნურავის დაუჯერებ, ცოლად გაჰყევი. წარმატებები! P.S. ისე, თუ იცოდი, რომ შენებს ტანდაბალი სასიძო არ მოეწონებოდათ, საქმე ქორწილამდე რატომ მიიყვანე, თვალები სად გქონდა?“

ბაჭია:

„კარგი, რა, თუ გიყვარს, ცოლად გაჰყევი, მშობლებს ნუ მოუსმენ. პირადად მე, დიდ ბედნიერებას გისურვებ!“

იკუშკები:

„არ ვიცი, რა შუაშია სიყვარული და სანტიმეტრები ერთმანეთთან, მაგრამ თუ თქვენი გრძნობა გულწრფელია, სიმაღლის გამო შეყვარებულს უარს ნუ ეტყვი. მერწმუნე, დროთა განმავლობაში მამაც გაგიგებს და მხარში ამოგიდგება. ბოლოს და ბოლოს, სიყვარული ხომ ცხოვრების მთავარი აზრი და ბედნიერების საწყისია. ასე რომ, წარმატებებს გისურვებ! შენი გრძნობა დაიცავი!“

ლუნა:

„თუ გიყვარს და მასაც უყვარხარ, ზომა-წონას რა მნიშვნელობა აქვს? ჯობს, მამას სიმართლე უთხრა და შეყვარებული სისულელის გამო არ დაკარგო“.

მარი:

„მერე რა, რომ დაბალია? სიმაღლეს რა ჭკუა აქვს? მთავარია, ერთმანეთი გიყვარდეთ! გულს მიხედე და ყველაფერი კარგად იქნება. წარმატებები!“

ანუკი:

„ერთს გეტყვი და დასკვნა თავად გამოიტანე: ადამიანი სიმაღლით არ ფასდება! თუ მამაშენი მხოლოდ მისი აღნაგობის გამო გეჩხუბება, თავად ყოფილა არაადამიანი“.

ტიდო-ტიდო:

„ვაიმე, ვაიმე, ვაიმეეე... ეს ხალხი სულ გადაირია, რა. გავცოფდი. ამიხსენით, როგორ შეიძლება ასეთი ლაპარაკი? დაბალია, რა, იქნებ სხვა რაღაცებით დგას შენზე მაღლა? სანამ რაიმეს იტყვი, კარგად უნდა დაფიქრდე...“

პეპი:

„ჩემო კარგო, თუ ეგ ბიჭი მართლა გიყვარს, ეგეთი უაზრობის გამო არ დაკარგო... მაგრამ რა მიკვირს, იცი? — მისი ცოლობა 4 თვეში გადაწყვიტე?..“

ცქნაფვა:

„სიყვარულმა სიდაბლე, სიმსუქნე და ასაკი არ იცის. შეგიყვარდა? ე.ი. პირადად შენ მისი სიმაღლე არ გაწუხებს, სხვის აზრს კი ყურადღება არ უნდა მიაქციო. ნუ ჩაიცვამ მაღალქუსლიანებს და „ვსიო“, რა!“

ქვრივი:

„შენ საერთოდ, იცი, რა არის სიყვარული? ეს ადამიანის ყველაზე დიდი ნიჭია. როცა ვინმე გიყვარს, მასში ყველაფერი უნდა მოგწონდეს, მისი გარეგნობა უნდა გაკმაყოფილებდეს. მასთან ხომ ბედნიერი ხარ? ჰოდა, საკითხავიც აღარაფერია!“

ქუთაისი:

„თუ ერთმანეთი გიყვართ, ეგ პრობლემა არაა. ჩემო კარგო, მთავარი სიყვარულია, თორემ ლოგინში ყველა თანასწორია“.

აურა:

„გამარჯობა. ალბათ ცუდია, როცა ბიჭი გოგოზე დაბალია, მაგრამ სიყვარული სიმაღლე-სიდაბლით არ განისაზღვრება. კარგი გოგო ჩანხარ და თუ შენი შეყვარებულიც კარგი ადამიანია, საქმრო მამას გააცანი, მასთან ერთად ბედნიერი ცხოვრება დაიწყე. ერთი რამ იცოდე: სადაც ნამდვილი სიყვარულია, იქ გარეგნობასა და სიმაღლეს მნიშვნელობა არა აქვს. ღმერთი თქვენკენ. P.S. მოკითხვა მგზავნელებს“.

პინო 89:

„როგორც დას, ისე გირჩევ: თუ ერთმანეთი გიყვართ, მის სიმაღლეს ყურადღებას ნუ მიაქცევ. დაბალმა მაღალი თუ არ შეირთო, ჯიშს ვერ გამოისწორებს :)). არ იდარდო, ლოგინში თანასწორები იქნებით“.

ნუკა:

„ნუ, რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა, ერთმანეთს რომ შეეფერებოდეთ, მაგრამ საგანგაშო ამაშიც არაფერია. ხომ გაგიგონია, რომ ამბობენ: სიყვარული ბრმაა. მთავარია, გულით გიყვარდეს და გარეგნობას ნუ მიაქცევ ყურადღებას“. ■

„საყვარელ ადამიანს ვუღალატე...“

უცნობი:

„გამარჯობა. „გზის“ მუდმივი მკითხველი ვარ და მინდა, ჩემი დარდი გაგიზიაროთ. 3 წელია, ლაშასთან ვურთიერთობ. მისი ოჯახის წევრებს რძლად არ ვუნდოდი, ის კი მზად იყო, ჩემ გამო ოჯახი დაეკარგა. მერე, ერთი პერიოდი უყურადღებო გახდა, გულს მტკენდა და სხვასთან ვუღალატე. თუმცა, მალევე მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი და საყვარელ ადამიანს ყველაფერში გამოვუტყდი... მერწმუნეთ, მის გარეშე სუნთქვაც არ შემიძლია; რომ არ დამიბრუნდეს, თავს მოვიკლავ. მირჩიეთ, როგორ შემოვირიგო? რა გავაკეთო, რომ ყველაფერი მაპატიოს?“ ■

„ლუკა არ მიყვარს, მაგრამ ვერ მივატოვებ...“

ნინი, *18 წლის:*

„3 წლის წინ, როცა ბათუმში ბიძაშვილთან ვისვენებდი, მის მეზობლად მცხოვრებ ბიჭს დავუმეგობრდი. ცოტა ხანში ლუკა სიყვარულში გამომიტყდა. მას მცირეოდენი გარეგნული ნაკლი აქვს და დეიდაჩემი ამის გამო იწუნებს, თან — ხშირად მეუბნება: მასთან არც კი იმეგობრო, ნუ გაეკარები. იცოდე, არეული ოჯახიდანაა და არ შეგეფერებაო... არ მესმის, ხალხი აქცენტს ოჯახურ მდგომარეობაზე რატომ აკეთებს?.. მართალია, ლუკა არ მიყვარს, მაგრამ არც მის მიტოვებას ვაპირებ; ამ ბიჭს მფარველ ანგელოზად მივაჩნივარ და არ მინდა, გული ვატკინო. მოკლედ, მზად ვარ, ბოლომდე მის გვერდით ვიყო და იმედია, ოდესმე შემიყვარდება კიდეც“.

*P.S. მაშ ასე, თუ **უცნობისა** და **ნინის** წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.*

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ 38 წლის, სიმპათიური, მატერიალურად უზრუნველყოფილი, განათლებული, 2 შვილის დედა. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს დაახლოებით ჩემი მდგომარეობის მამაკაცი.

კაცები

2. ბესო ვარ, 39/170/70, გავიცნობ 25-დან 35 წლამდე ასაკის ქალბატონს. დამიმესიჯეთ.

3. ვეხმაურები ოცი წლის, ქერა, ცისფერთვალება გოგოს. გთხოვთ, დამიტოვოთ ნომერი. ზინგერა.

4. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №2-ში, 1-ელი მესიჯის ავტორის ნომერი.

5. გთხოვთ, მომწეროთ წინა ნომერში გამოქვეყნებული, პირველი წერილის ავტორის, 20 წლის გოგონას ტელეფონის ნომერი ან თვითონ გამომეხმაუროს.

6. გავიცნობ გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 23 წლის. გამომეხმაურეთ.

7. გავიცნობ 22 წლის, სიმპათიურ გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 23 წლის მამაკაცი, მაღალი და ლამაზი. გთხოვთ, გამომეხმაუროთ.

8. ვეხმიანები „გზის“ მე-2 ნომრის მე-2 მესიჯის ავტორ ქალბატონს. გთხოვთ, გამაგებინოთ ტელეფონის ნომერი.

9. ვარ 32 წლის, სუსტი აღნაგობის მამაკაცი. მშრომელი, დასაქმებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 24-29 წლამდე მანდილოსანს.

10. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №2, პირველი მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

11. ვეხმიანები „გზა“ №2, მეორე მესიჯის ავტორს. ვთხოვ, დამიმესიჯოს.

12. გთხოვთ, მომცეთ „გზის“ ბოლო ნომერში გამოქვეყნებული, პირველი მესიჯის ავტორი გოგონას ნომერი.

სხვადასხვა

• ეს ახალი წლის დღეები თითქმის უაზროდ გავიდა, მაგრამ ჩემი საყვარელი ადამიანი მყავს გვერდით და ამით ვარ ბედნიერი. მიყვარს ჩემი ლამაზო და თან — უზომოდ. მ.ნ.

• ლაკვასტ! შენი გზავნილების კითხვისას ვგრძნობ, რომ მაგ შენი ფსევდომონაზვნური მესიჯებით ცდილობ, თავი წარმოაჩინო. არ ჯობია, რამე შენეული დაწერო? ნიბირუ.

• გაამარჯობააა! როგორ ხართ? პატარა მიზეზების გამო ვეღარ გწერდით. :(მომენატრეთ, მგზავნელებო. ყველანი კარგები ხართ. P.S. რა ბედნიერებაა, აქ ყოფნა. ჰოკერა.

• მარი, „გზავ“ და მგზავნელებო, გილოცავთ შობა-ახალ წელს. უფალი გფარავდეთ. მიყვარხართ, არც ვიცი, უთქვენოდ რა მეშველებოდა. ბავშვებო, მიმიღეთ თქვენთან. მოხუცი.

• ღორმუცელა, ნეტავ როგორ ხარ, გაუსაძლისია ჩემი ცხოვრება. მენატრები! მიყვარხარ და როდემდე უნდა ვიტანჯო? შენს გულზე მინდა ძილი... მჭირდები... გფარავდეს უფალი...

• ულიბკას მინდა მივესალმო და ვუთხრა, რომ ძალიან მომწონს მისი გზავნილები. მთელი სიცოცხლე არ მოგშლოდეთ სახეზე ულიბკა. შორენა.

• მე არ ავტირდები, ვით მეფე ლირი, რადგან მე თითონ მივატოვე ყველა. ვერ ეღირსება ეს მახინჯი სამყარო ჩემს ცრემლებს! ატარექსია.

• არც არაფერი მილე, რა მნიშვნელობა აქვს, რუსმა გშობა, თურქმა თუ გერმანელმა? მთავარია, შენ ძალიან თბილი მეგობარი და კარგი ადამიანი ხარ. გაიხარე, მიყვარხარ. ფლამინგო.

• წლების წინ, „გზის“ კითხვა პროვოკატორის მინიატიურებით დავიწყე და დღემდე ასეა. ძალიან მომწონს და რა ვქნა? :) ატარექსია.

• ოჰ, ეს ძალაუფლებისთვის მებრძოლი, უპერსპექტივო ახალგაზრდობა?! თქვენზე დაკვირვება ერთი დიდი ნირვანაა ჩემთვის. ატარექსია.

• მიყვარს გზა... იცით, ყველაზე მეტად რომელი გზა მიყვარს? ჩემი სოფლის გზა... ხეებით, მზითა და ახლად გამომცხვარი პურის სურნელით უსაშველოდ სავსე... ანამარია.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრეფილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

• თოვლით დაფარულ, მოწყენილ სოფელში მე მიყვარს ახალი წელი. ჩემს სოფელს დედოფლისწყარო ჰქვია და მე ის ყველა სოფელზე უფრო მიყვარს, ამქვეყნად. მე ანა ვარ (ანამარია).

• ჩემო ედე, კლეოპატრა, მილე, ჭრიჭი, ჩემი უსაყვარლესი ბარტყები ხართ, ძალიან მიყვარხართ. ლაკვასტ, შენ კი ძაან კი არა, უძალიანმაგრესად მიყვარხარ, ყველაზე მაგრად. ფლამინგო.

• მსუქანა, როგორ ხარ? მომენატრე, დამპალო. მიყვარხარ გულში. ჭკვიანად იყავი, გთხოვ და არაფერზე ინერვიულო. გკოცნი უამრავს.

• მილე, ულამაზესი ხარ. შენს ცისფერ თვალებზე ვაბოდებ. ნამდვილი ლამაზმანი ხარ. ამაში ყველა დამეთანხმება. ხომ მიცანი, ვინც ვარ?

• 5-7, ხომ შეიძლება, გულით გსურდეს და ვერ შეიყვარო მაინც... ხომ შეიძლება, გინდოდეს გძულდეს, ვერ შეიძულო მაინც... ხომ შეიძლება, ფრთები არ გესხას, ცაში იფრინო მაინც... ხომ შეიძლება, ჩემი არ გერქვას, მაგრამ მიყვარდე მაინც... ხომ შეიძლება, ჩემთან არ იყო, შენს სუნთქვას ვგრძნობდე მაინც... ხომ შეიძლება, გული გაიყოს და ვსულდგმულობდე მაინც... მაგრამ ოცნებას, მიწიერ სურვილს და სიყვარულის მორევს ვერ გაექცევი, თავს ვერ დააღწევ, დიდი ტკივილი ესაა სწორედ... :) სიგიჟემდე მიყვარხარ. პუსს.

• სილამაზე სამყაროს ვეღარ გადაარჩენს. მე უარი ვთქვი. ასე რომ, თავს თვითონ უშველეთ. ატარექსია.

• დათ, სულ შენზე ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ. უამრავი ხალხი რეკავდა და გკითხულობდა, რომ გნახეთ. თუ ამის უფლებას მოგცემენ, დაგვირეკე.

• 25. დე, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. მამა გიორგიც გამოვიდა. 15-ში მისი შვილის დაბადების დღეა და პანაშვიდი უნდა გადაუხადოს. გახსოვს, ლექსებს რომ წერდა და გამოცემა რომ უნდოდა? ჰოდა, აისრულა. 2 დღეში ექნება გამოცემის საცდელი ეგზემპლარი. ბავშვივით უხარია. მონასტერში შენთვის ლოცულობენ. თავს გაუფრთხილდი. 25-ში ბი..... ჩამოვა. სანდ.....და ლაზ..... კვირას მოვლენ. გკოცნი ბევრს. დე, ხუთშაბათს ან პარასკევს ზაზა გნახავს. სანდრიკა დღეს ჩამოვიდა. ხვალ ალბათ მოვა. ამ თვის ბოლოს ბიბ..... ჩამოვა. ბიჭები ლოთობას გადაჰყვნენ. ტელეფონით ხშირად მირეკავენ. მაგრად იყავი.

• მილე, ულამაზესო, ლამაზთა შორის. რა დედამ გშობა ასეთი დახატული? ვინც გიცნობს, დამეთანხმება ყველა. ვგიჟდები შენზე. ხომ მიცანი?

• კაი ხალხს სალამი. როგორ ხართ? მომენატრა „გზავნილები“. ვერ გწერდით და გული მწყდებოდა. ვისაც ჩემი დაბრუნება გაუხარდა, ჯიგარია. ჰოკერა.

• შეყვარებული მყავს, რომელიც ყველას მირჩევნია. მაგრად მიყვარს, ჩემი სიცოცხლეა. ამას დედას ვერ ვეუბნები. როგორ ვუთხრა? დამეხმარეთ, რა?! ჰოკერა.

• კასკუ, გილოცავთ დაბადების დღეს. ჩვენ გადღეგრძელებთ ნამდვილი საფერავით. ჩემი შტეფსელები გელოდებიან. გკოცნით და გელოდებით. მიმოზა და მისი მამიდები.

• კასკუ, ჯანმრთელი, გახარებული და მალე ჩვენთან დაბრუნებული მენახე. ღვთის წყალობა არ მოგაკლდეს და მისი მადლით, მალე ერთად ვიქნებით. უსაზღვროდ მიყვარხარ. მე — უფრო... ცხოვრებაში ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ამდენ ხანს ვერ გნახავდი და ვიცოცხლებდი. ჩემო სიცოცხლევ, წინასწარ გილოცავ დაბადების დღეს. გკოცნი ბევრს. ლიკა.

• კასკუ, დედა და ბავშვები კარგად არიან. ისინიც გილოცავენ და ბევრს გკოცნიან. ძალიან გვენატრები. შენი ჩახუტება მირჩევნია ყველაფერს. ჭუკის ბუკასთან უნდა ძალიან. ყოველ საღამოს მე და მესიჯები შენთან ვართ და მანდ მგონია თავი. მიყვარხარ ტკივილამდე, სიტყვებს არ შეუძლია იმის გამოხატვა, მე რასაც ვგრძნობ. გკოცნი. ლიკუნა.

• 5-7, ძაან გამახარე სიხარულო, გამიხარდა, რომ ის არ არის, რაც მე მეგონა. ერთი წუთითაც აღარ ვბაზდები და ვეჭვიანობ. პირიქით, რაღაც ძაან შემეცოდა ეგ საწყალი გოგო. ლიკა.

• აუ, ყველანი ატეხილები და ნომერ პირველი გლეხები ხართ, რა!

• კასკუ, გილოცავ დაბადების დღეს და ყველა უშენოდ ჩავლილ დღესასწაულს. მალე ყველაფერს ერთად აღვნიშნავთ, ოღონდ ეს „მალე“ გადის ძალიან ნელა. მომენატრე.

• გამიხარდა ქალბატონი ნანი დუმბაძის დაბრუნება. თეთრო.

• ქვრივს ვგულშევმატკივრობ და ვიზიარებ მის მწუხარებას. ჩემო კარგო, გაძლიერდი, შენი ანგელოზისთვის დედაც შენ ხარ და მამაც. ცხოვრება წინ გაქვს და ღმერთი არ გაგწირავს.

• რავა ხართ, მგზავნელებო? ყველა კარგები ხართ, უკლებლივ. თეთრო.

• 4 თვის ბავშვი ცუდად იყო. გულის ოპერაცია გაუკეთეს და ექიმებს იმედი არც ჰქონდათ გადარჩენის, მაგრამ სასწაული მოხდა. ბავშვი გონს მოდიოდა და ხატებისკენ გაიხედა. ხატის წინ დაჩოქილი პატარა ბიჭი ღმერთს ევედრებოდა: უფალო შემიწყალე, ყველა დაიფარე და გადამირჩინე ის ერთადერთი, ჩემი სიცოცხლე, ჩემი იმედი, ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემი დაიკო. გემუდარებიიი. მაგრამ ამაოდ. ყველაფერი გვიანი იყო. თხოვნაც კი. ის წავიდა და დატოვა ყველა, ვისაც ის უყვარდა. თეთრო.

• მე მინდა გისურვო ოცნების ახდენა, ლამაზი სიზმარი უთუოდ ახდება. არ გაიკვირვო, საიდან, რა ხდება და ყველა ოცნება ყოველთვის ახდება. თეთრო.

• 12 დღეა, ავადმყოფობის გამო გარეთ არ ვყოფილვარ (ვიწექი). ახლა გავედი და ძლივს დავდივარ, ფეხებს ჩვილი ხბოსავით დავათრევ. კლეოპატრა.

• რა აღმატებული გრძნობაა, როდესაც სულიწმინდის ძალას გრძნობ. დიდება უფალს. კლეოპატრა.

• ფლამინგო, ედელვაის, ლაკვასტ, ჭრიჭინა და მილენა, ჩემი სიხარული მგზავნელები ხართ. ჯაყისმანელო და ულიბკა, ძალიან გაფასებთ, გაიხარეთ. უფალს ებარებოდეთ ყველა. კლეოპატრა.

• ძველო მგზავნელებო, სად დაიკარგეთ? დავიჯერო ისე მოგბეზრდათ გზავნილიორკი, რომ ერთხელ მაინც არ გინდათ, ჩაკეტილი სახლებიდან ქუჩაში გამოისეირნოთ და თქვენზე რამე გვიამბოთ? კამელია, ლალოლა, ლორელაი, კამ-კამა, მონასტრის ბიჭი, მემე, ელისო, კანიბალკა, ენიგმა-ბერბიჭა (დაგვიბრუნდი!) და კიდევ უამრავი, ნაცნობი და საყვარელი მგზავნელი. დაბრუნდით ან უბრალოდ, ერთხელ კიდევ ესტუმრეთ მარის, რაა. P.S. არ მჯერა,

რომ აღარ კითხულობთ „გზას“! კლეოპატრა.

• რუისპირო, ძალიან, ძალიან მიყვარხარ. კლეოპატრა.

• ედე, ჩემო ლამაზო გოგონა, მეც ძალიან, ძალიან მიყვარხარ. სულიერ სიმშვიდესა და უფლის წყალობას გისურვებ. მიყვარხარ. კლეოპატრა.

• მარი, რაღაც, საახალწლო განწყობილება არაა „გზაში“. არ გინდა, ნომინაციები შემოგვთავაზო? მაგ. წლის აღმოჩენა, აქტიურობა, მისტერ და მისის, დანაკარგი, შენაძენი, ბოღმა და ტკბილი მგზავნელი და ა.შ. ცოტა გაგვახალისე, გთხოვ. კლეოპატრა.

• ვტირი. ე.ი. ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, არსებობა კიდევ შემიძლია. მერე რა, თუ ძალა აღარ შემწევს? მერე რა, თუ გული გაიყინა და ოცნება დადუმდა? ე.ი. ვარსებობ და სიცოცხლე ისევ შემიძლია. კლეოპატრა.

• დავკარგე, მაგრამ არაფერს ვნანობ. ასეთი იყო უფლის ნება. მე მისი ღირსი არ ვარ, უკეთესს იმსახურებს. კლეოპატრა.

• ფლამინგო, დიდი მადლობა მოლოცვისთვის, ძვირფასო. ოღონდ, ერთი ჩასწორება: 18-ში მოვევლინე ქვეყანას და არა — 20-ში. შენს დედიკოსაც ვულოცავ. გაიხარეთ. ჭრიჭინა.

• ბებიკოს ძალიან უყვარდა ქათმის კუჭი და ყოველთვის გემრიელად გეახლებოდათ. თავის ქორწილში ქალებს დიდი სამზადისი ჰქონდათ, ჩქარობდნენ, რომ ყველაფერი მოესწროთ. ბებია მთელი დღის მშიერი იყო. მაგიდასთან მჯდომმა ქათმის კუჭი გადმოიღო. ქალებს სიჩქარის გამო გაჰპარვიათ გამოუსუფთავებელი. იმის მერე ბებიას ქათმის კუჭი არ უჭამია. ჭრიჭინა.

• დედამიწას სიყვარულის ნამდვილი სახე მინდა დავუბრუნო და ადამიანთა დაცარიელებულ სულებს სიყვარული ვასწავლო, მაგრამ შევძლებ კი? კესანე.

• ოდესმე ოცნებები გაგშავებიათ? ალბათ ბევრს კი, ბევრსაც — არა. რატომ არის ცხოვრება ასეთი? ზოგს ყველაფერი, ზოგსაც — არაფერი... პასუხს ვერავინ მცემს... კესანე.

• ხანდახან მინდა, რომ ცოტა ხნით ჩამეძინოს მშვიდი ძილით, რომელიც ასე მომენატრა. :(დღეს ძალიან სენტიმენტალური ვარ. მომიტევეთ! კესანე.

• სალო, რა ბედნიერი ხარ?! თითქოს მე განვიცადე შენ მაგივრად ის ყველაფერი, რასაც მონასტერზე წერდი. მეც მინდა მონასტერში წასვლა. ახლა ეს ყველაზე მეტად მინდა. კესანე.

• საღამო მშვიდობისა, ჩემო კარგო მარი. მიუხედავად იმისა, რომ ათენში მძიმე მდგომარეობაა — წმენდაა გამოცხადებული და თუ მილიციამ დაგვიჭირა, ეგრევე დეპორტი გვაქვს წამალივით გამოწერილი (მიშას უბრძანებია, ჩემი ხალხი გამოუშვი უკან, მე დავასაქმებო), მიუხედავად დიდი შიშისა, მაინც წავედი და ვიყიდე „გზა“. ახლა კი ვკითხულობ და ვტირი. გერასიმე.

• ადრე, როცა სოხუმი ჩვენი იყო, ქუთაისი-სოხუმის ავტობუსზე მუშაობდა ენაკვიმატი მურთაზა. სოხუმისკენ იყო სოფელი პირველი მაისი, სადაც მძღოლებს მგზავრები არ მიჰყავდათ ხოლმე. ერთხელ მურთაზა ხედავს, მოდის ქალი, მაგრამ რა ქალი?! ამოვიდა ეს ქალი ავტობუსში და ეუბნება, ხომ წამიყვან პირველ მაისამდეო? ქმარი თუ დამრთავს ნებას ქალბატონო, თუ გინდა, 7 ნოემბრამდე წაგიყვანო, ისე სხარტად გასცა პასუხი ლამაზ ქალს, მგზავრები დაიხოცნენ სიცილით. გერასიმე.

• მსოფლიოში უსწრაფესი გურულების ამბავი მოგეხსენებათ, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ქორწილის ცერემონია მოწვევის დროიდან 1-2 საათით გვიან იწყება. ერთხელ გურული ქალი რაჭველს უთხოვია, ქორწილი 2 საათზე დანიშნეს, მაგრამ აქაოდა, რაჭველებიო და ნეფემ 4 საათით დააგვიანა. სტუმრები ლოდინით დაიღალნენ, მასპინძლებმა სტუმრები სუფრასთან მიიწვიეს. ნამდვილი უნეფეპატარძლო ქორწილი გაიმართა. მშვიდობა, დღევანდელი დღე, მშობლები, დედმამიშვილები, ბებია-ბაბუების სადღეგრძელო უნდა შეესვა თამადას და აი, მაშინ შემოუერთდა ნეფეპატარძალი ქორწილს. :) გურულების ამბავი მოგეხსენებათ, აქაოდა, მოსვლა თქვენი ნებაა და გაშვება — ჩვენიო და ნეფეს ქალი დილამდე არ გაატანეს. ეს ამბავი ნამდვილია და ვინც ამ გზავნილს წაიკითხავს, გურიაში ყველას ღიმილი გადაეკვრება სახეზე. არ გამინაწყენდეთ, გურულებო. :) მაგრად მიყვარხართ. ლანჩ5.

• გამარჯობა, მარი და მგზავნელებო. ყველაზე უცნაური არ ვიცი, მაგრამ სასაცილო ქორწილის შესახებ მოგიყვებით. ჩემს ნათესავს სასაცილო ქორწილი ჰქონდა — მისი რჩეული მასზე 1 მეტრით მაღალი იყო და ამის გამო კომპლექსი გაუჩნდა. ის ბიჭი მას ცოლობას სთხოვდა და როგორც იქნა, დაითანხმა, ჩემი ნათესავი რომ გაჰყოლოდა. როცა ქორწილი დაიწყო, პატარძალი თავის მაგიდასთან იჯდა და ადგილიდან არ იძვროდა. დავაკვირდი. ჩემი ნათესავი იმ ბიჭზე არც ისე დაბალი იყო და გამიკვირდა. ქორწილი რომ დამთავრდა და ყველანი დაიშალნენ, აღმოჩნდა, რომ ჩემი ნათესავი სკამზე იყო შემდგარი.

• ერთმა სტიქაროსანმა ჯვარი დაიწერა, ქორწილი კი მოგვიანებით გადაიხადა. დაპატიჟებაც ორიგინალური ჰქონდა და მაყრების დახვედრაც. სტიქაროსნებმა ერთმანეთს გადაეცით, 5 საათისთვის ხართ დაპატიჟებულებიო. ანუ მეუღლეები ოჯახში დატოვეთო. რადგანაც ქორწილს ორივე მხარე იხდიდა, ჯერ დედოფალს სტუმრობდა ნეფე, თავის სტუმრებს კი საღამოს ეპატიჟებოდა. თუმცა, დათქმულ დროს ცოლოურობას მოუხდა ქეიფი, სტუმრებს კი მთელი 5 საათი ალოდინა. ნეფის ოჯახი იმის ნაცვლად, მთელი დღის ნამგზავრ და დაღლილ სტუმრებს გამასპინძლებოდა, მამაოს დაუბარეს, ნეფე-დედოფალი იგვიანებს და ხვალ მოდითო. ბავშვია და რა ქნასო, მამაოს უთქვამს. კაცმა, რომელმაც დიდი ხანია, საწოვარა გადააგდო და ცოლი მოიყვანა, მგონი, ბავშვი აღარ უნდა იყოს... P.S. მრავალ და ბედნიერ ახალ წელს უფლის მადლი არ მოგკლებოდეთ. სიყვარულით, ტირიფი73.

• სამყარო ისედაც საინტერესოა. უბრალოდ, ჩვენ ვართ უინტერესოები და შეუგნებლები, რომ სათანადოდ დავაფასოთ მისი შესაძლებლობები. მიმაჩნია, რომ თითოეულ ადამიანს უნდა გააჩნდეს სურვილი, ცხოვრებას იმ სახსრების საშუალებით გამოსძალოს შემთხვევები, როგორითაც შესწევს. შემდეგ კი მერწმუნეთ, სამყარო გააღიმებს, სიხარულისა და სიამოვნებისაგან გააღიმებს და კიდევ, გმადლობ, რომ თქვენობით მომმართე... ცხოვრება ვისთვის მძიმეა როგორც დარდი, ვისთვის კი სასიამოვნო, როგორც ნარდი! უნდა ვიცოდეთ, რომ ის არის ფენომენური დარგი, ვცადოთ, რომ ავახიოთ საგამღიმებლო სიტუაციები კარგი! ვცადოთ, რომ ვიცინოთ ბევრჯერ, კმარა! ნათელაშვილს ვუყუროთ ერთჯერ! ალბათ არ გაუკეთებია მისთვის კრიშა, ამითომაც არ მოსწონს მიშა! მართალია, არავის მისცა ტუფლის მაზი, მაგრამ ყველას შემოგვივიდა სახლში გაზი, ყველასა გვაქვს შუქი, აღარაა თბილისი სიბნელისგან მუქი, გადაჭიმა ხიდი და თბილისს მისცა ვიდი! ვისაც არ ევასება მიშა, დასიზმრე-

ბოდეს აღგზნებული გრიშა! და კიდევ, მე არ მიყვარს ფარში, მეჭედება ღარში, ფოთლები ცვივა ქარში, ჯუმბერა მიდის ჯარში! ასფალტია სუფთა, მახინჯი საკვებია გუფთა! თუ დაგტოვეს უსინათლოდ, თქვით: ვინც მე ჩამიქრო შუქი, თვალებში გაუჩნდეთ სიბნელე მუქი და თავზე დაეცეთ ლუქი! P.S. სვანი დაინახავს, რომ მისი ძაღლი ქუჩის ძაღლებთან სექსს აპირებს. ამიტომ წავა და პრეზერვატივს უყიდის, რამე არ აიკიდოსო... ებრაელი დაინახავს, რომ ყოველ საღამოს რასაც დადებს კართან, დილით აღარ ხვდება. ამიტომ, მეორე დღეს, ნაგვით სავსე პარკს დადებს. როდესაც ნახავს, რომ ისიც მოპარეს, საღამოს ისევ ნაგვით სავსე პარკს დადებს, დილით გახედავს და კართან 2 ნაგვით სავსე პარკი დევს. თურმე, ქურდიც ებრაელი ყოფილა. P.P.S. როგორც სიტყვების თამაში, ისევე ის 2 არასრულყოფილი ანეკდოტიც მხოლოდ და მხოლოდ, ჩემი ფანტაზიის ნაყოფია. მე ამ სახით ვცდილობ, საკუთარი თავი გავაღიმო და დავარწმუნო, რომ სამყარო საინტერესოა. თქვენ რითი ცდილობთ? მისტერ.

• ღამე მშვიდოობის, მარ... ძველით ახალი წლის მოსალოცად გწერ... მინდა, ბედნიერება, ხვავი, ბარაქა, ჯანმრთელობა და ბედნიერება გისურვო, სულ მაგრად იყავი, შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად... გაგვიძელი ამდენ გიჟს... ბარემ გწერ და ახალ ამბავსაც გეტყვი: მალე გნახავ... თბილისში მოვდივარ და თუ გეცლება (ისეთ დღეს დავამთხვევ, გეცალოს), ჩაგეხუტეეებიიი! ჰო, მართლა, შავი სია გავაკეთე, სადაც ის მგზავნელები შევიყვანე, ვინც იუბილე არ მომილოცა... საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, მგზავნელთა 99.9% შავ სიაშია... P.S. და ახალი წლის მოლოცვასთან ეს რა შუაში იყო? სანამ ავრეულვარ, წავედი, ნათლი... ძალიან მიყვარხარ... შენი რუი.

• როგორც იცით, ქორწილი მუდამ ფაციფუცსა და მხიარულებასთანაა დაკავშირებული. ჰოდა, მეც შევუდექი საქორწინო სამზადისს, რომელიც ჩემი პატარა დეიდის უბედნიერესი დღე უნდა გამხდარიყო. დღე არაჩვეულებრივად დაიწყო. გახარებული და ხელდაკაპიწებული ახალგაზრდები ნეფე-პატარძლის მოსვლას აღელვებულები ვუცდიდით. როგორც იქნა, ეს დროც დადგა, ულამაზესი წყვილი ირგვლივ მყოფთა ყურადღებას იქცევდა. ჯვრისწერაზე დაგვიანებულებს კი ყველას უკმაყოფილება გამოგვეხატა სახეზე. იმედგადაწურულები, სახლში ხალხის მიღებას შევუდექით, შიმშილით გამწარებული ნეფე-დედოფალი (რაც ქორწილის ერთ-ერთი დამახასიათებელი „თვისებაა“), ხალხის დარბაზში მოთავსებას ელოდა. გაისმა ხმა... მობილურზე მოძღვრის ნომერი გამოისახა, რომელიც ჯვრის დასაწერად იხმობდა წყვილს. გახარებულებს ხალხი გადაგვავიწყდა და სიძე-პატარძალთან ერთად მონასტერში გავიპარეთ. ჯვარდაწერილები ხალხს შეუერთდნენ, რომელნიც გაპარულთ გულმოდგინეთ ელოდნენ. მარიამოს.

• გამარჯობა, მარი! „გზის“ 50-ე ნომერში, „გზავნილების“ თემაზე — „ახდენილი წინასწარმეტყველება“, ერთ-ერთმა მგზავნელმა, რუისპირმა, ირონიითა და დამახინჯებით გადმოგცათ ჩემი ახლობელი ოჯახის დიდი ტრაგედიის შესახებ. საშინლად დაამახინჯა ეს ისტორია და დიდი ტკივილი მიაყენა, ისედაც გაუბედურებულ ოჯახს. ჯერ 1 წელიც არ გასულა და ჟურნალის ფურცლებზე ასეთ სისულელეებს ვკითხულობთ. პირადად რუისპირს გადაეცით: ავადმყოფური ისტორიები სხვა რამეზე შექმნას. თუ მწრელობა უნდა, თავისით გამოიგონოს რამე და იმაზე წეროს... ქალი, რომელიც შვილთან ერთად დაიღუპა, არაჩვეულებრივი დედა და რძალი იყო და არც მეუღლეს მოუკლავს თავი... ძალიან გთხოვთ, რაიმე საკონტაქტო მომეცით, რომ პირადად გავცე პასუხი ამ ურცხვ ფანტაზიაზე.

• ანჩისგან მოსვენებული პირი, ღვთის ხატი არის უდიდესი სიწმინდე, მთელი ქრისტიანობისა. თავგადასავალი ამა ხატისა მეტად შესანიშნავია და სასიამოვნო მოსასმენი. ყოველი ქრისტიანისთვის: იესო ქრისტეს ქვეყნად ცხოვრების დროს, როდესაც მის მიერ ქმნილნი სასწაულნი ელვასავით ეფინებოდნენ მთელ დასავლეთ აზიას, საქართველოს მოსაზღვრე, ქ. ედესიის მთავარი ავგაროზი მძიმე ავადმყოფი იყო, ყველა გამოჩენილმა მკურნალმა ხელი აიღო მის მორჩენაზე. მაშინ ავგაროზმა დაწერა წერილი და მოსამსახურეს გაატანა იესო ქრისტესთან. სწერდა თავის უკურნებელ სნეულებასა და ეხვეწებოდა: მოდი, მომარჩინე ამ სნეულებისგან. მომსახურისაგან გაიგო ავგაროზმა, რომ იესო ქრისტეს მეტად ემტერებოდნენ ურიები და მოკვლითაც ემუქრებოდნენ. სნეული ავგაროზი რაღაც დიად სიამოვნებას გრძნობდა, როცა იესო ქრისტეზე ფიქრობდა და ლაპარაკობდა, სნეულება მაშინ ჩვეულებრივ თითქოს არ აწუხებდა. ამიტომ გაგზავნა თავის საკუთარი ხელოვანი მხატვარი იერუსალიმში, რათა იესო ქრისტე დაეხატა და მოეტანა მისი სახე. ბევრს ეცადა მხატვარი, მაგრამ იესო ქრისტეს სახე ვერ გამოსახა ტილოზე. მაშინ იესო ქრისტემ გამოართვა ტილო მხატვარს, მიიფარა პირზე და სასწაულებრივ გამოისახა — გამოიტვიფრა ტილოზე მისი სახე. გახარებული მხატვარი გამოეჩქარა ავგაროზისაკენ, მოციქულ თეოზთან ერთად. გზად გამოიარეს ქალაქ იერაპოლში, რომლის განაპირად ღამე გაათიეს მეჭურჭლესთან. იმ ღამეს პირი ღვთის ხატი თიხის, გამომწვარ კეცებშუა ჩაასვენეს, სიფრთხილისა გამო, შუაღამისას გამოჩნდა ცისგან ჩამოშვებული ცეცხლის სვეტი ზედ ხატზედ. მივიდა ქალაქის გამგებელი თავისი მხლებლებით გასაგებად, თუ რას ნიშნავდა ცეცხლის სვეტი. როცა უამბეს, სიწმინდე პირი ღვთის ხატისა ამოასვენეს კეცებიდან და ნახეს, რომ იესო ქრისტეს სახე ზემო კეცზე გადმოსულიყო. ქალაქის გამგებელმა კეცი თავისთან წაასვენა, ხოლო ნამდვილი პირი ღვთის ხატი გაატანა ავგაროზთან. პირი ღვთის ხატი ესვენა ერთბუნებიანთა მწვალებელთა (ნესტორიანნი) საყდარში. წმ. მამა ანტონ ათორმეტთაგანმა ნახა ხატი და შეშურდა, რომ ამასთანა დიდი სიწმინდე მწვალებელთა ხელში იყო. როცა წმ. იოანე ზედაზნელი თავისი მოწაფეებით გამოემართა საქართველოსკენ, წმ. ანტონმა იდუმალ წამოიღო კეცი და მოასვენა საქართველოში. ის უდიდეს სიწმინდესა და მადლს წარმოადგენს. განსაკუთრებით იგი ძვირფასია ქართველი ერისა და ჩვენი ეკლესიისთვის, რადგან საუკუნეების მანძილზე ანჩისხატი თავისი მადლით იცავდა და იფარავდა სრულიად

საქართველოს. უფალმა მრავალი მადლი მოანიჭა ჩვენს ქვეყანას, მაგრამ დიდი მადლი დიდ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს. მას უნდა გაუფრთხილდეს ადამიანი. ანჩისხატი, ისევე როგორც მრავალი სხვა სიწმინდე, არ არის მარტოოდენ მატერიალური ნივთი. იგია უდიდესი მადლი და უფლის ღოცვა-კურთხევა. ადამიანი მას სუფთა გულითა და გონებით უნდა მიეახლოს. საქართველოში ყოველ ადამიანში უნდა მოხდეს სულიერი ფერისცვალება. შევთხოვთ უფალს, რომ იგი იყოს ჩვენი მფარველი სრულქმნის ურთულეს გზაზე. ქართველმა ერმა სულიერად უნდა გაიაროს ის უდაბნო, რომელიც ისრაელმა ეგვიპტიდან აღთქმულ მიწამდე განვლო. თქვენ გახსოვთ, რამდენიმე განსაცდელი შეხვდა ისრაელს, მაგრამ მოსე წინასწარმეტყველი არ შეუშინდა დაბრკოლებებს და ებრაელი ერი აღთქმულ ქვეყანაში შეიყვანა. ლაკვასტი.

• ქალი ცდუნება დაგვეკარგა. იქნებ შეგვეხმიანოს და გვითხრას, რომ კარგადაა. ყველა ვღელავთ მასზე. მოგვენატრე, ლალიკო. ლაკვასტი.

• ახლა წავიკითხე ლაკვასტის მესიჯი, სადაც მის საყვარელ მგზავნელ ადამიანებში ნაომის ამოკითხვამ უსიამოვნოდ გამაოცა. დიდ პატივს გცემ, მაგრამ შეგეშალა. ანი.

• ახლა უკვე ერთით მეტი ხართ. მე საბა ვარ, 12 წლის. 2 წელია, ვკითხულობ „გზავნილებს“ და ძალიან მომწონს. ბევრ თქვენგანს „გზავნილებიდან“ ვიცნობ. ჯიგრები ხართ.

• გამარჯობა. გოგონებმა პარასკევა შემარქვეს (გოგონებს ვამბობ, თორემ უმეტესი 40 და... წლისა ვართ). პარასკევა იმიტომ, რომ მხოლოდ პარასკევს შეგვიძლია ტელეთი საუბარი. თუკი შენი ზარის ხმა ცხოვრების ხალისს დამიბრუნებდა იმ ცივი რუსეთიდან, რატომ არ რეკავდი 9 წელიწადს... რამდენი ტკივილი გადავიტანე... ვიღაცას შენი სახელი ერქვა... ვიღაც ცდილობდა, შენსავით თბილად შემოეხედა. თვითმკვლელობა განვიზრახე, მაგრამ „მერე რა იქნება?“ ვფიქრობდი. „რატომ არ იბრძვი, შენი საკუთრება რომ გავხდე?“ — მკითხე (ასეთი კატეგორიის კაცებიც არსებობენ, თურმე). „მშიშარა ხარ და იმიტომ“ — გიპასუხე. წყენა ვითომ არ შეიმჩნიე. შენმა დაკარგვამ მასწავლა, ვიყო სასურველი, მაგრამ — მიუწვდომელი ქალი. ჰაა, გამოტყდი. „მე ის თამრო აღარა ვარ, არა?“ წლების წინ ნაფიქრი ის „მერე“ დადგა. ყველამ, ვინც შენს თავს დამაშორა, პატიება მთხოვა. მათ ეშინიათ ჩემი. თუ არა შიში, 4 წლის წინ, შენთვის დაწერილი წერილი დღემდე ვერ გადმოგცეს. მაპატიე. სულის ამოსვლამდე შენთან უნდა დავრჩენილიყავი. ახლა არც შენ იქნებოდი 4 კედელშუა გამომწყვდეული და სამშობლოს მონატრებით არც მე დავიტანჯებოდი. თუ ეს მესიჯი დაიბეჭდება, ამ პარასკევს გეტყვი, „გზა“ შეიძინო. ისევ შენი თალალო.

• პირდაპირ შოკში ვარ, ღმერთო ჩემო. როგორ დაბლოკეს ქაჯების დედოფალი?! :) მარი ჯაფარიძევ, ლინჩის წესით ჩაიქოლები, მაგის გამო! :) ჩუპა-ჩუპსი.

• კარგი რა, რა გადააკვდით ამ რუისპირის ზესიმპათიურობას? მაინცდამაინც მიმზიდველი არაა. მწვანე თვალები ბაყაყსაც აქვს.

• იცით, რამხელა სიამოვნებაა, შენი მუზა რომ ლექსებს გიფასებს და თან მოსწონს? უმაგრეეს! კლეოპატრა.

• ქვრივი, თანაგიგრძნობ... მეც მინდა ისეთი ძალა მქონდეს, შეყვარებული გულები ერთმანეთს მივაჯაჭვო ისე, რომ ვერანაირმა ძალამ ვერ დააშოროს. ჩუპა-ჩუპსი.

• მგზავნელი რომელიც კარგად შემხვდა, ეს იყო გურულო. გაიხარე შენ. მგზავნელი, რომლისგანაც კონსტრუქციული კრიტიკა მივიღე (და არა მარტო მე), ეს იყო თეთრო. მგზავნელი, რომლის სიტყვებმაც დამაფიქრა, ეს იყო ულიბკა (ვაფასებ ამ ადამიანს), მგზავნელი, რომელსაც ვერ შეველევი, ეს ლაკვასტი და ბამბუჩაა. აქვე ძალიან მაინტერესებს, სად დაიკარგა ხალისიანი თინეიჯერი შინებარა, გონიერი იკუშკები, მჟავე, მემე, რომელმაც ბევრ რამეში გამარკვია და ამიხსნა. წარმატებებს ვუსურვებ მათ. ნაომი.

• ძალიან მაინტერესებს, ყველა რატომ აფანატებს ამ რუბრიკაზე? საშინელი მიკერძოებაა.

• გეხუტებათ ყველაზე აღშფოთებული, ველური და ტვინსიბინძურეებით (ვითომ?) მგზავნელად წოდებული ნაომი. P.S. მარ, ეს გზავნილი ვინც არ დამიბეჭდოს მთელი სიზუსტით, იმისი ფეხი არ დევინახოო აჭარაში. გეყურება, ჯაფარიძე? მე თქვეენ... ანდაააც, არაფერი.

• გამარჯობა, მარი. აქ რუისპირის დაბადების ამბავი წავიკითხე. მეც შვიდთვიანი ვარ და გავიზარდე მაინც. ღმერთმა არ გაგვწირა და სიცოცხლე გვაჩუქა. ვიმეგობრებდი შენთან. მ.გ.

• რუისპირთან ნამესიჯებ გოგოს მე ოჯახში რძლად არ შევიყვან, გამორიცხული ამბავია ეგ. მიხვდება, ეს მესიჯი ვისაც ეხება. თუ ვერ მიხვდება, მივახვედრებ. ნაომი.

• წყევლა, ნაომი, თავადის ქალი. ერთი ადამიანისთვის მეტისმეტად ბევრი ნიკი ხომ არაა? ნეტავ იცოდე, როგორ ვერ გიტაააან! სულელო.

• პირველად ვგზავნი მესიჯს და იმედია, დამიბეჭდავთ. 2011 შევხვდი, სახლში მარტო ვიყავი, რადგან ჩემი ოჯახის წევრები ქალაქგარეთ წავიდნენ. მე სახლში შევხვდი ახალ წელს, ჩემს უსაყვარლეს დაქალთან ერთად, შემდეგ გადავწყვიტეთ კლუბში წასვლა, იქ მისულმა კი ვნახე, რომ ჩემი ყოფილი ქმარი იყო და მხიარულობდა. მიუხედავად იმისა, რომ აღარ მიყვარს, გამახსენდა ყველა ტკივილი, რაც მან მომაყენა და თავი ცუდად და ყველაზე უბედურად ვიგრძენი. ასე გაუცნობიერებლად გამოვედი გარეთ, ფეხები თითქოს თავისით მიდიოდნენ, მივდიოდი და ვტიროდი. დაქალი მომყვებოდა და დამშვიდდიო, მთხოვდა. ასე აღმოვჩნდი ქაშუეთთან. მივედი, შესასვლელთან, ძირს დავჯექი და უფრო ავტირდი. ვერც კი გავიგე, 3 საათი როგორ გახდა. დაქალმა ხელი მომკიდა და ტაქსიში ჩამსვა. ასე მივდიოდი სახლისკენ, ახალი წლის ღამეს და წარსული ტკივილები და ტანჯვა, თავს არ მანებებდა... P.S. ძალიან მინდა, თქვენს დიდ ოჯახს შემოვუერთდე და აწი ხშირად დავამესიჯებ. გილოცავთ ყველას შობაახალ წელს. ლა-ლა.

• გამარჯობა მარი, პირველად გამიჩნდა სურვილი მომეწერა და ეს ულიბკას გამო მოხდა. არაჩვეულებრივი ადამიანია, ყველაზე კარგად წერს!

• მარ, ის დიდი, „ოჯახისეული“ გზავნილი დამიბეჭდე და გპირდები, გავისუსები... ეგზოტიკა, ჩემი სიცოცხლე ხარ, ლაკვასტ, მიყვარხარ. ქაჯების დედოფალი მენატრება. ნაომი.

• თინეიჯერი ბიჭების (ბავშვების) რისხვა, ქალი — ლამაზი ფეხები. ქალი — ლამაზი ტუჩები, ქალი — შავი შაკირა, ქალი — გამარჯვება, ქალი — თავად ქალურობაა ეს ყველაფერი ქალი ეგზოტიკაა, მაარ. მარიამ, ნახე, რა კარგად დაგახასიათე! ხომ მეკუთვნის ის დაპირებული ჩექმები?

• გთხოვთ, დამეხმარეთ, ვეძებ მეგობარს, თბილისელ ლევან ბაქრაძეს. სად არ ვეძებე, ვერ მივაკვლიე. გთხოვთ, დამეხმარეთ.

• ნაომს მინდა ვკითხო, ცხოვრებაშიც ესეთი აუტანელი და ნაგლი ხარ? თუ ყველას აქ გინდებათ, შენი არ იყოს, დორბლიანობა? ხან მომ-

წონხარ, ხან — არა. ფერია.

• ვაიმეე, რა მაგარი გრძნობაა, საკუთარი გზავნილის „გზაში“ ხილვა?! მიყვარხარ, მარიიი! მისის-ნ.

• ნაომს: შენ ჩემი დიდი და უშნო მუწუკი გააბრაზე. იცის რა, გოგოოოომ, როგორ ამშალოს. გკოცნი ველურო ტუჩებში და იქაა�ა. :-) ლევანი.

• ჰაი მარ, როგორ ხარ? მე უჩვეულოდ მშვიდ ხასიათზე ვარ. ჩემი დისშვილი მენატრება საშინლად (1 თვისაა). იცი, რა კაი ტიპია? კარენოი მიქელაძეა და სხვაგვარად როგორ? თვალები უზბეკის აქვს (დედას ჰგავს), ბლინებივით ლოყებით — მე. :) უი, ეს რა კარგად გამომივიდა?! ღაბაბი აქვს უკვე მარ და ვხალისობ მაგაზე. ეს ჩემი დის მსუბუქი „ცოდვებია“. სულ იმას ამბობდა, ბავშვი ბავშვს უნდა ჰგავდეს და არა — სპილოსო. :) იცით, რამდენს ჭამს, ხალხო? ე.ი. სანამ ორივე ძუძუს არ გამოთქლეფს, არ ჩერდება.

• ერთ დროს მიყვარდი, შენ ვერ გაიგე, იდიოტივით ტვინი წაიღე, მაგრამ დამღალე, უკვე მკიდიხარ, ახლა სხვა მიყვარს, აღარ მინდიხარ.

• მარორიტ, როგორ ხარ? ყველა განვლილ და უახლოეს დღეებში მომავალ დღესასწაულს გილოცავ. იღბლიან წელს გისურვებ. იმდენი ხანია არ მომიწერია, ზოგი უკვე მკითხველად მომიხსენიებს. ჰოდა, „გზის“ ყდამ შთამაგონა, მომეწერა. მოკლედ, ამბავი ესე, ჩემი საბავშვო ბაღიდან გამოგდებისა(!) 3 წლის რომ ვიყავი და ქართულად უკვე კარგად ავმეტყველდი, ჩემმა მშობლებმა რუსულ ბაღში მიმიყვანეს, ალბათ „ბავშვი უცხო ენას ისწავლის“ პრინციპით. მე მართლაც მალე დავიწყე რუსულად ლაპარაკი (თუმცა რუსულენოვანი ბავშვებისთვის ქართული სწავლება, ჭკუის სწავლება და უბრალოდ, სწავლება უფრო მიყვარდა). ახლა ვფიქრობ, ორი „მამა“ რომ მყავდა, ნეტავ, არ მიკვირდა? ზეიმის დროც მოვიდა და რა თქმა უნდა, ლექსიც შემხვდა (ეს ლექსი იმ იშვიათთაგანია, დღემდე უშეცდომოდ რომ მახსოვს), სიმღერაც და ზეიმის ბოლოს დაპირებული „ძედ მაროზიც“ მოგვიყვანეს, ოღონდ, თოვლის პაპის ტანსაცმლის მილმა ჩემი ძიძა, ლარისა იმალებოდა, რომელიც ეგრეევ ვიცანი (რა ეშმაკი ბავშვი ვყოფილვარ კი არა, სპეციფიკურად იხატავდა ლამაზ თვალებს ლარისა და თოვლის ბაბუს ზმანი რომ ჩაიცვა, მაკიაჟის მოშორება დაავიწყდა). მე, რა თქმა უნდა, განგაშის სირენასავით ავწივლდი, ლარისა, ლარისა-მეთქი! ამყვნენ ბავშვებიც და ზეიმი კინაღამ ჩავშალეთ... მე მართალია, სულ უსაჩუქროდ არ დავუტოვებივარ, მარა საყვედურებიც არ დაუშურებიათ. დაბოღმილი გავედი საერთო ოთახში და „კუბიკებს“ მივუჯექი. თან გაბრაზებული, „კუბიკებს“ აქეთ-იქით ვისროდი. თურმე ამ დროს ოთახში წვერმოხსნილი და დაღლილი ლარისა შემოვიდა და თავში მოხვდა ჩემი ნასროლი „კუბიკი“ (მაშინ რა მიზანი მქონდა, ახლა რა მჭირს?). მოკლედ, თავგატეხილ ლარისას არც ჩემმა ბოდიშმა უშველა და არც კოცნამ (არადა, ეგ მატყუებდა, რამეს რომ იტკენ, გაკოცებ და მოგირჩებაო). სასწრაფოს გამოძახება მოუხდათ. ასე უნებლიე სნაიპერის სინდრომით შემომესაჯა თვითმარქვია თოვლის ბაბუ თუ ბებო... რა ბებო, — დეიდა! ამ სკანდალური ზეიმის მერე კიდევ რამდენიმე თვე და რამდენიმე უნებლიე თუ „ნებლიე“ ოინი და შემდეგი წლიდან უკვე სხვა საბავშვო ბაღში მიმიყვანეს. თქვენი ჩუპი.

გილოცავ!

• ჩემს ძმისშვილს, პატარა ბესო (ბესუნა) ლიქოკელს 11 იანვარს და რძალუკას, შორენა გოგოჭურს 19 იანვარს, დაბადების დღეს ვულოცავ. უფალი გფარავდეთ, ღმერთს ებარებოდეთ. ფიქრია.

• თიანეთში, მერაბ კოტოშაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს და შობა-ახალ წელს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და კარგად ყოფნას ოჯახთან, შვილიშვილთან ერთად.

• სრულიად საქართველოს, „გზის“ კოლექტივს, მგზავნელ მოსახლეობას და მკითხველს ვულოცავთ შობა-ახალ წელს. ბედნიერება და წარმატება დაგბედებოდეთ. ტირიფი73 და მგზავრი.

• მარინე და მახო მოლოდინებს, ნინო ხეთეშვილს, დათო და ვანო გომიაშვილებს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და სიხარულს. თქვენი და და დეიდაშვილი, მაია მოლოდინი.

• ჩვენს უტკბილეს და უთბილეს ბებოს, ნინო ავსაჯანიშვილ-მოლოდინს ვულოცავთ ნინობას. ვუსურვებთ წელთა სიმრავლეს. სულ გახარებული გვენახე. გვიყვარხარ. შვილიშვილები.

• ლელა ბაციკაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. არასოდეს მოგკლებოდეთ ღმერთის წყალობა. პატივისცემით, ლ. ქიმაძე.

• ჩემო კარგო მარი, ძველით ახალ წელს გილოცავ. მრავალს დაესწარი, ჯანმრთელად და ბედნიერად. სიკეთე და სიყვარული იყოს თქვენი კეთილი მეგზური. ღმერთი გფარავდეს. გკოცნი. გერასიმე.

• სესილი ნაცვლიშვილს — გორში, დათუნა ხეოშვილს და გვანცა ჩიტიშვილს — თბილისში, ქეთი გორგაძეს, ქეთი სიხარულიძეს, დათუნა ხარხელს და ეკუნა ზანაძეს — რუსთავში, დიდი მონატრებით, ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულს ულოცავს დიანა ნათლია, ესპანეთიდან. წმინდა სანთლის შუქი გინათებდეთ ცხოვრების სავალ გზას, ჩემო ძვირფასებო. ამინ!

• ზესტაფონში, კობა ნიჟარაძეს, ვულოცავთ დაბადების დღეს (22 იანვარს). ვუსურვებთ ჯანმრთელობას და უფლის წყალობას. ნანი, ნატო და მანანა. ათენი.

• ათენში ალა თანკიანს ვულოცავთ შვილების, დენისასა და ინგას ბედნიერებას. ვუსურვებთ ულევ სიხარულს და სიყვარულს. გკოცნით ბევრს. დაქალები.

• 17 იანვარს შენი დაბ-დღეა, ჩემო გოგონავ, მე კი ის ვარ, ვისაც ყველაზე მეტად უყვარდი, უყვარხარ და ეყვარები, სამუდამოდ! დაბ-დღეს გილოცავ, ჩემო ნათი ქალო. მიყვარხარ!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ტაიმ-აუტი

აღმოსავლური სამკაულების საიდუმლო



აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალებს სხვადასხვა დანიშნულების თილისმა-სამკაულები უკეთიათ. სიმდიდრის მისაზიდად, უბედურების ასარიდებლად, ვაჟის ჩასახვისთვის და ა.შ. ეგვიპტეში ავი თვალისგან დასაცავად, ქალებს ხოჭო-სკარაბეუსის ან რას თვალისგამოსახულებიანი ავგაროზი უკეთიათ. რგოლში ჩახატული ფინიკის პალმის სილუეტი ბედნიერების მომტანია და ავი თვალისგან დამცავი.

ტუნისელ ქალებს ან თევზისგამოსახულებიანი ავგაროზი ამშვენებთ, ან ფატიმას (მუსლიმანთა წინასწარმეტყველის ქალიშვილი) ხელი. მრგვალ ან ოვალურ, ცისფერ მინაზე გამოსახული თვალი ალბათ ყველას გინახავთ. ის თურქებს ავი თვალისგან იცავს. მისი ყიდვა ნებისმიერ მაღაზიაში შეიძლება. თურქების აზრით, ცისფერთვალება ადამიანს უბედურების მოტანა შეუძლია, ამიტომ დასაცავად თილისმა ყველამ უნდა ატაროს. აღმოსავლური თილისმები — ხის, მინის, ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი თვლების, ბრინჯაოსა და ვერცხლისგან მზადდება.

საინტერესო ავგაროზები აქვთ უდაბნო საჰარის მკვიდრებს. ისინი თილისმას ტყავის, ვერცხლისა და სერდოლიკის თვლისგან ამზადებენ. მიაჩნიათ, რომ ის იარების შეხორცებასა და ტკივილის გაყუჩებას უწყობს ხელს. მამაკაცებს ვერცხლის, საჰარის ჯვარი უკეთიათ. ქალებისთვის საუკეთესო თილისმად მინიატიურული კოლოფია მიჩნეული, რომელშიც ქაღალდზე ამოწერილი ყურანის ციტატებია მოყვანილი. ■

მკურნალი არომატი

ვისაც სითამამე აკლია და მუდმივად სცივა, ხშირად უნდა დაყნოსოს ფორთოხლის ცედრა.

მანდილოსანი, რომელსაც სხვა მცენარეებზე მეტად ლავანდის სურნელი იზიდავს, დეპრესიულია. ეს მცენარე კი ძლიერ ანტიდეპრესანტად მიიჩნევა.

მუდმივად სტრესის ქვეშ მყოფმა ადამიანებმა ხშირად უნდა დაყნოსონ შოკოლადს. მასში შემავალი ენდორფინი — ბედნიერების ჰორმონი ანტისტრესულ, ტკივილგამაყუჩებელ და სიამოვნების მომგვრელ ნივთიერებად ითვლება.

იაპონელი მეცნიერების დაკვირვებით, თანამშრომელი, რომელიც მუშაობისას ხშირად მიირთმევს ლიმონიან ჩაის, ნაკლებ შეცდომებს უშვებს.

ძლიერ აფროდიზიაკად მიიჩნევა — ვარდისფერი ვანილი, ჯავზი, ჟასმინი და მიხაკი. ბერძნული ლეგენდის თანახმად, ჰერამ ზევსის მოსახიბლავად აფროდიტეს არომატული სარტყელი გამოართვა, რომელიც სავარაუდოა, ამ არომატებით იყო გაჟღენთილი.

ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი აქვს გრეიპფრუტის ზეთს.

ზოგიერთი არომატი თავის ტკივილს იწვევს. თუ სურნელი არ გსიამოვნებთ, ნუ გამოიყენებთ. ზიანის მეტს არაფერს მოგიტანთ. ■

უჩვეულო და სასიამოვნო პროფესიები

* სურვილების შემსრულებელი ფირმა ჩიკაგოში მდებარეობს. მენეჯერები კლიენტს ნებისმიერი სირთულის სურვილის ასრულებას ჰპირდებიან. ფასი 150 ათასი დოლარიდან იწყება.

* ევროპის ზოგიერთ VIP გოლფ-კლუბში ბურთების შემგროვებლის ვაკანსია არსებობს. აქვე მუშაობენ ადამიანები, რომლებსაც გოლფის ჯოხების სპეციალური სითხით დამუშავება ევალებათ.

* იტალიის ერთ-ერთ კერძო საკონდიტროში მუშაობს ადამიანი, მისი მოვალეობაა კვერცხი მოათავსოს სპეციალურ მანქანაში, რომელიც ცილასა და გულს ერთმანეთს აცილებს.

* არსებობს კიდევ ერთი პროფესია — „კვერცხის მყნოსველი“. მასაც იტალიის საკონდიტროებში შეხვდებით. იგი გატეხილ კვერცხებს ამოწმებს, რომ გაფუჭებული საკონდიტრო ნაწარმში არ გამოიყენონ.

* ევროპის ავეჯის მაღაზიებში კლიენტებს შესაძლებლობა აქვთ, მოწონებულ საწოლზე წამოწვნენ. დაჭმუჭნილ თეთრეულსა და ბალიშებზე ნაკეცებს სპეციალური თანამშრომელი ასწორებს. ასეთივე თანამდებობა არსებობს ფეხსაცმლის მაღაზიაშიც. თანამშრომლის მოვალეობაა, კლიენტის მოსინჯულ ფეხსაცმელზე გაჩენილი ნაოჭები გაასწოროს.

* „სააღდგომო ბაჭია“ ჰქვია საკონდიტროს თანამშრომელს, რომელიც წინასააღდგომო დღეებში კურდღლის ფორმაში გამოწყობილი, მყიდველების ყურადღების მისაქცევად, მაღაზიის წინ ცეკვავს და ბავშვებს სათამაშო კვერცხებს ურიგებს.

* ყველაზე სასიამოვნო საქმე კუნძულ ჰამილტონის სასტუმროს ერთ-ერთ თანამშრომელს აქვს, რომელსაც დამსვენებელთა სანაპიროზე დარჩენილი ნივთების შეგროვება ევალება.

* ყოველდღიურად უფასოდ ერთობა ევროპის ყველაზე დიდი აკვაპარკის თანამშრომელი, რომელიც აუზში წყლის მილებით ჩამოსრიალების უსაფრთხოებას აკონტროლებს.

* ასეთივე სასიამოვნო, მაგრამ ცოტათი საშიში პროფესია აქვს ღვინის დეგუსტატორსა და საკონდიტრო ფაბრიკის თანამშრომელს, რომელსაც ყოველდღიურად ახალ-ახალი კანფეტების დაგემოვნება და შეფასება უწევს. ■

მოამზადა **რუსუდან გელაშვილმა**

ჭერიდან მოსული იდეები და „თავდაკარგულების“ ამბავი

ანუ „სიძულვილიც არ არსებობს უსიყვარულოდ“

ბატონი ლევან ნოზაძის ნამუშევრები პირველად „მშრალ ხიდზე“ ვნახე. ერთ-ერთმა მათგანმა განსაკუთრებულად მიიქცია ჩემი ყურადღება — თვალი ვერ მოვწყვიტე... მასზე უცნაურად ჩახვეული უთავო ქალი და მამაკაცი იყო გამოსახული... როცა ოსტატმა, დაინტერესება შემატყო, მომიახლოვდა და მითხრა, რომ ნამუშევარს „თავდაკარგულები“ ერქვა. ბატონ ლევანს ინტერვიუ შევთავაზე და გარკვეული დროის შემდეგ მასთან შეხვედრაც მოვახერხე.



ელენე ბასილიძე

— პროფესიით მხატვარი ვარ, იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი დავამთავრე. ამ სასწავლებელში, 4 წელიწადში ერთხელ, ხეზე კვეთის ფაკულტეტზე მიღება ცხადდებოდა... გამიმართლა და ზუსტად იმ წელს ჰქონდათ მიღება, როცა სკოლა დავამთავრე და ჩავირიცხე. არაჩვეულებრივი სასწავლებელი იყო, მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომელ ფაკულტეტზე სწავლობდი, მაინც ყველაფერს (ქანდაკება, გრაფიკა, ფერწერა) გასწავლიდნენ. მეორე კურსიდან უკვე შიშველ ნატურას ვხატავდით. ხომ წარმოგიდგენიათ, 15-16 წლის ახალგაზრდებისთვის როგორი იქნებოდა შველივით გოგონებისთვის ყურება.

— ქართველები იყვნენ?

— არა, ნატურები ლენინგრადიდან ჩამოჰყავდათ. აბა, რომელი ქართველი ქალი დაგვიდგებოდა იქ (*იღიმის*)?! ჩვენი მიზანი იყო — გაგვთავისებინა, რომ მხატვრები უნდა გავმხდარიყავით... მახსოვს, სასწავლებელში, ერთ-ერთ სტუდენტს ბებიამ მოაკითხა. რომ დაინახა, შვილიშვილი შიშველ ქალს უყურებდა და ხატავდა, გადაირია! შვილიშვილი სახლში წაიყვანა და აღარც მოუყვანია. „ნიკოლაძის“ მერე, სწავლა სამხატვრო აკადემიაში აღარ გამიგრძელებია, მაგრამ იქ ხშირად მივდიოდი, ხან რომელ ლექციას ვესწრებოდი, ხანაც — რომელს... გრაფიკაში ვმუშაობდი, ფერწერაშიც, ხისა და ლითონის დამუშავებას ვსწავლობდი... შეიძლება ითქვას, რომ სამხატვრო აკადემიის სკოლაც გავიარე.

— როგორც ვიცი, თქვენი ძმაც ხეზე მუშაობდა...

— კი, ბესიკი ჩემზე 9 წლით უფროსი იყო და შეიძლება ითქვას, რომ ჩემი მასწავლებელიც გახლდათ. სამწუხაროდ, გარდაიცვალა. ბოლო 20 წლის განმავლობაში გუდასტვირებს აკეთებდა, უნიკალური სმენა ჰქონდა, მისთვის ბგერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, არაჩვეულებრივი ჟღერადობის გუდასტვირებს ქმნიდა. ნოზაძეების გვარი ხაშურის რაიონის სოფლებიდან — ალიდან და ფონადან მოდის. ჩემი წინაპრები ოსტატები იყვნენ. ბაბუაჩემი აკვნებს თლიდა, ურმებს აკეთებდა, მას ცხენსაც აჭედვინებდნენ... პაპაჩემთან, მანგლისის მხარეს მდებარე ახალსოფელში ჩასვლა ძალიან მიყვარდა, თითქმის ყველა ხელსაწყო ჰქონდა, რაც ხის ნაკეთობის დასამუშავებლად იყო საჭირო. მახსოვს, არაჩვეულებრივ მათრახებს წნავდა, მაგრამ

ის არასოდეს გაუყიდია. ვისაც ჩუქნიდა, ეუბნებოდა, — ფულს იმიტომ არ გართმევ, რომ ცხენს მათრახი არ დაარტყა, მათრახი უნდა აუქნიო, რომ ცხენს წასვლის ნიშანი მისცესო...

— თქვენი პირველი ნამუშევარი თუ გახსოვთ?

— კი, რა თქმა უნდა! „ნიკოლაძეში“ სწავლის დროს, 1-ელ კურსზე გახლდით, კაკლის ხისგან შიშველი გოგონა გავაკეთე, რომელსაც ხელში ვაშლი ეჭირა... სწორედ ამ ქანდაკებამ მისცა დასაბამი ნამუშევართა სერიას — „სიყვარული ყველას უნდა“...

— როგორც მითხარით, ნამუშევრებზე სერიებად მუშაობთ...

— დიახ, ჩემი გამოქანდაკებული პირველივე ფიგურა შიშველი, „სიყვარულს მიჯაჭვული“ გოგონა იყო და უკვე 30 წელია, სიყვარულის თემაზე ვმუშაობ. სიყვარული ხომ ყველას სჭირდება! სიყვარულის გარეშე თვით სიძულვილიც კი არ არსებობს — უსიყვარულოდ ვერ შეიძულებ! როგორც წესი, ყველაზე მეტად ის გძულს, ვინც ოდესღაც ყველაზე მეტად გიყვარდა...

— ახლა „თავდაკარგულებზე“ მოგვიყევით.

— გადავწყვიტე, სიყვარულით დაწყვილებული, ტყუპი ქალისა და მამაკაცის ფიგურა გამეკეთებინა. თავდაპირველად, ნამუშევარს თავები გავუკეთე. ერთ დღესაც, სახლში მივედი და შევნიშნე, რომ თავები „ზერელედ“ ჰქონდა მიმაგრებული. როგორც მერე გავიგე, ჩემს ვაჟიშვილსა და რძალს ის სკულპტურა პიანინოდან ჩამოუვარდათ და „კისერი მოსტეხეს“. გული დამწყდა, მხოლოდ თავების შექმნაზე 2 დღის განმავლობაში ვმუშაობდი... რაღას ვიზამდი, ავდექი და თავები საერთოდ მოვხსენი. ძალიან მომეწონა. სწორედ მაშინ მოვიდა იდეა მისთვის „თავდაკარგულები“ დამერქმია. მას მერე, კიდევ რამდენიმე „თავდაკარგული“ გავაკეთე და იდეის მოწოდებისათვის ჩემს რძალსა და შვილს ვემადლიერები.

— სანამ მუშაობას დაიწყებთ, იცით, ამა თუ იმ კუნძისაგან რა უნდა შექმნათ?

— როგორც წესი, იდეა შეიძლება, ძალიან მოულოდნელად მოვიდეს. საერთოდ, იდეები დილით მოდის ხოლმე... პლეხანოვზე, ძველ სახლში ვცხოვრობ, სადაც ჭერი წვიმისგან არის გაფუჭებული, მასზე ბევრი რამის „ამოკითხვა“ შეიძლება. ეს „დოქი-ქალბატონიც“ სწორედ „ჭერზე ამოკითხული“ იდეის შედეგად შეიქმნა. ის ქალბატონებისთვის ოთახის კუთხეში დასადგმელი ლარნაკია, მამაკაცებისათვის — სამლიტრიანი, განსხვავებული სასმისი.

— ალბათ განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ თქვენ ნამუშევრების მიმართ, არა?

— კი, მართალი ხარ... ერთი ნამუშევარი მაქვს, რომელსაც „კუთხის ნამუშევარს“ ვუწოდებ. ის თუ კუთხეში არ დაიკიდა, ყველა მხრიდან არ აღიქმება, ზედ კი ფიგურები ორ სართულადაა ამოჭრილი: ზემოთ, აივანზე 2 კაცი ნარდს თამაშობს, დიდი „ხიპიში“ აქვთ, ხელები გაუშლიათ... აქეთ-იქით აივნებიდან ცნობისმოყვარეობით დატანჯული ქალი და კაცი გადმომდგარა, პირველ სართულზე კი დუქანია, ღიპიან მიკიტანს დუქანი მიუტოვებია და მაღლა იყურება, მასაც აინტერესებს, ამ კაცების ჩხუბი. მემაწვნის ვირიც ხმაურზე, მეორე ქუჩიდან წამოსულა და აივნისკენ იხედება. მემაწვნე არ ჩანს, ის მეორე ქუჩაზეა და ვირს ეძებს (*იცინის*). ეს ნამუშევარი ჩემს შვილსა და რძალს ძალიან მოეწონათ და თავიანთ ოთახში გაიტანეს. ამას წინათ, მათ ოთახში შევედი და რას ვხედავ?! მიკიტნის თავზე დათუნია არ დაუკიდიათ და საწყალი მიკიტანი დაუფარავთ?! გული დამეწვა, — ამ ნამუშევარს თქვენი ოთახიდან სულ გავიტან-მეთქი, — დავემუქრე. განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს ჩემი ნამუშევრის მიმართ, ისინი კი ამას ვერ ხვდებიან... ჩემს ნაკეთობებს „მშრალ ხიდზე“ ვყიდი. ხშირად მეკითხებიან: — როგორ ელევიო?



ჩემი უპირველესი „შემოქმედება“ — ოჯახი და შვილებია, დიდება უფალს, რომ ამ ბედნიერებას ვეღირსე! შვილები დიდები კი არიან, მაგრამ ახლა პატარა შვილიშვილები წამომეწივნენ და მათ გამო ვყიდი... მიყვარს შემოქმედებითი პროცესი და სიახლის გამოგონება. რაც მთავარია, მიხარია, რომ ერთსა და იმავეს არ „ვბეჭდავ“. შეიძლება, ჩემი ნამუშევარი ოდესმე ჩემ გარდა, კიდევ სხვასაც ჰქონდეს გაკეთებული, მაგრამ მე ხომ არ მინახავს, ჩემთვის ხომ ეს ახალია?!

— შეკვეთებზეც მუშაობთ?

— კი, ანტიკვარული ავეჯის საკმაოდ კარგი ოსტატი ვარ და ხშირად მიწევს კიდეც მათი შეკეთება. მსიამოვნებს, როდესაც ძველ ნივთებს „ვაცოცხლებ“. ამ ბოლო დროს უკვე საათების შექმნის იდეა დამებადა — მინდა, ორიგინალურ საათებზე ვიმუშაო, რომლებიც ადამიანებს დროის მსვლელობას შეახსენებს.

— წარმატებებს გისურვებთ!

— დიდი მადლობა!

■

შვილიშვილები წამომეწივნენ და მათ გამო ვყიდი...

„ბოლო 6 თვის მანძილზე 13 ქვეყანაში ვიყავი“

რაზე არ უფიქრია მსახიობ დიმიტრი ტატიშვილს

ბავშვობაში, როცა წასაკითხ წიგნებს ურჩევდნენ, მას თვალი ეზოში მოთამაშე თანატოლებისკენ გაურბოდა. ოჯახში დიდი და კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდათ. ხედავდა, როგორი აქტიური მკითხველები იყვნენ მისი მშობლები და უფროსი და. წიგნებით დაინტერესება მათგან გადაეედო. ახლა წუხს, რომ ბოლო დროს ისეთი აქტიური მკითხველი ვეღარ არის, როგორიც სტუდენტობის წლებში იყო. ილია ჭავჭავაძე ის ავტორია, რომელიც ბავშვობიდანვე გამორჩეულად უყვარს. კითხვაზე — რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდით? ღიმილით მპასუხობს: — ამაზე არასდროს მიფიქრია (*პაუზის შემდეგ*), სათავგადასავლო ლიტერატურის რომელიმე გმირს ავირჩევ, უცნაურ პერსონაჟებთან ურთიერთობა გამიჭირდებაო. „ერუდიტის“ სტუმარი მსახიობი ДИМИТРИ ТАТИШВИЛИ გახლავთ.

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— ხართ თუ არა თავგადასავლების მოყვარული ადამიანი?

— შეიძლება ითქვას, რომ ვარ... მოგზაურობაც ძალიან მიყვარს.

— ბევრ ქვეყანაში ხართ ნამყოფი?

— ბოლო 6 თვის მანძილზე 13 ქვეყანაში ვიყავი.

— ეს პროექტი „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ მზადდება?

— დიახ, ამ ტელევიზიაში დოკუმენტური ფილმების სტუდია, საქართველოს ანექსიის თემაზე, ახალ სერიალს ამზადებს. გადაღებები დასრულებულია და ახლა მონტაჟი მიმდინარეობს. მე მთხრობელი ვარ. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები და ევროპის ნაწილი მოვიარეთ, ფილმში ბევრმა საინტერესო მასალამ მოიყარა თავი...

— ერთმა ბრძენმა თქვა: „თუ ბევრი ფული დაკარგე, არაფერი დაგიკარგავს. თუ მეგობარი დაკარგე, — ბევრი რამე დაგიკარგავს, ხოლო თუ ის დაკარგე, ყველაფერი დაგიკარგავს“. რა არის „ის“?

— ზუსტად არ ვიცი, ჩემი აზრით, ყველაზე ცუდია, როცა ადამიანი სინდისს კარგავს.

— ვერ შეგედავებით, ამ შემთხვევაში, ბრძენი რწმენას გულისხმობდა. რომელ სოფელში დაიბადა ნიკო ფიროსმანი?

— მირზაანში.

— ვინ შეარქვა ვაჟა-ფშაველას ეს ფსევდონიმი?

— ვერ გიპასუხებ.

— მეგობარმა — დიმიტრი ცისკარიშვილმა პეტერბურგში ყოფნის დროს. 1801 წლის 12 სექტემბერს სომხეთის ეკლესიამ კათოლიკოს — იოსებ არღუთინსკის მეთაურობით, თბილისში, პარაკლისი გადაიხადა. რატომ?

— თარიღი უნდა გავითვალისწინო, არა (*ფიქრობს*)? ეს ის დროა, როცა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმეს. ალბათ ამას ზეიმობდნენ, არა?

— დიახ. „არის რაღაც საერთო ღვინის სმასა და კითხვას შორის, მე მგონი, ის, რომ ორივეს ეგრეთწოდებულ, პიროვნების თავისუფლებასთან მივყავართ, ოღონდ ერთი — მიშვებული, აგდებული და ულამაზო თავისუფლებაა, უპასუხისმგებლობით გამოწვეული, მეორე კი — შემართებული, გამოცდილი და ყოვლისშემძლე, ამაღლებული“. გურამ დოჩანაშვილის რომელ ნაწარმოებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?

— ვერ გიპასუხებ.

— „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“. ღვინის სმასა და კითხვას შორის თავად თუ პოულობთ რაიმე საერთოს?

— სიმართლე გითხრა, მათ შორის საერთოს ნაკლებად ვხედავ, მხოლოდ ის არის, რომ კითხვის დროს ბევრ სიახლეს აღმოაჩენ, და სიახლე შეიძლება, სუფრასთან ყოფნის დროსაც გაიგო.

— მათემატიკა გიყვართ?

— არა.

— ეს კითხვა მაინც უნდა დაგისვათ. გაქვთ 7 ქვა, რომელთა წონაა — 1 კგ, 2 კგ, 3 კგ და ა.შ. 7 კგ. გაანაწილეთ ეს ქვები 4 ყუთში ისე, რომ თითოეულში ერთნაირი წონა იყოს.

— (*იცინის*) მარტივი კითხვაა, უბრალოდ ანგარიში უნდა, რაც ძალიან მეზარება. ერთ ყუთში მოვათავსებთ 1 და 6-კილოგრამიან ქვებს, მეორეში — 2 და 5-კილოგრამიანებს, მესამეში — 3 და 4, ხოლო მეოთხეში — 7-კილოგრამიანს. ძალით მაპასუხებინე (*იცინის*).

— აკაკი შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონის“ მიხედვით, როგორ ადამიანს უწოდებდნენ ფშავში უბედოს?

— დაუქორწინებელს.

— ცდებით, უძეოდ გარდაცვლილს უწოდებდნენ.

— საინტერესოა, პირველად გავიგე.

— „მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე სიყვარულით ერთხელაც არ ამძგერებია გული, თუმცა მოჩვენებით ხშირად მომჩვენებია თავი, ტრფიალების ალი მწვავს-მეთქი, ეტყობა, ვერც ვერასდროს ვიგრძნობ ამ გულის ძგერას... ავხორცი თუ ვარ? მაშა! არ მოუტყუებიხართ, ოღონდ, განა საშიშარი

ვარ. ქალს დავინახავ თუ არა, როდი შევყივლებ და ვეძგერები, ჯერ არასდროს ვყოფილვარ გასამართლებული ვნებიანობის მკაცრი გამოვლინებისთვის: სრულიად ურისკოდ შეიძლება, ჩემთან ერთად საზოგადოებაში გამოჩენა, მით უმეტეს თუ ხმის მისაწვდენ ადგილზე პოლიციელი მორიგეობს", — ეს არის ერთ-ერთი ფრანგი მწერლის მიერ შეულამაზებლად დახატული ავტოპორტრეტი. დაასახელეთ ეს მწერალი.

— არ ვიცი.

— მიგანიშნებთ, ამბობენ, როცა ეს მწერალი გარდაიცვალა, პარიზის ყველა საროსკიპომ გლოვა გამოაცხადაო.

— მაინც ვერ გიპასუხებ. ასეთი ვინ იყო?

— გი დე მოპასანი. რა ჰქვია დღის და ღამის გათანაბრებას?

— ბუნიობა.

— ვინ იყო ბედისა და იღბლის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში?

— ფორტუნა.

— რომელ მეფეზე წერდა ლეონტი მროველი: „ამან განავრცო ენა ქართული და შექმნა მწიგნობრობაი ქართული"?

— ფარნავაზზე.

— რა ერქვა გულივერს?

— ვაიმე (*იცინის*)! ვერ ვიხსენებ.

— ლემუელი. რომელი ჯირკვლის ამოკვეთა ხდება გლანდების ოპერაციის დროს?

— არ ვიცი, არადა, ეს ოპერაცია ბავშვობაში გაკეთებული მაქვს.

— ნუშისებრ ჯირკვალს კვეთენ. ფილმი — „იმერული ესკიზები" კარგად გახსოვთ?

— რა თქმა უნდა.

— რომელ სპექტაკლს დგამენ სოფლის სცენაზე?

— „ოტელოს".

— ანდაზის მიხედვით, რა არ დაიმალება თივაში?

— (*ფიქრობს*) თივაში? ასეთ ანდაზას ვერ ვიხსენებ.

— ცეცხლი. რომელი მეფის დედა იყო ქეთევან დედოფალი?

— თეიმურაზ I-ის.

— ქაშუეთის ეკლესიაში დასვენებულ რომელი მწერლის ცხედარს ეფარა შუბლზე მუხის ფოთოლი?

— ილია ჭავჭავაძეს.

— „ო, ენავ ჩემო,/ დედაო ენავ,/ შენ ჩვენო ნიჭო,/ სრბოლავ და ფრენავ,/ შენ, ჩვენთა სუნთქვის დიდო ალამო,/ შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,/ შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,/ შენ ერთს,/ შენ ვერ გთმობ/ სამარის პირთან". ვინ არის ამ ლექსის ავტორი?

— ირაკლი აბაშიძეს ეკუთვნის; ლექსს „ხმა კატამონთან" ჰქვია.

— ზეპირად ბევრი ლექსი იცით?

— ბევრი — არა, მაგრამ პოეზია მიყვარს.

— ჰოლანდიის რომელ ქალაქშია რემბრანდტის სახლ-მუზეუმი?

— არ ვიცი, ჰოლანდიაში არ ვარ ნამყოფი.

— ამსტერდამში. ნიზამი, ომარ ხაიამი, საიათნოვა — ამათგან რომელი იყო მათემატიკოსი?

— ნიზამი, არა?

— ცდებით, სწორი პასუხია — ხაიამი. ყველა ნატურალური რიცხვი, რომელიც უნაშთოდ იყოფა — 3-სა და 4-ზე აუცილებლად იყოფა...

— 7-ზე.

— 12-ზე, არა?

— მართალია, 12-ზეც გაიყოფა.

— დაასახელეთ მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტია.

— ამერიკაში იქნება.

— დარწმუნებული ხართ?

— (*ფიქრობს*) ამერიკაში კი არა, ჩინეთის კომუნისტური პარტია იქნება. გამოვიცანი?

— ნამდვილად ასეა. რომელი ფრინველი დებს კვერცხს სხვის ბუდეში?

— გუგული.

— რომელმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ უთხრა საფრანგეთის მოხუცებულ მეფეს — ლუდოვიკოს შემდეგი სიტყვები: „ისეთი მოხდენით ატარებთ ასაკს, რომ ყველა ინატრებდა თქვენს ადგილზე ყოფნას".

— სულხან-საბა ორბელიანმა.

— რა წოდება ჰქონდა ლავრენტი ბერიას?

— საბჭოთა კავშირის მარშალი იყო.

— რომელი ლიტერატურული გმირია ალონსო კეხადა — დონ-კიხოტი, გულივერი, რობინზონ კრუზო თუ გრაფი მონტე-კრისტო?

— დონ-კიხოტი.

— რა ერქვა ძველ საბერძნეთში მონას, რომელსაც ბავშვებისთვის თვალყურის დევნება ევალებოდა?

— არ ვიცი.

— მიგანიშნებთ, დღეს ეს ერთ-ერთი პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვაა. ამ პროფესიის ადამიანებს კი ბავშვებთან აქვთ კავშირი.

— პედიატრებს გულისხმობ?

— არა.

— არ მითხრა, პედაგოგი ერქვაო.

— გამოიცანით. იოსებ გრიშაშვილი — „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში" წერს: „ძველად, ქალაქგარეთ მხოლოდ ორი დროის გასატარებელი ადგილი არსებობდა. მდაბიო ხალხისთვის — ორთაჭალის ბაღები და ევროპულად გაზრდილთათვის..."

— ალექსანდრეს ბაღი იქნებოდა.

— მეორე ადგილი მუშტაიდის ბაღი იყო. რომელ ქვეყანაშია მდინარე პო?

— საფრანგეთში.

— ცდებით.

— მართალია, დავიბენი, პო იტალიაშია.

— იოანე პეტრიწის განმარტებით, ძველად, რიტორიკის სამი დარგი არსებობდა: თანამზრახველთა — სათათბირო, საპაექრო, სადაც პოლემიკა იმართებოდა. დაასახელეთ მესამე დარგი, სადაც კარგად ჩანდა სიდიადე ორატორობისა.

— ფილოსოფია.

— ცდებით.

— რა ვიცი, კარგი ორატორობა სადღეგრძელოს თქმასაც უნდა. უფრო სწორად, თამადობას.

— სწორი პასუხიც ეს არის. თამადობა ხშირად გიწევთ?

— ხშირად — არა, მაგრამ მიწევს ხოლმე, ეს საქმე არ მეზარება (*იცინის*); უპირატესობას ნატურალურ ღვინოს ვანიჭებ.

— დაბოლოს, დაასრულეთ ცნობილი ამერიკელი მწერლის — ემერსონის გამონათქვამი: „ყოველი ადამიანი, რომელთანაც ურთიერთობა მაქვს, რაღაცით მაინც მჯობია და მე მზად ვარ ..."

— მოვუსმინო მას.

— „...ვისწავლო მისგან".

■

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რის გამო მიუძღვნა ხალხმა რომის პაპ პავლე II-ს ასეთი პასკვინადა: „წმინდა მამა შენ არა ხარ, ბედნიერ მამად კი ჩაითვლები“?
2. რომის პირველ ტრიუმვირატს ხალხმა ფულის, ძალისა და ნიჭის კავშირი შეარქვა. რომელი მხედართმთავრის სახელი იყო გაიგივებული ფულთან, რომელი ძალასთან და რომელი ნიჭთან?
3. რა ერქვა ჩერჩილს?
4. რა არის ქორო?
5. დაასახელეთ ალექსანდრე დიუმას რომანის გმირი, რომელსაც 1931 წელს საფრანგეთში ძეგლი დაუდგეს.
6. დაასახელეთ იტალიელი მსახიობი ქალი, რომელმაც 1982 წელს გადასახადების გადაუხდელობის გამო 17 დღე ციხეში გაატარა.
7. რით მოკვდა ლუარსაბ თათქარიძე?
8. დაასახელეთ ისტორიული მოვლენა, რომელიც ძველბერძნებს წელთაღრიცხვის წარმოებისას ათვლის წერტილად ჰქონდათ აღებული?
9. რა არის თავხე?
10. რატომ არის თეთრი დათვის ღვიძლი მომწამვლელი?
11. რა არის გვრინი?
12. დაასახელეთ მხატვარი, რომელსაც პირველად მიენიჭა საბჭოთა სახალხო მხატვრის წოდება.
13. დაასახელეთ რუსი ფერმწერი, რომელიც რუსეთ-იაპონიის ომის დროს პორტარტურში ჯავშნოსან „პეტროპავლოვსკის“ აფეთქების დროს დაიღუპა.
14. დაასახელეთ რომაელი მხედართმთავარი, რომელმაც ირენიის, ლიბიის, სარდინიის, კორსიკისა და სიცილიის ზღვები მეკობრეებისაგან 40 დღეში გაწმინდა.

* * *

ორი სკოლის მეგობარი ხვდება ერთმანეთს. ერთი ეუბნება მეორეს:
— ეჰ, ბევრ ჩვენს ძმაკაცს არ აეწყო ცხოვრება. ცოლებს გაშორდნენ. მარტო შენ ხარ, 15 წლის განმავლობაში ცოლთან სიამტკბილობით რომ ცხოვრობ. ერთი მითხარი, როგორ ახერხებ ამას?
— როგორ გითხრა?.. ვცდილობთ, რომ ჩვენი ცხოვრება არ იყოს ერთფეროვანი და მოსაწყენი. დავდივართ რესტორანში; გვაქვს რომანტიკული ვახშამი სანთლის შუქზე, შემდეგ მივდივართ ბარში, ვსვამთ კოქტეილს, ვცეკვავთ, გვაქვს ინტიმი და მოფერება...
— ხშირად დადიხართ რესტორანში?
— ყოველ კვირას. ცოლი ხუთშაბათობით დადის, მე — კვირაობით.

* * *

ექიმი პაციენტს:
— უკვე მეასეჯერ გეუბნებით, ამნეზიას არ ვმკურნალობთ.

* * *

უცოლო კაცი მეგობარს:
— ქორწილებში სიარულს, ქელეხებში სიარული მირჩევნია.
— რატომ?
— ქელეხებში არავინ გეკითხება, შენი როდისღა იქნებაო?

* * *

— ბავშვობაში რაზე ოცნებობდი?
— თეთრ ცხენზე ამხედრებულ პრინცზე.
— უფრო რომელზე?

* * *

— საყვარელო, უკვე 14 წელია, ყველაფერს მისწორებ!
— 15 წელია, ძვირფასო, 15!

* * *

ტიუმენის ოლქი სიდიდით საფრანგეთის ხელაა. ტიუმენის ოლქი არაფრით ჰგავს საფრანგეთს.

* * *

— მიტო, ცურვა იცი?
— კი.
— სად ისწავლე?
— წყალში.

* * *

ზარი კარზე:
— გამარჯობა, მე პიანინოს ამწყობი ვარ.
— მე რომ არ გამომიძახებიხართ?
— ვიცი. თქვენმა მეზობლებმა გამომიძახეს...

* * *

ორი ბავშვი საუბრობს:
— მე 10 თვისამ ავიდგი ფეხი, — ამბობს ერთი.
— დიდი ამბავი, მეც 10 თვისამ ავიდგი ფეხი, მაგრამ მშობლებს არ გავუმხილე და ორ წლამდე ხელში აყვანილი მატარეს.

* * *

— ექიმო, პირდაპირ არ ვიცი, რითი გადაგიხადოთ მადლობა!
— ფულით!

* * *

— მიხო, რითი ისჯება ორცოლიანობა?
— ორი სიდედრით!

* * *

ექიმი ეუბნება სადაზღვევო პოლისის მფლობელ ავადმყოფს:
— თქვენი ანალიზები შევამოწმე, ყველაფერი კარგადაა, არაფერი გჭირთ. ასე რომ, ვიზიტებით თავს ნუღარ შეიწუხებთ.
— ღმერთო, რა ბედნიერებაა! გმადლობთ, ექიმო, ნება მომეცით, გადაგეხვიოთ!
— არ მომეკარო!..

* * *

მიხოს შვილი სკოლიდან ბრუნდება:

— მამი, სკოლაში გიბარებენ.

— ვითომ რათაო?!

— ფანჯრის მინა ჩავტეხე და იმიტომ.

— ვაახ, ერთი გამაგებინა, ამ სკოლას სულ რამდენი ფანჯარა აქვს! — ამოიოხრა მიხომ.

* * *

შეკითხვა ქალბატონებს:

— რა ჰქვია მამაკაცს, რომელსაც უნდა, მაგრამ არ შეუძლია?

— იმპოტენტი!

— და რა ჰქვია მამაკაცს, რომელსაც შეუძლია, მაგრამ არ უნდა?

— საზიზღარი, გათახსირებული.

* * *

მატარებელში მეგრელი ენად გაიკრიფა:

— ნაკლი ყველას აქვს. მაგალითად, კახელები უხეშები არიან, გურულები — ჩქარები, რაჭველები — ზანტები, იმერლები — ხისტები, ქართლელები — ბაქიები.

— კი, მაგრამ მეგრელებს არა გაქვთ ნაკლი?

— როგორ არა, ნაკლი რომ არ გვაქვს, ესეც დიდი ნაკლია.

* * *

ოსმა მანქანა იყიდა.

— კმაყოფილი ხარ? — ეკითხება მეზობელი.

— არა, სენი წირიმე, ხარჯიანია.

— რატომ?

— ექვსი ძმანი ვიყავით და ორნიღა დავრჩით.

* * *

— მამა, მამა, მე ებრაელი ვარ თუ რუსი? — ეკითხება მამას პატარა ბავშვი.

— საიდან დაგებადა, შვილო, ასეთი უცნაური კითხვა?

— ისეთი არაფერი, უბრალოდ, საბავშვო ბაღში ახალი სათამაშოები მოიტანეს და ვერაფრით გადამიწყვეტია, დავამტვრიო თუ სახლში წამოვიღო?

* * *

ებრაელი მანქანების გაქირავების პუნქტში მივიდა.

— მითხარით, თქვენი „რენო“ ერთ მილზე ბევრ ბენზინს ხარჯავს?

— ერთ კოვზს!

— ჩაის თუ სუფრის?

* * *

— ოჯახურ საქმეში ხანდახან ქმარიც მეხმარება. მაგალითად, დღეს კალენდარს ფურცელი მოახია.

* * *

— გუშინ ღამე რაჟდენასთან შეპარულ ქურდს მისმა ცოლმა ისე სცემა, რომ ის უბედური საავადმყოფოში დააწვინეს.

— უყურე შენ! მაინც როგორ მოერია?

— რესტორნიდან დაბრუნებული თავისი ქმარი ეგონა!

* * *

— მოწმევ, კარგად იცნობთ ბრალდებულს?

— დიახ, ერთად ვმუშაობდით ბანკში.

— როდის?

— ორიოდე თვის წინ, დაახლოებით ღამის 4 საათზე.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. რომის პაპს საკუთარ ქალიშვილთან ჰქონდა რომანი.
2. კრასუსი გახლდათ „ფული“, პომპეუსი — „ძალა“ და კეისარი — „ნიჭი“.
3. უინსტონ ლეონარდ სპენსერი.
4. მომღერალთა გუნდი.
5. დ'არტანიანი.
6. სოფი ლორენი.
7. ნათლიმამის მიერ მირთმეულ კალმახს მიაძღა, კუჭის ანთება დაემართა და გარდაიცვალა.
8. 1-ელი ოლიმპიადა.
9. სახლის სახურავის მთავარი კოჭი.
10. იგი ძალზე დიდი რაოდენობით შეიცავს A ვიტამინს.
11. მთიბველთა სიმღერა ფშავხევსურეთში.
12. მოსე თოიძე.
13. ვასილ ვერეშჩაგინი.
14. გნეუს პომპეუსი.

ჩვენი ფოტო გაღეარეა

ჰოროსკოპი

20-26 იანვარი

ვერძი

სასურველი იქნება, თუ მხოლოდ ყოველდღიური საქმეებით შემოიფარგლებით. იურიდიულ საკითხებს სასიკეთოდ მოაგვარებთ. დასვენების დღეები ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად, ქალაქგარეთ გაატარეთ.

ხუცური

დაძაბული სამუშაო დღეების შემდეგ, საყვარელ ადამიანს შეხვდით და გაისეირნეთ. კარგი პერიოდია საყიდლებისთვის.

ტყუპი

შესაძლოა, გამოგისწორდეთ მატერიალური მდგომარეობა. ბინის შეცვლასა და მეორე ნახევართან ერთად ახალი ცხოვრების დაწყებას შეძლებთ.

კიბიჩხიტი

ნუ ინერვიულებთ, ყველაფერი თქვენს სასარგებლოდ მოგვარდება. ახალი იდეებისა და გეგმების განხორციელებისთვის ეს კვირა საუკეთესო პერიოდია. მეტი დრო გაატარეთ შვილებთან.

ლომი

შესაძლოა, ფილოსოფიამ და მეცნიერებამ გაგიტაცოთ. თუ მომავალში სამუშაო ადგილის შეცვლას ან საზღვარგარეთ სწავლას დააპირებთ, უცხო ენის შესწავლა ახლავე დაიწყეთ.

ქალწული

კარიერასა და სიყვარულშიც გაგიმართლებთ. გავლენიან ადამიანებს დაუმეგობრდით, რომლებიც მომავალში დაგეხმარებიან. კვირის ბოლოს დაწყებული საქმეები დაასრულეთ.

სასწორი

კოლეგებთან ჭორაობას მოერიდეთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გამოგისწორდებათ. კვირის ბოლოს შესაძლოა, საზღვარგარეთ სამოგზაუროდ წახვიდეთ.

ღრიანცელი

კარგი პერიოდია საქმეების წამოსაწყებად. კოლეგებთან ურთიერთობა გამოგისწორდებათ და მათი დახმარებით წარმატებას მიაღწევთ. მოერიდეთ აზარტულ თამაშებს, თავს საფრთხეში ნუ ჩაიგდებთ!

მშვიდმოსაფი

რომანტიკული განწყობილება მთელი კვირის მანძილზე შეგინარჩუნდებათ; შეყვარებული სიურპრიზებითა და საჩუქრებით გაგანებივრეთ.

თხის რქა

კარგი იქნება, თუ რამდენიმე დღით ქალაქგარეთ გაემგზავრებით. შემოქმედებითი საქმიანობა განწყობილებას გამოგისწორებთ. დაიცავით დიეტა და ივარჯიშეთ. საჭეს ნასვამი ნუ მიუჯდებით.

მეთევზე

რომანტიკული თავგადასავლები კვირის ბოლოს გელით. მანამდე სამსახურის საქმეები და მემკვიდრეობის საკითხი მოაგვარეთ. სასურველია, შუა კვირაში ოჯახური წვეულება მოაწყოთ.

თევზები

გამოგისწორდებათ ფინანსური მდგომარეობა, რაც საშუალებას მოგცემთ, დაასრულოთ სახლის მშენებლობა ან რემონტი. ცოდნა და გამოცდილება კოლეგებს, მოსწავლეებს გაუზიარეთ.

ადამიანის ცხოვრების პერიოდები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „გზა“ №2

42-დან – 49 წლამდე გამოცდილება და ჰარმონია

ეს ასაკი (სასწორის პერიოდი) შემოქმედებითი საქმიანობისთვის საუკეთესოა. ისინი აანალიზებენ განვლილ ცხოვრებას. ცდილობენ, გარშემო მყოფებთან ჰარმონია და სასურველი ურთიერთობა დაამყარონ. კარგი პერიოდია ახალი საქმიანობის წამოსაწყებად. უნდა გათავისუფლდეთ დიქტატორული თვისებებისგან — ეგოიზმისა და სიამაყისგან.

49-დან – 56 წლამდე კრიზისული პერიოდი

მორიელის წლებში ადამიანს კრიზისული პერიოდი უდგება. ამ პერიოდში უნდა მოხდეს ღირებულებათა გადაფასება. ასევე შესაძლებელია, ამ პერიოდში ონკოლოგიური დაავადებები გამოგივლინდეთ. ხშირად შეხვდით მეგობრებს და საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინეთ.

56-დან – 63 წლამდე მეორე გამოცდა

მშვილდოსნის პერიოდში ადამიანი ფილოსოფიითა და რელიგიით ინტერესდება და 37-38 წლის ასაკში დაშვებული შეცდომებისთვის ისჯება. ვინც ეს წლები სწორად იცხოვრა, დაწინაურება და გარშემო მყოფთა პატივისცემა ელის.

63-დან – 70 წლამდე უკანასკნელი შანსი

განგება შეცდომების გამოსწორებისთვის უკანასკნელ შანსს გაძლევთ (თხის რქის პერიოდი). თუ შეცდომების გამოსწორებაზე არ იზრუნებთ, სასტიკად დაისჯებით. შეუძლებელია, ყოველთვის მართალი იყოთ; ოპონენტებსაც მოუსმინეთ. პირადი საკითხები დიპლომატიურად მოაგვარეთ.

70-დან – 77 წლამდე განვლილი წლების გაანალიზება

მერწყულის წლები ყველაზე რთული პერიოდია. ხშირად უნდა განმარტოვდეთ. იფიქროთ განვლილ წლებზე და სწორი დასკვნები გამოიტანოთ. გამოცდილება ახალგაზრდა თაობებს გაუზიაროთ. შეეცადეთ, იყოთ სამართლიანი, პატივი ეცით ცხოვრების კანონებს. გიყვარდეთ გარშემო მყოფები და ისინიც პატივისცემით მოგეპყრობიან.

77-დან – 84 წლამდე უმაღლესი ჰარმონია

ბევრი ამ ასაკს ვერ აღწევს, მაგრამ ვისაც იღბალი გაუღიმებს და თევზის პერიოდს მიუახლოვდება, სულიერ, კოსმოსურ ჰარმონიას აღწევს; ბრძენდება. ■



ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. შემოდგომა; 2. მული; 3. დეპეშა; 4. აგუტი; 5. ლოკატორი; 6. მორალი; 7. კელაპტარი; 8. ბიჭი; 9. ბაქო; 10. ტროტილი; 11. კარკასი; 12. ატრია; 13. კასტეტი; 14. მოლა; 15. საჭე; 16. თიგა; 17. ვენახი; 18. სვასტიკა; 19. საქართველო; 20. ბრიჯი; 21. ტირიფი; 22. ნეტარი; 23. ისანი; 24. თეფში; 25. ფიალა; 26. სპა; 27. ნამიბია; 28. ლაჯი; 29. იადონი; 30. იდილია; 31. ბილბაო; 32. ლიფსიტა; 33. ფური; 34. ფრიალი; 35. პირატი; 36. დარი; 37. ფასი; 38. კოკაი; 39. ნოტა; 40. რეტი; 41. მისია.
სურათებზე: 1. შაკირა; 2. პრინცი.

სპეციალური კროსვორდი



შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში; **ა**. „დათა თუთაშხიას“ ამ პერსონაჟს რომანში ტოფანა ჰქვია, რა ჰქვია მას ფილმში? **ე**. კანის ანთებითი დაავადება; **რ**. ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **თ**. ხელსაწყო, რომლითაც რაიმე ზედაპირის ჰორიზონტალურობას ამოწმებენ; **ე**. ციმბირის დამპყრობ კაზაკთა მეთაური; **დ**. ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ა**. ცელქი, მოუსვენარი; **დ**. მუსიკალური ნიშანი, რომელიც ნახევარი ტონით ამაღლებს ბგერას; **ა**. დებულება, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს. თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; **ი*. მშვიდი, უშფოთველი ცხოვრება; **ს*. კახეთის ერთ-ერთი რაიონი; **ვ*. პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატი მამაკაცებისათვის; **ე*. ჩარლი ჩაპლინის ეროვნება; **ნ*. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი; **ე*. კუნძული, სადაც პირველად გადაასახლეს ნაპოლეონი; **ჩ*. წიკლაური — არწივი, კვაშალი — ბუ, ტატიშვილი — წრუწუნა, ბაღაშვილი — ?; **ვ*. რა ერქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან მჟავანაძეს? **ე*. მდინარე დასავლეთ საქართველოში; **ნ*. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **თ*. წვრილი ღვედი; **ა*. სამცხის მმართველთა ტიტული; **ნ*. ადუღებული რძის ზედაპირზე სქლად მოგდებული ცხიმი; **ე*. რა ერქვა დათა თუთაშხიას დას? **რ*. ებრაელი ღვთისმსახური; **თ*. მცენარე, რომლის გათლილი ტოტისგანაც ამზადებენ ჩიჩილაკს; **ა*. დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან მყოფი ამა თუ იმ დარგის სპეციალისტ-კონსულტანტი; **დ*. ხანი, ჟამი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**გ*. გესლი; **ზ*. ზვიგენი; **ა*. ანკარა; **გ*. გოეთე; **ა*. ასთმა; **რ*. რეიგანი; **თ*. თასმა; **ო*. ონასისი; **ბ*. ბათმანი; **ი*. იხვი; **ს*. სვიფტი; **ს*. სოსელო; **ა*. არსენა; **უ*. უნიკუმი; **კ*. კოკაინი; **ე*. ელეგია; **თ*. თათარა; **ე*. ელენე; **ს*. სვანეთი; **ო*. ოქრო; **ს*. სკალპი; **ა*. აკვანი; **შ*. შაილოკი; **უ*. უისლერი; **ა*. ამური; **ლ*. ლაქია; **ე*. ერნესტო; **ბ*. ბეირუთი; **ა*. ალაფი; **ა*. ამონი.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

სიკეთისათვის სიკეთე არავის უძნიაო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

2	9	5	8	1	6	3	4	7
6	4	8	7	2	3	1	9	5
3	7	1	5	4	9	8	2	6
5	2	4	9	8	1	6	7	3
1	8	6	4	3	7	2	5	9
9	3	7	6	5	2	4	1	8
8	5	2	3	9	4	7	6	1
7	1	3	2	6	5	9	8	4
4	6	9	1	7	8	5	3	2

6	4	2	7	1	8	3	5	9
7	9	5	2	3	4	8	6	1
3	8	1	9	6	5	7	4	2
1	2	6	4	9	3	5	7	8
9	5	8	6	7	1	2	3	4
4	7	3	5	8	2	9	1	6
5	6	4	8	2	7	1	9	3
2	1	9	3	5	6	4	8	7
8	3	7	1	4	9	6	2	5

3	8	4	5	7	1	6	2	9
7	5	2	6	9	4	3	8	1
1	9	6	8	2	3	7	4	5
4	1	3	7	5	2	9	6	8
9	2	8	1	3	6	5	7	4
6	7	5	4	8	9	1	3	2
2	4	9	3	1	7	8	5	6
5	3	1	2	6	8	4	9	7
8	6	7	9	4	5	2	1	3

* მარტივი

		9			8	6		
	3				2			
	7				9			1
		6	8				5	
	1		2				7	
	2		5		7	3		
3			9				8	
			3				1	
		2	4			9		

** საშუალო

		9	2				4	
	8				4	6		
				1				2
	6			7	3			4
	4				8		5	
2				4			9	
5				6				
		3	8				6	
	1				7	3		

*** რთული

	6				3	7	5	
8				1				2
	9		5					3
4				8			7	
9				6				5
	1		7	2				9
2					1		9	
6				7				1
	4	1	9				2	

ფოტოკუჩიოზები

24 იანვრიდან

ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად

ყველა დროის საუკეთესო მთხრობელები მოგითხრობენ...

24 იანვარს - ტომი №1

მთხრობელი - ერნესტ ჰემინგუეი

ფასი ... 2 ლარი!!!

სექსუალურმა პრობლემებმა შეგაწუხათ?

გამოსავალი არსებობს — „ოქსფორდ მედიქალ ჯორჯია“

უროლოგიური გამოკვლევა მხოლოდ 49 ლარად

სტატისტიკის თანახმად, პოტენციასთან დაკავშირებული პრობლემები 30 წელს გადაცილებული მამაკაცების 27%-ს, 40 წელს ზემოთ მყოფთა 38%-ს და 50 წელს გადაცილებულთა 48%-ს აწუხებს.

ზოგადად, მიიჩნევენ, რომ სქესობრივი ფუნქცია ასაკის მატებასთან ერთად სუსტდება და ბევრი ახალგაზრდული სიხარული მიუწვდომელი ხდება. ეს მცდარზე მცდარი შეხედულებაა.

სინამდვილეში, ნებისმიერი ჯანმრთელი მამაკაცი თავისი ძალების გაფურჩქვნის პიკშიც კი შეიძლება შეაწუხოს სექსუალურმა დარღვევებმა. მაგრამ სპეციალისტის ჩარევა და სწორი მკურნალობა შესაძლებლობას აძლევს ყველა მამაკაცს, 60-80 წლის ასაკშიც კი ინტიმური ცხოვრების ბედნიერებით დატკბეს. თანამედროვე მედიცინას ამისთვის შესაძლებლობების მთელი არსენალი აქვს. ამას კლინიკა **„ოქსფორდ მედიქალ ჯორჯიას“** პრაქტიკული გამოცდილება ამტკიცებს.

კლინიკა **„ოქსფორდ მედიქალ ჯორჯიაში“** პირველივე ვიზიტისას ექიმი-უროლოგი დიაგნოსტირების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით გამოავლენს დარღვევების მიზეზს და მკურნალობის ინდივიდუალურ სქემას შეგირჩევთ.

უნიკალური მეთოდების გამოყენებით, **„ოქსფორდ მედიქალ ჯორჯიას“** ექიმი-უროლოგები წარმატებით უმკლავდებიან პოტენციის დაქვეითებას. დადებითი შედეგი მიიღწევა პაციენტის ასაკის და ისეთი ჩვენებების მიუხედავად, როგორებიცაა: მაღალი წნევა, შაქრიანი დიაბეტი და გულის დაავადებები.

გამოჯანმრთელების შემთხვევათა მაჩვენებელი ძალიან მაღალია, ხოლო მკურნალობის ეფექტი პირველივე ვიზიტის შემდეგ არის შესამჩნევი.

მკურნალობის კურსი ინდივიდუალურად შეირჩევა — ზოგიერთ პაციენტს ექიმთან მხოლოდ რამდენიმე ვიზიტი დასჭირდება, ზოგს პროცედურების გაცილებით სერიოზული კურსის ჩატარება მოუწევს. თუმცა ერთი რამის თქმა ზუსტად შეიძლება — **„ოქსფორდ მედიქალ ჯორჯიას“** ექიმები აუცილებლად დაგეხმარებიან.

კლინიკა **„ოქსფორდ მედიქალ ჯორჯია“** მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაციის მიღება და ექიმთან ვიზიტზე ჩაწერა შეგიძლიათ ტელეფონებზე: 29 00 66; 20 47 47

Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS

მიღებაზე ჩაწერა:
29 00 66
29 47 47

პოტენციის გაუმჯობესება
სექსუალური დარღვევების ეფექტური მკურნალობა

ერთსაათიანი სრული გამოკვლევა 49 ლარად

მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის 15 www.oxford-med.ge

ყველაფერი სიყვარულის შესახებ!

ცნობილი ადამიანების
რომანტიკული თავგადასავლები,
სასიყვარულო
ისტორიები,
ლირიკული
ლეგენდები,
ეპისტოლარული
მემკვიდრეობა...

სიახლე!

ფასი: 11.99

ასევე წაიკითხავთ:

- რით მოვხიბლოთ ჩვენი რჩეული
- რა ვუძღვნათ გულის სწორს
- როგორ ვიცხოვროთ სიამტკბილობით ჩვენი ცხოვრების თანამგზავრთან ერთად

მხოლოდ
24-დან 30 იანვრამდე
„ბიბლუსის“
წიგნის მაღაზიებში
სპეციალურ ფასად
იჩქარეთ რაოდენობა შეზღუდულია.
ვყვ მორჩილოვძილ
წმინდა ნინოს ცხოვრება
ბოლო ნვრილოფენი:
ბოლო ბვრილვბვძე
ქართ
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის
უწმიდესის და უნეტარესის
ილია II
ლოცვა-კურთხევით
სპეციალური ფასი
24-დან 30 იანვრამდე
10
5 ლარი
ამოჭერით კუპონი, მიიტანეთ „ბიბლუსის“
ნებისმიერ მაღაზიაში და მიიღეთ სპეციალურ ფასად.